

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

XXVII

Linguistic
P a p e r s

თბილისი 2008 Tbilisi

„საენათმეცნიერო ძიებანი“

XXVII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

ციური ახლელიანი

„Linguistic Papers“ volume 27 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, მ. ქურდიანი ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraselia, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, M. Kurdiani N. Chumburidze, N. Jorbenaдзе

ISSN 1987-6653

კონსონანტური ჯგუფების სიმბოლიკა „კეფისტჰაოსის“ ფრანგულ თარგმანებში

თანამედროვე ლინგვისტიკამ წინა პლანზე წამოსწია არა ფორმის, არამედ ფუნქციის კვლევა. ეს ეხება ენის ფონოტაქტიკური სისტემის კომპონენტებსაც, მათ შორის თანხმოვან ფონემათა ჯგუფების შესწავლასაც მათი ფუნქციების კვლევის თვალსაზრისით. ფონემათა შეერთებები შეფერილნი არიან გარკვეული სემანტიკით, გამომსახველობით, ხატოვანებით და ამიტომაც აღიქმებიან როგორც მატარებელი ან გამაძლიერებელი სხვადასხვა გრძნობისა: სინაზის, შიშის, სინარულის, ყურადღების, მწუხარების, სიყვარულის, სიმსუბუქის, უხეშობის და სხვ. ეს ფუნქციები სრულდება ბგერათა ჯგუფების მიერ, რომლებიც სიტყვისა და გაბმული ტექსტის ფარგლებში წარმოგვიდგენენ ფონემებს; ამიტომაც ფუნქციონალური აღწერის (და არა სისტემურის) დროს საკვლევი ობიექტია ბგერათა ჯგუფები და არა ფონემათა ჯგუფები.

ფრანგულ ლინგვისტიკაში არსებობს ჩამონათვალი თანხმოვანთა ჯგუფებისა, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა შეგრძნებებს და მათი ბგერათსიმბოლური მახასიათებლები თვალსაჩინოდ ვლინდება ტექსტში, განსაკუთრებით კი — პოეზიაში; ასეთებია: სინაზის, სითბოს, სიყვარულის, ერთგულების გამომხატველი — **bl, dr, rl, fl, pl, rf, rd, rp, tr, rs, rt**; სიმკაცრის, ძალის, სირთულის ამსახველები — **br, kr, ks, fr, gl, gr, str** და ა.შ. პოეტურ ტექსტში ბგერათშეერთებები ასრულებენ ესთეტიკური ზემოქმედების ფუნქციას, ანუ ინფორმაციის მიმღებისათვის განსაზღვრული მდგომარეობის შექმნას. პოეტურ თარგმანებში, ორიგინალის შინაარსის ზუსტი ასახვისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს გრძნობათა გამომხატველი იმ ბგერათსიმბოლიკის გამოყენებას, რომელიც სემანტიკურად ადეკვატურია ორიგინალის სიმბოლიკისა.

პოეტურ თარგმანებში კონსონანტური ჯგუფების სიმბოლიკაზე დაკვირვებისათვის საკვლევ მასალად ავიღეთ შოთა რუსთაველის „ვე-

ფხისტყაოსანი“ და ამ პოემის სამი თარგმანი ფრანგულ ენაზე: სერგი წულაძის — „Le Chevalier à la peau de tigre“, ელისაბედ ორბელიანისა და სოლომონ იორდანიშვილის — „Le Preux à la peau de tigre“ და გასტონ ბუაჩიძის — „Le Chevalier à la peau de panthère“. „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ტექსტში შევარძიეთ ერთი ნაწილი ისეთი პასაჟებისა, სადაც ჭარბობს სინაზის, სითბოს, სიყვარულის, ერთგულების გამო-მხატველი ფრაზები და მეორე ნაწილი კი — ისეთი პასაჟები, სადაც დომინირებს სიმკაცრის, ძალის, ბოროტების, სირთულის, შიშის ამ-სახველი ფრაზები; შემდგომ, წარმოვადგინეთ რა „ვეფხისტყაოსნის“ სამივე თარგმანიდან შესატყვისი პასაჟები, დავაკვირდით კონსონან-ტური ჯგუფების სიმბოლიკას, ანუ რამდენად შეესაბამება თარგმანებ-ში წარმოდგენილი კონსონანტური ჯგუფები იმ სიმბოლიკას, რომე-ლიც ფრანგულ ლინგვისტიკაში დადასტურებულად და მყარად მიიჩ-ნევა.

„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები პასაჟიდან „ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა“:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“

ს. წულაძისეულ თარგმანში ასე უდერს:

„L’ami vrai, pour l’ami de cœur, doit ne pas craindre de souffrir, Il doit donner cœur contre cœur, comme un pont son amour offrir“;

ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის თარგმანში:

„Un ami ne doit éviter aucun danger pour son ami, Il doit offrir cœur contre cœur, l’amour lui servira de pont“;

გ. ბუაჩიძისეულ თარგმანში:

„Un ami endure les maux, à l’appel de l’ami répond, Il donne le cœur pour le cœur, l’amour sert de route et de pont“.

სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლიკური ასახვისათვის ს.წულაძეს გამოყენებული აქვს **vr, rl, cr, dr, fr, tr** ბგერათშეერთებები; ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის — **rs, fr, tr, rl, rv**; გ. ბუაჩიძეს კი — **dr, rl, rp, rs**. ფრანგული ბგერათსიმბოლიკის წესების მიხედვით, ს. წულაძის თარგმანში ორი (**rl, tr**) ბგერათშეერთებაა სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლიკური ამსახველი, ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის თარგმანშიც ასევე ორი (**rs, tr**) ბგერათშეერთებაა, ხოლო გ. ბუაჩიძის თარგმანში ოთხივე ბგერათშეერთება (**dr, rl, rp, rs**) სემან-ტიკურად ადეკვატურია სიყვარულისა და ერთგულებისა.

ტაეპი პასაჟიდან: „წიგნი ფატმანისა ავთანდილთან სამიჯნურო“: „შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდე-ბიან,

ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან! შენი შვენება ყვავილთა აჭნობს, ჩემნიცა ჭნებიან, სრულად დავმწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან“.

ს.წულაძის თარგმანში:

„Ceux qui te voient, de toi s’éprennent, et dans leur misère ils s’égarent,

tu es la rose, je m’étonne que l’oiseau sur toi ne réside, Ta beauté défloure les fleurs, et mes fleurs aussi se flétrissent, Je vais me brûler tout entière, si tes feux ne surviennent pas!“

6 კონსონანტური ჯგუფის (**rt, fl, fl, fl, tr**) სიმბოლიკა ესადაგება ორიგინალის აზრს;

ე. ორბელიანის და ს. იორდანიშვილის თარგმანში:

„Qui te voit, devient amoureux et perd aussitôt connaissance. Pose, pourquoi le rossignol ne chante-t-il pas ta beauté, Beauté qui fait périr les fleurs, comme à mon tour je dépéris. Si tes rayons viennent trop tard ton amour me consumera“

2 კონსონანტური ჯგუფია (**fl, tr**) არსებული სიმბოლიკის ამსახვე-ლი;

გ. ბუაჩიძის თარგმანში:

„Te voir c’est s’éprendre de toi et connaître tourment et trouble, Rose, que ne sont près de toi les rossignols que ta vue trouble ? Ta beauté fait faner les fleurs, fleurs fanées des miennes se doublent, Retranchée du soleil levant, je péris, ma vue devient trouble“

10 კონსონანტური ჯგუფია (**tr, bl, tr, bl, fl, fl, bl, tr, tr, bl**) ორიგინალის სიმბოლიკის ამსახველი.

გ. ბუაჩიძისეულ თარგმანში ყველაზე მეტად ვლინდება სინა-ზის, სითბოსა და სიყვარულის ამსახველი ბგერათსიმბოლიკა.

ახლა განვიხილოთ სიმკაცრის, შიშის, ძალის ამსახველი ციტატე-ბის სიმბოლიკური შესატყვისობები:

ნაწყვეტი პასაჟიდან: „ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი“:

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი“.

ს. წულადისეულ თარგმანში:

„Fonçant sur eux comme un faucon éparpille un vol de perdrix,
Je les cognai l'un contre l'autre, amoncelant chevaux et hommes,
Celui que je jetais à bas tourbillonnait comme un moustique,
J'exterminai entièrement deux colonnes rangées de front“

1 კონსონანტური ჯგუფია (fr) სიმბოლიკის ამსახველი;

ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის თარგმანში:

„Je m'abattis comme un faucon tombant sur un vol de perdrix,
Je jetais un homme sur l'autre, amoncelant une montagne,
Et celui que je jetais bas, tornoyait comme un caillou;
Je détruisis complètement les deux premières des cohortes“

ნაგულისხმევ სიმბოლიკას არც ერთი კონსონანტური ჯგუფი არ გამოხატავს;

გ. ბუაჩიძის თარგმანში:

„Comme un faucon je m'abattis dans une mêlée de perdrix,
Je cognai deux soldats entre eux, j'entassai guerriers ahuris,
L'assaillant que je rejetai pivota en toupie, meurtri,
Deux colonnes j'exterminai, sous mes coups l'ennemi périt“

2 კონსონანტური ჯგუფი (jt, ks) გამოხატავს ორიგინალის სიმბოლიკას.

წარმოდგენილი სამი თარგმანიდან გ. ბუაჩიძისეულ თარგმანში საუკეთესოდ აისახა კონსონანტური ჯგუფების სიმბოლიკა, განსაკუთრებით პოემის დადებითი ემოციებით შეფერილ პასაჟებში.

ლიტერატურა

შოთა რუსთაველი, 1986 — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1986.

შოთა რუსთაველი, 1966 — Chota Roustaveli, „Le Chevalier à la peau de tigre“ (სერგი წულადის ფრანგული თარგმანი), თბ., 1966.

შოთა რუსთაველი, 1977 — Chota Roustaveli „Le Preux à la peau de tigre“ (ელისაბედ ორბელიანისა და სოლომონ იორდანიშვილის ფრანგული თარგმანი), თბ., 1977.

შოთა რუსთაველი, 1989 — Chota Roustaveli, „Le Chevalier à la peau de panthère“ (გასტონ ბუაჩიძის ფრანგული თარგმანი), მოსკოვი, 1989.

ბერგი, 1976 — Berghe, van den Ch. „La phonostylistique du français“, Hague – Paris, 1976.

TSIURI AKHVLEDIANI

The Symbolics of Consonant Clusters in the French Translations of 'The Knight in the Panther's Skin'

Summary

As is known, phonemic combinations are semantically coloured; being expressive, they are perceived as the bearers of various feelings: tenderness, fear, happiness, sorrow, love, lightness, rudeness etc. These functions are performed by certain sound groups which represent phonemes within the limits of a text. In French linguistics there are certain consonant clusters whose sound-symbolic peculiarities are revealed in a text, especially in a poetic one.

The comparison of some passages from three different translations of Shota Rustaveli's 'The Knight in the Panther's Skin' into French has revealed the symbolics of positively as well as negatively coloured emotive sound-clusters.

ციური ახვლედიანი, ნინო ზრიპიანი

არაბიზმები ქსანურ ენაში

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება: მკვიდრდება ახალი სიტყვები, ზოგი სიტყვა ხმარებიდან გამოდის, ზოგმა კი — შეიძლება მნიშვნელობა შეიცვალოს და ა.შ. ესპანურ ენაში, რომლის მდიდარი ლექსიკა შეიქმნა რომის იმპერიის მოსახლეობის ენისაგან (ლათინურისაგან) ადგილობრივი იბერების ენაზე (სუბსტრატზე) დაყრდნობით, მნიშვნელოვან ადგილს იჭერს არაბული ელემენტიც. არაბები VIII საუკუნიდან შეიჭრნენ იბერთა ცხოვრებაში, მაგრამ მათ იქ არსებითი გავლენა ვერ მოახდინეს რომაული კულტურისა და ცივილიზაციის მაღალი დონის გამო, რომელიც დამკვიდრებული იყო უკვე 4 საუკუნის მანძილზე; თუმცა ღრმა კვალი დატოვეს არაბებმა, რვა საუკუნის მანძილზე, გაამდიდრეს ესპანური (კასტილიური) ენის ფონეტიკა, ლექსიკა და გრამატიკა (მორფოლოგია და სინტაქსიკი). მიმოვიხილოთ რა ფონოლოგიური, სემანტიკური, სინტაქსური და მორფოლოგიური ცვლილებები მოხდა კასტილიურ ენაში არაბთა ბატონობის პერიოდში.

დასავლეთ ევროპაში გერმანიკული ტომების გაძლიერებამ, მუსლიმანურ ტომებს (არაბებს) გადააწყვეტინა ბრძოლა საკუთარი რწმენისა და შეხედულებებისათვის; მათ ნახევარ საუკუნეზე ნაკლებ დროში დაიპყრეს სირია, სპარსეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, სიცილია და მიაღწენ პირინეის ნახევარკუნძულს. 711 წელს გუადალეტეს ბრძოლაში, ტარიკის მეთაურობით არაბებმა დაამარცხეს ვესტგოთთა უკანასკნელი მეფე როდრიგო და დაიწყეს ესპანეთში დამკვიდრება; მათ მხოლოდ რვა წელი დასჭირდათ ამისათვის; არაბებმა ფეხი ვერ მოიკიდეს მხოლოდ ჩრდილო ესპანეთში, სადაც არაბთა ბატონობის პერიოდში ჩამოყალიბდა ქრისტიანული სამეფოები. შემდგომ, სწორედ ამ სამეფოებიდან დაიწყო ბრძოლა ქვეყნის გათავისუფლებისათვის.

ესპანეთის ისტორიის მუსლიმანური პერიოდი შეგვიძლია დავყოთ სამ ძირითად ეტაპად: 711-756 წლები, როცა ალ-ანდალუსი

დამსკოს სახალიფოს დაქვემდებარებაში იმყოფება და მას მართავს ამირა, რომელიც არის სახალიფოს ადმინისტრაციული, პოლიტიკური და იურიდიული წარმომადგენელი. 756-912 წლები, როცა ესპანეთს მართავს ომაიანთა სამეფო დინასტია, რომლის წარმომადგენელმაც ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა დამსკოსთან და თავი სრულიად დამოუკიდებელ ამირად გამოაცხადა და 912-1030 წლები, როცა კორდობის საამირო ამირამ კორდობის სახალიფოდ გამოაცხადა, თავისი თავი კი — ამირად. 1031 წლიდან კორდობის სახალიფო იწყებს დასუსტებას, რაც სრულდება იმით, რომ ისამ III-ის გარდაცვალებისთანავე ალ-ანდალუსი დაიშალა 30 პატარა სამეფოდ. მუსლიმანური ესპანეთის დაშლამ ჩრდილოეთის სამეფოები გაამხნევა, რასაც მოყვა ტოლედოს აღება. ტოლედოს მოყვა ესპანეთის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებიც. XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მხოლოდ გრანადაშიღა რჩებოდნენ არაბები; მათი საბოლოო განდევნის თარიღია 1492 წელი.

არაბებმა, პირინეის ნახევარკუნძულზე გამოჩენიდან სულ რამდენიმე წელიწადში, დაიპყრეს ესპანეთი და ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არაბული კულტურისა და ენის გავლენის ქვეშე მოაქციეს. მიუხედავად ამისა, ესპანეთში კასტილიური ენა მაინც აგრძელებდა არსებობას. არაბებმა მას უწოდეს "lisa al ayam" (უცხო ენა). არაბების გამოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის ისტორიის ორენოვანი პერიოდის დაწყებას, რაზეც მიუთითებს არაბიზმების სიმრავლე. თუმცა, ამ ორი ენის გარდა, ალ-ანდალუსში ლაპარაკობდნენ რამდენიმე დიალექტზეც. მათ შორისაა მოსარაბიული და ანდალუსიური. მოსარაბიული ენა აგებული იყო რომაული დიალექტებისგან და იყენებდა არაბული და ლათინური ანბანის სინთეზს; XIII ს-ში უკვე შემცირდა მოსარაბიულად მოლაპარაკეთა რიცხვი. ასევე აღსანიშნავია ანდალუსიური, რომელიც სამხრეთში იყო გავრცელებული; იგი ხასიათდებოდა ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური თვისებებით და ინტონაციით; ლექსიკა მკვეთრად განსხვავდებოდა კასტილიურისგან.

როგორც აღვნიშნეთ, არაბული ელემენტი, ლათინურის შემდეგ, იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ესპანური ენისათვის. არაბიზმების რაოდენობა ესპანურში აღწევს 4 000-ზე მეტს. არაბები ქრისტიანული სამეფოების წინააღმდეგ ყოველწლიურად აწყობდნენ სამხედრო ექსპედიციებს და აოხრებდნენ სამეფოებს. სწორედ ამ პერი-

ოდში დამკვიდრდა ომის თემატიკასთან დაკავშირებული არაბიზმები: **aceifa** (სამხედრო ექსპედიცია), **alfanje** (ხმალი), **adarga** (ფარი), **aljaba** (აღვლი, სადაც მებისრეები ისრებს ინახავდნენ), **alcazaba** (მე-საზღვრე), **alférece** (მხედარი) და სხვ.

არაბები იყვნენ მარჯვე მიწათმოქმედები. მათ გააუმჯობესეს რომაული სარწყავი სისტემა და შემოიტანეს ენაში ამ თემასთან დაკავშირებული მრავალი არაბიზმი: **acequia** (არხი), **alberca** (რეზერვუარი), **azud** (სარწყავი სისტემა), **noría** (წყლის წისქვილი) და ა.შ.

ესპანეთის სოფლებში დაიწყეს მანამდე უცნობი პროდუქტების მოყვანა: **caña** (შაქრის ლერწამი), **algodón** (ბამბა) და სხვ. არაბული წარმოშობისაა ხეების შემდეგი დასახელებებიც: **almez** (ნუშის ხე), **alarce** (ფოთლოვანი ტყე) და სხვ.

აღსანიშნავია ვაჭრობასთან დაკავშირებული არაბული წარმოშობის ლექსიკა: **almacén** (მაღაზია), **zoco** (ბაზარი), **alhóndiga** (სავაჭრო სახლი), **recua** (ქარავანი), **almotacén** (ხელსაწყო, რომლითაც ამოწმებდნენ ასაწონ საშუალებებს), **fanega** (ფანეგა) და სხვ.

აღსანიშნავია სახლები განლაგებული იყო ქალაქის გარეუბანში ან მიმდებარე იყო პატარა მინდვრებზე. მათ საცხოვრებელს მიეკუთვნებოდა **zaguán** (წინკარი), **azotea** (სახურავი), **alcoba** (საძინებელი), **alhanía** (კარადა). სახლის ავეჯი წარმოდგენილი იყო შემდეგი ნივთებით: **almohadas** (ბალიშები), **alfombras** (ხალიჩები), **jofainas** (ჭურჭელი).

ესპანელებმა არაბებისაგან გადაიღეს იურიდიული და სტრუქტურული წყობა თავისი შესაბამისი ტერმინოლოგიით: **alcalde** (მერი), **alguacil** (სასამართლო ჩინოვნიკი), **albacea** (ანდერძის აღმსრულებელი) და სხვ.

დიდი მათემატიკური პროგრესიც არაბების დამსახურებაა. ამ მხრივ, აღსანიშნავია სიტყვები: **cifra** (ციფრი), **algebra** (ალგებრა) და სხვ.

პრესტიჟული იყო არაბული მედიცინა. ამ პერიოდში ევროპულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში შემოვიდა **nuxā** (ზურგის ტვინი), რომელმაც, ლათინურისა და არაბულის გავლენით, განიცადა ცვლილება და ესპანურში მივიღეთ **nuca** (კეფა). არაბულიდან არის კალკირებული **bazo** (ელენთა); ფარმაციაში შემორჩენილია სიტყვები **jarabe** (სიროფი), **alquemes** (ლიქიორი) და ბევრი სხვა სამედიცინო მცენარის სახელი.

აღფოსოს X-მ ასტრონომიაში დაამკვიდრა არაბული ტერმინო-

ლოგია: **cenit** (ზენიტი), **nadir** (მზის ჩასვლა), **auge** (მწვერვალი), **acimut** (აზიმუტი) და ა.შ. აგრეთვე, ვარსკვლავების სახელები.

არაბიზმებში ვხვდებით ზედსართავ სახელებსა და რამდენიმე ფერის დასახელებს: **horro** (თავისუფალი), **mezquino** (უნამუსო), **haladí** (უნ-მიშენლო), **baldío** (უშვილო), **gandul** (ზარმაცი), **vistoso** (ნათელი), **azul** (ლურჯი), **añil** (მუქი ლურჯი), **carmesí** (ალისფერი).

რაც შეეხება ზმნებს, არსებითი და ზედსართავი სახელებიდან ნაწარმოები ზმნების გარდა, ესპანურში მრავლადაა არაბულიდან პირდაპირ, უცვლელი ფორმით შემოსულებიც: **halagar** (პირფერობა), **acicalar** (დასუფთავება) და სხვ.

არაბულმა ენამ ესპანურში დატოვა ხმაურის აღმნიშვნელი და გრძნობების, სურვილების, ღირსებების გამომხატველი სიტყვები: **alboroto** (აურზაური), **alborozo** (ხმაურიანი გართობა), **albuélbola** (მხიარულება) და სხვ.

ლექსიკის სფეროში არაბები წარმატებული შუამავლები იყვნენ. მათ სხვადასხვა ენიდან შემოსული სიტყვების დიდი რაოდენობა შეუთავსეს საკუთარ ფონეტიკას, ისევე როგორც ესპანურმა არაბიზმები შეითვისა. მაგ: სანსკრიტული წარმოშობისაა **ajedrez** (ჭადრაკი) და **alcanfor** (კამფორა), ხოლო სიტყვები: **jazmín** (ჯასმინი), **naranja** (ფორთოხალი), **escarlata** (ალისფერი) მოდის ირანულიდან. ელინიზმებია: **óriza** > **arroz** (ბრინჯი), **ámbix** > **alambique** (გამოსახდელი ქვაბი), **sikelos** > **acelga** (ჭარხალი). არაბულში ხშირია ლათინური სიტყვებიც: **castrum** > **alcázar** (ციხე-სიმაგრე).

მნიშვნელოვანია არაბულის გავლენა ტოპონიმიაზე, რაც შეიძინევა არა მარტო სამხრეთში, არამედ ქვეყნის ჩრდილოეთშიც: **Algabe** (**al-gabre** = **el poniente** = დასავლეთი), **La Mancha** (**manča** = **altiplanicie** = მესეტა), **Alcalá** (**a-qalat** = **el castillo** = ციხე-სიმაგრე), **Medina** (**madinat** = **ciudad** = ქალაქი), **Rápita** (**rabita** = მონასტერი სამხედრო საზღვრის დასაცავად), **Guadalajara** (**rio de las piedras**), **Gibraltar** (**gabal** = **monte**, **monte de Tarik**). არის ისეთი ტოპონიმები, რომელთა მეორე ნაწილი საკუთარი სახელისგან შედგება: **Medinaceli** (**ciudad de Sélim**), **Calataud** (**castillo de Ayub**), **Benicásim** (**hijos de Cásim**) და სხვ.

ბევრი არაბული ფონემა უცხო იყო ესპანური ენისათვის, ამიტომ არც ერთი მათგანი არ მიიღო კასტილიურმა. ისინი ჩაანაცვლა მისთვის მეტ-ნაკლებად ახლო ფონემებმა. არაბულში ფრიკატივების მრავალფეროვნება იყო, ნახევარკუნძულის რომანსეს კი მხოლოდ ერთი

ფრიკატივი ჰქონდა -s. სწორედ ამ თანხმონით გამოიხატებოდა არაბული სპირანტები ესპანურში. ასევე ხდებოდა არამარტო არაბული ფრიკატივების სრული გამორიცხვა, არამედ ველარული თანხმონებისაც: **tareha > terea** (დავლება), **xaluqui > aloque** (ნარევი).

ადაპტირების სხვა შემთხვევაა მამრობითი სქესის სიტყვებში, რომლებიც ბოლოვდება თანხმონზე და რომელსაც ესპანური ენა ვეღარ ითავსებს სიტყვის ბოლოში: **rabeb > rabel > rabe** (ვილინოს მსგავსი საკრავი) და სხვ.; ზოგ შემთხვევაში წარმოთქმის სიძნელე გადაჭრა დამხმარე ხმონის დამატებამ: **arab > arabe** (არაბი), **al-arif > alarife** (არქიტექტორი), **al-ard > alarde** (ვიწრო გასასვლელი). სხვა შემთხვევებში არაბული თანხმონები შეცვალა კასტილიური ენისათვის მისაღებმა თანხმონებმა: **al-aqrab > alarcán** (ლაგამი)... არაბულმა სახელებმა, რომლებიც ბოლოვდებოდნენ მახვილიან ხმოვანზე, დაიმტეს თანხმონი და დაემსგავსნენ ესპანური ენისათვის დამახასიათებელ არსებით და ზედსართავ სახელებს: **al-kirā > alquilé > alquiler** (ქირა), **al-barā > albalā > albarán** (განცხადება). მხოლოდ უღლებაში შემორჩა მახვილიანი ფორმები: **canté, salió, salí, cantó**. არაბულმა დიფთონგებმა - ai და au-მ ესპანურში მოგვცეს e და o.

არაბიზმებმა წვლილი შეიტანეს ll-სა და nn-ს გამჟღერებაშიც: **an-nil > añil** (ყვავილი), **al-banna > albañil** (მშენებელი).

ხშირია ar და z-ზე დაბოლოებული სიტყვები: **acfbar** (ალოე), **alféizar** (სიო), **azúcar** (შაქარი), **nácar** (სადაფი), **nenúfar** (დუმფარა), **ajimez, almirerz, cahíz, rahez**, რაც იშვიათია ლათინური წარმოშობის სიტყვებში, გარდა აბსტრაქტული არსებითი სახელებისა და წიგნური ზედსართავი სახელებისა: **sencillez** (უბრალოება), **timidez** (სიმორცხვე), **audaz** (კადნიერი), **capaz** (შემძლე), **feliz** (ბედნიერი).

არაბულში არტიკლი “al~ გვხვდება განურჩევლად რიცხვისა და სქესისა. ესპანურში კი მან დაკარგა ეს ფუნქცია, არსებითმა სახელმა იგი მიიერთა და მოითხოვა ახალი არტიკლი: **el alboroto** (ხმაური), **el alacrán** (ჭრილობა), **el almohada** (ბალიში). “ al~ პრეფიქსი გვხვდება მსგავსი ფუძის არსებითი სახელებიდან ნაწარმოებ ზმნებშიც: **alborotar** (ხმაური).

სუფიქსი “i~ არის ზედსართავი სახელების ძირითადი შემადგენელი ნაწილი: **jabalí** (ტახი), **muladí** (ქრისტიანი, რომელიც ცხოვრობს არაბებთან ერთად), **baladí** (უმნიშვნელო). იგი ასევე გვხვდება როგორც ნაციონალურობის გამომხატველი: **iraní** (ირანელი), **iraquí**

(ერაყელი), **bengalí** (ბენგალელი).

გამოჩნდა არაბული წარმოშობის წინდებულები: **hasta < ar. Hatta** (-მდე), **ზმნიზღებები: de balde** (უფასოდ), **en balde** (ტყუილად) და რამდენიმე შორისდებული: **hala, ojalá, guay, oh**.

არაბულმა იქონია გავლენა მრავლობითი რიცხვის წარმოებაზეც: **los padres, los reyes, los hermanos** — აქ ადვილი მისახვედრია, რომ იგულისხმება დედა და მამა (**los padres**), და და ძმა (**los hermanos**), მეფე და დედოფალი (**los reyes**). ის, რომ ესპანურის გარდა არც ერთ რომანულ ენაში არ გვხვდება მრავლობითი რიცხვის მსგავსი გამოყენება, მიუთითებს არაბულის გავლენაზე. თუმცა, ლათინურში შეიმჩნეოდა ეს მოვლენა.

„ქილილა და დამანაში“ და არაბული ტექსტების სხვა კასტილიურ ვერსიებში დაფიქსირებულია ისეთი ფენომენი, რომელიც დასტურდება რომანულ სინტაქსში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები არა რომანული, არამედ არაბულია: გამოიყენება წინდებული + მახვილიანი პირის ნაცვალსახელი, უმახვილო პირის ნაცვალსახელის ნაცვლად **aytáronse las aves a él** და **ya encontré a ellos** შემდეგი ფრაზების ნაცვლად: **ayuntáronsele** და **ya los encontré**. კუთვნილებითი ნაცვალსახელის მაგივრად იხმარება **de + პირის ნაცვალსახელი: las pisadas dellos, el cabdiello dellos**. ხშირია პლენასტიკური კუთვნილება: **su vida del hermanitanno**. ხშირია წინანდებაში „და“ კავშირის რამდენჯერმე გამოყენება: **et detovo mi mano de ferir e de aviltar e de rrobar et de furtar e falsar, él guarde el mi cuerpo de las mujeres e mi lengua de mentir**. იმავე კავშირს დაქვემდებარებული წინადადების შემდეგაც ვხვდებით, იგი წინ უძღვის ქვემდებარეს ან ზმნას: **las uvas que son maduras fasta este tiempo e rrieguenlas**. ასევე აღსანიშნავია დაქვემდებარებული კავშირი “que“-ეს გამოკრება ჩართული ფრაზის შემდეგ: **e non fue seguro, si me dexasse del mundo e tomasse rreligion, que lo non pudiera conplir** და ა.შ.

დიდია არაბულის გავლენა სიტყვათა წყობაზეც. არაბულში წინადადების წყობა შემდეგნაირია: შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება. მსგავსი წყობა გვხვდება ესპანურშიც, რაც არაბულის გავლენაა, თუმცა ეს ჰიპოთეზა ჯერ კიდევ გადასამოწმებელია. მის დასადაგენად უნდა იქნეს შესწავლილი სიტყვათა წყობა სხვადასხვა ეპოქაში. ამავდროულად პარალელი უნდა იქნეს გავლებული სხვა რომანულ ენებთან და თავად არაბულთან.

არაბულის ყველაზე დიდი გავლენა ესპანურზე შეიმჩნეოდა შუა

საუკუნეებში, როცა სრულდებოდა უამრავი თარგმანი არაბულიდან ესპანურზე. სწორედ ამ თარგმანებმა შეუწყო ხელი არაბული ელემენტის დამკვიდრებას უფრო ესპანეთში, ვიდრე იტალიასა და საფრანგეთში. არაბულთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ებრაული ელემენტიც, რადგან მთარგმნელთა უმრავლესობა იყო ებრაელი.

არაბების შემოჭრამ ესპანურში, უამრავი არაბიზმისა და აფიქსის დამკვიდრების გარდა, მოახდინა სემანტიკური გავლენაც, რაც ხშირად შეიმჩნევა ლათინური წარმოშობის გამოთქმებსა და სიტყვებშიც; მაგ: *infante* ნიშნავს „მეფის შვილს“ და მოდის არაბული *walad*-დან, რაც ნიშნავს „ტახტის მემკვიდრეს“. მსგავსი ფენომენი შეიმჩნევა *ladron*-შიც „ჭურდი“, იგი მოდის არაბული *ibn-al-layal*-დან და ნიშნავს „ღამის შვილს“. ამ სიტყვების გარდა, ესპანურში გვხვდება არაბულიდან პირდაპირ კალკირებული ფრაზებიც: *si Dios quiere* (უფლის ნებით), *Dios te ampare* (ღმერთი იყოს შენი მფარველი), *Dios mediante* (ღვთის წყალობით) და სხვ.

არაბულიდანაა შემოსული ესპანური ანდაზების დიდი ნაწილი. ისინი ძირითადად დაკავშირებულია სიმამაცესთან, ღირსებასთან, სიკეთესთან, ერთგულებასთან, ქვეყნის ისტორიასა და ადამიანის თვისებებთან:

La paciencia es la llave de la solución

ვინც მოითმენს, ის მოიგებს;

Más generoso que Hatim (ერთ-ერთი არაბული ტომის მეთაური)

ატიმზე დიდსულოვანი;

Pregunta por el compañero antes que por el camino

ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი ;

რამდენიმე ანდაზა შემოსულია „თალმუდიდან“:

Enseña a tu lengua a decir “no sé”

ისწავლე „არ ვიცის“ თქმა.

არაბიზმების რაოდენობა ესპანურში ეპოქების მიხედვით იცვლებოდა და ყოველ საუკუნეში უფრო და უფრო მეტი მკვიდრდებოდა. არაბულის ყველაზე დიდი გავლენა შეიმჩნეოდა შუა საუკუნეების დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ყველაზე აქტიური ბრძოლა ლათინიზმების წინააღმდეგ. ბრძოლა არაბიზმების წინააღმდეგ დაიწყო XVI საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში არაბული კულტურა ესპანეთში დაქვეითების გზით მიდიოდა და

აღარ შესწევდა ძალა ევროპულ რენესანსთან შერკინების, რასაც მოყვა ის, რომ არაბული სამოსი, წეს-ჩვეულებები, რაც ერთ დროს საკმაოდ აქტუალური იყო, მხოლოდ მოგონებებსღა შემორჩა. ესპანურიდან ამოიღეს მრავალი არაბიზმი, თუმცა მათი დიდი რაოდენობა მაინც დარჩა ესპანურ ენაში.

ლიტერატურა

კორომინასი, 1980 — Corominas J., *Diccionario crítico etimológico castellano e hispánico*, Madrid, Gredos, 1980.

ლაპესა, 1995 — Lapes R., *Historia de la lengua española*, Madrid, Gredos, 1995.

ლოპესი, 1999 — Lopez M., *Historia de la lengua española*, Madrid, Arcos/Libros, 1999.

TSIURI AKHVLEDIANI, NINO CHRİKASHVILI

Arabisms in Spanish

Summary

As is known, Arabs intruded into the life of Iberians in the 8th century. However, their influence upon the well-established and well-developed Roman culture and civilization was not essential. Nevertheless, the influence of the Arabic language upon Spanish (Castilian) was quite deep; it has enriched the phonetics, vocabulary and grammar (morphology and syntax) of the Spanish language, particularly the vocabulary; this influence is mostly revealed in agricultural, architectural juridical, mathematical, astronomic and trade terms.

ნელი ახმელაძიანი, მირანა ბობიაანი

სარეკლამო ლოგოტიპების ლინგვო-კულტურული ანალიზი

რეკლამა არის კომუნიკაციის ფორმა, რომლის დროსაც სხვადასხვა ნიშანთა სისტემის ერთდროული გამოყენება ხდება. სარეკლამო კომუნიკაციებზე ანალიტიკური დაკვირვებისას ნათლად შეიმჩნევა სარეკლამო ტექსტებისა და შესაბამისი სურათების ურთიერთშემოქმედების მაღალი ხარისხი. აქედან გამომდინარე, საინტერესოა ტექსტის ტიპის „სარეკლამო ლოგოები“ ლინგვო-კულტურული ანალიზი ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიის საგანს წარმოადგენს ენობრივი ნიშნების კულტურული სემანტიკა, რომელიც ყალიბდება ორი სხვადასხვა ნიშნის, ენისა და კულტურის, ურთიერთშემოქმედებით. ენობრივი ნიშნებს შეუძლიათ კულტურის „ენის“ ფუნქციის შესრულება, რაც აისახება ენის შესაძლებლობებში გამოხატვის მისი მატარებელის კულტურულ-ეროვნული მენტალობა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა „კულტურული ბარიერის“ საკითხი, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ყველა ენობრივი ნორმის დაცვის შემთხვევაშიც.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით რეკლამა არის ტექსტი. იმისათვის, რომ ენობრივი-ნიშნობრივი წარმონაქმნი ჩაითვალოს ტექსტად, არ აქვს მნიშვნელობა მის სტრუქტურულ ხასიათს. მთავარია მოცემული ენობრივი წარმონაქმნი კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებდეს.

საზოგადოებრივი და საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ ჩააყენა რეკლამა კომუნიკაციის რეალიზაციის წამყვანი ფორმების რიგებში. თანამედროვე კომუნიკაციამ, როგორც ადამიანის სოციალური ქმედებისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საშუალებამ და ხერხმა ბიძგი მისცა სარეკლამო ტექსტების მასობრივ გამოყენებას. ადამიანური მოღვაწეობის სფეროში, რეკლამის სხვადასხვა ფორმა სახავს მისი გამოყენების ახალ სოციალურ, ყოფით, მეცნიერ-

რულ, ეკონომიკურ, მარკეტინგულ და სხვა პერსპექტივებს. სარეკლამო ობიექტად აღებულია ე.წ. ყოველდღიური მოხმარების საგნები.

საბაზრო ურთიერთობების გაღრმავებამ განაპირობა კომერციული რეკლამის გავრცელება, რომელიც რეალიზდება მარკეტინგული კომუნიკაციის ფარგლებში. მარკეტინგული კომუნიკაცია მედიის მეშვეობით ახორციელებს საწარმოებს, მწარმოებლებსა და საზოგადოებას შორის საქონლის, იდეის, მომსახურების შესახებ აქტუალური ინფორმაციის გაცვლას. კომერციული რეკლამა წარმოადგენს ვერბალური და არავერბალური ფორმით ინფორმაციის გადაცემის პროცესს, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა კოდი: ენობრივი, ფერები, გამოსახულებები და სხვა. რომლებიც გამოიყენება კომერციული იდეისა და პროდუქტის პოპულარიზაციისათვის, დადებითი განწყობის შექმნისათვის შეთავაზებული საქონლის წარმატებულად გასაღების მიზნით. მარკეტინგული კომუნიკაციის კომპონენტებია კოლექტიური ავტორი, მასობრივი რეციპიენტი და სარეკლამო ტექსტი.

სარეკლამო ტექსტების თარგმნა უდავოდ პრობლემური და მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე მსოფლიო ბაზრის საერთო სივრცისთვის. სააგენტოთა უმეტესობა თვითონ თარგმნის სარეკლამო ტექსტებს. თუ თარგმანის დროს არაა გათვალისწინებული იმ კულტურის სპეციფიკა, ვისთვისაც იქმნება ტექსტი, ენობრივი ნიუანსები ქმნიან სერიოზულ ბარიერს.

ნევსომს მაგალითისთვის მოჰყავს უაღკოპოლო სასმელების მწარმოებელი კომპანია **Dr. Pepper**-ის მიერ დაშვებული შეცდომა ახლო აღმოსავლეთისათვის შეიმუშავებულ ლოგოტიპში. არაბულ ენაში არ არის ასობგერა „P“, რის გამოც არაბები ინგლისურენივანი ტექსტების კითხვისას ხშირად ურევენ ერთმანეთში „p“ და „b“ ასოებს. არაბული სიმბოლო „b“ გამოიყენება „p“-ასოს აღმნიშვნელად, იმ შემთხვევაში როცა მას ერთის ნაცვლად ქვემოთ სამი წერტილი აქვს დასმული, შესაბამისად გამოაქვეყნდა არასწორი ლოგოტიპი „**Dr. Beber**“ (ნევსომი, 2000, 524)

გაცილებით მძიმე შეიძლება იყოს შედეგი, როცა სარეკლამო ტექსტის თარგმნისას არაა გათვალისწინებული კულტურული ნორმები და ფასეულობები.

მაგალითად, მაცივრების მწარმოებელმა კომპანიამ „**Damavand**“, რეკლამისთვის გამოიყენა ვულკან დემავენდის (5604 მ. სიმაღლე) გამოსახულება წარწერით: „მხოლოდ ბუნებას თუ შეუძლია შექმნას

ისეთივე სიცივე, როგორც დამავენდს“. თუმცა ირანის მთავრობამ, რომელიც ისლამის კანონებით ხელმძღვანელობს, ეს ფაქტი ძალიან ცუდად აღიქვა, რადგან მათი კულტურისთვის ბუნება ღმერთის ტერიტორიაა და დაუშვებელია მას შეადარო რაიმე საგანი რეკლამირების მიზნით (ბრინკერი, 1992, 8).

მსოფლიო სარეკლამო ბაზარზე მსგავსი არასაიმედო რეკლამები ბევრია. მაგ. სავაჭრო ნიშანი „Panasonic“ შეიძლება გაგებულ იყოს, როგორც „Panasonik“. ადამიანი, რომელსაც ინგლისური ენისა და ელექტრონული ტექნიკის არასაკმარისი ცოდნა გააჩნია, შეიძლება მოტყუედეს საქონლის შეძენაში. ანალოგიური ნიმუშია „Siemens“ და „Semans“.

საზოგადოებასთან მუშაობისას ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები არ არსებობს. ყველაფერს, რაც ფირმის იმიჯზე მუშაობს, აქვს თავისი მნიშვნელობა. მაგ: ფირმის რეპუტაციის ძირითად კომპონენტს ფირმის სახელი წარმოადგენს, ბევრი მეწარმე თვლის, რომ სახელს მნიშვნელობა არ აქვს. საკმაოდ ხშირია გრძელი, უხეში, ძნელად წარმოსათქმელი, ზოგჯერ კი უბრალოდ შეუსაბამო სახელები. ბევრ განვითარებულ ქვეყნებში მწარმოებლები ჩვეულებრივ კონკურსს აცხადებენ და ბევრ ფულს იხდიან ფირმისათვის წარმატებული სახელის შერჩევისთვის. აუცილებელია იმის ცოდნა, რა პრინციპით ხდება სახელის შერჩევა, ის შეიძლება იყოს ფუნქციონალური („მშენებელი“, „სტომატოლოგი“), სახოვანი („ალფა“, „ვეგა“), აგრეთვე წარმოადგენდეს ფირმის დამფუძნებელთა სახელებს („მიცუბისი“), ფირმის სრული სახელის აბრევიატურას („IBM“, „ABC“, „MBC“). გარდა ამისა, გამოიყენება შესიტყვებები, გეოგრაფიული სახელები, საკუთარი სახელები (უმეტესად ქალების) და ა.შ.

ფირმისა და მისი ნაწარმის დასახელება ამყარებს თავისი უღერადობით კონტაქტს ადამიანთან. ადამიანი კითხულობს ტექსტს, ხოლო აღიქვამს სიტყვის უღერადობას. ზოგიერთი სიტყვა მისთვის უღერს უხეშად, არასასიამოვნოდ, ზოგი — პირიქით.

ბევრ ენაში სხვადასხვა ბგერა ადამიანს კარგის თუ ცუდის, კეთილისა თუ ბოროტის ასოციაციას უქმნის. ასე მაგ. ბგერა „ლ“ აღიქმება როგორც რაღაც ქალური, კეთილი, ნაზი, ხოლო ბგერა „ჟ“ როგორც ცუდი, უხეში, ულამაზო, მძიმე, სახიფათო, ბოროტი. ამ ბგერებით აგებულ სიტყვებს მსგავსი ელფერი დაჰკრავთ. მაგ. სიტყვა „ЖУТЬ“ რუსულში აღიქმება, როგორც რაღაც ძნელი, საშინე-

ლი, ისევე როგორც გერმანულში ბგერა „Sch“ და Schmarozen, schmitzen და სხვა, ხოლო სიტყვა „любовь“, „Liebe“ — ნაზი, ნათელი, მსუბუქი. ზემოთ ხსენებულის გაუთვალისწინებლობას ზოგჯერ მიგვაყვართ არასასურველ შედეგამდე. ასე მაგ: ავტომობილის „ЖИГУЛИ“ შიდა ბაზარზე რეალიზაციისას, იმის მიუხედავად, რომ წარმოდგენილი ნიმუში აკმაყოფილებდა მყიდველთა განსაზღვრულ ფენას, პრობლემა შექმნა ავტომობილის სახელმა. იგი რუსი ეროვნების ადამიანებს არასასიამოვნო ასოციაციას უქმნიდა, როდესაც საქსპორტო ვარიანტს „ლადა“ დაარქვეს, რეალიზაციის პრობლემა გადაიჭრა (ნეესომი, 2000, 226).

არამიზანშეწონილია ფირმის სახელის შეცვლა, თუ, რა თქმა უნდა, ამის სერიოზული მიზეზი არ არსებობს. საზოგადოება მას ეჩვევა, იმასსოვრებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მსოფლიოში განთქმული ფირმები „ჯენერალ მოტორსი“ „მიცუბისი“ თუ „მაკდონალდსი“ უცებ სხვა სახელით მოგვევლინოს. წარმატებულად შერჩეული სახელი ხელს უწყობს ორგანიზაციის ორიგინალური ემბლემის შექმნას. იგივე პრინციპები ეხება პროდუქტის დასახელებასაც. თუმცა აქ შეიძლება ორიგინალური გამოსავლის პოვნა. ხშირად წარმატებას აღწევენ ის ფირმები, რომლებიც საქონელს შემდეგი სახის სახელებს არქმევენ, როგორცაა „მზე“, „მუქი“, „სხივი“ და ა.შ.. ასევე ხშირია, როდესაც პროდუქციას ქალის სახელი ჰქვია. მაგ. „Gloria“, „Kleopatra“. სასურველი საქონლის სახელი საზოგადოებაში კარგი, ხარისხიანი, გამძლე ნაწარმის ასოციაციას უნდა იწვევდეს.

ტექსტები „ინახვენ“ კულტურას, რომელიც საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ფასეულობებსა თუ ნორმებს ეფუძნება. სარეკლამო ტექსტების ლინგვო-კულტურული ანალიზის მიზანია გათალისწინებული იქნას იმ ენობრივი ჯგუფის კულტურული, ფსიქოლოგიური და ენობრივი თავისებურებანი, რომლისთვისაც იქმნება კონკრეტული სარეკლამო ტექსტი. წინაღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება არასასურველი შედეგები, კერძოდ პროდუქციის რეალიზების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება..

წარმატებული რეკლამირებისათვის საჭიროა პრაგმატული საკითხების წინა პლანზე წამოწევა. რეკლამის ავტორმა უნდა შეარჩიოს ესა თუ ის ენობრივი და არაენობრივი საშუალებები, რომლებიც ანიჭებენ ტექსტს კულტურისათვის მისაღებ სახეს, რათა გაზარდონ პოტენციალურ მყიდველთა რიცხვი.

ლიტერატურა:

ბოვე, 1995 — Бове, К., Аренс, У., Современная реклама. Издательский дом Довгань. 1995. Тольятти.

ბრინკერი, 1992 — Brinker, K: Linguistische Textanalyse. Erich Schmidt Verlag, Berlin 1992.

ნეგსომი, კრუკერბერგი, 2000 — Newsom, D. Kruckerberg, D.: This is PR. The Realities of Public Relations. Seventh Edition. Wadsworth. Thomson Learning. New York 2000.

ფიშერი, 1980 — Fischer, K., Sprache und Wirklichkeit. Verlag für wissenschaftliche Philologie. 1980. Frankfurt.

NELLIE AKHVLEDIANI, MIRANDA GOBIANI

A Linguo-Cultural Analysis of Advertisement Logotypes

Summary

The translation of advertisement texts is a very important and problematic issue for modern common marker space. Most agencies translate advertisement texts themselves; however, quite often they do not take into consideration culture-specific and language-specific nuances.

Advertisement texts are bearers of values and norms of a particular society and culture.

The paper presents a linguo-cultural analysis of advertisement texts and focuses on psychological, cultural and linguistic aspects of the type of discourse in question.

ამთავარი საკითხი

პრაგმატული ფაქტორის როლი რეფერენციის სახეების დიფერენციალაში

რეფერენციის თეორია ეყრდნობა ობიექტთა (საგანთა) სახელეების და, პირველ რიგში, კონკრეტული ლექსიკის მნიშვნელობასა და ხმარებას. საგანთა სახელები, რომელთაც შესწევთ სინამდვილის მოვლენათა დენოტაციის უნარი, მიუთითებენ ობიექტზე და გვაწვდიან ერთგვარ ინფორმაციას მის შესახებ. ამრიგად, საგნის აღნიშვნა, მასზე მითითება და აქედან გამომდინარე, გამონათქვამის (წინადადების) ჭეშმარიტების ღირებულების დადგენა წარმოადგენს რეფერენციის არსს. ამჟამად, რომ სუბიექტიდან მომდინარე რეფერენცია განსაზღვრავს მსჯელობის ლოგიკურ შინაარსს, მის ჭეშმარიტებას. ამიტომ ბუნებრივია, რეფერენციასთან დაკავშირებული მოვლენები ძველთაგანვე იპყრობდნენ ლოგიკოსთა ყურადღებას. რეფერენციის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის სინტაქსური განზომილების კვლევის დროს, როდესაც უნდა განისაზღვროს და მკაფიოდ წარმოჩნდეს როგორც წინადადების სინტაქსური, ისე გამონათქვამის ელემენტთა სემანტიკური ტიპები. რეფერენცია წარმოადგენს აქტუალიზებული (მეტყველებაში ჩართული) სახელების, სახელადი ჯგუფების ან მათი ეკვივალენტების მიმართებას სინამდვილის ობიექტთან. ეს მიმართება სამი ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება: სინტაქსური, ლოგიკურ-სემანტიკური და პრაგმატული. სინტაქსური ფუნქციის გათვალისწინებით არსებობს გამოთქმების რეფერენტული და არარეფერენტული ხმარება: აქტანტების (ქვემდებარისა და დამატების) პოზიციაში რეფერენციის სხვადასხვა სახე რეალიზდება, პრედიკატის პოზიციაში კი სახელებს არარეფერენტული ხმარება გააჩნია, რომლებიც მიუთითებენ არა სინამდვილის ობიექტზე, არამედ ობიექტის ნიშნებზე: *Michel est chanteur*. ლოგიკურ-სემანტიკურ ფაქტორთან დაკავშირებულია სახელადი გამოთქმების სინამდვილის ობიექტებთან მიმართების შემდეგი ტიპები: რეფერენცია-ობიექტთა მიმართება ამა

თუ იმ კლასის ერთ-ერთი წევრის მიმართ, კლასის რომელიღაც ნაწილის მიმართ, განსაზღვრული ნიშნით დახასიათებული ქვეკლასის მიმართ, მთელი კლასის მიმართ, ობიექტთა კლასის არც ერთი (პოტენციური) წევრის მიმართ. პრაგმატული ფაქტორის გათვალისწინებით, რეფერენციის სახეები ერთმანეთისაგან თანამოსაუბრეთა ცოდნის სფეროსთან მათი მიმართების მიხედვით განსხვავდება. აქ იგულისხმება:

ა) საგანი, რომელიც მხოლოდ მოლაპარაკე სუბიექტისათვის არის ცნობილი (ინტროდუქციული რეფერენცია): **j'ai un ami**;

ბ) ისეთი ობიექტი, რომელიც ერთნაირად არის ცნობილი როგორც მოლაპარაკე სუბიექტისათვის, ისე ადრესატისათვის (იდენტიფიცირებული რეფერენცია: **Cet enfant n'obéisse à personne**);

გ) ისეთი ობიექტი, რომელიც არ შედის თანამოსაუბრეთა ცოდნის სფეროში (განუსაზღვრელი რეფერენცია: **François s'est marié avec quelque, une étudiante**). პრაგმატული ფაქტორი — ძირითადად კონკრეტული რეფერენციის სფეროში ხორციელდება, რომელიც სახელად გამოთქმას ფიქსირებულ საგნებსა თუ ინდივიდებს უფარდება. რეფერენციის აღნიშნული სახე ობიექტის არსებობის პრესუპოზიციას ეყრდნობა.

რეფერენციის განხორციელებაში მონაწილეობენ ავტონომიური ერთეულების ფონდი და მათი აქტუალიზატორი-დეიქსისი. პირველს ეკუთვნის საკუთარი და საზოგადო სახელები, სახელადი შესიტყვებები (ჯგუფები), პირის, განუსაზღვრელი, ჩვენებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები. აქტუალიზატორ-დეიქსისის კი, რომელიც აფორმებს სახელად გამოთქმებს, მიეკუთვნება არტიკლები, კუთვნილებითი, ჩვენებითი, განუსაზღვრელი და უარყოფითი ზედსართავები, რიცხვითი სახელები.

სუბიექტი, ფლობს განსაზღვრულ ცნებათა სისტემას, ანუ ინფორმაციას მოცემული (ფართო გაგებით, იგულისხმება როგორც უშუალოდ მოლაპარაკის მიერ ხილული, ასევე სხვადასხვა განზომილებებით წარმოდგენილი) სამყაროს შესახებ. ცნება სიტყვიერად გვევლინება როგორც განსაზღვრული დესკრიფცია ან საკუთარი სახელი და შეადგენს მოცემული ენის ცნებათა სისტემის განუყოფელ ნაწილს. ცნება სინგულარული (ერთეული) ტერმინის მნიშვნელობას გამოხატავს, გამოყოფს საგანს საგანთა უნივერსუმში და წარმოადგენს მას. ცნების საშუალებით ამოიცნობა საგანი და დგინდება მისი

რაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცნება შეადგენს მოცემული ენის ცნებათა სისტემის ნაწილს. ცნებას, საგანსა და ცნებათა სისტემას შორის მიმართება ფუნქციონალურია და შემოისაზღვრება ცნების განსაზღვრის არსის, ინტენსიისა და ექსტენსიის ფარგლებში (კლეიბერი, 1994, 38).

რეალური საგნის რეფერენტი ინდივიდთა შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება ამ საგნის შესაძლო მახასიათებელ თვისებათა სიმრავლეზე პრედიკაციის საშუალებით. პრედიკაცია საგნის სელექციურ მახასიათებლებს ჩამოთვლის და მოიცავს დადებით და უარყოფით პრედიკატთა კონიუნქციას. თვისებები მარტივი ან რთული ხასიათისაა და მათი შემოწმება შესაძლებელია უბრალო ჩამოთვლითაც კი. რეალური ობიექტის რეფერენტი გადმოიცემა საკუთარი სახელით. სხვადასხვა გარემოებათა აღწერაში (სიტუაციაში) ერთი და იგივე საგანი შესაძლოა სხვადასხვა ინტენსიონალური ფუნქციით, სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგეს, განსაზღვრული დესკრიფცია (**le tel... ou tel...**) შეიძლება უშუალოდ მიუთითებდეს საგანზე (რეფერენტულად) ან აღწერდეს მას (ატრიბუტულად). ასეთ მოვლენას განსაზღვრულ დესკრიფციათა რეფერენტულ და ატრიბუტულ ხმარებას უწოდებენ. დესკრიფციის ადგილის განსაზღვრა მოცემულ ცნებათა სისტემაში დაკავშირებულია მოცემული დესკრიფციის ატრიბუტული, ვიწრო ან რეფერენტული, ფართო სტატუსის დადგენასთან.

დესკრიფციამ შესაძლოა ერთეულად მიუთითოს კიდევ (რეფერენტული ფონი) განსაზღვრულ ობიექტზე და დააფიქსიროს კიდევ მისი მნიშვნელობა, ანუ ცნება (კონცეპტი). ორივე მომენტი განიხილება განსაზღვრული სუბიექტისა და განსაზღვრულ ცნებათა (კონცეპტუალური) სისტემის მიმართ (პავლიენისი, 1986, 170-175).

ინდივიდის ცნება (კონცეპტი) სახელის მნიშვნელობაა, ხოლო დესკრიფცია (განსაზღვრული: **le tel... ou tel** განუსაზღვრელი: **un tel ou tel**) ამ მნიშვნელობის ნაწილი. ვინაიდან კონცეპტი (ცნება) ძირითადად განსაზღვრავს ობიექტის წარმოდგენის სახეს, ამდენად დასაშვებია, რომ სახელი, ცნება და დესკრიფციათა სიმრავლე ერთი და იგივეა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ინდექსალები ისეთი გამოთქმებია, რომლებიც უშუალოდ მიუთითებს საგანზე, ყოველგვარი ინტენსიონალური შუამავლის გარეშე.

განსხვავებული თვალსაზრისის თანახმად, ინდექსალი-გამოთქმა „ეს არის F“ პირდაპირ განეკუთვნება პერცეპტუალურ, თვალწინმყოფ სიტუაციას. ასეთი გამოთქმა მხოლოდ აღნუსხავს პერცეპტუალურ სიტუაციაში მომხდარ ცვლილებას და მოლაპარაკე სუბიექტი მარტივად რეაგირებს მოცემულ სიტუაციაზე. ასეთი გამოთქმები არ არის საკმარისი ობიექტთა გამოცნობა ინდენტიფიკაციისთვის და შესაბამისად იგი ვერც მტკიცებებს ჩამოაყალიბებს შესაბამის საგანთა შესახებ; ჩვენებითი გამონათქვამები უფრო სიგნალებს წააგავს, ვიდრე კარგად აგებული, მნიშვნელობის მქონე პრედიკატულ გამონათქვამს.

საინტერესოა, ამ მხრივ, რ. პავლიენის ის შეხედულება, რომელიც შესაძლოა ყველაზე მისაღები იყოს ინდექსალიათა არსის გარკვევასთან დაკავშირებით (პავლიენისი, 1986, 163). ამ ავტორის შესაბამისად, ინდექსალური გამოთქმები („ეს არის F“) ნამდვილად ფლობენ ჩვენებითი ფუნქციას. ასეთი და მისი მსგავსი გამოთქმები ნამდვილად ემსახურება სუბიექტის მიერ საგნის გამოყოფას. სწორედ ამ სუბიექტის აღქმის საგნად, გამოყოფა კი უკვე ნიშნავს ობიექტის დახასიათებას. ინდექსალის საშუალებით მითითება მოსწავებს როგორც „ინდექსური“, ასევე განსაზღვრული დესკრიფციული მნიშვნელობის აგებას მითითებული საგნის მიმართ.

დესკრიფცია, რომლის პრედიკატია ზოგადი სახელი და რომელიც შეიძლება შედიოდეს საკუთარი სახელი ან ინდექსალი, თავისთავად შეიცავს ინდექსურ ელემენტს. არ არის სავალდებულო, რომ დესკრიფციამ ერთმნიშვნელოვნად, ცალსახად განსაზღვროს საგანი. იგი ძირითადად აფიქსირებს გარკვეული სახით განსაზღვრულ ობიექტს. ვინაიდან მოლაპარაკე სუბიექტი ფლობს განსაზღვრულ ინფორმაციას მოცემული ობიექტის შესახებ ცნობილ კონცეპტუალურ სისტემაში, იგი სწორედ გამოიცნობს ობიექტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ობიექტი განსაზღვრება არასწორი, არაადეკვატური დესკრიფციით. მოლაპარაკე სუბიექტებს შესწორებანი შეაქვთ კომუნიკაციურ სიტუაციაში და ხელს უწყობენ მითითების ეფექტურად განხორციელებას.

ამგვარად, ენისმიერი გამონათქვამები, მათი სემანტიკა ინტერპრეტატორები და მათი ფუნქციონირების პროგრამული კონტექსტი წარმოადგენს ობიექტის ეფექტურად მითითებისა და ამოცნობის, ე. ი. არაადეკვატური დესკრიფციის უკუგდების, აუცილებელ პარამეტრებს. განსხვავება მოლაპარაკის რეფერენცისა და სემანტიკურ რეფერენცისას შორის კრიპკემ შემოიღო სემანტიკაში. „სემანტიკური რეფე-

რენცია“ მოლაპარაკის მიერ წარმოთქმული გამონათქვამის მნიშვნელობას გამოხატავს (კრიპკე, 1986, 24-25).

„მოლაპარაკის რეფერენცია“ მოიცავს მოლაპარაკის განზრახვას და ხმარების კონტექსტთა სხვადასხვა პარამეტრთა სიმრავლეს. ამ შემთხვევაში მოლაპარაკეს განუზრახავს, სურს ილაპარაკოს განსაზღვრულ ობიექტზე, რომელიც მას ამავდროულად მის მიერ გამოყენებულ ენისმიერი გამოთქმის სემანტიკურ რეფერენტადაც წარმოუდგენია. არაადეკვატური დესკრიფციის გამოყენების შემთხვევაში, ობიექტისადმი რეფერირების მიზნით, მოლაპარაკე სუბიექტი, იცის რა შესაძლო კონტექსტთა ზღვარი და მოცულობა, ასწორებს თავის შეცდომას და აყალიბებს ახალ, წარმატებულ პრედიკაციას. როცა საკომუნიკაციო აქტი შედეგიანად ხორციელდება, სემანტიკური რეფერენცია ემთხვევა მოლაპარაკის რეფერენცისა. ობიექტთა მიმართ რეფერენცია და მათი ინტერპრეტაცია უნდა ემყარებოდეს განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემათაგან მომდინარე ინფორმაციას და მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ამ ცოდნის ფლობას (პავლიენისი, 1986, 188).

მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ობიექტის ამოცნობა და განსაზღვრა ხდება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ნაწილია განსაზღვრული კონცეპტუალური სისტემისა და რომლის შესახებ ცოდნას ფლობს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტი. მოლაპარაკე სუბიექტის ხელთ მყოფი ინფორმაცია ობიექტთა კონცეპტების შესახებ ყალიბდება როგორც სუბიექტის ცოდნა ან აზრი ამ ობიექტთა შესახებ.

კონცეპტი (ცნება) სიტყვიერად გადმოიცემა ან განსაზღვრული დესკრიფციით, ან საკუთარი სახელით. კონცეპტი, რომელიც განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემაში შედის, ერთეული (სინგულარული) ტერმინის მნიშვნელობას გამოხატავს განსაზღვრულ ენაზე მოლაპარაკისათვის. და სწორედ ამ მნიშვნელობის მეშვეობით ხდება ობიექტის გამოყოფა საგანთა უნივერსუმში, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემაზე. გარდა გამოყოფისა, სწორედ მნიშვნელობაზეა დამოკიდებული საგნის განსაზღვრა-დახასიათება.

სახელის მნიშვნელობის დაკავშირება განსაზღვრულ ინფორმაციასთან, რომელსაც მოლაპარაკე სუბიექტი ფლობს, შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ობიექტის ამოცნობის კრიტერიუმი. ამგვარად, სა-

ხელის მნიშვნელობა უკავშირდება ჭეშმარიტების ღირებულების პირობათა ცოდნას. ასეთი დაშვება საშუალებას იძლევა, რომ ობიექტის ამოცნობის საკმაო კრიტერიუმად მისი სახელის მნიშვნელობა ჩაითვალოს.

რეფერენტის იგივეობის დადგენა, ინდივიდთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისით, დამოკიდებულია მისთვის დამახასიათებელი თვისებების მიწერასა და მათი ვერიფიკაციის შესაძლებლობაზე. ობიექტის წარმოდგენა დესკრიფციის საშუალებით მოასწავებს მის მოცემასა და ჩართვას ამ კონცეპტუალურ სისტემაში (პავილიენისი, 1986, 167). იგი წარმოადგენს ამგვარად მოცემულ ობიექტს სუბიექტისათვის. საკუთარი სახელის ხმარება წინადადებაში საკმარისია სახელის მატარებელი ობიექტის შესახებ განსჯის ასაგებად და მისი შემდგომი ამოცნობა-დახასიათებისათვის.

რეფერენტის მექანიზმთა სისტემაში მონაწილეობენ სახელადი გამოთქმების ლექსიკური მნიშვნელობები, რომლებიც ახდენენ რეფერენტის დეტერმინაციას, სახელის განსაზღვრებანი და ანაფორული კავშირის კონტექსტი, რომლებიც სახელთა კორეფერენტულობას აღგენენ.

კორეფერენტია ნაცვალსახელთა სემანტიკის აღწერის ერთ-ერთი საშუალებაა. სინტაქსურ კომპონენტში აღნიშნული ცნების შემოტანა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ არაერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია. ნაცვალსახელი წარმოადგენს არსებითი სახელის მორფო-სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლების კონას, იმას, რასაც თანამედროვე წარმომშობი გრამატიკა მკაცრი ქვე-კატეგორიზაციისა და სელექციური მახასიათებლების სიმრავლეს უწოდებს. კორეფერენტია ამ მახასიათებლებს ამატებს რეფერენტულობა-არარეფერენტულობის ნიშანს, რაც გამოიხატება არსებითი სახელის განსაზღვრულობა-გამოყოფითობაში. რეფერენტული არსებითი სახელი გამჭვირვალეა, მისი ცნება სახელს შეესაბამება და ეფუძნება ფუნქციურ მიმართებებს ინტერსიონალ-ექსტენსიონალს შორის.

ამრიგად, არსებითი სახელის (ანუ სინგულარული ტერმოსგენერაციული სემანტიკის ტერმინოლოგიით, ანუ საკუთარი სახელის) რეფერენტი განსაზღვრულია; მასზე მითითება ხორციელდება სახელის ან სხვა დეიქტიკური საშუალებით. ცხადია, არსებითი სახელის შემცველი ნაცვალსახელი იმავე ობიექტს მიემართება, როგორც რეფერენტს და ამ ობიექტის სახელს, როგორც კორეფერენტს.

ლიტერატურა

კრიპკე, 1986 — Крипке С. А. Загадка контекстов мнения, НЗЛ, 18; М., «Прогресс», 1981.

მონტეგიუ, 1981 — Монтегю Р. Н., Прагматика и интенциональная логика, Семантика модальных логик, М., «Прогресс», 1981.

პავილიენისი, 1986 — Павлиенис Р. Н., Понимание речи и философия языка, НЗЛ, вып. 17; М., «Прогресс», 1986.

ფხაკაძე, 1991 — Пхакадзе И. Г., Недостижимые миры, Семантика возможного и языковая относительность, Тбилиси, 1991.

სგალი, 1985 — Сгалл П. Значение, содержание и прагматика, НЗЛ, вып. XVI; «Прогресс», 1985.

კორბლინი, 1999 — Corbin F., Défini et demonstrative dans le reprise immédiate : Le français moderne, Paris, 1999.

კლეიბერი, 1994 — Kleiber G., Problèmes de référence; descriptions et noms propres, Paris, 1994.

KETEVAN GABUNIA

The Role of the Pragmatic Factor in the Differentiation of Reference Types

Summary

The reference of nominal expressions to the objects of reality is connected with the following logical and semantic factors – the reference of an object: a. to one of the members of a certain class; b. to a part of a particular class; c. to a subgroup characterized by a definite trait; d. to the whole class; e. to none of the (potential) numbers of an object class.

From the perspective of the pragmatic factor the types of reference vary according to the communicants' attitudes to their mutual knowledge. The following types of reference can be singled out: 1. introductory; 2. identified; 3. indefinite. The pragmatic factor is mainly realized within the scope of concrete reference, which connects nominal expressions with fixed objects and individuals. The reference of the given type is based upon the presupposition that an object exists.

შეთვალისწინება

თანამედროვე ფრანკოფონია და ენობრივი მდგომარეობის ტიპოლოგიზაცია

ფრანგული ენის გავრცელებამ სხვადასხვა ქვეყანაში შექმნა ფრანკოფონიის მრავალფეროვნება და შესაბამისად ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური კვლევის შესაძლებლობა. ფრანკოფონია შეიქმნა იმ რთული პოლიტიკური და სოციალური მოვლენების შედეგად, რომლებიც საფუძველს იღებს საფრანგეთის კოლონიალურ ეპოქაში.

ფრანგული ენის ძირითადი გამავრცელებელი საფრანგეთი იყო, თუ არ ჩავთვლით ბელგიას, რომელსაც აფრიკაში მხოლოდ ერთი კოლონია ეკუთვნოდა (სერქივლინი, 1998). კოლონიზაციის შედეგად ფრანგული ენა გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკაში, აფრიკაში, არაბეთში, ინდოეთის ოკეანესა და აზიაში. ამრიგად, ფრანკოფონია შეიძლება დაიყოს არაკოლონიალურ და კოლონიალურ ფრანკოფონიად, არაკოლონიალურ ფრანკოფონიას ეკუთვნის საფრანგეთი და ბელგია, კოლონიალურ ფრანკოფონიას კი სხვა დანარჩენი ქვეყნები, სადაც ფრანგული კოლონიალური პოლიტიკის შედეგად ვრცელდებოდა, თუმცა, კოლონიალური ომებიდან გამომდინარე, ფრანგულის გავრცელების ხარისხიც სხვადასხვანაირი იყო. განსხვავება შეინიშნებოდა თვით კოლონიებს შორისაც კი. მაგალითად, კანადისა და შავი აფრიკის კოლონიების თავისებურებანი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კოლონიალური ომების ეპოქაში ტერმინი „ფრანკოფონია“ ჯერ არ არსებობდა. თანამედროვე ფრანკოფონია გაჩნდა მხოლოდ XX საუკუნეში და ისიც დეკოლონიზაციის წყალობით. ამიტომაც საუბარი ფრანკოფონიაზე საფრანგეთისა და ფრანკოფონიის ქვეყნების კოლონიალური წარსულის გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია. XX საუკუნის რეალობას ახალი განსაზღვრებები შემოაქვს. ამჟამად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან კოლონიალური პერიოდისა და დღევანდელი ფრანკოფონების სინამდვილე: კოლონიალურ ფრანკო-

ფონიას ბოლო მოედო მეორე მსოფლიო ომის შედეგად. ფრანკოფონიაში გაერთიანებულ ქვეყნებს შორის ბევრია ისეთი, რომლებსაც არაფერი აკავშირებდათ კოლონიალურ ეპოქასთან და ფრანგულის კოლონიალური გზით გავრცელებასთან. კოლონიალური პერიოდი შეეხება მეტროპოლიას (საფრანგეთი, ბელგია) და მის ყოფილ კოლონიებს, მათ ერთობლივ ისტორიასა და ფრანგული ენისა და კულტურის გავრცელებას 1945 წლამდე. პოსტკოლონიალური ფრანკოფონია მოიცავს დროის მონაკვეთს 1945 წლიდან დღემდე (პოპოვი, 2000). ქვეყნების მიხედვით შეგვიძლია განვასხვავოთ პირველადი ქვეყნები, ანუ საიდანაც დაიწყო ფრანკოფონული საკოლონიზაციო ტალღა და ქვეყნები, რომლებშიც ფრანგული კოლონიალიზმის გზით გავრცელდა. ფრანკოფონიის წევრი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება ისეთი ქვეყნებიც, სადაც ფრანგული სახელმწიფო ენა არ არის, არ გავრცელებულა კოლონიალიზმის წყალობით, მაგრამ ქვეყნის ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობს. ან მას, როგორც უცხო ენას, ეუფლება მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ფრანკოფონულ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებაა. თავისთავად, შესაძლებელია ფრანკოფონული ქვეყნების ცალკე ტიპოლოგიის შემუშავება. ფრანკოფონიაში გაწევრიანებული ქვეყნების დაყოფა შეიძლება სამ დიდ ჯგუფად.

I. ფრანგული, როგორც დედაენა, ოფიციალური ან განათლების ენაა. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ქვეყნები, რომელთა ენობრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრანგული ენა ოფიციალური სახით არის წარმოდგენილი.

II. ამ ჯგუფში გაერთიანებულ ქვეყნებში ფრანგული სხვა ენებთან ერთად არის კომუნიკაციის ენა, მაგრამ მისი სტატუსი ოფიციალურად არ არის განსაზღვრული ქვეყნის კონსტიტუციასა თუ კანონებში.

III. ამ ჯგუფის ქვეყნებში მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ ფრანგული ენა ისწავლება როგორც ერთ-ერთი უცხო ენა (ვინოგრადოვი, კოვალი, 1999).

ფრანგული ენის ფლობის თვალსაზრისით ქვეყნები შეიძლება დაიყოს ენის დონეების მიხედვით. შესაძლებელია ფრანკოფონების ტიპოლოგიზაცია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პირველადი ფრანკოფონები, მექნილი ფრანკოფონები, ოკაზიონალური ფრანკოფონები.

პირველადი ფრანკოფონები არიან ისინი, ვისთვისაც ფრანგული დედაენაა. პირველადი ფრანკოფონების რიცხვს მიეკუთვნებიან ფრანგები, ფრანკოფონი ბელგიელები, კვებეკელები და ფრანკოფონი შვეიცარიელები. ისინი ცხოვრობენ ქვეყნებში, რომლებშიც ფრანგული ენა ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება და ოფიციალური ენაა. აღსანიშნავია, რომ აფრიკის ბევრ ქვეყანაში ფრანგული ოფიციალურ ენად ითვლება, მაგრამ ფრანკოფონთა რიცხვი მცირეა და ადგილობრივი ელიტით შემოიფარგლება (ვოლფი, 1989). ეს ორენოვანი ელიტაა, რომლისთვის ფრანგული ენა საკომუნიკაციო ენაა და ძნელია მიენიჭოს მას დედაენის სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული იქ დიდი ხნის წინ გავრცელდა. შესაბამისად, ისინი შექნილ ფრანკოფონთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

შექნილი ფრანკოფონები არიან ისინი, რომლებმაც ფრანგული ენა ისწავლეს პროფესიული მიზნებისათვის, დაეუფლნენ ფრანგულს ემიგრაციის ან ორენოვან ქვეყანაში ცხოვრების დროს. განსხვავდება აგრეთვე ოკაზიონალური ფრანკოფონები, რომლებიც ფრანგულ ენას იშვიათად თუ იყენებენ. შექნილ ფრანკოფონთა შორის ენის ფლობის ხარისხი არაერთგვაროვანია. ყოველ შემთხვევაში, შექნილი ფრანკოფონი აქტიურად იყენებს ფრანგული ენის სხვადასხვა დონეს.

ოკაზიონალური ფრანკოფონები არ იყენებენ ფრანგულ ენას ყოველდღიური ურთიერთობებისას. ქვეყნის ტერიტორიაზე მათ მიერ ნასწავლი ფრანგული შეიძლება იყოს მესამე ან მეოთხე უცხო ენა, რომელსაც იყენებენ შემთხვევის მიხედვით.

ფრანკოფონიის კლასიფიკაციისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ტიპოლოგიზაციის გეოგრაფიული მხარეც. ფრანგული ენა გავრცელებულია და ისწავლება ხუთივე კონტინენტზე. თითოეულ კონტინენტზე ფრანკოფონიას ახლავს გარკვეული სპეციფიკა, რაც წარმოშობს ფრანკოფონიის არაერთგვარობას და განასხვავებს ერთმანეთისაგან ევროპულ, ამერიკულ, აფრიკულ და აზიურ ფრანკოფონიას.

ფრანკოფონიის გეოგრაფიულ ტიპოლოგიზაციას ევროპის კონტინენტიდან დაიწყებთ. ფრანგული ენის კერა ევროპის კონტინენტზე მდებარეობს. ევროპაში საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია და ლუქსემბურგი ქმნიან ფრანკოფონიის ბირთვს. ფაქტობრივად, ეს ევროპული ბირთვი (მას ემატება კანადა) წარმოადგენს ფრანკოფონიის გულს. ამ ქვეყნებში ფრანგული ენა დედაენაა და საკმაოდ მყარი პო-

ზიციები უკავია. საფრანგეთში ფრანგული ერთადერთი ოფიციალური ენაა და 100%-ით გავრცელებული. დანარჩენ ქვეყნებში ფრანგული ენა არ წარმოადგენს კომუნიკაციის ერთადერთ ენას, ის, სხვა ენებთან ერთად, ბელგიაში (ფლამანდური), შვეიცარიასა (იტალიური და გერმანული) და ლუქსემბურგში (გერმანული და რეტორომანული) არის სამივე ქვეყნის ოფიციალური ენა. მისი ადგილი, ფუნქცია და როლი ქვეყნების კონსტიტუციასა და შიგა ენობრივ პოლიტიკაში გასანზღვრულია ენობრივი კანონმდებლობის მიხედვით. გარდა ამ ქვეყნებისა, ევროპულ ფრანკოფონულ ქვეყნებად ითვლება ბულგარეთი და რუმინეთი. მათი პირველი კონტაქტები საფრანგეთთან თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით. ფრანკოფონული კულტურით საგსე ეს ორი ქვეყანა ლიდერია აღმოსავლეთ ევროპაში აქტიურ ფრანკოფონთა რიცხვის მიხედვით. საფრანგეთთან ისტორიულმა კავშირმა, ფრანგული ენისა და კულტურის შენარჩუნებამ, ანგლოფონური კულტურის ზეწოლის მიუხედავად, განაპირობა ამ ორი ქვეყნის გაერთიანება ფრანკოფონიაში. ორივე მათგანი საფრანგეთისა და ფრანკოფონიის მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროპაში.

ფრანკოფონიის გეოგრაფიულ ტიპოლოგიზაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ამერიკას. ამ კონტინენტზე ანგლოფონურ კულტურასთან ერთად თანაარსებობს ფრანკოფონული კულტურის მძლავრი კერა. კანადა ოფიციალურად ორენოვანი ქვეყანაა. კანადის ფრანკოფონული ნაწილის ძალისხმევით ფრანგული ენა შენარჩუნდა კანადასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. არასწორი კოლონიალური პოლიტიკისა თუ სხვა პოლიტიკური ფაქტორების გამო, ჩრდილოეთ ამერიკაში ფრანგული მძიმე პირობებში აღმოჩნდა. კვებეკელთა თანმიმდევრული ღონისძიებების წყალობით ფრანგულმა და ფრანკოფონიამ ამ კონტინენტზე პოზიციები შეინარჩუნა. ფრანკოფონთა გარკვეული ნაწილი არსებობს აშშ-ში. აქ 13 მლნ. ადამიანი წარმოშობით ფრანგია, რაც მთელი მოსახლეობის 6%-ს წარმოადგენს. ფრანგული აშშ-ში ინგლისურისა და ესპანურის შემდეგ მესამე ენაა. ყოველწლიურად მას ერთი მლნ მოსწავლე ეუფლება. ამერიკელ ფრანკოფონთა კერად ლუიზიანა ითვლებოდა. საფრანგეთის ყოფილ კოლონიაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ფრანგული წარმომავლობისაა, დღეს მხოლოდ მეოთხედი თუ ფლობს ფრანგულ ენას.

ითვლება, რომ ფრანკოფონიას საფუძველი აფრიკაში ჩაეყარა. აფრიკა საფრანგეთის კოლონიალური იმპერიის უდიდეს ნაწილს

წარმოადგენდა. სრულიად ბუნებრივია, თუ ფრანკოფონიაში გაწვევრიანებული 49 ქვეყნიდან 20-ზე მეტი აფრიკულია, მათ შორის სამი ესპანოფონური და სამი ლუზოფონური სახელმწიფო. როგორც ცნობილია, ფრანკოფონიას საფუძველი ფრანგულ-აფრიკული კავშირით დაედო. აფრიკული ფრანკოფონია შავი აფრიკისა და მაგრიბის ქვეყნების ფრანკოფონია იყო. შავი აფრიკის ფრანკოფონიაში ერთიანდება 13 ქვეყანა. მათი გამაერთიანებელია კოლონიალური წარსული და მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი საფრანგეთთან. დეკოლონიზაციის შემდეგ ამ ქვეყნებში ფრანგული ენის შენარჩუნებაზე იზრუნა მისმა პოლიტიკურმა ელიტამ, რომელმაც არ მოისურვა საფრანგეთთან ურთიერთობების გაფუჭება და ფრანგული ენის განდევნა.

აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს მაგრიბად ცნობილი რეგიონი. ამ რეგიონის ქვეყნები: ალჟირი, მაროკო, ტუნისი წარმოადგენენ ე. წ. პატარა მაგრიბის ქვეყნებს. დიდი მაგრიბის ქვეყნებში მათთან ერთად ერთიანდება ლიბია, მაგრიტიანია და სხვა. ამ რეგიონში, შავი აფრიკისაგან განსხვავებით, ფრანგული ენა უფრო გავრცელებულია. მიუხედავად იმისა, რომ მაგრიბის ქვეყნებმა სახელმწიფო ენად არაბული აირჩიეს, ფრანგული მაინც რჩება განათლების, მეცნიერების, კულტურის და ელიტის ენად.

ფრანკოფონიის განვითარების მხრივ ძალზე პერსპექტიულია ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა. ფრანგული ინდოჩინეთში დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში იყო წარმოდგენილი. დღეს, ამ რეგიონისა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები აღდგენილია. ანგლოფონურ აზიაში ეს არის ფრანკოფონიის ოაზისი. საფრანგეთსა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამ ქვეყანას შორის ურთიერთობები სწრაფად ვითარდება. საფრანგეთი მონაწილეობს ამ ქვეყნების რეფორმირებაში, უწყევს დახმარებას და აარსებს ფრანგულ ცენტრებს, რაც თავისთავად ფრანგულისა და ფრანკოფონიის გავრცელებას შეუწყობს ხელს.

ფრანკოფონიის ტიპოლოგიის მიმოხილვისას გამოიყოფა მისი ძირითადი მიმართულებები:

1. ისტორიულ-პოლიტიკური ტიპოლოგიზაცია 2. გეოგრაფიული ტიპოლოგიზაცია 3. ქვეყნების ტიპოლოგია საზოგადოებაში ენის როლის მიხედვით 4. ფრანკოფონთა ტიპოლოგიზაცია.

ფრანკოფონიის ტიპოლოგია ნათლად გვიჩვენებს ფრანკოფონიას-

თან სხვადასხვაობას ფრანგულის გავრცელების, არეალისა და ფრანკოფონიასთან ურთიერთობების მხრივ. ფრანკოფონიის ტიპოლოგიიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ზოგ ფრანკოფონ ქვეყანაში, ფრანგული ენის ოფიციალური სტატუსის მიუხედავად, ფრანკოფონი მსახლეობა მხოლოდ 10% შეადგენს. გეოგრაფიული ტიპოლოგია გვიჩვენებს, რომ ფრანკოფონია, მართლაც, მსოფლიო მოვლენაა და ფრანკოფონიის ტიპოლოგიური დახასიათება მისი შესწავლის აუცილებელი ატრიბუტია.

ლიტერატურა

ბელიკო, კრისინი, 2001 — Беликов В. И., Крысли Л. П., Социоллингвистика, М. 2001.

ვინოგრადოვი, კოვალი, 1999 — Виноградов В. А., Коваль А. Н., Социоллингвистическая типология, М. 1999.

პოპოვი, 2000 — Попов Ц. Н., Современная филология, теория, практика, М. 2000.

სერკვილინი, 1998 — Cerquiglini B., La naissance du Français, PUF, Paris, 1998.

დანო, 2000 — Deniau X., La Francophonie, PUF, Paris, 2000.

პეროლი, 1997 — Perol G., La grandeur de la France< Albin Michel, Paris, 1997.

ვოლფი, 1989 — Wolff P., Les origines linguistiques de l'Eoripe occidentale, Hachette, Paris, 1989.

KETEVAN GABUNIA

Modern Francophony and Typologization of Language Situation

Summary

In modern Francophony on the basis of language status and functions the following types of the French language have been singled out:

1. French as a native tongue, the official language and language of education. This group includes the countries where the status of French is stated by law.

2. French as the language of communication, with no constitutional and official status.

3. French as a foreign language.

According to the types of competence the following types of French are differentiated a. primary Francophones; b. acquired Francophones; c. occasional Francophones. Since the French language is spoken on the five continents, its geographical varieties are also varied.

სიბილა ბელაჰი

პოეტური ტექსტის არსი და მისი ბავშვებს კომუნიკაციისთვის

ცნობილია, რომ პოეტური ტექსტი დისკურსული ტექსტისგან, უპირველეს ყოვლისა, უჩვეულო, აგრამატიკული სისტემით გამოირჩევა, რაც უშუალოდ პოეტური ტექსტის ფარგლებში ყალიბდება და აკუმულაციისა და დესკრიპციის პრინციპებს ეყრდნობა. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია ნეოლოგიზმების ფუნქცია პოეტური ტექსტის ფორმირებაში. თუმცა ზოგიერთი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ნეოლოგიზმებს არავითარი როლი არა აქვს პოეზიაში. ნეოლოგიზმების მნიშვნელობას პოეტური ტექსტის ჩამოყალიბებაში ადასტურებს ბოდლერის ინტეგრალური პოეტური კრებული „ბოროტების ყვავილები“, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ბახტინისეულ სტილის განმარტებას, რომლის მიხედვითაც: „პოეტური სტილისათვის უცხოა სხვა ენებისათვის დამახასიათებელი სიტყვები, სემანტიკა, სინტაქსური ფორმები და ლინგვისტური მოსაზრებები“ (ბახტინი, 1978, 108). ბოდლერის პოეზია სრულიად საპირისპიროს გვიდასტურებს: ინგლისური სიტყვა **Spleen** არაერთგზის არის მის მიერ გამოყენებული, ლათინურადაა დაწერილი ლექსი **Franciscae meae laudes**, ლათინურად შექმნილია მთელი რიგი სათაურები ლექსებისა **Sed non satiata, De profundis clamavi, Duellum, Semper eadem, Moesta et errabunda**, ხოლო ბერძნულად **Heautontimoroumenos**. მეტიც, „საათში“ პოეტი ამბობს „ჩემი მეტალის ხახით ყველა ენაზე ვლაპარაკობო“. როგორც ვხედავთ, ნეოლოგიზმი პოეტური ტექსტის ერთერთ მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ნეოლოგიზმით არ შეიძლება შეფასდეს პოეტური ტექსტი. მაიკლ რიფატერის აზრით, პოეტური ტექსტი აყალიბებს საკუთარ გამოხატულებათა სისტემას, რომელიც ეყრდნობა აკუმულაციისა და დესკრიპციის სისტემებს. (რიფატერი, 1979). ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ პოეტური ტექსტის სემანტიკა ჰორიზონტალურია, ანუ ეყრდნობა სინტაგმატიკას,

განსხვავებით პროზაული ტექსტისგან, რომელიც ეყრდნობა ვერტიკალს, ანუ პარადიგმატიკას. ჩვენ ყურადღებას შევამჩნევთ ბოდლერის ერთ-ერთ გამორჩეულ ლექსზე — „მზე“ და შევეცდებით განვმარტოთ რა თავისებურება გამოარჩევს ამ ლექსს პროზაული ტექსტისგან ერთი მხრივ და როგორ ინტერტექსტუალურ მიმართებაშია ის „ბოროტების ყვავილებს“ სხვა ლექსებთან, ანუ კოტექსტებთან. ამ მიზნით, შევეცდებით დავადგინოთ ამ ლექსის დომინანტი ტონალობა და მთავარი მესიჯი, რომელსაც განსაზღვრავს უშუალოდ ამ ლექსის ჩარჩოებში წარმოქმნილი მნიშვნელობათა სისტემა.

ქვემოთ მოყვანილია ლექსის ქართული თარგმანი:

LXXXVII მზე

იმ ძველ უბანში, სად მორყეულ სახლთა სარკმელებს
მრუშთ დასამალად დარაბები ისევ ამშვენებს,
სად უღმობელი მზე აცხუნებს და მიძიმედ აჭერს
ქალაქს და ველებს და ნებაზე აჩერებს საჭეს,
მე შევუდგები დაშნით ვარჯიშს ჯერ არგაგონილს,
რომ სადმე იქნებ შევეყარო რითმებს აწონილს,
სიტყვებს კი ისე წამოგვრავ ფეხს, როგორც ქვაფენილს,
შევეჯახები ნაოცნებარ ლექსებს დარჩენილს.

ყველას მამა და მარჩენალი, ქლოროზის მტერი,
აღვიძებს ვარდს თუ ჭიაღუას, სხივებით მწველით:
დარდებს ცისაკენ ორთქლად აღძრავს, განდევნის ჩვენგან,
თაფლით აავსებს ყველა ტვინს და ფუტკრების სკებსაც.
ახალგაზრდებად წარმოაჩენს ხნიერ ხეიბრებს,
ახალისებს და აფაქიზებს, როგორც გოგონებს.
მისი ბრძანებით ყველა ყანა მწიფს და იზრდება
იმ უკვდავ გულში, ყვავილობა ვისიც იქნება.

და როცა ქალაქს პოეტივით იგი ჩააღწევს,
უშნო საგანი ბედს შეიცვლის, სხივებს დააფრქვევს.
მზე მეფესავით, ოღონდ ჩუმად და მარტოდმარტო,

მოივლის ყველა სასახლეს და ყველა ავადმყოფს.*

ამ ლექსს შეიძლება ვუწოდოთ ჰიმნი მზეს, ან ოდა მზეზე. პოეტი გამოხატავს თავის დმოკიდებულებას მზისადმი, რაც ასოცირდება სიმალღესთან, ზეცასთან, ანუ ამაღლებულთან, რისი არსებობაც აუცილებელია იმისთვის, რომ პოეტს უნდოდეს ლექსის დაწერა:

„მე შევუდგები დაშნით ვარჯიშს ჯერ არგაგონილს,
რომ სადმე იქნებ შევეყარო რითმებს აწონილს,
სიტყვებს კი ისე წამოგვრავ ფეხს, როგორც ქვაფენილს,
შევეჯახები ნაოცნებარ ლექსებს დარჩენილს“.

სემანტიკურად მზე შედგება შემდეგი სემებისაგან: სიმრგვალე, სითბო, მოწითალო-მოყვითალო ფერი, ბრწყინვალება, სილამაზე, დიდი ძალა, ცხოველმყოფელობა, ყოვლისშემძლეობა. ლექსის წაკითხვის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ზედეთირმინებული სემა ამ შემთხვევაში, ლექსის ჩარჩოდან გამომდინარე, არის ყოვლისშემძლეობა. აქედან გამომდინარე ეს ცენტრალური სიტყვა, ან სიტყვა-ბირთვი, ანუ ნუკლეუსი, გარშემო იკრებს ისეთ სიტყვათა ჯგუფებს, როგორებიცაა: „აღვიძებს ვარდს თუ ჭიაღუას, დარდებს ცისაკენ ორთქლად აღძრავს, თაფლით აავსებს ყველა ტვინს და ფუტკრების სკებსაც, ახალგაზრდებად წარმოაჩენს ხნიერ ხეიბრებს, ახალისებს და აფაქიზებს, როგორც გოგონებს. მისი ბრძანებით ყველა ყანა მწიფს და იზრდება“... რაც ყოვლად წარმოუდგენელია დისკურსულ ტექსტში, ანუ პროზაში.

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის დომინანტი ტონალობა მაჟორულია და ოპტიმისტური, რაც დიდი იშვიათობაა ბოდლერის პოეზიაში, სევედა და ტკივილი „აორთქლებულია“ იმავე მზის გავლენით. მზე უზენაესი სამართლის სიმბოლოცაა, რადგან:

„და როცა ქალაქს პოეტივით იგი ჩააღწევს,
უშნო საგანი ბედს შეიცვლის, სხივებს დააფრქვევს.
მზე მეფესავით, ოღონდ ჩუმად და მარტოდმარტო,
მოივლის ყველა სასახლეს და ყველა ავადმყოფს“...

ამ ლექსის ფარგლებში მზე დადებითი შინაარსის მატარებელია, ხოლო პოეტური ტექსტისათვის დამახასიათებელი უჩვეულობა, რაც ესთეტიკურ მიზანს ემსახურება და რაც არამც და არამც არ ახასიათებს პროზაულ ტექსტს ამ ლექსში უხვადაა: გვხვდება უჩულო სინ-

* სტატიაში გამოყენებული ყველა თარგმანი ეკუთვნის სიბილა გველაძეს.

ტაგები — „დარდებს ცისაკენ ორთქლად აღძრავს“, „თაფლით ააფსებს ყველა ტვინს“, „სიტყვებს კი ისე წამოგვრავ ფეხს, როგორც ქვაფენილს“ და ა. შ. ანუ, ისევ და ისევ, ჩვენ წინაშეა **„აგრამატიკულიობა“**, ანუ **უჩვეულო სინტაგმატიკა, რაც პოეტური ტექსტის დისტინქციურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ**. მზე ძალის მომცემია და პოეტიც ეძლევა შემოქმედებას, იგი ხომ ის უცნაური არსებაა, რომელიც ალბატროსის არ იყოს, მხოლოდ ზეცის სტიქიაში გრძნობს თავს კარგად, ხოლო მზე ზეცასთან მეტონიმურ კავშირშია.

ნებისმიერი ტექსტი, ისევე როგორც ნებისმიერი სიტყვა, თავის თავში ატარებს სხვა დისკურსულ კონტექსტებში გამოყენების ექოს (ანარეკლს), დადასტურებაც არის ინტერტექსტუალური მიმართება ნებისმიერ ტექსტისა, და დროსა და სივრცეში სხვადასხვა დროს პროდუცირებულ ტექსტებს შორის. აქედან გამომდინარე, დისკურსის ჰეტეროგენულობა ენის თეორიის განვრცობას შეესაბამება (კონსტიტუტიური ჰეტეროგენულობა), რაც შეეხება ინტერტექსტუალურ მიმართებას, ეს არც ინტეგრალური პოეზიის კრებულის ცალკეული პოეტური ტექსტისათვის არის უცხო. ეს სწორედ ის ძაფია, რაც კანონზომიერად უყრის თავს ლექსებს. ამ შემთხვევაში, მოცემული ტექსტი დიალოგშია ამავე პოეტური კრებულის სხვა ლექსებთან, უპირველეს ყოვლისა კი ლექსთან „პეიზაჟი“, რომელშიც პოეტი წერს:

„გულის სიღრმიდან მზეს ამოვწევ და შევქმნი მყისვე
მწველი აზრების შეერთებით გამთბარ დიდ სივრცეს.“

აქაც, მზე არის მეტაფორა ყოვლისშემძლე ენერჯისა, სითბოსი, რომელიც ასე სჭირდება პოეტს.

ასევე ინტერტექსტუალურ მიმართებაშია მოცემულ ლექსთან მომდევნო ლექსიც — „წითურ მათხოვარ ქალს“, რადგან წითური თმაც მზესთან ასოცირდება, „ჭორფლის ნაქარგიანი სხეულიც“ და რაც მთავარია, წითურთმიანი მათხოვარი ისევე მოსწონს პოეტს, როგორც მზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოდლერის აზრით, პოეტის ჭკრეტის საგანი ხშირად არის ცა, ვარსკვლავები, მთვარე, მზე, ანუ სიმაღლე და ყოველივე ამაღლებული — აღმატებული, რადგან ჰემმარიტი პოეზიის მიზანია შესწვდეს ამაღლებულს. ამ თვალსაზრისით, ინტერტექსტუალურ მიმართებაშია „მზე“ „მთვარის სევდასთან“. მთვარე მზისგან განსხვავებით დანახულია, როგორც ძალაგამოცლილი და

გადაღლილი, მაგრამ ხილვები აქვს, რომლებიც შეიძლება პოეტებისგან ამოდის ცაში.

„ზმანებებშია ღრუბლის საწოლს მინებებული,
სიკვდილის პირას მიყვანილი მთვარე, დაღლილი,
თეთრი ხილვებით ეფარება მზერა ეული,
ხილვები ზეცას ამოსულა, როგორც ყვავილი“.

უდავოა, რომ აქაც პოეტური ტექსტის უჩვეულობას ისევ და ისევ უჩვეულო სინტაგმატიკა გამოხატავს. არამარტო ახლომდებარე პოეტურ ტექსტებთან, არამედ, საკმაოდ დაშორებულ ლექსებშიც შეიძლება მოინახოს ინტერტექსტუალური დიალოგი „მზისა“. ასეთია სონეტი „მტერი“, სადაც მზე კვლავ დადებით კონტექსტშია მოხსენიებული.

„ახალგაზრდობა მქონდა სავსე ქარიშხალებით,
რომელთაც ზოგჯერ მოეღვარე მზეები ჰკვეთდა“...

ამ მონაკვეთში მზის ზეტერმინებულ სემად წარმოდგება „ბედნიერება“ („მტერი“). მაგრამ მზე შეიძლება იყოს მონოტონური („ეგზოტიკური სურნელი“), ან ცივი (**De profundis clamavi**), თუმცა მზე, როგორც ყოვლისმძლეველი წარმოდგება აგრეთვე „სულიერ განთიადში“, ხოლო „საღამოს ჰარმონიაში“ კი მზე ჩამხრჩვალა საკუთარ სისხლში. მზე, ოღონდ მრავლობით რიცხვში, ანუ აღმატებით ხარისხში, ფიგურირებს აგრეთვე ლექსში „მიპატიჟება სამოგზაუროდ“, სადაც „სველ მზეებს ისეთივე იდუმალი მიმზიდველობა აქვს, როგორც საყვარელი ქალის ცრემლიან თვალებს“, ანუ, აქ მზე შეუცნობელის სინონიმია. ლექსში „კრეოლ ქალბატონს“ მზეში კვლავ სითბოს სემანტიკა არის ზედეტერმინებული. ამგვარად, „ბოროტების ყვავილები“, რომელიც არის ინტეგრალური პოეზიის ნიმუში, გარდა იმისა, რომ თავად არის მზე როგორც ელვარებით, ასევე მძლევთამძლეობით, შეიცავს მზეს, მრავალ ლექსში მოხსენიებულს ლამის ისეთივე სიხშირით, როგორც ცაა. შეიძლება თავისთავად ბანალურად ჩაითვალოს სიტყვა მზის პოეტურ ტექსტებში გამოყენება, რადგან მზე მსოფლიო ლიტერატურაში ფიგურირებს. მაგრამ ბოდლერის პოეტური ტექსტების გამორჩეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, ამ პოეტურ ტექსტთა კრებულს ისიც გამოარჩევს, რომ მზის სემანტიკა სრულად არის წარმოჩენილი, ოღონდ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა სემაა ზედეტერმინებული.

ლიტერატურა

ადამი, ჰეიდმანი, 2008 — Adam J. M., Heidmann U, Entre recueil et intertextes, in Semen, 2008.

ბახტინი, 1978 — Bachtine M. M., Esthétique et théorie du roman, 1978.

ბოდლერი, 2002 — Baudelaire Charles, Les fleurs du mal, Paris, 2002.

რიფატერი, 1979 — Riffaterre M., La production du texte, Paris, 1979.

რიფატერი, 1983 — Riffaterre M., Sémiotique de la poésie, Paris, 1983.

პრუდომი, გილბერი, 2006 — Prud'homme J., Guilbert N., Le langage poétique, 2006.

SYBILA GELADZE

The Essence of a Poetic Text and its Influence on Contexts

Summary

The paper examines some peculiarities of a poetic text on the material of Ch. Baudelaire's poetry. It is maintained that, unlike other types of discourse, poetic texts are characterised by an unusual expression system which is actually formed within the limits of a poem and is based on linear or syntagmatic development. Hence, unexpected syntagmatic combinations condition unusual characteristics of a poetic text. Apart from non-grammaticality, the use of neologisms also plays a decisive role in the formation of a poetic text.

კეთილშობილი

აწმყოს ხოლმეობითის ფუნქციები XII-XVIII საუკუნეების კვლევით ენის მიხედვით

სამეცნიერო ლიტერატურაში აწმყოს ხოლმეობითი პირნაკლ მწკრივად მიიჩნევა, რომელსაც მხოლოდ III პირის ფორმები მოეპოვება, I და II პირის ფორმები კი არ ეწარმოება. ზოგი მკვლევარი მას ცალკე მწკრივად საერთოდ არც გამოყოფს (არაბული, 1980, 35-40; თოფურია, 1953; როგავა, 1968; ჩიქობავა, 1948, 77-80; მისივე, 1940, 136,163). ზ. სარჯველაძის აზრით, ამ მწკრივს უძველეს ქართულში I და II პირის ფორმებიც უნდა ჰქონოდა, რომლებიც გარეგნულად სავსებით იდენტური იქნებოდა აწმყოს შესაბამისი პირებისა. იგი მათ იშვიათ ფორმებსაც გამოავლენს ძველ ტექსტებში (სარჯველაძე, 1984, 425-426). ჩვენი აზრით, აქ ისეთივე მდგომარეობა გვქონდა, როგორც -დ სავრცობიან ზმნათა უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის შემთხვევაში, რომელთა I და II პირის ფორმები მსგავსი იყო და მწკრივებს შორის სხვაობას III პირის ნიშნები ქმნიდა. აწმყოს ხოლმეობითის შემთხვევაში სწორედ ეს გარემოება ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს მას მხოლოდ III პირის ფორმები მოეპოვებოდა. უწყვეტელთან და უწყვეტლის ხოლმეობითთან ეს შთაბეჭდილება ვერ შეიქმნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ -ოდ სავრცობიან ზმნებს I და II პირის ფორმებიც განსხვავებული ჰქონდათ. არნ. ჩიქობავას აღნიშნული აქვს, რომ „ხოლმეობითი ქართული ზმნის უღვლილების ძველისძველი მონაცემია“ (ჩიქობავა, 1948, 77, შნშ.1). იგივე აზრი აქვს გამოთქმული ა. შანიძეს (შანიძე, 1981, 6, შნშ.1). მართალია, ავტორები კონკრეტულად აწმყოს ხოლმეობითს არ გულისხმობენ, მაგრამ ჩვენთვის ამოსავალია შემდეგი: მრავალგზისობა საერთოდ იყო დამახასიათებელი ძველი ქართული ზმნებისთვის, ხოლო ჯერობის კატეგორია ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე და ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო უძველეს ქართულში. ამას ადას-

ტურებს მრავალგზისობის გადმომცემ მწკრივთა სიმრავლე ძველ ქართულში. აქედან გამომდინარე, რაკი უწყვეტელსა და წყვეტილს თავთავიანთი ხოლმეობითები ჰქონდათ (III სერია შედარებით ახალი წარმონაქმნია და მასზე აღარ ვმსჯელობთ), სრულიად ლოგიკურია, რომ აწმყოსაც (ამ უძველეს მწკრივს) თავისი ხოლმეობითი ჰქონოდა. აწმყოს ხოლმეობითის ფუნქცია მრავალგზისი ჯერობის გამომხატვა იყო ახლანდელ დროში და ამ ფუნქციის გამოსახატავად ისევე იყო მოწოდებული I-II პირები, როგორც III პირი. გარდა ამისა, აწმყოს ხოლმეობითს, სხვა ხოლმეობითებისაგან განსხვავებით, ერთი სპეციფიკური ფუნქციაც ჰქონდა — გამომხატავდა **ნუ** ნაწილაკიან უკუთქმით ბრძანებითს. ამისი გათვალისწინება აუცილებელია: თუ I პირისთვის არა, II პირისთვის არანაკლებ საჭირო იყო ბრძანებითობის გადმოცემა, ვიდრე III პირისთვის, ბრძანება ხომ უმრავლეს შემთხვევაში II პირს ეხება. აქედან გამომდინარე, ძველ ტექსტებში(და არა საშუალო საუკუნეების ძეგლებში, რადგან ამ დროის აწმყოს ხოლმეობითის ენობრივი სტატუსი მნიშვნელოვნად განსხვავებულია) გამოვლენილი **ნუ** ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითის II პირის, აგრეთვე მრავალგზისობის გამომხატველი აწყო დროის I-II პირის ფორმები აწმყოს ხოლმეობითებად მიგვაჩნია.. ზურაბ სარჯველაძის აზრით, V-VIII საუკუნეებში აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი ერთმანეთს აშკარად უპირისპირდებოდა, ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში ეს უკანასკნელი თანდათან დასუსტდა. (სარჯველაძე, 1984, იქვე). ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ძველ ქართულში დაწყებული პროცესი შემდეგ შუა საუკუნეებში გაგრძელდა და ახალი ქართული ენის მიჯნაზე დასრულდა.

XII-XVIII საუკუნეების ძველთა ენაში, მართალია, აწმყოს ხოლმეობითი საკმაოდ ხშირად იხმარება, მაგრამ არა ყოველთვის იმ ფუნქციებით, რაც ძველ ქართულში ჰქონდა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი მომავალი დროის ფუნქციით გამოყენების ფაქტები, რაც ერთ შემთხვევაში აწმყოს ანალოგიით აიხსნება, ხოლო მეორე შემთხვევაში — II ხოლმეობითების გავლენით: ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აწმყოს ზმნისწინიანმა ფორმებმა მომავალი დროის მნიშვნელობა შეიძინა. ძველ ქართულში კი აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი ხშირად ენაცვლებოდა ერთმანეთს. ასეთი შემთხვევები საანალიზო ტექსტებშიც ხშირია. აქედან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში აწმყოს ხოლმეობითს ბუნებრივად უწევს მყოფადის შინა-

არსის გამოხატვა. იგი ამ მნიშვნელობით მყოფადის (**resp.** აწმყოს ზმნისწინიანი) ფორმების გვერდითაც გვხვდება და დამოუკიდებლადაც — აწმყოსთან შენაცვლების გარეშეც. ნიმუშები:

„მრისხანე კაცი მსგავს არს ბზიკთა, რომელი უცემნ, კაცთა ავნებნ და თავსაც მოიკლავნ“ (ს.ს.ორბ., III, 118, 1-3);

„უკეთუ დავრდომილ იქმნა კაცი იგი სიმდიდრისაგან და არღარა ძალუც აღნადგინებისა მიცემა, შეიპყრობნ და შეაშთობნ და პირველსა სიყუარულსა გინებად შეუცვალეხს და ესოდენ შეაჭირვეხს“ (იქვე, 107, 14-18).

„წყალდიდობას შემოვალს კაპოეტნი და ჟამად ორაგულნიცა“ (ქ.ცხ., IV, 342, 6-7); შდრ.: შე მოვალ d

„ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი“ (იქვე, 343, 24-25); შდრ.: შე მოვალ n **Rd.**

საანალიზო პერიოდში აწმყოს ხოლმეობითი მომავალი დროის მნიშვნელობით II ხოლმეობითების გვერდითაც დასტურდება. ეს უკანასკნელი ამ ფუნქციით არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა ძველ ქართულში. ამისი ნიმუშები საშუალო საუკუნეების ძეგლებშიც გვხვდება. ამ ფორმების გვერდით წარმოდგენილი აწმყოს ხოლმეობითის ფორმებიც ზოგჯერ მყოფადის შინაარსის შემცველია. მაგალითები:

„რაჟამს თუალნი დაშურიან, სასმენელნი ანაცვალნის, სადა არა გარეწრად, არამედ ფრიალცა ფრთხილად ისმენნ წინაშე თვსსა მკითხველისასა, გამოეძიებნ, ჰკითხავნ, უფროლა თვთ განმარტებნ ძალსა“ (ქ.ცხ., I, 348, 7-9); შდრ.: ისმენენ **ACMm**, გამოეძიებენ **A**, ჰკითხავენ **Mo**, განმარტებენ **A**.

„უკეთუ ვინმე შეეხებინ, თავი თვისი სიკუდილად განწირის და იტყვნ“ (იქვე, 89, 11-12).

აწმყოს ხოლმეობითი II ხოლმეობითების გვერდით ზოგჯერ წარსულ დროს გადმოსცემს. ეს იმ შემთხვევაში, თუ II ხოლმეობითის ფორმებიც წარსული დროის შინაარსის გამომხატველია.

„თვთ ზრდიდის საზრდელითა და ყოვლითა საწმრითა, რაცა უნებნ“ (ქ.ცხ., II, 147, 21-22).

„უკეთუ მათგანი ვინმე იყვის უძლურ, თვთ მივალნ მოხილვად და ნუგეშინის-ცემად და თვთ განუმზადებნ ცხედარსა და სარეცელსა“ (იქვე, 17, 22-23).

„რახამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მაგის აღიღის სასთუე-
ლი, გინა საკერავი და ნაშრომსა მას თვსთა ველთასა ხუცესთა და
გლახაკთა განუყოფნ თვსითა ველითა“ (იქვე, 147, 27-29);
შდრ.: განუყოფნ Z, და სხვა.

შეინიშნება ასეთი ფაქტიც: აწმყოს ხოლმეობითის ფორმები
წარსულ დროს ერთ წინადადებაში უწყვეტის გვერდით გამოხა-
ტავს;

„ძალითა პატროსნისა ჟუარისათა განიკურნებოდეს პირად-პირად-
თავან სატანჯველთა, მოივლტიედ ვედრებად და მყის განი-
კურნებთიედ მოდღენდელად-დღედმდე და აღიდებდეს მამასა და
ძესა და წმიდასა სულსა“ (ქ.ცხ., II, 124, 12-14);

ეს ფაქტი, ცხადია, ჟერობის კატეგორიის მოშლაზე მიგვიბრუნებს.
ამასვე ადასტურებს დარღვევები პირის ნიშანთა ხმარების წესში.
ცნობილია, რომ ძველ ქართულში აწმყოს ხოლმეობითი ერთ-ერთი ის
მწკრივია, სადაც III სუბიექტური პირის **-ნ** და **-ედ** ნიშნები რეალიზ-
დებოდა. საანალოზო ძეგლებში მოიპოვება მაგალითები, სადაც **-ედ**
სუფიქსია მოსალოდნელი, მაგრამ იხმარება **-ნ**:

„ამისად გარდა, სხვა სხვისა თავადთა და აზნაურთა უძენ
წილნი“ (ქ.ცხ., 171).

„მცირეოდენი იპოებინ ესრეთნი კაცნიო“ (ს.ს.ორბ., III, 297,
25-26).

„სად იშოვებინ მსახურნი ყოველჟამ მამებელნი“ (არჩ., I,
104, 69, 1).

განსახილველ პერიოდში აწმყოს ხოლმეობითი კვლავ გამოხატავს
ნუ ნაწილაკიან უკუთქმით ბრძანებით კილოს:

„არა, ნუ იყოფინ“ (ქ.ცხ., II, 129, 6).

„ეცე ნუ გიკვრნ“ (ქ.ცხ., IV, 176, 19-20); შდრ.: „ეფრემის
ძეობა ნუ გიკვირს“ (იქვე, 177, სქ.).

„ნუ ელმინ შობადს, სალმობა არ მუხთლად ყრმაზე მიდგება“
(არჩ., I, 101, 42, 2).

„ძალით ნასყიდვეი და სიძვის სასყიდელი ნუ შეიწირვი-
ედ ტაძრად უფლისა“ (სამ. დ., I, 119, 35).

„ნუცა იყოფინ სახლსა შენსა შინა საწყაული“ (იქვე, 123, 50).

„ნუ შემოვალნ ბანაკად“ (იქვე, 119, 36).

თუმცა **ნუ** ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი, რასაკვირვე-
ლია, უკვე სხვა მწკრივთა საშუალებითაც გამოიხატება (აწმყოსა და

მყოფადის მწკრივებით, II კავშირებით, I თურმეობითით).

საშუალო საუკუნეების ძეგლებში, ისევე როგორც ძველ ქართულ-
ში, აწმყოს ხოლმეობითი ხშირად ენაცვლება აწმყოს მწკრივს. მო-
ნაცვლეობა ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მრავალგზისობაა
გადმოცემული და იმ შემთხვევაშიც, როცა მოქმედების ერთგზისობა
გამოიხატება. რა თქმა უნდა, ისეთი მაგალითებიც მოიპოვება (უფრო
ნაკლებ), სადაც აწმყოს ხოლმეობითია გამოყენებული და აწმყოს
მწკრივთან შენაცვლება არ ხდება.

დავიმოწმებთ ნიმუშებს, სადაც აწმყოს ხოლმეობითი მრავალგზი-
სობას გადმოსცემს:

„მარადის ილოცავნ დღე და ღამე“ (ქ.ცხ., I 94, 10).

„წმიდა ნინო მრავალგზის მივალნ უბანსა მას ჰურიათასა“
(იქვე, 94, სქ.).

„მარადის ჰკითხავნ და გამოიწულილავნ სჯულსა
ქრისტესსა და ასწავებნ წმიდა ნინო“ (იქვე, 105, 4-5).

„მარადის ევედრებინ დედოფალი აღსარებასა ქრისტესსა“
(იქვე, 106, 1).

„მარადის ილოცავნ ხატსა მასთანა წმიდასა“ (სამ.დ., II,
368).

ამ წინადადებებში გზისობა ორგვარად გამოიხატება — მორფო-
ლოგიურად და ლექსიკურად, რაც ამ კატეგორიის შესუსტების
ფაქტს უსვამს ხაზს.

„შენთუის დიასური“ (ვისრ., 129, 30-31).

„ყოველი, რომელი ითხოვნ, მოიღოს და რომელი ეძიებნ,
პოის და რომელი ირეკნ, განედოს“ (ქ.ცხ., II, 56).

„იყოს, ვითარცა მამა სახიერი, რომელი ჰყუარობნ შეილ-
თა და ასწავებნ გზასა“ (სამ.დ., II 56).

„ბეჭედი ესრეთ სხენნ“ (იქვე, 84).

„უალად სხვასა ხმოზედ“ (სამ.დ., III, 725).

„იცვალეზედ და განვარდენ იგინი ნატამალისაგან მათი-
სა“ (ქ.ცხ., I, 379) და სხვ.

აწმყოს ხოლმეობითის მწკრივი ხშირად არის გამოყენებული
არს, აქვს, აძს (სტატიკური შინაარსის) ზმნებთან:

„ოდეს მოსტყდეს სიმჟურვალისა ბუნება, რომელი არნ ტანსა
შინა“ (კარაბ., II, 703, 35-36).

„ეცეცა და ზეცისაც გარნა სიმშვიდე ორ-სახე არიედ“ (ს.ს.

ორბ., III, 313, 1-16).

„ამათ ერწოთა წელ ყოველ აძენ ახმეტისა ზვრისა მუშაობა“ (სამ.დ., II, 367).

„ამისად გარდა, სხვა სხვისა თავადთა და აზნაურთა უძენ წილნი“ (იქვე, 171).

„რაც ბეგარა მეფის განწესებული აქვან, ისე ამასხურებდეთ“ (სამ.დ., III, 528).

„მე თუ რამე სიკეთე მაქვენ — შენგან“ (ს.ს. ორბ., I, 70, 11) და სხვ.

წარმოვადგენთ ნიმუშებს, სადაც აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი ურთიერთმონაცვლეობენ:

„ისი კაცნი კაცობრივითა ძალითა არა იჯობინებინ“ (ამირანდ., 185, 3); შდრ.: იჯობინებინ **O**.

„ჯეროთ ქალთა ქაჯნი არ ახლვან“ (ვეფხ., 1320(დ)); შდრ.: ახლავან **ZR1** ბჩქარაბჭუწ.

„აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი“ (იქვე, 1303, მ); შდრ.: მახლავან **D** ბჩქარაბჭუწ.

„შუა ძოწსა და აკიკსა ჭვირს მარგალიტი ტყუბები“ (იქვე, 146, დ); შდრ.: ჰსჭვირნ ბ.

„გამოეძიებენ, ჰკითხვენ, უფროლა თვით განმართებენ ძალსა“ (ქ.ცხ., I, 348,7-9); შდრ.: გამოეძიებენ **A**, ჰკითხვენ **Mm**, განმართებენ **A**.

წარმოვადგენთ ნიმუშებს, სადაც აწმყოს ხოლმეობითია გამოყენებული, მაგრამ მოსალოდნელია აწმყო:

„ვის ელმინ, უღებ იქმნების“ (არჩ., I, 104, 69, 1).

„კარგს ნიჭი უხამნ, ბოროტსა პასუხისგება მალავსა“ (იქვე, 85, 25, 1).

„უკეთუ ვისმე ნებავენ, დაუტევენ მამული და წარმოვედინ ჩემთანა“ (ქ.ცხ., II, 239, 3).

„ასეთი ჭირი და სენი კაცსა არც კი ეჭირვებინ“ (იად.დ., 122, 30-31) და სხვა მრავალი. საინტერესოა შემდეგი წინადადება:

„მრისხანე კაცი უქონელობისათვის ტირნ, ქონებისათვის იბრძვის, შიმშილისათვის ოხრავნ, სიმაძღრისათვის კვნესის, რასად ვაგრძელებ, ყველთა ჟამთა მრისხანეობნ, არა დამშვიდნების, არა დასცხრების წუთსაცა ერთსა“ (ს.ს. ორბ., III, 118, 17-21).

აქ ერთმანეთის გვერდითაა გამოყენებული აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის მწკრივები. ეს არის დასტური იმისა, თუ საშუალო საუკუნეების ძეგლებში ერთი და იმავე გზისობის გამოსახატავად როგორ იხმარება ერთგზისი და მრავალგზისი ჯერობის გამომხატველი მწკრივები. იშვიათად ვრცელ ფრაზაში შეიძლება მხოლოდ აწმყოს ხოლმეობითის ფორმები იყოს გამოყენებული:

„მონათა და მვევალთა სტანჯავნ, თავთა თვისთა ზედასა-ზედა შეიჩვენებნ, პირუტყვთა კვერთხითა ჰგვემნ ჭურჭერთა შემუსრავნ, რომელთამე განვეთქნ, ღმრთისათვის დრტვინავნ, ჰაერთა სწუნობნ, სიცხეთა სძაგებნ, სიცივეთათვის ბოროტს-მზრახველობს, წვიმათათვის

წუნხნ, გვალვათათვის ვაებნ“ (იქვე, 118, 13-17).

აქ ერთადერთი ზმნაა გამონაკლისი (ბოროტს-მზრახველობს).

ამრიგად, მიუხედავად აწმყოს ხოლმეობითის ხშირი გამოყენებისა საშუალო საუკუნეების ძეგლებში, იგი საკმაოდ შესუსტებული. ამაზე მისი ფუნქციების მოშლის ფაქტი მიგვითითებს: ერთგზისი ჯერობის გადმოსაცემად იგი ხშირად ენაცვლება აწმყოს მწკრივს. გარდა ახლანდელი დროისა, გამომხატავს წარსულ და მომავალ დროებს, რაც ძველ ქართულში არ შეინიშნებოდა. წარსული დროის შინაარსს იგი II ხოლმეობითისა და უწყვეტლის ფორმების გვერდით შეიცავს, მომავალი დროის თხრობით კი ორ შემთხვევაში გადმოსცემს: 1. როდესაც იხმარება II ხოლმეობითების გვერდით და 2. მყოფადის მწკრივის ნაცვლად. რაც შეეხება მყოფადის მწკრივთან მისი შენაცვლების ფაქტს, იგი შედეგია ასპექტის სისტემაში მიმდინარე ცვლილებისა: აწმყოს ზმნისწინიანმა ფორმებმა მომავალი დროის მნიშვნელობა შეიძინეს და რადგან აწმყოს ხოლმეობითი ხშირად ენაცვლება აწმყოს, იგი ამ ახალ ფუნქციასაც (გარდამავალ პერიოდში) ბუნებრივად ითავსებს. ახლანდელი დროის გამოხატვა აწმყოს ხოლმეობითის ძირითადი ფუნქციაა. ამ შემთხვევაში (ოღონდ მხოლოდ მრავალგზისობის გადმოცემის დროს) იგი თავისი დანიშნულებითაა გამოყენებული. **ნუ** ნაწილაკიან უკუთქმით ბრძანებითსაც ჩვეულებრივ გამოხატავს, მხოლოდ ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ამ ფუნქციას საანალიზო პერიოდში უკვე სხვა მწკრივებიც ასრულებს. ეს კი უკვე თანამედროვე ქართულის ვითარებაა.

არაბული, 1980 — ა. არაბული, სპორადულად გამოვლენილ III პირის -ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

თოფურია, 1953 — ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკვ, V, 1953.

როგავა, 1968 — გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში: იკვ, XVI, 1968.

სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

შანიძე, 1981 — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.

ჩიქობავა, 1940 — არნ. ჩიქობავა, მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, Va-VI, თბ., 1940.

ჩიქობავა, 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძვ. ქართ. სალიტ. ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948.

ვეფხ.: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1966.

ამირანდ.: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967.

ვისრ.: ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962.

ქ.ცხ., I, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ., ტ. I, თბ., 1955.

ქ.ცხ., II, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

ქ.ცხ., IV, ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

იად. დ.: იადაგარ დაუდი და ვით ბაგრატიონი, იადაგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბ., 1985.

კარაბ., II: კარაბადინი, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურალო წიგნი, კარაბადინი, II, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ. თბ., 1989.

ს.ს.ორბ. I: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და ლ. ბარამიძემ, თბ., 1959.

ს.ს.ორბ. III: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1963.

სამ. დ. I: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963.

სამ.დ. II: ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965.

სამ. დ. III: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.

არჩ. I: არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1936.

KETEVAN GIGASHVILI

The Functions of the Present Permansive in the Language of the 12-18th Century Manuscripts

Summary

The paper discusses the functions of the Present Permansive in the language of the 12-18th century manuscripts. It has been observed that its use during the given period is rather weakened and its functions are distorted. The

Present Permissive often substitutes the Present Mtskrivi to convey the meaning of a single iterative action. Besides, unlike Old Georgian, it can express Past and Future actions as well. The Present Permissive shows the Indicative mood of the Future in two instances – when it is used: a. together with Permissive II; b. instead of the future Mtskrivi.

Expressing the meaning of the Present is the main function of the Present Permissive. It can also form the negative imperative with the particle nu. However, unlike OG. during this period the given function can be conveyed by other Mtskrivis too. The latter trait is typical of Modern Georgian.

გიორგი ბოგოლავიძე

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები*

III. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების
ისტორია და პერსპექტივა

1. ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხი

როცა ვსაუბრობთ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხზე, უპირველესად უნდა დაზუსტდეს, რა გვესმის ამ ცნების ქვეშ. ე. ი. რა არის **ახალი ქართული სალიტერატურო ენა**, რა პერიოდს მოიცავს იგი; რა ეტაპის ნორმებზე ვსაუბრობთ... ამიტომ საჭიროდ ვთვლით, მიმოვიხილოთ ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხი.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხი აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს.

არსებობს თვალსაზრისი, რომ არ უნდა მოხდეს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდებად დაყოფა: „თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ერთი სალიტერატურო ენით იქმნებოდა და იქმნება დღემდე... სპეციალურ ლიტერატურაში ხმარებული იმგვარი ტერმინები, როგორცაა „ძველი ქართული ენა“, „ძველი ქართული ლიტერატურა“, ეს არის პირობითი, სამუშაო ტერმინები, უმთავრესად სხვა ხალხთა წამხედურობით შექმნილი, რომლებიც იხმარება მეცნიერული კვლევა-ძიების დროს გამოყენებული მასალის მარჯვედ დასაჯგუფებლად...“ მკვლევრის აზრით, „ძველ და ახალ წერილობით ძეგლებს შორის არსებული ენობრივი სხვაობა არავითარ საფუძველს არ ქმნის დედაქართულის „ძველ“ და „ახალ“ ქართულად გამოყოფისათვის“ (თვარაძე 1978, 42).

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ორი პერიოდი უნდა გამოიყოს:

* ნაშრომი შესრულებულია Volkswagen Stiftung-ის პროექტით „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“.

„ძველი ქართულისა (V-XI სს) და ახალი ქართულისა (XII საუკუნიდან დღემდის). ახალი ქართულის ჩამოყალიბება XII საუკუნიდან იწყება საერო მწერლობის ძეგლებში; XVIII საუკუნისთვის ეს პროცესი დამთავრებულია... ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ დავაყენებთ XII-XVII საუკუნეთა ქართულს; მას დამოუკიდებელი სახე არ აქვს, არც გრამატიკული წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ. ე. ი. არც ერთი იმ მომენტის მიხედვით, რაც ენის საფუძველს ქმნის... მას, როგორც გარდამავალ საფეხურს, ცალკე პერიოდად — ძველი და ახალი ქართულის გვერდით — ვერ გამოვყოფთ“ (ჩიქობავა 1952, 364).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფს აკაკი შანიძე:

ძველი ქართული ენა (V-XI სს.);

საშუალო ქართული ენა (XII-XVIII);

ახალი ქართული ენა (XIX-XX სს.) (შანიძე 1920; 1976 და სხვა).

ეს თვალსაზრისი დღეს ყველაზე მეტად არის გავრცელებული; მის დასაბუთებას საგანგებო წერილში შეეცადა ზ. ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე 1982). იქვე წარმოდგენილია საკითხის შესწავლის ვრცელი მიმოხილვა.

სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფს ფ. ერთელიშვილი, თუმცა დაყოფა განსხვავებულია: „ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია ამგვარი დაყოფითა და ტერმინებით წარმოგვიდგება: ძველი სალიტერატურო ენა — V-XI სს., ახალი სალიტერატურო ენა — XII-XIX სს., თანამედროვე სალიტერატურო ენა — XX ს. (ერთელიშვილი 1968).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ხუთ პერიოდს (ავტორი მას ეტაპებს უწოდებს) გამოყოფს ბ. ჯორბენაძე: სალიტერატურო ენის განვითარებაში „უნდა გამოვყოთ რამდენიმე პერიოდი: 1. **პირველი**, საწყისი ეტაპია ძველი ქართული, კლასიკური სალიტერატურო ენა V საუკუნიდან XI-XII საუკუნეებამდე, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მკვეთრად გამოყოფილი კანონზომიერებანი, კერძოდ, კანონიზებულია ფორმების მკვეთრად დაცვა... 2. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების **მეორე** ეტაპი XI-XIII საუკუნეებიდან იღებს სათავეს, როცა საერო ლიტერატურის დამკვიდრებას არსებითი ცვლილებები მოჰყვა ენობრივი თვალსაზრისითაც... 3. ... რეალური საფრთხე განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებში დაუდგა ქარ-

თულ ენას. უთუოდ ამგვარ ვითარებაზე რეაქციას წარმოადგენს ანტონის სამი სტილის თეორია... სწორედ ეს თეორია დაედო საფუძვლად ქართული სალიტერატურო ენის **მესამე** ეტაპს... 4. მხოლოდ ცოცხალი კილოების შინაგანი განვითარების ტენდენციათა შესისხლხორცება გადაარჩინდა ქართულ ენას სრული განადგურებისაგან. ეს პროცესი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო თერგდალეულთა მესვეურობით და იგი უკვე **მეოთხე** ეტაპია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა... 5. XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას. მას პირობითად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შეიძლება ეწოდოს (**მეხუთე** ეტაპი)“ (ჯორბენაძე 1989).

ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევისას ამ თემას მრავალი მეცნიერი შეხება. ისინი ძირითადად იზიარებენ ა. შანიძის ან არნ. ჩიქობავას თვალსაზრისებს. მათ ჩამოთვლას აღარ შევუდგებით. რ. თვარაძის თვალსაზრისი, ფაქტობრივ, არავის გაუზიარებია, პირიქით, საკმაოდ მკაცრადაც გააკრიტიკეს (ძიგუაძე 1978; ჭუმბურიძე 1982).

ფ. ერთელიშვილისა და ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისები ნაკლებად პოპულარულია (ამიტომ შევეცადეთ უფრო ვრცლად წარმოგვედგინა), თუმცა, ვფიქრობთ, საინტერესო და ანგარიშგასაწევია.

რატომ ჩავთვალეთ საჭიროდ ამავე საკითხზე ყურადღების გამახვილება? ვფიქრობ, მსჯელობისას არათანაბარი ოდენობის ერთეულებია დაყენებული გვერდიგვერდ. კერძოდ: რის პერიოდიზაციას ვახდენთ: ქართული სალიტერატურო ენისას თუ ქართული ენისას? შევეცდებით ჩვენი შეკითხვა განვმარტოთ.

რა არის სალიტერატურო ენა?

ჩვეულებრივ განმარტავენ: „სალიტერატურო ენა არის ეროვნული ენის უმაღლესი და დახვეწილი, ნორმისებული სახე“ (ჯორბენაძე, 1989, 205). სალიტერატურო ენა არ ფარავს ეროვნულ ენას. ჩვენთვის ამოსავალია თვალსაზრისი: „ეროვნული ენა აერთიანებს ყველაფერს — ყველა სახის დიალექტს, სალიტერატურო ენას, სხვადასხვა სახის კოინესს, იდიოლექტს. აქ უფრო კონგლომერატთან გვაქვს საქმე, ვინმე მკაცრ ენობრივ სისტემასთან“ (ჯორბენაძე 1989, 151). შესაბა-

მისად, ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა, ნაირსახეობა (ტერმინისათვის იხ. ვაინრაიხი, 1968) არის შემადგენელი ნაწილი ეროვნული ენისა, იქნება ეს ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტი, სოციალური დიალექტი თუ სალიტერატურო ენა. როგორც ითქვა, სალიტერატურო ენა არის „უმადლესი და დახვეწილი, ნორმირებული“ სახესხვაობა ეროვნული ენისა; მეტ-ნაკლებად ხელოვნური, უფრო მეტად კონსერვატიული, ვიდრე ბუნებრივი სახესხვაობანი.

ამდენად, როცა ვსაუბრობთ თანამედროვე ქართულ ენაზე (**ქართული ენა** ჩვენს მსჯელობაში უდრის **ეროვნულ ენას**), იგულისხმება ერთობლიობა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისა და ყველა იმ ნაირსახეობისა, რომლებიც მოეპოვება დღეს ქართულ ენას, უპირველესად ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებისა. ვიმეორებთ: დიალექტები ბუნებრივი ნაირსახეობანია თანამედროვე ქართული ენისა, ხოლო სალიტერატურო ენა — ზედიალექტური, ნორმირებული ნაირსახეობა, მეტ-ნაკლებად ხელოვნური; ცხადია, სხვადასხვა სახისა, მაგრამ მაინც ერთი დონის (დროული გაგებით) ერთეულები. ნებისმიერი ეპოქის, ნებისმიერი დროის ეროვნული ენა მსგავსი კონგლომერატია (ცხადია, ვგულისხმობთ ენას, რომელსაც მოეპოვება სალიტერატურო სახესხვაობა).

ამ პოზიციიდან ვხედავთ განსახილველ პრობლემას.

ახალი ქართული არის ეროვნული ენის განვითარების ერთი საფეხური ყველა ზემოწარმოდგენილი ნიშნის მიხედვით; ჩვენ მასზე შეგვიძლია ვიქონიოთ სრულყოფილი წარმოდგენა მისი შემადგენელი ყველა სახესხვაობის გათვალისწინებით, ანუ; სალიტერატურო ენითა და დიალექტებით.

ასე არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი ქართული ენის შესახებ. ძველ ქართულ ენაზე წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ მხოლოდ მისი ერთი ნაირსახეობის — სალიტერატურო ენის — მიხედვით. ანუ: ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ძველ ქართულ სალიტერატურო ენას და არა გვაქვს წარმოდგენა, მის გვერდით რა სახესხვაობანი იყო ძველი ქართულისა. ცხადია, სალიტერატურო ენის გვერდით იყო არაერთი დიალექტური სახესხვაობა. ასახელებენ კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მათგანს: ა) სამხრეთ-აღმოსავლური დიალექტი (იგივე ხანმეტი), ბ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი (იგივე ჰამეტი), გ) ცენტრალური დიალექტი (იგივე -გვ კილო), დ) ჩრდილო-აღმოსავლური (იგივე ფხოური კილო). ეს ვარაუდებია (საკმაოდ სარწმუნო

არგუმენტებზე დამყარებული). როგორც ვთქვით, რეალურად შეგვიძლია მსჯელობა მხოლოდ სალიტერატურო ნაირსახეობაზე.

ამგვარად, ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა ჩვენს წარმოდგენაში სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებია. პირველ მათგანს ვიცნობთ მხოლოდ ერთი ნაირსახეობით; მეორეს — სრულყოფილად, ყველა ნაირსახეობით. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია **ძველი ქართული სალიტერატურო ენის** გვერდით მხოლოდ **ახალი ქართული სალიტერატურო ენა** განვიხილოთ — როგორც თანაბარი დონის ენობრივი ერთეულები.

არავინ დაობს და არც შეიძლება სადავო იყოს ის, რომ ეს არის კლასიკური გაგებით ორი სალიტერატურო ენა ყველა „იმ მომენტის მიხედვით, რაც ენის საფუძველს ქმნის“ (ჩიქობავა 1952, 369)

არსებობს თუ არა საშუალო ქართული სალიტერატურო ენა? ანუ ახლისა და ძველის გვერდით მესამე სახესხვაობა სალიტერატურო ენისა „ყველა იმ მომენტის გათვალისწინებით, რაც ენის საფუძველს ქმნის?“ ცხადია, არა. არ იზიარებენ, მაგრამ არავის უცდია განხილვა და უარყოფა მსჯელობისა: „ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ დავყენებთ XII-XVII საუკუნეთა ქართულს; მას დამოუკიდებელი სახე არ აქვს არც გრამატიკული წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონის მხრივ“ (არნ. ჩიქობავა, იქვე). არადა, ძველისა და ახლის გვერდით მესამე ერთეულის გამოყოფისათვის ეს აუცილებელი პირობაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე; მაგრამ ვერ ავაგებთ საშუალო ქართული სალიტერატურო ენის სისტემას, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. საშუალო ქართულის შესახებ წერენ: „ამ პერიოდის სალიტერატურო ენის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ფორმათა სიჭრელე და ერთიანი ნორმების უქონლობა“ (ჭუმბურიძე, 1982, 24). ფორმათა სიჭრელე და ერთიანი ნორმების უქონლობა არ შეიძლება იყოს სალიტერატურო ენის ნიშნები.

ამდენად, თუ ვმსჯელობთ **ქართული სალიტერატურო ენის** თაობაზე, მართებული იქნება, გამოიყოს **ორი ერთეული — ძველი ქართული სალიტერატურო ენა** და **ახალი ქართული სალიტერატურო ენა**; რეალური ფაქტია როგორც ერთი, ასევე მეორე.

რა არის საშუალო ქართული? არსებობს თუ არა ასეთი რეალო-

ბა? ცხადია, არსებობს, მაგრამ ის არ არის სალიტერატურო ენა. უფრო სწორად, არ არსებობს საშუალო ქართული სალიტერატურო ენა ყველა იმ პარამეტრის მიხედვით, რაც უნდა ახასიათებდეს სალიტერატურო ენას. გავიხსენოთ: „ყველა სალიტერატურო ენას აქვს თავისი ნიშნები:

ა) იგი არის საერთო და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;

ბ) სალიტერატურო ენა არის სამწერლობო და ზეპირი...

გ) სალიტერატურო ენა არის ნორმირებული...

დ) სალიტერატურო ენა არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება“ (ჯორბენაძე 1989, 154).

საუბრობენ სხვა ნიშნებზეც, მაგრამ არც ერთი ეს ნიშანი არაა დამახასიათებელი საშუალო ქართულისათვის. უფრო სწორად, XII-XVIII საუკუნეების ქართული არ შეიძლება გაერთიანდეს ამ ნიშნების მიხედვით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენობრივი ერთეული — საშუალო ქართული — არ არის იმ ნიშნების მატარებელი, რაც მას წარმოგვიდგენდა როგორც სალიტერატურო ენას, განსხვავებით ძველი და ახლი ქართული სალიტერატურო ენისაგან.

ამ მსჯელობით ჩვენ მხარს ვუჭერთ თვალსაზრისს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ორი პერიოდის გამოყოფის თაობაზე. მაგრამ მსჯელობას აქ ვერ შევწყვეტთ. არ არსებობს საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ საშუალო ქართული, როგორც ენობრივი რეალობა, ფაქტია — უაღრესად რთული და საინტერესო. მაგრამ იგი განიხილება, როგორც კონგლომერატი — სხვადასხვა ტიპის სახესხვაობათა ერთობლიობა.

დაიძებნა ცალკეული ენობრივი მოვლენები; ფაქტები, რომლებიც თავს იჩენს საშუალო ქართულის პერიოდში (იხ. ჭუმბურიძე, 1982); მაგრამ მათ შორის არ არის არც ერთი ენობრივი ფაქტი და მოვლენა, რომელიც თანაბრად იყოს დამახასიათებელი XII-XVIII საუკუნეების ქართულისათვის, როგორც ამ პერიოდის ენობრივი ნორმა. სხვაგვარად, არ დასტურდება არც ერთი ენობრივი ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც ძველისა და ახლის გვერდით (მათ მსგავსად) შეიძლება მივიჩნიოთ საშუალო ქართულის ნორმად. ჩვენ არ ვსაუბრობთ ისეთ ფაქტებსა თუ მოვლენებზე, რაც ნორმა იყო ძველისათვის ან ნორმაა ახალი ქართულისათვის და გვაქვს საშუალოშიც. ჩვენი მსჯელობა, ცხადია, არ უარყოფს საშუალო ქართულის ფაქტებსა და მოვლენებს,

მაგრამ სხვა კვალიფიკაციას აძლევს მას. კერძოდ: ეს ენობრივი ფაქტები თუ მოვლენები არის დამახასიათებელი საშუალო ქართულის სხვადასხვა სახესხვაობისათვის. ეს სახესხვაობები შეიძლება განიხილებოდეს დროშიც და სივრცეშიც, ანუ: არის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია საშუალო ქართულის მხოლოდ ადრეული პერიოდისათვის და — პირიქით, დამახასიათებელია მხოლოდ მოგვიანო პერიოდისათვის.

ამავე პერიოდის ძეგლებში ჩვენ ვხვდებით ისეთ ენობრივ ფაქტებს, რომელთა კვალიფიკაცია შეიძლება მხოლოდ როგორც დიალექტიზმებისა... გასათვალისწინებელია სტილებრივი სხვაობაც; ცალკეული ავტორის ენობრივი თავისებურებანი და სხვა...

ამის თაობაზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაწერილა (მაგალითად, ქავთარაძე 1964 და სხვა.); ბოლო პერიოდში რამდენიმე დისერტაცია იქნა დაცული. იმ დისერტაციათა განხილვისას აღვნიშნე კიდევ, რომ თითოეული ასეთი კვლევა ადასტურებს თვალსაზრისს, რომ არ არსებობს ერთიანი საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არსებობს საშუალო ქართული, როგორც ენობრივი რეალობა თავისი მრავალგვარი ნაირსახეობით.

ამ გაგებით საშუალო ქართული ჩვენ შეიძლება დავაყენოთ ახალი ქართული ენის გვერდით — როგორც საერთო-ეროვნული ენის განვითარების ორი საფეხური.

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის შედეგებს, შეიძლება მწირი, მაგრამ მაინც გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ძველ ქართულ ენაზე — როგორც საერთო-სახალხო ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე.

ამის გათვალისწინებით საერთო-სახალხო ენის განვითარების საფეხურებზე როცა ვსაუბრობთ, შეიძლება გამოვყოთ: ა) **ძველი ქართული ენა**, ბ) **საშუალო ქართული ენა**, გ) **ახალი ქართული ენა**. პირობითად შეიძლებოდა გვემსჯელა უძველეს ეტაპზეც — V საუკუნემდე პერიოდზეც. ამ შემთხვევაში განიხილებოდა ის ენობრივი ვითარება, რამაც ხელი შეუწყო ძველი ქართულის პერიოდის ჩამოყალიბებას.

საგულისხმოა ის აზრი, რომლის მიხედვითაც ძველი ქართულის შემდგომ პერიოდში შესაძლებელი არის რამდენიმე ეტაპის გამოყოფა (ბ. ჯორბენაძე, ფ. ერთელიშვილი), მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი კვლევის მიზანი.

ჩვენ მსჯელობა შეიძლება ამგვარი სახით დავასრულოთ:

1. თუ ვმსჯელობთ **ქართულ სალიტერატურო ენაზე**, უნდა გამოვყოთ **ორი ერთეული**.

ა) **ძველი ქართული სალიტერატურო ენა** და ბ) **ახალი ქართული სალიტერატურო ენა**.

2) თუ ვსაუბრობთ **ქართული ენის — საერთო-სახალხო ენის** (არამხოლოდ სალიტერატურო ენის) შესახებ, შესაძლებლად მიგვაჩინია ვიმსჯელოთ **სამ ერთეულზე**:

ა) **ძველი ქართული ენა**.

ბ) **საშუალო ქართული ენა**.

გ) **ახალი ქართული ენა**.

დასაშვებად მიგვაჩინია ამ შემთხვევაში საუბარი სამზე მეტ ერთეულზეც (მაგალითად: უძველესი ქართული, თანამედროვე ქართული და სხვა.).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით ახალი ქართული ენა, ალბათ, სწორედ XI-XII საუკუნეებში იღებს სათავეს. ცხადია, იმდროინდელი სალიტერატურო ენა და მისი ნორმები პრინციპულად სხვაობს იმ სალიტერატურო ენისა და მისი ნორმებისაგან, რასაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენას ვუწოდებთ. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესახებ ეტაპობრივად და არა ზოგადად. ცხადია, არის ისეთი ფაქტები, რომელიც ნორმატული თვალსაზრისით საერთოა XII საუკუნის ქართულისათვისაც და XXI საუკუნის ქართულისათვისაც; თუმცა არაიშვიათია ისეთი ფაქტებიც, რაც ნორმა ახალი ქართულის ადრეული პერიოდისათვის, ანაქრონიზია თანამედროვე ენისათვის.

2. მცირე ისტორიული ექსკურსი

არსებობს თვალსაზრისი, რომ სალიტერატურო ენის ნორმირებისათვის აუცილებელია ნორმატიული გრამატიკის არსებობა. ამ დებულების მიხედვით, ვერ ვისაუბრებთ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებაზე, რადგანაც V-X საუკუნეებში ამ სახის გრამატიკული ნაშრომები არ მოგვეპოვება. მაგრამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის გაცნობა სხვაგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა; რომ ძველი ქართული „წერილობით ძეგლთა ენის შესწავლა უეჭველს ხდის იმას, რომ სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა

ჩამოყალიბებული და მათ მწერლები და გადამწერები მკაცრად იცავენ. სწორედ ამიტომაც თვალში საცემი ყოველი გადახვევა სალიტერატურო ენის ნორმათაგან“ (სარჯველაძე, 1984, 89).

მწიგნობრებმა რომ კარგად იციან, რა არის ნორმა და რომ არსებობს ენაში ფორმები, რომლებიც არ არის სამწიგნობრო ქართული, ამის კარგი მაგალითია გიორგი მთაწმიდელის (1009-1065წწ.) ანდერძი: „ესე საცნაურ ყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმინდა ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთა თა ბერძნულთა სახარებათა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერა, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალეზთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რა მე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმინდად თარგმნილნია და კეთილად — ხანმეტნიცა და საბწმინდურნიცა, — მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ!“ (შანიძე, 1981, 283). ფაქტია: მოთხოვნა გიორგი მთაწმიდელისა თუ, ერთი მხრივ, აზრობრივი სიზუსტის დაცვას გულისხმობს, მეორე მხრივ, ენის ნორმათა დაცვას. გარდა ხაზგასმულისა, ერთი მომენტიცა საგულისხმო: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმინდად თარგმნილნია და კეთილად — ხანმეტნიცა და საბწმინდურნიცა,“ — როცა ამას ამბობს, ეს ხაზგასმია იმისა, რომ ყველა თარგმანი სახარებისა, წმინდად და კარგად არის თარგმნილი, ცხადია, ენა იგულისხმება. წმინდა და კეთილი — სწორ ქართულს გულისხმობს, ნორმალურ ენას ვარაუდობს. ამიტომ მოუწოდებს, არაფერი შეცვალოთ!

აქედან კარგად ჩანს, რომ ბიბლიის ქართული თარგმანის ენა იყო ნორმა სალიტერატურო ქართულისა და არა მხოლოდ მთაწმიდელის ეპოქაში; ასე იყო ეს, როგორც ჩანს, V საუკუნიდან მოყოლებული. ამიტომაც იყო მკაცრად ნორმირებული ძველი ქართული სალიტერატურო ენა. წიგნობარს არ ჰქონდა ამ ნორმებიდან გადახვევის უფლება. მან ზეპირად იცის საღმრთო წიგნები. ვავისენოთ გიორგი მერჩულე: გრიგოლმა „საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართანა“... სწორედ საღმრთო, სულიერი რომ სწორ, წმინდა, ლიტერატურულ ქართულთან ასოცირდება, ეს ჩანს გიორგი ხუცეს-მონაზვნის მინიმენებიდან მთაწმიდელის თაობაზე: „ხუცესი იგი ესევეთარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიო სიტყუა არა

გამოვიდოდა, არამედ ყოველივე **სადმართო** და **სულიერი**“. **მსოფ-ლიო სიტყუა** კი **არასალიტერატურო, დიალექტურ ფორმებს** გულისხმობს. სწორი, **ლიტერატურული ქართული — სადმართო და სულიერი!** სალიტერატურო ენით საუბარი რომ ღირსება იყო კაცისა, ეს თავისთავად ფასს სდებდა წიგნიერებას, სალიტერატურო ენას.

და კიდევ ისიც უნდა ითქვას, რომ მიაჩნიათ — კარგი ქართული წმინდა სალიტერატურო ენით მოღვაწეობა ქართველთა ენისა და ქვეყნის ამაღლებაა. გიორგი მთაწმიდელი ექვთიმეს შესახებ ამბობს: **„განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა**, რომლისა — იგი ნა-მუშაკვიე ახარებს შორიელთა და მახლობელთა“.

ღიახ, შედეგი ამგვარი დამოკიდებულებისა სამწიგნობრო ენისა-დმი, სალიტერატურო ენისადმი იყო ის, რომ სალიტერატურო ენა მეტ-ნაკლებად დაშორდა ცოცხალ სასაუბრო ენას, **მსფლიო სიტყვა** უკვე აშკარად სხვაობს **სამწერლობო ენისგან**. ეს სხვაობა თანდათან იზრდება. დავუკვირდეთ: წიგნის ენა შორდება ცოცხალ სასაუბრო ენას, საერთო-სახალხო ენას. მიუთითებენ: „სალიტერატუ-რო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის გარკვეული წი-ნაალმდევობა არსებობს. სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატუ-ლი ხასიათისაა, საუკუნეებს უძღვება; ცოცხალი მეტყველების ფორმე-ბი გაცილებით სწრაფი ტემპით იცვლება. სალიტერატურო ენის ნორმები ხშირად მას შემდეგაც უცვლელია, რაც ცოცხალ მეტყველე-ბაში ამ ნორმათა საფუძველი გრამატიკული თუ ფონეტიკური ევო-ლუციის შედეგად აღარ არსებობს“ (ზ. სარჯველაძე).

სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით რეფორმატო-რულ ცვლილებად უნდა იქნეს განხილული ხანმეტობიდან ჰაემეტო-ბამდე და შემდგომ სანნარევი ვითარებამდე მომხდარი ცვლილებები. რა იყო მექანიზმი ამგვარი გადასვლისა, რა გზით გატარდა ეს რე-ფორმა, ძნელია დღეს ამის შესახებ საუბარი. საორიენტაციო დია-ლექტის ცვლის საკითხი (ა. შანიძე) საინტერესო ჰიპოთეზად რჩება.

და პირველი პრინციპული ხასიათისა და ფართომასშტაბიანი რე-ფორმა ქართული სალიტერატურო ენისა მოახდინა შოთა რუსთა-ველმა.

როგორც ვთქვით, საკმაოდ დაშორდა „წიგნური“ და „ხალხური“

მეტყველება ერთმანეთს. შოთა რუსთაველმა, ფაქტობრივ, მოხსნა ეს განსხვავება და სამწერლობო ენა (ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ ენა) დააფუძნა ცოცხალ სასაუბრო ენას — საერთო-სახალხო ენას. პრინციპი — სალიტერატურო ენა საერთო-სახალხო ენას უნდა ეფუძ-ნებოდეს — რუსთაველმა გაატარა ბოლომდე. ამიტომაცაა: X-XI საუ-კუნეების ძეგლების ენა უფრო მეტ სახესხვაობას ამჟღავნებს რუსთა-ველის ენასთან, ვიდრე V-VI საუკუნეების ძეგლთა ენასთან.

რუსთაველის შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ იგი რომელიმე კონკრეტულ დიალექტს დაემყარა; მისთვის საორიენტაციო იყო საერ-თო-სახალხო ენა. საკითხის საგანგებო შესწავლის შემდეგ არნ. ჩიქო-ბავა დაასკვნია, რომ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების (უმთავრესად ქართლურ-კახურის) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ სა-ქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისთვის ნიშანდობლივი მონაცემები; ფაქტია სამცხური დიალექტის თავისებუ-რებათა დადასტურებაც...

ამიტომ ვიმეორებთ: შოთა რუსთაველის მიერ ქართული სალი-ტერატურო ენის ისტორიაში მომხდარი რეფორმის მთავარი მიმარ-თულება ასეთია: **სალიტერატურო ენა უნდა ემყარებოდეს საერ-თო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები**.

რეფორმა, რომელიც რუსთაველმა ჩაატარა, წარმატებული აღმო-ჩნდა...

რუსთაველის შემდგომ ეპიქაში საქართველოს პოლიტიკური ერ-თიანობის რღვევამ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდა-ციის დასუსტებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ სალიტერა-ტურო ენას. დიდია უცხო ენათა გავლენა... მაღალი პოეტური ენა რუსთაველისა გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგა. „სხვა ენათა განუკითხავმა მოძალებამ გარდაუვალი შერყევის საშიშროება შეუქმნა მას. დარბაისლური მეტყველება გარმიანული ჟარგონით იცვლება. ენა კარგავს ეროვნულ ნიშანს, ივსება ბარბარისმებით, უცხოური კალკებით, იფიტება, მოუქნელი და მყიფე ხდება“ (ბ. ჯორბენაძე).

შემოფოთდნენ ერისკაცები.

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით“ — ეს მეფე-პოეტ არჩი-ლის შეძახილია. სულხან-საბა ორბელიანმა ქართული ლექსიკონი

შექმნა; თავთავის ადგილი მიუჩინა დიალექტურ თუ უცხოენოვან სიტყვებს და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმატიული ფორმები წარმოაჩინა. არ შეგლის...

XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით რეალური საფრთხის წინაშე დადგა ქართული ენა...

და ასპარეზზე გამოჩნდა ანტონ ბაგრატიონი — **ანტონ I კათალიკოსი**. ამ უდავოდ ბუმბერაზმა პიროვნებამ, თვალსაჩინო მოღვაწემ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა შემოგვთავაზა.

3. ანტონ პირველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა

ახალი ქართული სალიტერატურო ენა XIX საუკუნის ფაქტია. იგი ყალიბდება, ფაქტობრივ, ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე.

ილია ჭავჭავაძე თავის ოპონენტებს „ანტონ კათალიკოსის გემოვნებით“ ცხოვრებას უწუნებს: „მე რომ სხვის გემოვნებით ვცხოვრობდე, როგორც უფ. ბარათოვი ანტონ კათალიკოსის გემოვნებითა, მე თქვენ მოგიწონებდით მაგ-გვარ აზრის გასხვიოსნებასა“ (ილია 1953, 48.)

ცხადია, ამ შემთხვევაში ილია ენობრივ „ნორმებს“ გულისხმობს, თორემ ანტონს, როგორც მოღვაწეს, იგი ღირსეულ შეფასებას აძლევს: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვიწოდოთ, ძალიან შევცდებით. მაშინ სხვა-რიგად ესმოდათ, ეხლა სხვა-გვარად ...“ (ილია 1953, 48-9)

რა ესმოდათ „მაშინ სხვა-რიგად“? რა უძღოდა წინ ილიას ეპოქას? რას წარმოადგენდა ანტონ პირველის ნორმები?

არსებობს ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი შეფასებანი ანტონის ღვაწლისა ამ თვალსაზრისით:

არნოლდ ჩიქობავა: „ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსის (ანტონ პირველის) და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სა-

ლიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში — მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე“ (ჩიქობავა 1950, 020). ანტონის სახელთან აკავშირებენ სამი სტილის თეორიის დანერგვასა და გაბატონებას. ქართულ სინამდვილეში ამ თეორიის თანახმად „ყველა საგანზე მსჯელობა ერთი და იმავე ენით დაუშვებლად იყო მიჩნეული: „მაღალ მატერიას“ (მაგალ. ღვთისმეტყველებას) აღზევებული ენა — „მაღალი სტილი“ — შეეფერებოდა; ისტორიული თხრობა, მაგალითად, — საშუალო სტილს მოითხოვდა; ყოველდღიური ამბები, საყოფაცხოვრებო მოვლენები „უბრალოდ“ ითქმოდა, მას ჩვეულებრივ სასაუბრო ენა გამოადგებოდა, — ეს იყო „დაბალი სტილის“ სამყარო“ (ჩიქობავა, იქვე). დასკვნა მკაცრია: „ამგვარად, ანტონ პირველმა რიტორიკას ჩააბარა ქართული სალიტერატურო ენის ბედი. რიტორიკის ნორმები — სამი სტილის თეორია — პრინციპში უარყოფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმარისობას: ერთი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად უნდა შეექმნათ სამი სახის წიგნიერი მეტყველება — სამი სტილის ქართული. ანტონ პირველმა დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართულის თავისებური სუროგატი, ენა დვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღებობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“ (არნ. ჩიქობავა, იქვე)

სხვაგვარად ფიქრობს თ.უთურგაიძე: „ამ პარადიგმების (სახელის პარადიგმების — გ.გ.) შედარების საფუძველზე ჩანს, ეს არის ანტონის ცდა, სალიტერატურო ენა დაუახლოვოს ხალხის სამეტყველო ენას, ე.ი. მოახდინოს მისი დემოკრატიზაცია და ამავე დროს გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე შეინარჩუნოს ტრადიციული ლიტერატურული ხაზიც, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა მისი დროის სამწერლობო ენა. ეს დებულება სხვა მეტყველების ნაწილებსაც ეხება ანტონის გრამატიკაში“ (უთურგაიძე 1999, 165).

შთაბეჭდილება „ძველი ქართულის თავისებური სუროგატის“ შესახებ, ამგვარად იხსნება: ანტონ პირველი „ცდილობდა ქართული სალიტერატურო ენაც ქართული თეოლოგიურ — ფილოსოფიური მწერლობის ენის ხალხურ სამეტყველო ენასთან შერწყმის გზით განვითარებინა (უთურგაიძე, იქვე, 167)

როგორც ჩანს, ეს თემა კვლავაც დარჩება სპეციალისტთა დავაკამათის საგნად. სალიტერატურო ქართული ენის ისტორიის სპეციალისტი ვერ აუვლის გვერდს იმას, რომ ანტონის მიზანი ნორმირებულ-

ლი სალიტერატურო ენის შექმნა იყო. საგულისხმოა ანტონის მიერ წიგნის წინასიტყვაობაში („შეყუანილება წიგნისა ღრამატიკა სა...“) თქმული: „**არაა მოყვარება სიბრძნისა იქმნების თვნიერ მართლუბნობისა და წესიერწერისა**“ (ანტონი 1997, გვ. 8). ამ მიზნით იწერება ეს წიგნი. მიზანი ანტონისა არაა სადავო. მიზანი უაღრესად კეთილშობლურია. თ. უთურგაიძის აზრით, ანტონი მომხრეა „ყველასათვის საერთო ერთიანი ლიტერატურული ენისა, რომლის ნორმები უნდა შემუშავებულიყო სამწერლობო ქართულის ტრადიციული ფორმების შერწყმით სახალხო ენასთან“ (უთურგაიძე 1999, 167).

ახერხებს კი იმას ანტონი? რა მასალას ემყარება იგი, რას ანალიზებს და რა დასკვნას აკეთებს? ე. ბაბუნაშვილის აზრით, „ანტონს ყველგან ძველი ქართულის მასალა აქვს გათვალისწინებული (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ ქართულში არარსებულ, ფსევდო-არქაულ ფორმებს (პრწამნ... აღმიხუმის... ტიპისას...)). ეს საინტერესო დაკვირვება საინტერესო კითხვას აღძრავს: ანტონი ძველი ქართულის მასალას ემყარება (ეს არა მარტო პარადიგმებიდან, დამოწმებული ტექსტებიდანაც ჩანს), მაგრამ ანტონის გრამატიკა ძველი ქართულის გრამატიკაა თუ ახალი ქართულისა, ე.ი. ანტონის დროინდელი ქართულისა? კითხვის დასმა იმდენად მიგვაჩნია ლოგიკურად, რამდენადაც **ანტონის დროინდელი ქართული ახალი ქართულია**. ცოცხალ, სასაუბრო ენაში ძველი ქართულის ფაქტები ნაშთის სახითდაა შემორჩენილი XVIII საუკუნეში, ამის დასტურად სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის გახსენებაც კმარა.

მართალია, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმავე სულხან-საბა ორბელიანის საერო და სასულიერო ხასიათის თხზულებანი სხვაობენ სტილის თვალსაზრისით: **სასულიერო ხასიათის თხზულებანი არქაული სტილით იწერება, მაგრამ იმავე არქაულ ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური გააზრება, როგორც ჩანს, ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება**.

ვიმეორებთ კითხვას, ანტონის გრამატიკა ძველი ქართულის გრამატიკაა თუ ახალი ქართულისა?

ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცადეთ ანტონის გრამატიკაში ზმნის უღლების საკითხების ავტორისეული სისტემის განხილვის საფუძველზე (გოგოლაშვილი 1988). ჩვენი დასკვნა

ასეთია:

ანტონი ძირითადად ძველი ქართულის მასალის ანალიზს ახდენს და ფორმობრივი თვალსაზრისით ძველი ქართულის თითქმის ყველა საუღლებელი ერთეულია გამოყოფილი; მაგრამ აშკარაა ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილის გავლენა ავტორზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზში იგრძნობა. ანტონი ძველი ქართულის ფაქტების შეფასებას ახდენს ახალი ქართულის ფუნქციურ-სემანტიკური პოზიციიდან. ვფიქრობთ, მიღებული დასკვნა შესაძლებელია განზოგადდეს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მსჯელობაში (როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ) ტერმინები „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“, ასე ვთქვათ, სამუშაო ტერმინებია. ჩვენ ამ შემთხვევაში მივანიშნებთ, ერთი მხრივ, ძველი ქართულის პერიოდისათვის და, მეორე მხრივ — ახალი ქართულის პერიოდისათვის დამახასიათებელ ფორმებს. **ანტონისათვის კი არ არსებობს ცნება ძველი და ახალი ქართულისა. მისთვის ქართული ერთია, ერთიანი ენაა, რომელშიც ზოგ შემთხვევაში ხდება ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის ნაირგვარი გამოხატვა, გვაქვს პარალელიზმი წარმოებაში** (ჩვენი თვალსაზრისით ძველი და ახალი ფაქტების დაპირისპირებაა). ძველი ფაქტები მისთვის უფრო წიგნურია, ლიტერატურული და ამიტომაც ეძლევა ხშირ შემთხვევაში უპირატესობა.

4. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და დამკვიდრება

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, მართალია, დიდია ანტონის გავლენა, მაგრამ გაჭირდება საუბარი ამ პერიოდის ქართულის ერთიან ენობრივ ნორმებზე. სალიტერატურო ენისადმი მიდგომა უფრო მეტად ინდივიდუალურია ამ თვალსაზრისით. ვისაც თუნდაც რომანტიკოსთა ენისათვის გადაუხედავს, დამეთანხმება.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული მასალის მიხედვით ამგვარი კვლევა არ ჩატარებულა. ვგულისხმობთ: რა არის საერთო ენობრივი თვალსაზრისით და რა — განსხვავებული. რას მიიჩნევს ესა თუ ის ავტორი ნორმად, რას აძლევს უპირატესო-

ბას მოსალოდნელ პარალელურ ფორმათაგან. არადა, ამის შესაძლებლობას იმ პერიოდის მწერლობა იძლევა.

ერთიანი ნორმის არარსებობა მწერალს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა შინაგანი მოთხოვნილება — განასხვავოს წიგნური მეტყველება არაწიგნურისაგან (ე. ი. იმ გაგებით — ლიტერატურული ენა არალიტერატურულიაგან) — ყველა მწერალს აქვს.

არ არის იოლი ამჟამად იმაზე საუბარი, რას მიიჩნევდა ესა თუ ის მწერალი „ნორმად“ და რატომ. თუმცა არის შესაძლებელი, ცალკეულ შემთხვევებში ამ საკითხებზე მსჯელობისა.

მაგალითისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემთხვევას მოვიყვანთ.

შემორჩენილია ნ. ბარათაშვილის რამდენიმე პირადი წერილი. ცხადია, ეს წერილები გამოსაქვეყნებლად არ იწერებოდა, ამიტომაც მეტ ენობრივ თავისუფლებას გრძნობს პოეტი ამგვარ წერილებში. თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, ვინაა ადრესატი, როგორია მწერლის პირადი დამოკიდებულება მისადმი, რა შინაარსისაა (რა მიზნით იწერება) წერილი და სხვა. ვიმეორებთ: ზოგადად ეს თემა არაა რიგიანად დამუშავებული.

ნ. ბარათაშვილის შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ პოეტისათვის არსებობს ის ენობრივი ვარიანტები, რომლებიც მართებულია და ამიტომაც ჩვეულებრივ ასეთი ფორმები გამოიყენება პოეზიაში და არსებობს ისეთი ვარიანტები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება პოეზიაში, თუმცა პირად წერილებში არაიშვიათია მათი გამოყენება. ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების ადრესატები ჩვეულებრივ შინაური (საახლობლო) წრეა: გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები, მიხეილ თუმანიშვილი თუ ალექსანდრე საგინაშვილი, მაიკო ორბელიანი თუ ბაბაღე საგინაშვილი. განსაკუთრებით ენობრივ თავისუფლებას გრძნობს პოეტი ამ უკანასკნელებთან საუბრისას...

რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, რა პარალელიზმთან გვაქვს საქმე, ანუ რა არის ნორმა პოეტისათვის და რა — არა:

პოეტის ნორმა

აქამდე, აქამდე
თვარემ
მანდ, მანდეთ
მომაგონდა, მოაგონდა
მომივიდა
წარვედ, წარვიდენ

სასაუბრო ვარიანტი

აქამდისინ
თორემ
მანთ
მააგონდა, მამაგონდა
მამივიდა
წავედით, წავიდენენ

მომიკითხეთ
მომსვლია,
შემასწრა
და სხვა...

მამიკითხე
მამსვლია
შემასწრა

მო ზმნისწინის ა ხმოვნის ვარიანტი რომ სასაუბრო მეტყველების ფაქტია, ეს არაა დიდი მიგნება, მაგრამ ამ და სხვა ფორმათა დადასტურებაა პირად წერილებში საინტერესოა... ნ. ბარათაშვილს აქვს თავისი სალიტერატურო ენა. ასეა, როგორც ჩანს, სხვათა შემთხვევაშიც. ვთქვით ზემოთ, რა არის საერთო და რა — განსხვავებული, ამას საგანგებო კვლევა გაარჩევს. ამ თვალსაზრისით 60-იანი წლების კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლაც არ იქნება უმნიშვნელო. მართალია, 60-იან წლების რეფორმაზე ბევრი თქმულა, მაგრამ **ამ კუთხით არ შესწავლილა ეს საქმე.**

ილიას თავისი ნორმები აქვს (თუნდაც ზმნის პირის ნიშანთა სისტემა გავიხსენოთ), აკაკის — სხვა. არადა, ორივე საფუძვლის ჩამყრელია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, სხვას რომ ყოველივეს თავი დავანებოთ. ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისიცაა, რომ მან ქართული ენა აქცია ქართველთა უპირველეს საუნჯედ („დღვაებრივ საუნჯედ“). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებას 60-იან წლებში ილიამ ქართული ენის დროშა წაუმიძღვარა. არაა ეს მაღალფარდოვანი გამონათქვამი. იმ პირველ წერილში, „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის დასაწყისად რომ იქცა, უმთავრესი სწორედ ქართული ენის პრობლემა იყო. ენის გადარჩენა, ქვეყნის გადარჩენააო. ენისათვის ბრძოლა — ქვეყნისთვის ბრძოლააო. ენისათვის თავგამოდება, შეფასებები ამ პირველი წერილიდან:

„თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უარგისი აქვს თავად ერისთავს“.

„უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა“.

„როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია“.

„არამც თუ იყოს ერის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობა და სიძულვილი“

„რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერ ენას?“

მსგავსი რეპლიკები საძებარი არ არის. ენისადმი პატივისცემის

დანერგვას ამგვარი გამოთქმითაც ცდილობს: **„ქართული ენა ბრძანებს“**.

და ყველასათვის ცნობილი დასკვნითი ნაწილი წერილისა, მრავალმხრივ საყურადღებო. რამდენიმე მონაკვეთი მცირე კომენტარებით. ქართული ენის მოვლა, პატრონობა, პატივისცემა ყველა ჩვენგანის ვალია. შეცდომის მხილებაა საჭირო, ესაა ერთადერთი გზა ენის განწმენდისა, ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა: **„ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება?“**

სწორი ქართული წერა ენის პატრონობაა, ენის გადარჩენაა. ენა მამულისა და სარწმუნოების ტოლფასი ფენომენია: **„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“**

მკაცრია ილია იმათ მიმართ, ვისაც შეუძლია უპასუხისმგებლოდ მოეპყროს ქართულ ენას. ესაა ალბათ მითითება იმაზე, რომ სალიტერატურო ენის ნორმებს დაცვა სჭირდება; ენის ნორმათა დარღვევა მკაცრად უნდა შეფასდეს: „სხვისა არა ვიცი და ჩვენ-კი **მშობელ მამასაც არ დაუთმობთ ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკურებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს**“. ეს არის ის პრინციპული დამოკიდებულება, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ერთიანი სალიტერატურო ენის დაფუძნებას.

სწორედ ის ფაქტი, რომ შემდგომ იტყვის ილია, **„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“**, ისევ მოწოდებაა ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებისა და დაცვისა. ცხადია, ილია აქ მართო არ არის (თუნდაც ეს აზრი გამოხმაურებაა გ. ორბელიანის ცნობილ შეგონებაზე: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“).

შეიძლება ილიას ძალისხმევას ის შედეგი არ მოჰყოლოდა, რომ არა შემართება თაობისა. ამის შესახებ ბევრი თქმულა, მე აქ ერთ ფაქტზე მინდა გავამახვილი ყურადღება. როგორც აღვნიშნეთ, ილიასათვის ენა სამთავან (**მამული, ენა, სარწმუნოება**) ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენია („ღვთაებრივი საუნჯე“).

ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს ენას აკაკიც: „ჩვენ ჩვენი წინაპრე-

ბის ანდერძის გამტეხი არა ვართ... გვწამს მათი ანდერძი და დღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოულობენ: **ენას, რჯულს და ეროვნული საქმის მოწყობას**“ და იაკობიც: „საფუძველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, **მამული**, სამშობლო...“

მეორე ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ **სამშობლო ენა**.

მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ **სკოლა**,

მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის **ეკლესია**.“

კლასიკოსთა მიერ ენის როლის ამგვარი წარმოჩენა ფაქტობრივ მოწოდებაა ქართული ენის სიწმინდის დაცვისა, ქართული ენის უფლებების აღდგენისა; ქართული სალიტერატურო ენის წინააღმდეგ მიმართული ყოველივე ქმედების აღკვეთისაკენ. ესაა ფაქტობრივ საფუძველი ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისა.

ილიას შეგონება — „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთთეორეტიკა“ — არის მოწოდება იმისა, რომ **ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი უნდა იყოს საერთო სახალხო ენა**.

ხვდებოდნენ ახალი თაობის მიზანს, ამიტომაც დაუპირისპირდნენ ასე მკვეთრად მათს ენობრივ პოზიციას. ერთი საგულისხმო ფაქტი — 1860 წელს აკაკი წერეთელი „ცისკარში“ აქვეყნებს ლექსს „საიდუმლო ბარათი“. ანჩისხატის დეკანოზს — ეფრემს — მიუწერია: „გილოცავ მეშაირობას და თანვე გთხოვთ, მამა-შვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ წერ... ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადაიგდონ გულიდან ძველი დარბასლური ქართულიო“. ამ მოგონებას აკაკი ასე დაასრულებს: „და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დავუღვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბასლურად ვწერო“.

ეს აზრი აკაკი წერეთელისა 1860 წელს გამოქვეყნებული ლექსის გამო გამოითქვა. ე. ი. ამ წლით თარიღდება აკაკის გადაწყვეტილება, „სახალხო ენით“ ემსახუროს მწერლობას. 1860 წელს დაიწერა, „ხალხია ენის კანონის დამდებიო“.

ფაქტობრივ, ეს არის დასაწყისი მეორე დიდი რეფორმისა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. მთავარი **ღვეიზია, სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო სახალხო ენას** (გავისხენოთ ზემოწარმოდგენილი რუსთველური პრინციპი).

ბევრი თქმულა და დაწერილა ილიას და აკაკის როლზე ახალი

სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში.

არნ. ჩიქობავა წერს: „ილიას მხატვრულ სიტყვას ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ბეჭედი აზის. იგივე ითქმის აკაკისა და ვაჟას შესახებაც. და მაინც, სამივე ერთი ენით (ახალი სალიტერატურო ქართულით) მეტყველებს. ეს მეტყველება ორგანული განვითარებაა იმ მდიდარი ტრადიციისა, რასაც ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქმნის... ილიას, აკაკის, ვაჟას მხატვრულ სიტყვას ასაზრდოებს ქართული ხალხური ენათშემოქმედების უშრეტი წყარო...“

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შემდგომი განვითარებაა ილიას, აკაკის და ვაჟას ენისა“ (არნ. ჩიქობავა, 950, 026).

ცხადია, განუზომელია **ილიასა და აკაკის როლი** ახალი ქართული **სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში**, მაგრამ, ვფიქრობთ, ვაჟას როლი განსხვავებულია; უფრო სწორად, **ვაჟას როლი განუსაზღვრელია ახალი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწასა და დამკვიდრებაში**.

ამ ვითარებაში უსამართლოდ არის შეუფასებელი იაკობ გოგებაშვილის როლი. მართალია, ამ თემაზე საუბრისას არ იგიწყებენ მას, მაგრამ შეფასებაში მთლიანად შეიძლება არ დავეთანხმოთ: „იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავი სასწავლო წიგნები „დედა-ენა“ და „ბუნების-კარი“, რომლებზედაც არა ერთმა თაობამ გაიკვეთა წერა-კითხვა. კვლავ ამ ახალი სალიტერატურო ქართულის განმტკიცებას უწყობს ხელს“ (არნ. ჩიქობავა). სხვა შეფასებანი: „ახალი სალიტერატურო ქართულის წარმატება ორგანულადაა დაკავშირებული ილიასა და აკაკის სახელებთან. ეს ორი უდიდესი პიროვნება თავიანთი მოღვაწეობითა და მრწამსით თავდადებით იღვწოდა და უძღვებოდა ბრძოლას ქართული ენის ღირსების დასაცავად, უფლებების აღსადგენად, ამის დასახვეწად“ (ლეჟავა 2004, 88). იგივე ავტორი ასე აფასებს იაკობის ღვაწლს ამ საქმეში: „XIX ს-ის ჟურნალ-გაზეთებში ქართული ენის შესახებ ბევრ წერილს აქვეყნებდა დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი. ამ წერილების უმეტესი ნაწილი დედაენის სწავლებას ეხებოდა, ბევრიც — სადავო კერძო საკითხებს (აღვიარებ / ვალიარებ, სწორი / სწორე, კარგათ / კარგად...), ამასთანავე, ზოგადთეორიული ხასიათის ბევრ საინტერესო მოსაზრებასაც შეიცავს ეს მასალა“ (ლეჟავა 2004, 38).

ვფიქრობთ, **ი. გოგებაშვილის მნიშვნელობა არაა სრულყოფილად შეფასებული**.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში იაკობ გოგებაშვილს სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის. არ იყო შემთხვევითი აკაკი წერეთლის ნათქვამი: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავის შრომით და ენერგიით, თავის მძლავრი კალმით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე: ქართველი მწერლობის ნაწერებს დღესდღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძველი დაუღვას. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უღვას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსულ მტერს“. ეს არ არის ნათქვამი სიტყვისთვის. ვისაც თვალი მიუღვენებია იაკობის დამოკიდებულებისათვის სალიტერატურო ენისადმი, იმ ენობრივი პრინციპებისათვის, რომელიც იაკობმა გაატარა თავის სახელმძღვანელოებში, დამეთანხმება: იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები - „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ — იყო ფაქტობრივ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ნორმირებული სახელმძღვანელოები; „ნორმათა კრებული“ კრიტიკულად უდგებოდა ილიასა და აკაკის ნაწერებსაც კი. სახელმძღვანელოში შესატან თითოეულ სადავო ფორმას, თითოეულ სიტყვას საფუძვლიანად განიხილავდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰქონდა სახელმძღვანელოში. ხოლო ამის შემდგომ მკაცრად მოითხოვდა ამ ფორმათა დაცვას.

ვიმეორებთ: XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ფართოდ გაიშალა ბრძოლა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის, როცა არ არსებობდა ერთიანი ენობრივი ნორმები, უპირველესად ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა იტვირთეს ეს

მისია. „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ქართული იყო ნორმა, ნიმუში სალიტერატურო ქართულისა... ამას გულისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: „გოგებაშვილმა თავის „დედაენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“. იგივე აზრი მხატვრული ფორმით შალვა დადიანმა ასე გამოხატა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანიტ მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში — თუშეთსა და სვანეთში; მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარას და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ. ყველგან აფეთქებდა გრძობას ეროვნულსა“ .

რა იყო ნორმა იაკობ გოგებაშვილისათვის და რა — არა, რა პრინციპით არჩევა პარალელურ ფორმათაგან უპირატესს, როგორ მოითხოვდა წიგნში გატარებული „ნორმების“ დაცვას?... ამის გარკვევა მომავლის საქმეა...

იაკობ გოგებაშვილის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, დახვეწასა და დამკვიდრებაში საგანგებო კვლევას ითხოვს. ამ მხრივ ძალიან მდიდარ მასალას იძლევა იაკობის პოლემიკური წერილები (აკაკისთან, გ. წერეთელთან და სხვებთან); წერილები „დედაენის“ შესახებ.

საინტერესოა ისიც, თუ რა შეიცვალა ნორმატული თვალსაზრისით 1876 წლიდან 1912 წლამდე (25-ე გამოცემამდე) „დედაენაში“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: „დედაენამ“ ერთიანი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში შეასრულა იგივე როლი, რაც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში შეასრულა „სახარებამ“. ვიმეორებთ, ეს ეტაპი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა, ამ კუთხით დანახული, წარმოსაჩენია.

სხვა მხრივ ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება 60-იანი წლებიდან მოყოლებული საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. უპირველესად ლ. ლეჟავას წიგნი (ლეჟავა, 2004) უნდა მოვიხსენიოთ... აქვე კარგადაა წარმოდგენილი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიის საკითხები (სალიტერა-

ტურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიები)“ (ლეჟავა, 2004).

რა ვითარებაა ამჟამად და რა პერსპექტივა აქვს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას?

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საგრძობლად შესუსტდა ყურადღება ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხებისადმი. მუშაობა შეწყვიტა ნორმათა დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ (შეიქმნა 1935 წელს). 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელმაც იარსება 2004 წლამდე (თუმცა ნაყოფიერებითა და აქტიური საქმიანობით ეს კომისია არ გამოირჩეოდა. მხოლოდ ერთხელ იმსჯელა ნორმირების თაობაზე)...

პრობლემა უამრავია: მოჭარბებული პარალელური ფორმები, მორავლებული (მოძალეტული) უცხოური ტერმინოლოგია... საჭიროება გასული საუკუნის დასაწყისში მიღებული ნორმების გადასინჯვისა...

შექმნილ ვითარებაში არცთუ ოპტიმისტური პერსპექტივა ჩანს.

ლიტერატურა

ანტონი 1885 — ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885.

ბაბუნაშვილი 1970 — ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, 1970.

ერთელიშვილი 1968 — ფ. ერთელიშვილი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1968.

ვაინრაინი 1968 — უ. ვაინრაინი, შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია: მიმომხილველი, № 4-5, 1968.

თვარაძე 1968 — რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3 1978.

ილია 1953 — ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, 1953.

ლეჟავა 2004 — ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები, 2004.

სარჯველაძე 1984 — ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984.

უთურგაიძე 1999 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ისტორიის საკითხები, 1999.

ფოცხიშვილი 1979 — ა.ფოცხიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან, 1979.

შანიძე 1920 — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, 1920.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, 1981.

ჩიქობავა 1953 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952.

ჩიქობავა 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქველ, ტ. I, 1950.

ძიძიგური 1978 — შ. ძიძიგური, მთლიანობა ოღონდ ნაირგვარი; ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1978.

ჭუმბურიძე 1982 — ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის: მაღლი დედაენისა, 1982.

ჯორბენაძე 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1989.

contrary to the tradition established by Anton I. The given reform was initiated by Ilya Chavchavadze. Jacob Gogebashvili's contribution was immense as well. By the end of the 20th century the attention towards Standard Georgian weakened; numerous problems arose: the abundance of parallel forms, humerous foreign terms. The norms adopted at the beginning of the 20th century need revising.

GIORGI GOGOLASHVILI

Some Issues of Standard Georgian

3. The history of normalization of Standard Georgian and its perspectives

Summary

Old Standard Georgian (5th-8th centuries) was strictly normalised, consequently the gap between the spoken and written varieties of the language was considerable. This fact conditioned the necessity of a language reform. The first wide-scale reform of Standard Georgian was carried out by Shota Rustaveli. The essence of the reform lay in the need of basing Standard Georgian on the language widely used in communication. The Standard language was to reflect the processes taking place in spoken discourse.

In the 18th c. Anton Catalikos attempted to carry out the language reform, though with no success.

New Standard Georgian started in the 19th century and was formed

ლილი ბოჭასაძე

არასრულმნიშვნელობიანი ზმნების უმკვეციტ გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებების შესახებ ინგლისურ ენაში

როგორც ცნობილია, თანამედროვე ინგლისურში ფართოდაა გავრცელებული არასრულმნიშვნელობიანი ზმნების **be, have, will, shall** შეკვეცილი ფორმით ხმარება, რაც თანამედროვე სასაუბრო ინგლისურის ნორმას წარმოადგენს. მე-16 საუკუნის II ნახევრიდან თავს იჩენს მათი **to be**-ს მხოლოდობითი რიცხვის 3 პირის ფორმის **is** შეკვეცილი ვარიანტი 's. ხოლო ოდნავ მოგვიანებით 're და 'm. სამივე ეს ფორმა ანალოგიით ვრცელდება დამხმარე და მოდალურ **to be**-ზე. შეკვეცილი ფორმა 's, 'm, 're უკვე აღარ წარმოადგენს ცალკე სიტყვას, მაგრამ ინარჩუნებს ყველა იმ გრამატიკული კატეგორიის (პირი, რიცხვი, დრო) გადმოცემის უნარს, რასაც მთლიანი სიტყვა გამოხატავს; ეს ეხება როგორც მათ, ისე დამხმარე და მოდალურ **to be**-ს. მაგ.:

... lying's a very bad virtue I always think.

They're not very expensive.

I'm a generous feller.

ერთადერთი განსხვავება სრულ და შეკვეცილ ფორმას შორის ის არის, რომ სრული ფორმა ცალკე სიტყვას წარმოადგენს, შეკვეცილი კი — არა. შეკვეცილი შედეგად იგი მორფემად იქცევა. რამდენადაც ეს მორფემა ატარებს სრული ფორმით წარმოდგენილი მათი, დამხმარე თუ მოდალური **be**-ს ყველა დამახასიათებელ ნიშანს, ამდენად მართებულად მიგვაჩნია მათ ზმნური მორფემები ვუწოდოთ.

ვინაშითი გვარის მაწარმოებელი დამხმარე **is, am, are**-ის შეკვეცილი შედეგად მათი ზმნურ მორფემად გადაქცევის გამო, შეიმჩნევა გვარის ანალიზური ფორმის რღვევის და მის ნაცვლად თავისებური სინთეზური ფორმის წარმოშობის ტენდენცია. მაგალითად,

She's respected by the men.

ამგვარად, ვინაშითი გვარის მაწარმოებელი დამხმარე ზმნა **to be**-ს შეკვეცილი შედეგად სალაპარაკო ინგლისურში მოხდა შემდეგი სტრუქტურული

ტურული ცვლილებები:

ა) ვინაშითი გვარის მაწარმოებელი დამხმარე ზმნა შეკვეცილი შედეგად იქცევა ზმნურ მორფემად.

ბ) ვინაშითი გვარის ანალიზური ფორმის ნაცვლად, დამხმარე ზმნის შეკვეცილი შედეგად სასაუბრო ინგლისურში ვიღებთ თავისებურ სინთეზურ ფორმას.

როგორც ცნობილია, აწმყო განგრძობითი დრო **Present Continuous** წარმოადგენს რა ანალიზური დროის ფორმას, შედგება ორი ცალკეული სიტყვისაგან: დამხმარე ზმნა (**am, is, are**) და მიმღეობა I. შეკვეცილი შედეგად, დამხმარე ზმნა, ინარჩუნებს რა დამხმარე ზმნის ყველა თავისებას, კარგავს დამოუკიდებელი სიტყვის ფორმას და ზმნურ მორფემად იქცევა. ამის შედეგად აწმყო დროის ანალიზური ფორმის ნაცვლად ვიღებთ თავისებურ სინთეზურ ფორმას. მაგალითად,

You're holding him again but you cannot get him.

ბრიტანულ არალიტერატურულ სასაუბრო ინგლისურში ხშირია შეკვეცილი დამხმარე **be**-ს გამოტოვების შემთხვევები, რაც იწვევს მიმღეობ I-ის შემასმენლის ფუნქციით ხმარებას. მაგალითად,

What you doin't girl?

ანალოგიური შემთხვევები ხშირია ინგლისური ენის ამერიკულ ვარიანტშიც, სადაც იგი ავტორისეულ ლიტერატურულ საუბარშიც გვხვდება. მაგ.

Doctor going to cure me.

ამგვარად, აწმყო დროის (**Present Continuous**) მაწარმოებელი დამხმარე ზმნის **to be** შეკვეცა სასაუბრო ინგლისურში იწვევს შემდეგ სტრუქტურულ ცვლილებებს:

ა) დამხმარე ზმნა, რომელიც ცალკეულ მთლიან სიტყვას წარმოადგენდა, იქცევა ზმნურ მორფემად.

ბ) აწმყო დროის (**Present Continuous**) ანალიზური ფორმის ნაცვლად ვიღებთ თავისებურ სინთეზურ ფორმას.

გ) დამხმარე ზმნის შეკვეცილი ფორმების ხშირი ამოვარდნისა და დაკარგვის გამო მიმღეობა I ხმარება შემასმენლის ფუნქციით, პირიანი ფორმით.

სასაუბრო ინგლისურში არასრულმნიშვნელობიანი ზმნათა შეკვეცილი და ამ შეკვეცილი ფორმების ხშირად მთლიანად ამოვარდნის გამო, შეიმჩნევა არასრულმნიშვნელობიანი ზმნების ზმნურ მორფემად გადაქცევისა და ახალი სინთეზური ელემენტების ჩასახვის ტენდენ-

ცია. თუ რა განვითარებას პოვებს ეს ტენდენცია და დამკვიდრდება თუ არა იგი საერთოდ ინგლისურ ენაში, ეს უკვე შორეული მომავლის საქმეა.

მოდალური **to be**-ს შემთხვევაში დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა, რაც მაერთი და ვნებითი გვარის მაწარმოებელი **to be**-ს მიმართ გვქონდა, სახელდობრ: შეკვეცის შედეგად მოდალური **to be** კარგავს ცალკე სიტყვის ფორმას და, ინარჩუნებს რა მის გრამატიკულ და ლექსიკურ შინაარსს, ზმნურ მორფემად იქცევა. მაგალითად, ... **he's not to leave till return.**

აქ 's-ს დაკარგული აქვს დამოუკიდებელი სიტყვის ფორმა, მაგრამ ინარჩუნებს მოდალური **is**-ის ყველა მნიშვნელობას.

მე-17 საუკუნის 20-ინი წლებიდან ჩნდება **has** დამხმარე ზმნის შეკვეცილი ფორმა 's, მე-17 საუკუნის II ნახევრიდან **have**-ის შეკვეცილი ფორმები — **ha', 'a', 'v**, ხოლო მე-18 საუკუნიდან კი **had**-ის შეკვეცილი ფორმა 'd. ამ უკანასკნელის გვიანი წარმოშობა **Past Perfect**-ის გვიანი წარმოშობის შედეგია. ეს შეკვეცილი ფორმები ანალოგიით გავრცელდა მოდალურ **have, has, had**-ზეც. გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური მიზეზების გამო, პერფექტის მაწარმოებელი დამხმარე **have** შეიკვეცა, რის შედეგადაც პერფექტის ანალიზური ფორმის ნაცვლად, რომელიც შედგებოდა ორი ცალკეული მთლიანი სიტყვისაგან მივიღეთ თავისებური სინთეზური ფორმა — დამხმარე მორფემა 've, 's ან 'd + მიმღეობა II. მაგ.,

I've worked harder in one day than you'll ever work in a fortnight.

პერფექტული დროების, კერძოდ — **Present** და **Past Perfect**-ის ანალიზური ფორმის მაწარმოებელი დამხმარე ზმნის შეკვეცის შედეგად ვიღებთ პერფექტული დროების თავისებურ სინთეზურ ფორმებს, რომლებიც იწარმოება ზმნური მორფემებისა და საუღლებელი ზმნის მიმღეობა II-საგან.

საყურადღებოა, რომ ლაპარაკის ტემპის აჩქარება ხშირად იწვევს **Present Perfect**-ის მაწარმოებელი შეკვეცილი ნაწილაკების (ზმნური მორფემების) — 've და 's მთლიანად დაკარგვას სალიტერატურო სასაუბრო ენაში. **Past Perfect**-ის მაწარმოებელი ზმნური მორფემა 'd არასოდეს არ ქრება საუბრის ტემპის აჩქარების ან სხვა რაიმე მოვლენის შედეგად, რადგან ეს გამოიწვევს **Present** და **Past Perfect**-ის ფორმების დამთხვევასა და ამით შეაფერხებს კომუნიკაციას.

რაც შეეხება არალიტერატურულ სასაუბრო ინგლისურს, ფონე-

ტიკურად და სემანტიკურად შესუსტებული **have**-ისა და **has**-ის შეკვეცილი ფორმების გამოტოვების შემთხვევებში აქ იმდენად ხშირია და ფართოდ გავრცელებული, რომ აღარაა დამოკიდებული საუბრის ტემპზე. ე. ი. **have**-ისა და **has**-ის შემდგომ ფონეტიკურ შესუსტებას და ერთგვარ კონსტრუქციაში მათი ხმარების სიხშირეს მივყავართ ზმნური მორფემის სრულ გაქრობამდე. მაგალითად:

I never seen so many people.

"You done fine, Hazel baby~, he said "... who helped you?~

ცნობილია, რომ მიმღეობა II ზმნის უპირო ფორმაა; იგი შედის რთული ზმნური დროების შემადგენლობაში და უკავშირდება რა ზმნის პირიან ფორმას, ე. ი. დამხმარე ზმნას, ასრულებს შემასმენლის ფუნქციას წინადადებაში. ხოლო **have, has**-ის შეკვეცისა 've, 's და შემდგომ ამ შეკვეცილი ნაწილაკების სრული გაქრობის გამო, მიმღეობა II პირიანი ფორმით იხმარება, ე. ი. შემასმენლის ფუნქციას ასრულებს. მიმღეობა II-ის პირიან ფორმად გადაქცევისათვის ხელი უნდა შეეწყოს შემდეგ გარემოებასაც: ინგლისურში, როგორც ცნობილია, ხშირია მარტივი ნამყოს (**Simple Past**) და მიმღეობა II-ის (**Past Participle**) ფორმების დამთხვევა, მაგალითად:

to work, worked, worked,

to have, had, had,

to get, got, got,

to keep, kept, kept და მრავალი სხვა.

რამდენადაც ენა ყოველთვის ისწრაფვის ფორმების უნიფიცირებისაკენ, ამდენად ბუნებრივია, რომ იქ, სადაც მარტივი ნამყოსა და მიმღეობა II-ს ფორმები განსხვავებულია, არის ტენდენცია ერთ-ერთი ფორმის მეორეზე გავრცელებისა, ე. ი. გვაქვს **I went, I have went, I forgot, I have forgot.**

ყველა ამ მაგალითში მიმღეობა II-ის ნაცვლად ნახმარია ნამყო დროის (**Simple Past**) ფორმა. ხშირია პირუკუ პროცესიც, ე. ი. ნამყო დროის (**Simple Past**) ნაცვლად მიმღეობა II-ის ხმარება. მაგ.,

They made a date to meet in the morning and that's the last I seen of John alive.

Doc. Stair come here about a year and a half ago.

ნამყო დროის (**Simple Past**) და მიმღეობა II-ის (**Past Participle**) ფორმების ასეთი გათანაბრების გამო, აღარ იგრძნობა მკვეთრი ზღვარი ამ ორ ფორმას შორის, რაც, შეიძლება ითქვას, გარკვეულ

ჩრდილს აყენებს მათ სემანტიკასაც.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ მიმდებარა II-ის პირიანი ფორმით ხმარება, რაც შეკვეცისა და შემდეგ ამ შეკვეცილი ფორმის სრული გაქრობის შედეგია, იწვევს პერფექტული (ყოველ შემთხვევაში **Present Perfect**-ის) დროების სისტემის რღვევას.

საყურადღებოა, რომ როგორც ამას პროფ. ჩერნიხი აღნიშნავს, ძველ რუსულში პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის ფორმათა ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მიმდებარა, რომელიც იწარმოებოდა ინფინიტივის ფუძიდან, ნამყო დროის სუფიქსის **И** და ზედსართავი მოკლე ფორმების დაბოლოებათა საშუალებით. პერფექტი იწარმოებოდა საუღლებელი ზმნის მიმდებარე დამხმარე ზმნის **ЕСТЬ** დართვით. მე-11 საუკუნიდან შეიმჩნევა დამხმარე ზმნის გაქრობის შემთხვევები, რის შედეგადაც პერფექტი თანდათანობით მთლად დაიკარგა და თანამედროვე რუსულში **И**-იანი ფორმა მარტივი ნამყო დროის ერთადერთი ფორმაა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ ინგლისურში აშკარად შეიმჩნევა მიმდებარის პირიანი ფორმად გადაქცევისა და ზმნის დროთა სისტემის გამარტივების ტენდენცია — კერძოდ, **Simple Past**-ისა და **Present Perfect**-ის ფორმათა დამთხვევა. უფრო მეტიც, მათ მაგიერ ახალი მარტივი ნამყო დროის წარმოშობა, რომელიც უნდა იყოს როგორც **Simple Past**-ის, ისევე **Present Perfect**-ის ფუნქციის მატარებელი. აქ საყურადღებოა იმის გათვალისწინება, რომ ინგლისური ენის ამერიკულ ვარიანტში მარტივი ნამყოს ხმარება მკვეთრად აღემატება პერფექტის ხმარების შემთხვევებს.

ამგვარად, დამხმარე **have**-ის შეკვეცა ინგლისურში იწვევს შემდეგ სტრუქტურულ ცვლილებებს:

ა) პერფექტის მაწარმოებელი დამხმარე ზმნის შეკვეცის შედეგად, პერფექტული დროების, კერძოდ — **Present** და **Past Perfect**-ის ანალიზური ფორმების ნაცვლად ვიღებთ თავისებურ სინთეზურ ფორმებს.

ბ) **Present Perfect**-ის მაწარმოებელი დამხმარე ზმნის შეკვეცისა და ამ შეკვეცილი ფორმების (**'ve**, **'s**) მთლიანი გაქრობის შედეგად ადგილი აქვს მიმდებარა II-ის პირიანი ფორმით ხმარებას; **Present Perfect**-ის ფორმათა რღვევას და **Simple Past**-ისა და **Present Perfect**-ის

ფორმათა დამთხვევას.

გ) ისახება რთული ზმნური დროის მარტივ ზმნურ დროდ გადაქცევის ტენდენცია — უფრო ზუსტად, ისახება **Present Perfect**-ისა და **Simple Pas**-ის ნაცვლად ახალი მარტივი ზმნური დროის წარმოშობის ტენდენცია.

მოდალური **have**-ის შეკვეცილ ფორმას (**'ve**, **'s**) სრულმნიშვნელობიანი **have**-ის მსგავსი ბედი ეწია.

ფონეტიკურად და სემანტიკურად შესუსტებული მოდალური **have**-ის შეკვეცილი ფორმა **'ve**, ისევე როგორც მისი III პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა **has** აღარ იყო საკმარისი „ვალდებულების“ გამოსახატავად. ამიტომ, მან, „მოიშველია“ სიტყვა **got**; უფრო სწორად კონსტრუქცია — **'ve('s) got** ანალოგიით გავრცელდა მოდალურ **have**-ზეც. მაგ.,

but I've got to go.

He's got a family and he's got to eat and feed them.

მოყვანილ მაგალითებში, რომელთა რიცხვი ძალიან დიდია სასაუბრო ინგლისურში, კონსტრუქცია **'v, 's got** ატარებს მოდალური **have (has)**-ის გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობას.

Have (has)-ის შემდგომმა ფონეტიკურმა და სემანტიკურმა შესუსტებამ გამოიწვია შეკვეცილი ნაწილაკების **'v, 's** მთლიანად გაქრობა, რის შედეგადაც მოდალური **have**-ის გრამატიკული და სემანტიკური ფუნქცია დაეკისრა სიტყვას **got**, რომელიც ამის შედეგად მოდალურ ზმნად იქცა. მაგ.:

... but we got to try.

He got to get everybody happy and friendly.

ზემომოყვანილ მაგალითებში **got** ატარებს მოდალური **have**-ისა და **has**-ის გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობებს, ე. ი. **got** იქცა მოდალურ ზმნად.

ანალოგიის მოქმედების, ხმარების სიხშირისა და სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის გამო, მორფემა **have (has)** შესუსტდა, გაცვდა და შემდგომ მთლიანად დაიკარგა სასაუბრო ინგლისურში. ამიტომ მისი ადგილი დაიკავა ახალმა მორფემამ **got**, რომელსაც დაეკისრა ხმარებიდან გამოსული მორფემის გრამატიკული და სემანტიკური ფუნქცია, კერძოდ — იგი იქცა მოდალურ ზმნად და ატარებს „ვალდებულების“ მნიშვნელობას.

შეიძინა რა მოდალური **have**-ის ლექსიკური და გრამატიკული

მნიშვნელობა, **got** იქცა ზმნის **to get** ლექსიკურ და გრამატიკულ ომონიმად. იძენს რა მოდალური **have**-ის გრამატიკულ და სემანტიკურ ფუნქციას, **got** იქცევა პრეტერიტო-პრეზენტულ ზმნად.

ამგვარად, მოდალური **have**-ის შეკვეცა სასაუბრო ინგლისურში იწვევს შემდეგ სტრუქტურულ ცვლილებებს:

ა) ფონეტიკურად და სემანტიკურად შესუსტებული მოდალური **have**-ის გრამატიკული და სემანტიკური მნიშვნელობის გამოხატვა ეკისრება კონსტრუქციას **'ve ('s) got**.

ბ) ფონეტიკურად და სემანტიკურად გაცვეთილი მორფემა მთლიანად იკარგვის სასაუბრო ენაში და მის ადგილს იკავებს ახალი.

გ) იძენს რა მოდალური **have**-ის ყველა ფუნქციას, **got** იქცევა **to get** ზმნის გრამატიკულ და ლექსიკურ ომონიმად.

დ) **got**-ის მოდალური ფუნქციით ხმარება იწვევს მოდალური ზმნების რიცხვის გაზრდას თანამედროვე ინგლისურში.

shall, will დამხმარე ზმნის შესახებ უნდა ითქვას, რომ მე-16 საუკუნის II ნახევრიდან სასაუბრო ინგლისურში წარმოიშვა დამხმარე ზმნის **will** შეკვეცილი ფორმა **'ll**, რომელმაც შემდგომ დამხმარე **shall**-ის ადგილიც დაიკავა.

ამის შედეგად დამხმარე ზმნების **shall, will** ნაცვლად, რომლებიც ცალკეულ მთლიან სიტყვებს წარმოადგენენ, მივიღეთ მორფემა **'ll**. ეს მორფემა იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც დამხმარე **shall**, ან **will** — კერძოდ, გამოხატავს მომავალ დროს. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს დამოუკიდებელი სიტყვის (დამხმარე ზმნის) გადაქცევასთან ზმნურ მორფემად, მაგალითად:

Let me got out of his and I'll tell'em something.

მე-17 საუკუნიდან შეკვეცილი **'ll** ანალოგიით ვრცელდება მოდალური **shall, will**-ზეც, როდესაც ამ უკანასკნელთ არ ხვდება ლოგიკური მახვილი.

shall-ისა და **will**-ის ნაცვლად **'ll**-ს ხმარება იწვევს მოდალური ზმნების (**shall, will**) ზმნურ მორფემად გადაქცევას. ზმნური მორფემა **'ll**, იღებს **shall**-ისა და **will**-ის ყველა გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობას.

არასრულმნიშვნელობიან ზმნათა შეკვეცილი ფორმები, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სამწერლობო ინგლისურშიც — ჩვენ შეგვხვდა არასრულმნიშვნელობიან ზმნათა შეკვეცილი ფორმები ლინგვისტურ ლიტერატურაში და საგაზეთო სტატიებში. კიდევ

მეტიც, მეტად ხშირია მათი ხმარება ინტერნეტში. ეს ყველაფერი კი იმას მოწმობს, რომ შეიმჩნევა ტენდენცია არასრულმნიშვნელობიანი ზმნების შეკვეცილი ფორმების გავრცელებისა და დამკვიდრებისა ინგლისური სასაუბრო და სამწერლობო ენის ყველა სტილში.

ლიტერატურა

ბელი, 1953 — Ball J., *Conversational English*, London, 1953.

კლარკი, 1958 — Clark Arthur M., *Spoken English*, London, 1958.

კუარკი, 1985 — Quirk R. et al., *Comprehensive grammar of the English Language*. Lonhman, 1985.

ვაიტჰელი, 1956 — Whitehall H., *Structural Essentials of English*, New York, 1956.

ჩორნიხი, 1956 — Черных П. Я. *Очерк русской исторической лексикологии*, Моск. университет, 1956.

იარცევა, 1949 — Ярцева В. Н., *Слова-заместители в английском языке (ученые записки ЛГУ, вып. 14, 1949)*.

LILY GOKSADZE

Certain Structural Changes Caused by Usage of Contracted Forms in the English Language

Summary

The paper deals with the structural changes caused by the usage of contracted forms; the date of the usage of contracted forms of **be, have** and **shall, will** are stated.

As a result of contraction certain synthetic forms – verbal morphemes appear in the English language. This fact causes the increase of the number of synthetic forms.

The paper gives some hints on various structural changes which are the result of the usage of contracted forms and their complete disappearance.

ირინე ღვებთრაძე

კომპლიმენტები, როგორც „სახის უზნარჩუნებისა“
და „სახის უელახვის“ ჭეშმარიტება

„Compliments are one simple way
that language can deeply influence who you are“

Arman Darini, Flattery for Self-Development

კომპლიმენტი მეგობრული, კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარების ყველაზე გავრცელებული და ეფექტური საშუალებაა. თვით სიტყვა „კომპლიმენტი“ ლათინური წარმოშობისაა და „შევსებას“, „დასრულებას“ ნიშნავს. მხატვრულად რომ ვთქვათ, კომპლიმენტი ის გამოხატულებაა, რომლითაც ვაგვებთ მსმენლის ღისებათა სიას, ვასრულებთ მის დადებით პორტრეტს. კომპლიმენტის მიზანია თანამოსაუბრისთვის ემოციური სიამოვნების მინიჭება, მისი კეთილგანწყობის მოპოვება. კომპლიმენტის საშუალებით შესაძლებელია საუბრის დაწყება, ნებისმიერი სოციალური ურთიერთქმედების წარმატებულად განხორციელება. შესაბამისად, კომპლიმენტები ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშებია.

ცნობილია, რომ ყოველ ადამიანს დიდ სიამოვნებას ჰგვრის მისი ფიზიკური თუ სულიერი თვისებების, მისი ნაღვანის, ნამოქმედარის შექება. ფატიკური კომუნიკაციის განხორციელებისას ძალზე ხშირია თანამოსაუბრის გონიერების, გარეგნობის, ვარცხნილობის, ტანსაცმლის, ბინის, მანქანისა და, რაღა თქმა უნდა, ხასიათის თვისებების შექება. დილ კარნევის (კარნევი, 1992) აზრით, საუკეთესო გზა იმისთვის, რომ ადამიანის კეთილგანწყობა მოვიპოვოთ, არის მისთვის ქათინაურის თქმა: „ვიყოთ გულუხვი ქებასა და წახალისებაში. მაშინ ჩვენს სიტყვებს ფასი ექნება. ადამიანებს ისინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემასოვრებათ, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ დიდი ხნის დავიწყებულნი გვეყოლება ისინი“.

ყოველ ენაში ქათინაურების უსასრულო სიმრავლე არსებობს.

კომპლიმენტის შერჩევა კი ექსტრალინგვისტურ კონტექსტზეა დამოკიდებული. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: „The hat is really good“, „You look really nice today“, „Your hair looks great“, „შესანიშნავად გამოიყურები“, „ძალიან გიხდება ეს კაბა“ და სხვა. თანამოსაუბრის გონიერებისა და ნიჭის შეფასებისას ამბობენ: „That’s a great idea!“ „How clever of you!“, „რა ნიჭიერი ხარ!“ „ყოჩაღ! რა ჭკვიანი ხარ!“ „რა შესანიშნავი მზარეული ხარ!“ „რა კარგად ხატავ!“ და სხვა.

არის შემთხვევები, როდესაც კომპლიმენტები პირდაპირ ადრესატისადმი არ არის მიმართული, მაგრამ მაინც ამ უკანასკნელისთვის სიამოვნების მინიჭებას ისახავს მიზნად: „რა შესანიშნავი ბავშვები (მეუღლე) გყავთ!“, „What nice people your parents are!“ და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს შემთხვევები, როდესაც ვინმეს ვაქებთ ირიბად, ანუ მისდამი გამიზნულ კომპლიმენტს მის გასაგონად სხვა ადამიანს ვუბნებით: „D Didn’t she sing beautifully?“ „ერთი ნინოს შეხედეთ, რა ფანტასტიურად გამოიყურება, არა?!“ და სხვა. კომპლიმენტები ხშირად ძახილით ან კითხვა-ძახილით წინადადებებით არის წარმოდგენილი: „What a delicious cake you’ve made!“ „Didn’t she dance beautifully?!“ „რა კარგად უკრავ!“ „რამ გაგაკეთებინა ამდენი საქმე ერთ დღეში?!“ და „სხვა. არის შემთხვევები, როდესაც კომპლიმენტებს ირიბად, ანუ შეკითხვის ფორმით ამბობენ: „ეს ახალი კაბაა?“ „Have your eyes always been this fantastic colour?“ და სხვა. შესაბამისად, კომპლიმენტები როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი სამეტყველო აქტებია. ისინი შეიძლება იყო ექსპლიციტური ან არაექსპლიციტური. ნ. დარასელიას თანახმად (დარასელია, 2007), ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპლიმენტის გამოსახატავად ერთი მოკლე შორისდებულად კი საკმარისია (მაგ. ჭამის დროს წარმოთქმული Yum!, ვინმეს გარეგნობის შესაქებად წამოძახილი Wow!, ნიჭიერების შესაქება Bravo და სხვა).

მეინსის და ვოლფსონის (Manes & Wolfson, 1981) აზრით, ამერიკელთა კომპლიმენტების 85% მარტივი წინადადებებია, სადაც ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი 5 ზედსართავი სახელი: nice, good, beautiful, pretty, great და 2 ზმნა: like, love. და მაინც, სტრუქტურისა და ფორმის სიმარტივის მიუხედავად, კომპლიმენტის, როგორც სამეტყველო აქტის, სწორად განხორციელება ძალზე რთულია.

ჯ. ოსტინი (Austin, 1965) კომპლიმენტებს პერფორმატიულ გამოხატულებად მიიჩნევს და მათ ბიპეტიტივების ჯგუფში აერთიანებს, ჯ. სერლი (Searle, 1969) კი კომპლიმენტებს ექსპრესივებად მიიჩნევს.

ლოკუციური აქტები კომპლიმენტების შემთხვევაში ძალიან მრავალფეროვანია. ილოკუცია არის მსმენელისათვის სასიამოვნო განწყობილების შექმნა და მისი კეთილგანწყობის მოპოვება. პერლოკუცია კი თვითშეფასების ამაღლება და მაღლიერება იმ ადამიანისადმი, რომელმაც კომპლიმენტის სამეტყველო აქტი განახორციელა.

სამეტყველო აქტებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ კომპლიმენტები სწორედ ის აქტებია, რომელთა წარმატებით განხორციელებისას ოსტინისეული „ილბლიანობის პირობებიდან“ ერთ-ერთი, კერძოდ კი, გულწრფელობის პირობა ხშირად ირღვევა. ა. მაიალის თანახმად (Miall, 1993), ინგლისელები ძალზე ხშირად არანაგულწრფელნი ქათინაურების წარმოთქმისას: „In Conversation the English are at their most obtuse, for they hardly ever say what they mean and very often say the exact opposite. Thus, when you are telling a story to an Englishman who elicits the response: „How Interesting“ it should not be taken at face value.“ (საუბარში ინგლისელები ძალიან უცნაურები არიან, თითქმის არასდროს ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ, ხშირად სრულიად საპირისპიროსაც კი ამბობენ. ამდენად, როდესაც ინგლისელს რაიმეს ვუამბობთ და ის გვპასუხობს: „რა საინტერესოა!“, ეს ასე პირდაპირ არ უნდა გავიგოთ).

როგორც უკვე აღვნიშნე, ფატიკური კომუნიკაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ ნაწილს შეადგენს ქათინაურები, მამებელი ფრაზები. ცნობილია, რომ ყველა ადამიანს დიდ სიამოვნებას ჰგვრის მისი ფიზიკური თუ სულიერი თვისებების, მისი ნაღვაწის, ნამოქმედარის შექმნა. ამდენად, როდესაც არავითარი ინფორმაციული შეტყობინება არა გვაქვს გადასაცემი, ყველაზე ეფექტური ხერხი მსმენლის განახლისებისა არის ქათინაური. შეიძლება შევაქოთ ჩვენი თანამოსაუბრის გონიერება, გარეგნობა, ხასიათის თვისებები, მისი ოჯახის წევრები, ბინა, მანქანა, გემოვნება და ა.შ. როგორც ინგლისურში, ასევე ქართულ ენაშიც არსებობს ქათინაურების უსასრულო სიმრავლე და მათი შერჩევა ამა თუ იმ ექსტრალინგვისტურ სიტუაციაზე დამოკიდებული. მაგრამ საკმაოდ ხშირად ჩვენი ქათინაურები არაგულწრფელია, მაგ: მასპინძელს რომ ასიამოვნოს, ინგლისელი ამბობს: **you have a very nice room; The food is delicious; You're such a good cook!**.. სტუმრად მისულნი, ქართველებიც ვიწონებთ ხოლმე ოთახების მორთულობას, რითაც დიასახლისის კარგ გემოვნებას ვუსვამთ ხაზს. ზოგჯერ დიასახლისი შემოგვიჩვენებს ხოლმე, რომ სახლის დალაგება

ვერ მოასწრო, რაზეც ჩვენ დიდ გაცეხას გამოვხატავთ და არ ვეთანხმებით მას, ვაცხადებთ, რომ მის სახლს დაულაგებლობის არაფერი არ ეტყობა. ასეთი თუნდაც არაგულწრფელი გამონათქვამებით ხერხდება დიასახლისის დაწყნარება და მისი მიძიმე შრომის დადებითად შეფასება.

თუ სუფრასთან მოგვიწვევენ, ვაქებთ დიასახლისის ნახელავ კერძებს: „რა გემრიელია!“; „რა კარგი მზარეული ყოფილხართ!“; „რა შესანიშნავი ხელი გაქვთ!“ და სხვა. ასეთ შემთხვევებში არ არის აუციელებელი, რომ მართლაც ძალიან მოგწონდეს მასპინძლის მიერ მომთმული კერძები. თავაზიანობის ნორმები ჩვენგან ზოგჯერ აქაც ითხოვს არაგულწრფელ გამონათქვამებს, რომელთა წარმოთქმის მიზანი კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნაა.

ცნობილია, რომ ადამიანის გულის მოგების საუკეთესო საშუალება მისი შვილების შექმნაა. ამდენად, სხვისი ოჯახის წევრების გაცნობისას ინგლისელი იტყვის: **You have such a beautiful baby! What a cute little child she is!** ქართველები კი ამბობენ: „ვამე, რა საყვარელი ბავშვია!“; „ვინ არის ეს ლამაზი გოგო?“; „ეს რა ნიჭიერი ვაჟკაცია!“ და სხვა. ეს კომპლიმენტებიც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა არ იყოს მთლად შესაფერისი და გულწრფელად ნათქვამი, მაგრამ აქ მთავარია ბავშვზე, და განსაკუთრებით მის მშობლებზე, გულთბილი ადამიანის შთაბეჭდილების დატოვების დიდი სურვილი.

ყოველ ადამიანს ახალისებს იმის შეგრძნება, რომ იგი კარგად გამოიყურება. ბრიტანელები ხშირად აქებენ ნაცნობ-მეგობრების გარეგნობას თუ ჩაცმულობას: **Oh, you have a nice dress on; You look really nice today; Your hairstyle looks great** და სხვა. საქართველოშიც ხშირად გაისმის შემდეგი ქათინაურები: „რა კარგად გამოიყურები!“; „ძალიან გიხდება ეს კაბა!“; „შეჭრილ თმებში ვერც კი გიცანი, ისეთი გალამაზებული ხარ“. ეს ქათინაურებიც შესაძლოა არაგულწრფელი იყოს, მაგრამ მათ მიღმა ჩანს გულწრფელი სურვილი იმისა, რომ შემხვედრ ადამიანს საკუთარი სილამაზის რწმენა შექმნათ და უკეთეს გუნებაზე დააყენო. ვარცხნილობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ, თუ ჩვენი ნაცნობის შეჭრილი თმა არც ისე მოგვწონს, არ არის მიზანშეწონილი რომ ეს პირდაპირ მივახალოთ და ვუთხრათ, რომ გრძელი თმა უფრო უხდება. ამით მის მოკლე თმას აღარაფერი ეშველება, ჩვენი შენიშვნა კი მსმენელში უსიამოვნო გრძნობებს გამოიწვევს. ამდენად, უმჯობესია თუნდაც არაგულწრფე-

ლი, მაგრამ მაინც ქათინაური ვუთხრათ და მისი ყველანაირი ვარცხნილობა მოვიწონოთ: „შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ, რანაირადაც არ უნდა გაიკეთო თმები, მაინც გიხდება“.

ჯენი ტომასის თანახმად (Thomas, 1983), ქათინაურები შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თავაზიანობის ნიმუშები. „Your hair looks nice today“ დადებითი თავაზიანობის ნიმუშია, ხოლო „Your Haircut looks great“ უარყოფითი თავაზიანობის ნიმუშია, თუ მოსაუბრე ამას არაგულწრფელად წარმოთქვამს“.

ადამიანთა უმრავლესობა ძლიერ განიცდის საკუთარი გარეგნობის უარესობისკენ შეცვლას და ხშირად ახლობლებს შესჩივლებს კიდევ ამის შესახებ. ასეთ შემთხვევაში პასუხად აუცილებლად გამამხნეველი ფრაზა უნდა ვუთხრათ, შესაძლოა ქათინაურიც კი დავურთოთ მეტი დამაჯერებლობისათვის. მაგ: თუ ჩვენი ნაცნობი შემოგვიჩივლებს, როგორ გავსუქდი, გავხდი ან ხელოვნური კბილები ჩავისვიო, ჩვენ ქათინაურით უნდა შევამკოთ და ვუთხრათ, რომ ის, რასაც იგი ასე ძლიერ განიცდის, პირიქით ამშვენებს მას (თუნდაც გულში ასე სულაც არ ვფიქრობდეთ). ამით ჩვენს ნაცნობს არასრულფასოვნების კომპლექსის თავიდან აცილებაში დავეხმარებით.

ბევრი ადამიანი კარგ შესახედაობაზე მეტად ნიჭიერებას, გონიერებას აფასებს. ამასთან დაკავშირებითაც ბევრი ქათინაური გაისმის: **That's a great idea; How clever of you! You play the piano very well indeed.** თუ რომელიმე მოსწავლე ვაკვეთილზე შეკითხვას დასვამს, მასწავლებელი ჩვეულებრივ აქებს მას, ზოგჯერ არაგულწრფელადაც ეუბნება: **That's a good question; That was an interesting question,** რითაც მასწავლებლები ხელს უწყობენ იმას, რომ მოსწავლეებს არ მოერიდოთ შეკითხვების დასმა და არ გაუჩნდეთ კომპლექსი იმისა, რომ მათი შეკითხვები შესაძლოა სულელური აღმოჩნდეს. ამრიგად, არაგულწრფელი ქათინაურების თქმა ზოგჯერ ძლიერ საჭიროა და მიზანშეწონილი, ვინაიდან მათ, ისევე როგორც მრავალ სხვა ფატიკურ გამონათქვამს, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გავლენა აქვთ მსმენელზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქათინაურების არაგულწრფელად თქმას დიდი ოსტატობა სჭირდება იმისთვის, რომ ინტონაციითაც და სახის გამომეტყველებითაც მართლაც დავარწმუნოთ მსმენელი იმაში, რომ მას ესა თუ ის საქებარი თვისება ახასიათებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ მაშინ, თუ იგი ჩვენს არაგულწრფელ განზრახვას მიხვდა, ესა თუ ის ფატიკური გამონათქვამი საპირისპირო ეფექტს მო-

ახდენს მასზე. მსმენელს შეექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ მას დავცინით და ამან შეიძლება მრავალი კომპლექსი გაუჩინოს მას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დაირღვევა ფატიკური კომუნიკაციის მთავარი წესი, ანუ ვერ მოხერხდება გულთბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება და შეილახება როგორც მოსაუბრის, ასევე მსმენელის სახე.

ამრიგად, გულწრფელობის ფატიკური, რომელსაც ინფორმატული საუბრისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ფატიკური კომუნიკაციის ნორმების მიხედვით ხშირად ირღვევა. მისი ხმარების სიხშირე სიტბოს შექმნის საჭიროების პირდაპირ პროპორციულია. არაგულწრფელი ფატიკური გამონათქვამების ხმარება ბევრად მნიშვნელოვანია და მიზანშეწონილიც, ვიდრე გულწრფელისა. ამასთან, მსმენელის განზრახ მოტყუება მისი ვნების მიზნით ფატიკურ საუბარში არ ხდება. პირიქით, მსმენელის მოტყუება აქ მისსავე ინტერესებს ემსახურება, მის გამხნევებას, გახალისებასა და კომპლექსებისაგან გათავისუფლებას ისახავს მიზნად. ამასთან, არაგულწრფელი ფატიკური გამონათქვამების წარმოთქმისას მოსაუბრე წინასწარ არ ფიქრობს იმაზე, რომ განზრახ მოატყუოს მსმენელი. არაგულწრფელი ფატიკური გამონათქვამების ხმარების ჩვევა მას შესისხლხორცებული აქვს მისი ერის ყოფითსა და სამეტყველო ეტიკეტის ნორმებთან ერთად და, ამდენად, ხშირად ავტომატურად, გაუცნობიერებლად წარმოთქვამს მათ.

კომპლიმენტი და მასზე პასუხი მეზობლური წყვილებია. კომპლიმენტზე პასუხი ჩვეულებრივ 3 ტიპისაა:

კომპლიმენტი — მაღლიერების გამოხატვა

კომპლიმენტი — შექების თავმდაბალი უარყოფა

კომპლიმენტი-საპასუხო კომპლიმენტი

შესაძლოა კომპლიმენტს მოცემული პასუხებიდან ერთი, ორი ან სამივე მოსდევდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპლიმენტის მიღება ჯ.ლიჩის თავაზიანობის პრინციპის (ლიჩი, 1983) „თანხმობის მაქსიმის“ დაცვაა, კომპლიმენტის უარყოფა კი „თავმდაბლობის მაქსიმისა“.

არმან დარინის თანახმად (დარინი, 2006), კომპლიმენტზე პასუხი შეიძლება იყოს აღმავალი (up-shifting) და დაღმავალი (down-shifting). აღმავალ პასუხებს ჩვეულებრივ საკუთარ თავში დარწმუნებუ-

ლი ადამიანები იძლევიან. მაგ. **You finished the exam first! – Yes, I’m smart.** დაღმავალი პასუხი კი თავმდაბალ ადამიანებს ახასიათებს: **You are eloquent – I had great notes.** როგორც უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, მისი საჯარო გამოსვლის შექების მოსმენისას, მსმენელი მინიმუმამდე ამცირებს საკუთარ ნიჭიერებას, წარმატებას კი იმით ხსნის, რომ მას ჩანაწერები დაეხმარა.

როგორც აღვნიშნეთ, კომპლიმენტები თავაზიანობის ნიმუშებია და კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნას ემსახურება. ამდენად, ისინი ხელს უწყობს დადებითი სახის შენარჩუნებას და სახის შელახვის საფრთხის თავიდან აცილებას ემსახურება. კუუზის თანახმად (კუუზი, 2007), კომპლიმენტები დავის მოგვარების ეფექტური საშუალებაა („Compliments mend disputes“). ხშირია შემთხვევები, როდესაც ეფექტური ქათინაური აგვარებს ცოლ-ქმრულ დავას (მაგ. „შენ დამაბერე და გამაჭაღარავე! – მაინც ყველაზე ლამაზი ხარ და ძალიან მიყვარხარ!“). ბავშვებისთვის ნათქვამი კომპლიმენტები აიძულებს მათ კარგად მოიქცნენ: (მაგ. „დაწყნარდი და ნუ ცელქობ ასე, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ!“). ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც დედაჩემმა ხმამაღალი შენიშვნა მისცა სიგარეტის მოწვევის გამო, სახის შენარჩუნების ასეთ სტრატეგიას მიმართა: „თინა დეიდა, რა საყვარლად მეჩხუბებით!“, რითაც დაძაბული სიტუაცია შესანიშნავად განმუხტა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შევნიშნავ, რომ კომპლიმენტის არასწორი გამოყენება ან ერთ რომელიმე ყოფაში მიღებული კომპლიმენტის თქმა ისეთი ყოფის წარმომადგენლისთვის, რომელშიც იგივე კომპლიმენტი მიუღებელია, შეიძლება სახის შელახვის ქმედებად იქცეს. კუუზის თანახმად (კუუზი, 2007), კომპლიმენტები ემოციური ურთიერთობის ნიმუშებია, ემოციური ურთიერთობა კი ძალზე სუბიექტურია. „როდესაც ადამიანი გარკვეული ტიპის კომპლიმენტების მიღებას შეჩვეული არ არის, ის შეურაცხყოფად აღიქვამს მათ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ პროდუქტიული ემოციური ენერჯის გარდაქმნა სასიამოვნო გამოცდილებად და თავიდან უნდა ავიცილოთ თანამოსაუბრისთვის ტკივილის მიყენება, თუნდაც ჩვენი გამონათქვამის საკომუნიკაციო გამიზნულობა დადებითი იყოს“. კუუზს მოჰყავს მაგალითი იმისა, რომ მისი ჩინელი თანამშრომელი ქალი კვილით გავარდა შენობიდან, როდესაც მისი გარეგნობის შესაქები კომპლიმენტი მიიღო, რადგან მან ეს აღიქვა, როგორც სექსუალური ურთიერთობის დამყარების სურვილის გამოთქმა.

ევროპელი ქალბატონი, რომელიც თავმჯდომარეობდა კონფერენციას, ძლიერ გაღიზიანდა, როდესაც კონფერენციის დასრულებისთანავე მონაწილე მამაკაცისაგან მისი გარეგნობის შესაქები კომპლიმენტი მიიღო. ამ ქალბატონის გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ მან მიიღო გარეგნობასთან დაკავშირებული ქათინაური და არა კომპლიმენტი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ჭკვიანია ის და რა კარგად უძღვებოდა იგი კონფერენციას.

ამდენად, ქათინაურები, რომლებიც ჩვეულებრივ ფატიკური კომუნიკაციისა და თავაზიანობის ნიმუშებია და სახის შენარჩუნების ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგიაა, შესაძლოა სახის შელახვის ქმედებად იქცეოდნენ. ამდენად, საუბრის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია სიფრთხილე და თანამოსაუბრის კულტურული წარმომავლობის, მის კულტურაში მიღებული სამეტყველო ეტიკეტისა და თავაზიანობის ნორმების გათვალისწინება.

ლიტერატურა:

ოსტინი, 1965 — Austin, 1965- Austin J.L. How to Do Things with Words. N-Y. Oxford University Press, 1965.

დარასელია, 2007 — დარასელია ნ. „მორისდებული როგორც სამეტყველო აქტი“, „საენათმეცნიერო ძიებანი“ XXVI, გვ. 75-85, 2007.

დარინი, 2006 — Darini A. Flattery for Self-Development5. 2006.

კარნევი, 1992 — კარნევი დ. „როგორ შევიძინოთ მეგობრები და მოვმხროთ ადამიანები“, „ორიონი“, თბილისი, 1992.

კუუზი, 2007 — Kooz. Negative Interpretation of Compliments. 2007

ლიჩი, 1983 — Leech G. Principles of Pragmatics. London.N-Y. 1083
მენისი, ვოლფსონი, 1981 — Manes J & Wolfson N. The Compliment Formula. In Coulmas (Ed.), Conversational Routine (pp.115-132). Hague. Mouton. 1981.

მაილი, 1993 — Miall A. The Xenophobe’s Guide to the English. Ravette Books. 1993.

სერლი, 1969 — Searle G. Speech Acts. An Essay in the Philosophy of Language. Cambridge University Press. 1969.

ტომასი, 1995 — Thomas J. Meaning in Introduction. London. 1995.

ტომასი, 1983 — Thomas J. Cross-Cultural Pragmatic Failure. *Applied Linguistics* 4(2) pp.91-112. 1983.

მეფთა კინოზრახვილი, ციური ახვლიანი

IRINA DEMETRADZE

Compliments as Face-Saving and Face-Threatening Acts

Summary

Compliments are examples of phatic communication. They serve to establish a favourable atmosphere in communication. Compliments can be expressed directly and indirectly, in simple and elaborate forms (from single interjections to complex sentences). Compliments are speech acts that belong to Austin's Behabitive group and Searles' Expressives. Compliments often serve to avoid conflicts and are generally face-saving acts. However, when complimenting representatives of a different culture, one should be extremely careful, as what is a widespread and acceptable compliment in one culture may be considered rude or even sexist in another. In this case compliments may represent a threat to both the speaker's and the hearer's face.

სარეკლამო ენის გენდერული ასპექტები

ცნობილია, რომ რეკლამა მიმართულია ადამიანის ცნობიერებაზე გავლენის მოსახდენად. ვერბალური, ვიზუალური ინფორმაცია ქმნის განსაზღვრულ აბსტრაქციებს, ცნებებს, ხატებს, რომლებიც შემდგომ მკვიდრდება ცნობიერებაში, გადამუშავდება და აღძრავს რეკლამირებული საქონლის შეძენის სურვილს. სარეკლამო ინფორმაციის აღქმის და გადამუშავების პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფსიქოლინგვისტური ფაქტორების გამოყენებას, რომლებიც დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში და შესაბამისად ენაშიც.

ჩვენი კვლევის ობიექტია სარეკლამო ტექსტი, რომელიც იყენებს ქალთა ტიპების სახეებს და სარეკლამო ობიექტი განკუთვნილია ქალთა მოხმარებისათვის.

რეკლამის პირველადი დისკურსი საქონლის შეთავაზებაა, მეორადი კი — საზოგადოებაში არსებული სოციალური, გენდერული ანუ სქესის მიხედვით არსებული სტერეოტიპები. რეკლამის შექმნისა და განთავსებისას ავტორები (რეკლამის) ითვალისწინებენ მომხმარებლის გენდერულ სპეციფიკას, ანუ სარეკლამო საქონელი მამაკაცისათვის არის გამიზნული, თუ ქალისთვის. რეკლამის ტექსტი გადმოიცემა სხვადასხვა ხერხით: ვერბალურით (ტექსტით) და არავერბალურით (ვიზუალურით).

ეფექტურობის თვალსაზრისით, ყველაზე სასურველი და მაცდური არის გენდერული ხატი; როგორც ჟან ბათი (Jean Bataille) აღნიშნავს, თეორიულად კაციც შეიძლება იყოს ქალის სურვილის ობიექტი, ისევე როგორც ქალი არის კაცის სურვილის ობიექტი; ძნელი დასამტკიცებელია, რომელი უფრო მშვენიერია ან სასურველი — ქალი თუ კაცი, მაგრამ არამიზნობრივ რეკლამებში ჭარბობს ქალის გამოსახულება, რადგან ქალები უფრო გახსნილი არიან სურვილის მასტიმულირებლად; ამიტომაც, რეკლამირებული პროდუქციის დიდი ნაწილი დემონსტრირებულია მშვენიერ ქალთა ფონზე. ყოველივე ეს

განსაკუთრებულად ვლინდება სუნამოთა რეკლამებში. კრისტიან დიორის ერთ-ერთი ცნობილი ფრანგული სუნამოს „j'adore“-ის რეკლამაში თავმოყრილია ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა მთელი კომპლექსი; თვით სიტყვა „j'adore“ და რეკლამის კონცეფცია „აბსოლუტური ქალურობა“ („la féminité absolue“) ემთხვევა და სრულ ჰარმონიაშია რეკლამის გრაფიკულ გამომსახველობასთან: ფლაკონი და მისი ხუფი ასო „j“-ს ფორმისაა, სუნამოს დასახელების ბგერითი შემადგენლობა სრულად ყლერადია (მყდერი თანხმოვნები — ž, d, ნარნარა r და ხმოვნები a, o), ფერთა ჰარმონიაც შესაბამისია — ნისლისფერ ფონზე გამჭვირვალე ოქროსფერი, რაც სიმშვიდის, სინაზისა და ფუფუნების სიმბოლოა.

ის სამყარო, რომელსაც ყოველივე ამით ქმნის კრ. დიორი, თითქმის მაგიურია და უბიძგებს პოტენციურ მყიდველს დაუფიქრებლად, პირველადი ემოციის გავლენით, ანუ იმ გავლენით, რასაც მასზე ახდენს ტექსტის, ფერთა და გრაფიკული გამომხატულების მთლიანობა, შეიძინოს ეს სუნამო.

„j'adore“-ის რეკლამა შედგება ფოტოსურათისაგან და ტექსტებისაგან, ფოტოსურათზე გამოსახულია ახალგაზრდა, ქერათმიანი, ჰაეროვანი ქალი, რომელიც მკერდამდე ჩაფლულია გაუმჭვირვალ, ოქროსფერ სითხეში; მისი სახე და მისი მზერა მიმართულია პოტენციური მყიდველისაკენ, თუმც არაექსპრესიულია, ნეიტრალურია; ის გამომხატავს სულიერ სიმშვიდეს, უთრგუნველობას; მის მარცხენა ხელთან, სითხის ზედაპირზე, თითქმის მაგიდაზე, მოთავსებულია ფლაკონი, რომელსაც თითქმის, არაგამიზნულად, ეხება მისი საჩვენებელი თითი. ოქროსფერი სითხე, რომელშიც ჩაფლულია ახალგაზრდა ქალი, თითქმის მოიცავს მის ირგვლივ მთელ სივრცეს: მარჯვნივ, მარცხნივ, ქვემოთ; უკანა ფონი კი — გაუმჭვირვალე ნისლისფერია.

რაც შეეხება სუნამოს ტექსტს, იგი შემდეგი ასპექტებითაა წარმოდგენილი: სურათის ზემო ნაწილში, დიდი ასოებით, გამოსახულია საფირმო ნიშანი „Dior“, ქვედა ნაწილში — ნაწარმის ტიპოგრაფიული ლოგო „მოცეკვავე ასოებით“; ასოები არ არის განლაგებული ერთ მწკრივში, ისინი თითქმის ატყორცნილია და ასოცირდება ნარნარად მოცეკვავე ქალბატონებთან; სულ ქვემოთ კი — წვრილი ასოებითაა „Christian Dior, Paris“; სიტყვები ცოტაა, მაგრამ მათი ფორმა და განლაგება თითქმისდა იმეორებს და ავსებს ფოტოსურათიდან წამოსულ გზავნილს.

„j'adore“ მცირე მოცულობის ტექსტია, მაგრამ მრავლის მომცველი; ზმნა „adorer“, რობერის ლექსიკონის მიხედვით, მოიცავს 2 რეგისტრს — ლიტურგიულს და სასიყვარულოს; Adorer ნიშნავს „გადმერთებას“ და „თავყანისცემას“, რაც თანხვედრაშია Dior-ის კონცეფციასთან — „აბსოლუტური ქალურობასთან“ („la féminité absolue“). სიტყვა „j'adore“ | პირშია, ეს კი მიგვანიშნებს, რომ მისი მიზანია გადმოსცეს სურათზე გამოსახული ახალგაზრდა ქალის გრძნობები.

Christian Dior-ის სახელის მოთავსება ფოტოსურათის ზემოთ და ქვემოთ გვაუწყებს, რომ Dior-ის სამყარო ღიაა ჩვენი მზერისათვის.

ფოტოსურათის ყველაზე კონტრასტული ზონაა ფერთა გამა; ყვითელი და შავი შეადგენს ვიზუალურად ძლიერ მთლიანობას; ძირითადი ფერებია: ხორცისფერი, ოდნავ მოყავისფრო, რაც ჰარმონიაშია ქალის შიშველ მხრებსა და ხელებთან, ჭარბია ოქროსფერი — ქალი მოთავსებულია ოქროსფერ სითხეში, სამოსის წვრილი თასმაც ოქროსფერია და ამ ორი ფერის (ხორცისფერის და ოქროსფერის) შეხვედრის წერტილი სწორედ ქალი და ფლაკონია.

რეკლამის ავტორმა მიზანდასახულად გამოიყენა ფერთა ასეთი გამა: ოქროსფერის სიმბოლიკა არის მზის სინათლის, ბარაქიანობის, მაგიურობის, სიყვარულის, სითბოს, ჰაეროვნების, მიწიერების, ზეციურობისა და ღვთიურობის გამომხატველი; ხორცისფერში რეალური სამყაროს სიმბოლიკა იგრძნობა. ამ ფერთა არაჩვეულებრივ პალიტრას თვალსაჩინოს ხდიან ისეთი გრაფემები, რომლებიც თითქმის ახივებენ მათში კოდირებულ ბგერებს: მყდერ ხშულ d-ს, მყდერ სპირანტ ž-ს, ნარნარა r-ს და ხმოვნებს — a-ს და o-ს; თვით Christian Dior-ის გვარ-სახელშიც მყდერი ბგერები ჭარბობს.

თავის დროზე ჟან კოტოს უთქვამს, რომ „Dior“ მაგიური სახელია, რომელიც არის შედეგი კომბინაციისა Dieu (ღმერთი) და Or (ოქრო) და სწორედ ეს არის ერთ-ერთი გასაღები ამ რეკლამის კონცეფციისა. ბგერათა აღნიშნული ალიტერაცია „Dior, j'adore“ გვაუწყებს, რომ ეს თვით Dior-ია, რომელიც ყველას უყვარს. ასევე ის შეიძლება განისაზღვროს როგორც სარეკლამო ტექსტი, ვინაიდან სიტყვები, რომლებიც ყველაზე უფრო თვალში საცემია, არის Dior, j'adore.

უმრავლეს შემთხვევაში, არც ერთი სარეკლამო ტექსტი აშკარად არ უბიძგებს თვით ყიდვისაკენ. აღსანიშნავია, რომ გენდერული განსხვავებები რეკლამაში თავს იჩენს უფრო ხშირად მაშინ, როცა საქმე

ეხება რეკლამირებული საგნის შეხებას: მამაკაცს ყოველთვის მაგრად უჭირავს რეკლამირებული საგანი (ბოთლი ან სიგარეტი, ან თუნდაც მანქანის საჭე), ქალი კი ოდნავ ეხება სარეკლამო ობიექტს. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ j'adore-ის რეკლამაზე გამოხატული ქალი, საჩვენებელი თითით, ოდნავ ეხება სუნამოს ფლაკონს. ამ შეხებას ორმაგი დატვირთვა აქვს: არადაყინებით შესთავაზოს პოტენციურ მყიდველს ეს ნაწარმი და იმავდროულად გამოხატოს ის კავშირი, რომელიც რეკლამაში მყარდება სუნამოს ფლაკონსა და მასზე გამოსახულ ქალის პერსონაჟს შორის. ქალი მას (სუნამოს) ფლობს და ამით სთავაზობს პოტენციურ მყიდველს, გახდეს მისი (სუნამოს) მფლობელი. ამრიგად, რეკლამის ტექსტი და მისი ვიზუალური მხარე გვიბიძგებს სპონტანური და დაუფიქრებელი ყიდვისკენ: „იყიდე და შენ გარდაიქმნები ისეთივე ლამაზ და იღუმალ ქალად, როგორც რეკლამაშია წარმოდგენილი“.

ამგვარად რეკლამის წარმატებული შემოქმედების საწინდარი მისი „მაცდურ-მომხიბვლელი“ ხასიათია. j'adore-ის რეკლამა თავისი ვერბალური და ვიზუალური მხარით არა მარტო ჰპირდება მყიდველს ამ პროდუქტისგან მიღებულ სიამოვნებას, არამედ, და რაც, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის აღძრავს თვით შეძენის სურვილს.

ლიტერატურა

ბატაი ჟ. 1993 – Батай Ж. Автобиографии//Ad. Marginem. 1993
ბოდრიარი ჟ. 1996 – Бодрийар Ж., Симулякры и симуляция//
 Философия эпохи постмодернизма. Минск, 1996
გროშევი 1998 – Грошев И. Образ женщины в рекламе//Женщина,
 Гендер, Культура, М. 1999
გროშევი 1999 – Грошев И. Гендерная невербальная коммуникация
 в рекламе//Социологические исследования. М.1999

Gender Aspects of the Language of Advertising

Summary

The primary function of advertising discourse is offering goods, whereas its second function is using society-specific social and gender stereotypes effectively.

The gender image is the most desirable and tempting. The realisation of gender specific peculiarities in advertisements has been examined on the sample of the French advertisement for the perfume 'j'adore'. The advertisement in question employs a variety of verbal and non-verbal means: the word 'j'adore' itself and the conception of the advertisement – 'la feminine absolue' coincides and is in full harmony with the graphic design; the bottle and its cup have the form of the letter j; the name 'j'adore' sounds symbolic, the choice of colours is accurate – transparent golden against the misty background symbolizes calmness, tenderness and luxury. The verbal as well as visual aspects of the advertisement are pleasure-promising and arouse a strong desire to purchase the perfume in the consumer.

ა. კინწურაშვილი, ბ. ბენიძე, ნ. ბებულაშვილი, თ. ალოშვილი, მ. ვახარაძე

ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერები“

ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერები“ ინტერტექსტუალური კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან იგი მთლიანად ინტერტექსტუალური ხასიათისაა, რაც ტექსტში სხვადასხვა იმპლიციტური თუ ექსპლიციტური იმპლიკაციათა სახით ვლინდება.

როგორც ცნობილია, ინტერტექსტუალობა ტექსტში შესაძლოა სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, ესენია: *mise en abyme*-ი („ტექსტი ტექსტში“ — პრინციპი), *flash-back*-ი, პაროდია, პასტიში, კინემატოგრაფიული ადაპტაცია, ალუზია, ციტატა თუ რემინისცენცია (კინწურაშვილი, 2007). წინამდებარე სტატიაში, ვაგრძელებთ რა ინტერტექსტუალობის სხვადასხვა ფორმათა ანალიზს, ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ინტერტექსტუალობის კიდევ ერთ სახეზე — ლიტერატურულ პლაგიატზე, რომელშიც ინტერტექსტის ცნება გულისხმობს ტექსტში მთელი რიგი სხვა ტექსტების ჩართვას. აქ საქმე ეხება როგორც მარკირებულ, ასევე არამარკირებულ ფრაგმენტებს, რასაც ლინგვისტები მიაკუთვნებენ იმპლიკაციათა სხვადასხვა ტიპებს, განიხილავენ რა მათ როგორც ინტერტექსტემებს, ინტერტექსტუალობის მარკერებს, პრეცედენტულობის გამოხატვის საშუალებებს, რაც თავის მხრივ გამოხატავს ინტერტექსტუალურ მიმართებებს ლექსიკურ, სინტაქსურ თუ სტილისტურ დონეზე.

ინტერტექსტი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ დიდ კატეგორიად: ერთი მხრივ, ეს არის ერთი ტექსტის ტრანსფორმაცია მეორე ტექსტად, რომლის დროსაც ავტორი ეწინააღმდეგება, ამუქებს ან აჭარბებს პირველადი ტექსტის ფორმალურ მახასიათებლებს და ქმნის ახალ ტექსტს, მაგალითად, როგორიცაა ჯოისის „ულისე“ და მ. ტურნიეს „პარასკევა ანუ წყნარი ოკეანის ლიმბები“ და მეორე კატეგორია, რომელიც წარმოადგენს ტექსტებს შორის მუდმივი ურთიერთგაცვლის, თანაარსებობის ფაქტს ციტატების, ალუზიებისა და რე-

ფერენციათა სახით (კინწურაშვილი, 2005). ამრიგად, რაც შეეხება ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერებს“, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ტრანსფორმირებული ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძვლად სწორედ ტრანსფორმაციული ენერგია უდევს, არამედ განვიხილავთ მას როგორც ლიტერატურულ პლაგიატს ჟენეტის გაგებით (ჟენეტი, 1979). მაშ, მთავარ შეკითხვაზე პასუხი, თუ რატომ არის ლოტრეამონის „სიმღერები“ ლიტერატურული პლაგიატი, ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შემდეგია: უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ლოტრეამონი არ ახდენს ძველი ფორმებისთვის ახალი ფუნქციის მინიჭებას, არამედ თითქმის უცვლელად ინარჩუნებს ტექსტი-წყაროს ძირითად შინაარსობრივ მიმართულებას, გარდაქმნის რა მას რეფლექსიის, გამოხატულებისა და წარმოდგენის მთავარ ობიექტად. აღნიშნული ინტერტექსტუალური პროცესი ლოტრეამონთან სამი ძირითადი სახით ვლინდება: პაროდირება, იმიტირება და სტილიზაცია. თავად ლოტრეამონი წერდა, რომ „პლაგიატი აუცილებელი და გარდაუვალი ფენომენია. ფეხდაფეხ მიყვები რა ავტორის ფრაზას, უნდა გამოავლინო მასში ჩადებული იდეა, რომელიც იმთავითვე მცდარია და ჩაანაცვლო იგი უნივერსალური ჭეშმარიტების იდეით“. პლაგიატი ესაა კულტურული პრიორიტეტების რღვევა, წინააღმდეგობის ტექნიკა მიმართული კულტურული გენიის, მითების ავთენტურობის, ორიგინალურობისა და კრეატიულობის წინააღმდეგ. ეს არის ის, რაც ამსხვრევს ავტორიტეტის ცნებას. ამრიგად, მიმართავს რა ცნობიერ თუ არაცნობიერ ინტერტექსტუალურ თამაშს, ლოტრეამონი „მალდორორის სიმღერებს“ ანიჭებს პლაგიატის სტატუსს, გარდაქმნის რა მას ჰიპერტექსტუალურ პრაქტიკათა ერთგვარ ასპარეზად, რაც არის შედეგი იმისა, რასაც ავტორი თავად მიმეზისისა და კვლავდაწერის (*réécriture*) მიჯნაზე ქმნის, ანიჭებს რა მას მკვეთრად გამოხატულ ირონიულ ხასიათს, რაც თავის მხრივ კონკრეტულ მიზანს ემსახურება: მოახდინოს არსებულ ღირებულებათა დესაკრალიზაცია ინვერტირების გზით. აქ მთავარი საკითხი პლაგიატის მხატვრულ ნაწარმოებში აზრობრივი ღირებულებების პერსპექტივას ეხება. ხდება აღებული ტექსტის ახალ კონტექსტში ჩართვა, რაც სრულიად უცვლის მას მნიშვნელობას. ჩნდება ახალი დისკურსი ანუ „სხვისი სიტყვა“, ხოლო ავტორის მთავარი დანიშნულება და წვლილი ამ შემთხვევაში არის ის, რომ იგი თითქოს განაზოგადებს მის ტექსტში შემავალ ყველა ამ „სხვის“ სიტყვას. ხდე-

ბა გამოყენებული ტექსტის ობიექტივიზაცია და დეფორმაცია, მნიშვნელობის ინვერტირება, რასაც საფუძვლად ხშირად იმიტაციის პროცესიც უდევს. როგორც გასტონ ბაშლარი აღნიშნავს, ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერები“ ეს არის ნაწარმოები, რომელიც მთლიანად მოქცეულია წიგნიერი კულტურის თვითაღიარებულ საზღვრებში. ეს არის სხვადასხვა ხატისა თუ მოტივის მოზაიკა, სიუჟეტთა თუ სიტუაციათა მსვლელობა, სხვადასხვა რეგისტრთა თუ ჟანრობრივ ფორმათა ნაზავი, რომელიც თავის სტრუქტურულ თუ თემატურ ასპექტში მთლიანად ეფუძნება პარა თუ პერიფრაზულ ჯაჭვს, ექსპლიციტურ თუ იმპლიციტურ რემინისცენციებს, ალუზიებსა და ციტატების უსასრულო კოლაჟს. რაც უფრო სიღრმისეულია კვლევა, მით უფრო ნათელი ხდება, რომ ყოველი ხატი თუ სიმბოლური შტრიხი, რომელიც თითქოსდა ლოტრეამონის კრეატიული ძალის რეზულტატია, თითქმის უცვლელადაა აღებული მთელი რიგი სხვა ავტორებისგან და რეფერენტულია მხოლოდ ნაწარმოებთა მიმართ. იქმნება ერთგვარი პარადოქსალური რეფერენტულობაც კი, როდესაც თითოეული ცალკე აღებული ერთი მოტივი უსასრულოდ მიემართება სხვა კულტურულ ტოპოსში მოცემულ მოტივს, ხდება რა თავად ამ უსასრულო ჯაჭვში მათი გადაკვეთისა და ირეადიაციის წერტილი. ნაწარმოები მთლიანად იკეტება ბახტინისეული სხვისი სიტყვის სამყაროში, თუნდაც მოხდეს მისი სრულიად ახალ კონტექსტში ინტეგრაცია (ბახტინი, 1975). ეს არის ერთგვარი დახშული სივრცე, ჩაკეტილი განზომილება, რომლისგანაც არ არსებობს გამოსავალი. ავტორი არაფერს გვთავაზობს იმისთვის, რომ დავუპირისპირდეთ მოცემულ პარადიგმულ ფორმებსა და ტოპოსებს, არც კი ცდილობს გამოვიდეს ამ მოჯადოებული წრიდან. ამგვარად ტექსტი ხდება აზრობრივი უსასრულობის პოტენციური მატარებელი, ანუ განიხილება როგორც დინამიური, პლაზმური გარემო, სადაც თითოეული ხატი თუ სახე, მათი ტექსტის ერთიან ქსოვილში ინტეგრაციის შემდეგ, იწყებს ცხოვრებას თავისი ავტონომიური ცხოვრებით, ერთგვარადაა თვითრეგენაციის პროცესში. ამავე დროს მისი ღიაობა, აღნიშნული რეგენაციის უსასრულო პოტენციალი არა თუ არ ეწინააღმდეგება ტექსტის დახურულ, დასრულებულ ხასიათს, არამედ პირიქით, წარმოადგენს მის რეზულტატს. იგი ქმნის ერთგვარ ჰერმეტიკულ კამერას, რომელშიც მიმდინარეობს აზრობრივი, ე.წ. პლაზმური პროცესები, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად ინტერტექსტის ცნება უდევს.

ინტერტექსტუალობის ამგვარი ხასიათი ლოტრეამონთან განაპირობებს თავად ტექსტის არსებობასა და მის მუდმივ განვითარებას, რაც თავის მხრივ გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „მალდორორის სიმღერები“ ბევრად აღრე შეიქმნა, ვიდრე პოსტრუქტურალისტური თეორიები გავრცელდა, დღეს შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი თავისი ფორმითა და შინაარსით რიზომატული ნაწარმოებია, რომელიც, როგორც ე. კრისტევა აღნიშნავს, სრულიად ავლენს პოსტრუქტურალიზმის დამახასიათებელ ძირითად შტრიხებს. რაც შეეხება თავად ტერმინს — „რიზომა“ შემოტანილ იქნა ფრანგი მკვლევრების ე. დელეზისა და ფ. გვატარის მიერ სტრუქტურის ცნების საწინააღმდეგოდ. ეს არის ფესვისებური სისტემა, რომელშიც წინაზარდები რეგულარულად კვდებიან და კვლავ იზრდებიან, ამდენად ისინი გარემოსთან მუდმივი გაცვლის მდგომარეობაში არიან. იჭრება რა სხვა ევოლუციურ ჯაჭვში, რიზომა კავშირს ამყარებს განვითარების სხვადასხვა ხაზთან, რაც ქმნის არასისტემურ და მოულოდნელ განსხვავებებს, რომელთაც არ ძალუძთ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რაიმე თვისების ყოფნა — არყოფნით (დელეზი, გვატარი, 1976). ეს არის კონსტრუქციის სრული უარყოფა, რომლის შედეგადაც მივიღეთ ის, რასაც დერიდა დეკონსტრუქციას უწოდებს. რიზომატული რომანის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს უ. ეკოს რომანი „ვარდის სახელი“ (ეკო, 1988).

ამგვარად, ლოტრეამონი ახდენს ერთიანი ორგანიზებული სამყაროს ხატის სრულ დეკონსტრუქციას. ერთგანზომილებიანი ტექსტი იცვლება მრავალგანზომილებიანი ჰიპერტექსტით, სადაც ხდება სხვადასხვა დისკურსის გადაკვეთა, რასაც საბოლოოდ მივყავართ არალინეარული, მაგრამ ტოპოლოგიური ერთიანობის შექმნამდე, რომელშიც როგორც რიზომაში ხდება განუწყვეტელი თვითგანახლებისა და თვითგანვითარების პროცესი. ეს უსასრულო ცვლა არ იძლევა მნიშვნელობის გამაგრების საშუალებას და კრისტევას ტერმინოლოგიის მიხედვით იღებს „სემიოტიკური ქორის“ სახეს, ხოლო სოლერის ტერმინოლოგიის მიხედვით ადგილი აქვს „ტექსტუალური უსასრულობის“ ფენომენს (კრისტევა, 1969). ამ უკანასკნელის აზრით, მთავარი პოსტმოდერნული მახასიათებელი ლოტრეამონის ტექსტისა მდგომარეობს იმაში, რომ ავტორი ერთიან ქსოვილში რთავს ერთი შეხედვით ერთმანეთთან შეუთავსებელ დისკურსებს და ამავე დროს უარს ამბობს მათ იერარქიზაციაზე. ამით ლოტრეამონი არღვევს მათ

შორის არსებულ ბარიერებს და ცდილობს საფუძველი გამოაცალოს მისი ნაწარმოების კლასიკურ გაგებას, როგორც მონოცენტრულ კონსტრუქციას. ამდენად, ტექსტს არ აქვს მკაფიოდ გამოხატული ღერძული ორიენტაცია, ისევე როგორც რიზომას. ასეთ შემთხვევაში, იგი შეიძლება განვითარდეს ყველა მიმართულებით და მიიღოს სხვადასხვა კონფიგურაცია, რაც განაპირობებს მათი მარკირებულობის დაკარგვასა და განსხვავების შთანთქმას არადიფერენციალური მთლიანობაში. ამდენად, „მალდორორის სიმღერების“ რიზომატული, დახურული სივრცე შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც პირველი, პლაგიატზე დაფუძნებული, პაროდული ინტერტექსტი.

ხოლო, რაც შეეხება ნაწარმოების პლაგიატურ ხასიათს, ამაზე თავად ნაწარმოების პირველივე სტროფები მიგვანიშნებს: „ეს სიმღერები, რომელთაც თქვენ წინაშე შევასრულებ, არ არის ახალი“ და „ეს წიგნი დაწერილია სხვა ადრე წაკითხული წიგნების საფუძველზე“. სწორედ ეს ფრაზებია ერთგვარი გასაღები იმისა, თუ როგორ აღმოცენდა უნიკალური ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს მზა სახეებისა და მოტივების, ლირიკული და ნარატიული რეგისტრების მოზაიკას. იგი მთლიანად აგებულია სხვადასხვა კულტურულ ტოპოსებზე დაყრდნობით, რომლებიც თავის მხრივ უსასრულოდ მიემართებიან ერთმანეთსა და სხვა ტოპოსებს. ამდენად, ორგანულ პროცესებზე დაფუძნებული ტექსტიდან „მალდორორის სიმღერები“ გადაიქცევა ტექსტუალურ მონსტრად, ტექსტ-ვამპირად, რომლის ჩამოყალიბების პროცესიც ეტაპობრივად ხორციელდება. თავდაპირველად ხდება სხვა ტექსტების, მათი ფორმებისა და მოტივების თავბრულამხვევი რაოდენობის შთანთქმა-აბსორბაცია. შემდეგ, ლექსების მიერ “მოპარული“ ტექსტები დეფიგურაციას განიცდიან ძირითადი ტექსტის შიგნით, ექვემდებარებიან ახალ ლოგიკას, რაც იწვევს მათი პირველადი იდენტურობის დაკარგვასა და ასიმილაციას ერთსა და იმავე ტექსტში. ბოლოს, მთელი ტექსტი განიცდის აბერაცია-დამახინჯებას, რაც განაპირობებს მნიშვნელობის ინვერტირებას. ხდება რა მონსტრი, ტექსტი აღიჭურვება დემიურგიული ძალით, რომლის მიზანიც ალტერნატიული სამყაროს შექმნაა, რაც კარგად ესადაგება მალდორორის გეგმას: დაიკავოს ღმერთის ადგილი და მოახდინოს ღვთაებრივი სიტყვის უზურპაცია. მართლაც, პლაგიატზე დაფუძნებული ტექსტი ემსგავსება სიტყვას, რომლის უსასრულობასაც მისი ინტერტექსტის სიმრავლე განაპირობებს. ეს ყველაფერი თავის მხრივ

წარმოქმნის ტექსტი-პირველწყაროების იდენტიფიკაციის პრობლემას; განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჰიპერტექსტის გადამუშავების პროცესი და ახალი ტექსტის შექმნა სხვადასხვა ხერხით ხორციელდება, „მალდორორის სიმღერების“ მიერ გამოყენებული თუ ე.წ. „მოპარული“ სხვა ავტორთა ფრაგმენტები ტექსტის შიგნით, ასე ვთქვათ, ისე „მახინჯდება“, რომ თითქმის ამოუცნობი ხდება.

ჰიპოტექსტი, რომელიც მეტ-ნაკლებად ამოსაცნობია და ამ თვალსაზრისით ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ლოტრეამონის ტექსტის გასაგებად, ეს არის ანრი მიშოს „ფანტასტიკური ცხოველები“, ჰიბრიდული ცხოველური ფიგურების გრძელი პროცესი, პოეტურ-მონსტრული ლაბორატორია, სადაც ყველა ფორმა ერთმანეთს ერწყმის, უწყვილდება, რათა მთლიანობაში შეადგინონ ტექსტის ქსოვილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ცხოველური არსებები იპყრობენ ტექსტს ისე, რომ ადგილს არ უტოვებენ სხვა მატერიალსა და პოეტურ არსებებს. მიშოს ამ ნაწყვეტის აღება ლოტრეამონის მიერ ალბათ არ არის შემთხვევითი, ვინაიდან იგი ყველაზე ახლობელი აღმოჩნდა ლოტრეამონის მსოფლმხედველობასთან. მის მიზანს წარმოადგენს სწორედ ისეთი ორგანული ტექსტის შემუშავება, რომელიც ცხოველური და ჰიბრიდული ფორმებით იკვებება. თუმცა მიშოსგან განსხვავებით, „მალდორორის სიმღერების“ ორგანულობა დიდ წილად იმპლიციტურია. ამ ეფექტს ქმნის „სიმღერების“ წერითი ენერგია, იმპულსი, იყენებს რა მრავალყანრულ, მრავალი მნიშვნელობის მქონე ჰიპოტექსტებს: ეპოპეა, მეტაფიზიკური ხასიათის დრამატული პოემა, შავი რომანი, მელოდრამა — ლოტრეამონის მიერ ტექსტში ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული ფორმებია. ამგვარი ჰიბრიდულობა ქმნის ქაოტურ ენერგიას, ყველაფრის მშთანთქმელ ფენომენს, რომელიც ამავე დროს არ კმაყოფილდება მხოლოდ ლიტერატურით და ამ გიგანტურ აბსორბციაში უჩინარდება თავად სკრიპტორი დუკასი, ჩნდება რა მისი ტექსტუალური ორეული — ლოტრეამონი.

ტექსტის ჰიბრიდად ქცევის პროცესს ხელს უწყობს ლოტრეამონის მცდელობა წაშალოს ზღვარი უჩინარებს შორის. მასთან ტექსტი განვითარების პროცესში მყოფი ქმნილებაა, სადაც ყოველი ტექსტი გაყოფით მრავლდება, რაც ლოტრეამონს საშუალებას აძლევს წაიყვანოს იგი იმ მიმართულებით, საითაც სურს, თუმცა ხშირად არ იცის

სად მიიყვანს იგი, უბრალოდ მიჰყვება დინებას, თუმცა არა იმიტომ, რომ ბრმად ენდობა, არამედ იმიტომ, რომ ნაწარმოების ეს ჩამთრევი ძალა წარმოადგენს მისი არსებობის მანერას, მისი წინსვლის სტილსა და ფორმას. შესაბამისად, ტექსტი ეფუძნება მუდმივ უთანხმოებას, ქაოსს, უწესრიგობას, რაც ქმნის მისგან ჰიბრიდს და ანიჭებს მოქმედ ხასიათს.

ჰიბრიდაცია განისაზღვრება როგორც ტექსტის გადამუშავების პროცესი, რითაც ლექსი თავის განსაზღვრულ ფორმაში ჰიბრიდად იქცევა. განსხვავებულნი არიან სახის ჰიბრიდაციას: ფიგურალური, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს ცხოველთა და ბიბლიური ფიგურები და კონკრეტული, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს სტრუქტურათა, ჟანრთა და ფორმათა თანხვედრის პროცესი. ჰიბრიდაციის ეს ორი სახე ერთი და იმავე ფენომენის ორი მხარეა და განისაზღვრება ტექსტის წიაღში უწყვეტი ცვლილებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერები“ არის ტექსტი ჰიბრიდი, რომელიც მიისწრაფვის ჟანრობრივი აბერაციისკენ. მისი საშუალებით ავტორი მრავალ ჟანრს უბირისპირებს ერთმანეთს და ამავე დროს ანულაციას უკეთებს მათ. სწორედ ამიტომაც შეუძლებელია „მალდორორის სიმღერები“ რომელიმე კონკრეტულ ჟანრს მივაკუთვნოთ. ჟანრობრივი აბერაცია არის ტექსტი-ობიექტი, რომელიც ჟანრობრივი კორპუსის და, ყენეტის მიერ შემოტანილი ტერმინის მიხედვით, არქიტექსტის მიღმა რჩება და ჩნდება კითხვა არაადეკვატური ჟანრის შესახებ, რაც აუცილებელი ხდება მთლიანობაში ლოტრეამონის ტექსტის აღსაქმელად.

იქვე მონსტრად ლოტრეამონისთვის ნიშნავს გახდეს სხვა, გათავისუფლდეს წარსულისგან. „მალდორორის სიმღერების“ მუდმივი და უცვლელი ინტერტექსტულობა ამ გეგმის პირობაა. ნაწარმოებში, რომელიც სცილდება სტაბილურ ჟანრობრივ ჩარჩოს, უფრო მნიშვნელოვანია არა გამოყენებული საგნები, არამედ მათი გამოყენების პროცესი, დინამიკა, რომელიც თავს უყრის მიმობნეულ ელემენტებს. ცვლილების ასეთი დინამიკა, რომელიც ცდილობს აქციოს ტექსტი მონსტრად, განსაზღვრავს სიმღერების ცვალებად, მიუწვდომელ ხასიათს. ტექსტი თითქოს მოძრაობს და აიძულებს მკითხველს მასთან ერთად გადაადგილდეს. ჟან-ლუკ სტიემეცო ლაპარაკობს წერის ორმაგ რეჟიმზე: ერთი მხრივ, ეს არის „მალდორორის სიმღერების“ „სპეციალური სილამაზე“, რომელიც შექმნილია სიტყვების ზოგჯერ

მეცნიერული დაზუსტებით, მოულოდნელი სურათებით, ნარატიულ ეპიზოდებში არსებული წარმოსახვით, რომელიც თითქოსდა ორინიკული ზემოქმედებიდან მომდინარეობს, და მეორე მხრივ, ირონიული გადახვევა, რომელიც იყენებს უმართებულო, უხამს სიტყვებს და კითხვის დროს იწვევს მიღებული შთაბეჭდილების ცვალებადობას. აღნიშნული პროცესი ტექსტს ცვალებად ხასიათს ანიჭებს და გარკვეულწილად, ხელს უშლის ტექსტთან სიახლოვეს. არსებობისა და არარსებობის, გამონათქვამისა და სიჩუმის ზღვარზე შექმნილი ნაწარმოები მკითხველში თავბრუსხვევას იწვევს.

„ტექსტი-მონსტრზე“ საუბარი მკითხველს დააფიქრებს მონსტრის ფუნქციასა და ტექსტში წარმოდგენილ სხვადასხვა ფანტასტიკური ცხოველის დანიშნულებაზე, რომელსაც ავტორი ტექსტის გადამუშავების პროცესში იყენებს და რომელიც გამოძახილს პოვებს ტექსტის მიმეზისში, ცვალებადი, განუსაზღვრელი, უცნაური ფორმის ცხოველთა უწყვეტ დეფილემში. დაუსრულებელი, დეფორმირებული და მანკიერების მატარებელ ჰიბრიდთა შექმნა, რომელიც პლაგიატზეა დაფუძნებული, ეს არის მონსტრების შექმნა, რომელიც შეძრავს მკითხველს და ადგენს მისი სამყაროს ონთოლოგიურ საზღვრებს.

„შევამჩნიე, რომ მხოლოდ ერთი თვალი მქონდა შუბლზე! ო, ვერცხლის სარკეებო, რამდენჯერ არ დამხმარებინართ თქვენი რეცეპტორებით! იმ დღეს, როდესაც კატა ანგორამ გამომხრა, უეცრად გადახტა ჩემს ზურგზე, იმიტომ რომ მისი პატარები გავაბრაზე ალკოპოლით სავსე სარდაფში. დღეს ჭრილობები მივიღე სხეულზე ან ჩემი საბედისწერო დაბადებით ან ჩემი საკუთარი შეცდომით. კმაყოფილების მწერით გადავხედე ჩემს ორბუნებობას და თავს მშვენიერად ვგრძნობ...“

ორბუნებობა ტექსტის ჰიბრიდული ხასიათია, ისევე როგორც ორმაგი ტერატოლოგიური გაცვლა-გამოცვლა ტექსტის სტრუქტურასა და მიმეზის შორის. აქ მალდორორი გვთავაზობს თავის ახალ ავტოპორტრეტს. თავის თავს აღწერს, როგორც არასრულყოფილს, ხეიბარს, გონებითა და სხეულით მონსტრს. მონსტრუოზულობა ერთსა და იმავე ჰიბრიდულ ტექსტში ათავსებს ბიბლიურ ინტერტექსტებს რემინისცენციათა სახით. ამგვარად, ბაშლარი ლაპარაკობს „ტერატოლოგიურ სიმღერებზე“, რომელიც ახასიათებს დუკასისეულ წარმოსახვას, ამ „უზარმაზარ ბიოლოგიურ პროდუქტს“. ტექსტის ცხოველურ ფიგურებს „დინამიკური ღირებულება“ გააჩნიათ და გან-

საზღვრავენ აქტებსა და ყესტებს. ნაცვლად იმისა, რომ მკითხველს შესთავაზოს სურათები, ტექსტი მას ანებიერებს ჰიბრიდული, ცხოველური აქტებით. ჩვენი აზრით, აქ არის სწორედ **mise en abyme** (ტექსტი ტექსტში), რომელიც გამოხატავს ლოტრეამონის კომლექსს, რითაც ყესტები და ცხოველთა სახეობები მეტ-ნაკლებად ღირებული ხდება.

„მაღდორორის სიმღერების“ ცხოველური სურათი ქმნის ახალი ენის ემბრიონს. ფრანგული ენის შიგნით ლოტრეამონი იგონებს ახალ ენას არა სიტყვებით, არამედ მას ბიოლოგიური ფორმებითა და მოძრაობებით ასაზრდოებს.

ამრიგად, ლოტრეამონის ტექსტი ორმაგი ჰიბრიდაციის მატარებელია: ერთი მხრივ, „სიმღერების“ ტექსტის ფიქციურ ჭრილში ხდება ჰიბრიდული ცხოველური ფიგურების წარმოჩენა, და მეორე მხრივ, ხდება მტკიცედ ფორმალური ჰიბრიდაცია, რომელიც ხელს უშლის ყანრებისა და სტრუქტურათა ჩამოყალიბებას. ჰიბრიდაციის პროცესი პლაგიატის საშუალებით ქმნის ჰიბრიდულ ნაწარმოებს, სადაც ცხოველთა ფიგურები ჰიბრიდულობის ყველაზე ნათელი მაგალითია.

კვლევის პროცესში დავადგინეთ, რომ „მაღდორორის სიმღერების“ ტექსტზე 50-ზე მეტმა ავტორმა მოახდინა გავლენა. ამავე დროს, დავადგინეთ, რომ რეფერენციათა უმრავლესობა პაროდირებული ხასიათისაა, რაც საბოლოო ჯამში პაროდირული ანუ ე.წ. სუბვერსიული ინტერტექსტულობით ვლინდება. ლოტრეამონის ტექსტში სუბვერსიული ინტერტექსტის კლასიკური მაგალითია ავტორის მიერ ლამარტინის „*La lampe de temple*“-ის პასაჟთა მისეული გააზრება, სადაც ლოტრეამონი ზუსტად იმეორებს ლამარტინისეულ თემატურ ხაზს, თუმცა იქ, სადაც შემოდის ღვთაებრივი სამართლიანობის ცნება (ანუ რელიგიური ხაზი), ავტორი ახდენს ლამარტინის საწყის იდეათა სრულ ინვერტირებას, ტრანსფორმაციას, ქმნის რა „ყოვლის-შემძლის“ მისეულ პორტრეტს. იმ ძირითად ხერხებს შორის, რასაც ლოტრეამონი ლამარტინის ტექსტის ტრანსფორმაციის პროცესში იყენებს, ძირითადად ინვერსია ჭარბობს. მაგალითად თუკი ლამარტინთან ბავშვები გაიგივებულნი არიან ანგელოზებთან (**nous ressemblons à des anges**), ლოტრეამონი აქცენტს აკეთებს რა მათ სითეთრეზე, აღნიშნულ ფრაზაში ნეგატიურ კონოტაციას დებს: „**ils sont plus pales encore, et leurs sourcils sont froncés, comme ceux des homes, nos frères**

ainés“. ინვერტირება ატარებს რა ძირითადად წინააღმდეგობრივ ხასიათს, ხელს უწყობს თემატურ და სტრუქტურულ ელემენტთა ერთგვარ თანხვედრას. აღნიშნული წინააღმდეგობა ძირითადად სემანტიკურ პლანში ვლინდება, სადაც, მნიშვნელობის დონეზე, ძირითადად აქცენტს ლოტრეამონი ლექსიკურ ასპექტზე აკეთებს, იყენებს რა საწყის ტექსტში მოცემულ სიტყვათა ანტონიმურ მნიშვნელობას. მაგალითად, თუკი ლამარტინისეულ ტექსტში გვაქვს **bonté, sagesse, Bonheur**, ლოტრეამონთან იგი იცვლება შემდეგი ლექსიკური ველით: **cruelle, burlesque, lamentable**. ეს არის ერთგვარი სემანტიკურ-სტრუქტურული დაპირისპირება ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ტექსტისა, რომელიც ერთი და იმავე მოტივის, თუ თემატური ხაზის ორ განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

აღნიშნული ლექსიკური თამაში ლოტრეამონთან ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ სახესაც იღებს. ხატოვანი შედარებების საფუძველზე, იღებს რა სიტყვასიტყვით სხვა ავტორების ფრაზებს, იგი მათში მოულოდნელად რთავს მოცემულ სიტყვებთან სრულიად შეუსაბამო ფენომენებს, მაგალითად, როგორც ეს ზედსართავი სახელის **beau**-ს შემთხვევაში ხდება. დადებითი კონოტაციის აღნიშნულ ზედსართავ სახელს ლოტრეამონი უკავშირებს ისეთ არსებით სახელს, რომელსაც სემანტიკურად იგი სრულებით არ შეესაბამება. მაგალითად, „მშვენიერი როგორც თვითმკვლელობა“, „მშვენიერი როგორც ნახევრად გახრწნილი სხეული“, „მშვენიერი როგორც ჰარპიას საცეცები“ თუ „მშვენიერი როგორც ლოთის აკანკალებული ხელები“. როგორც ბრეტონი აცხადებს, ყოველი მსგავსი სტილისტური პრაქტიკა ლოტრეამონთან გარკვეულწილად ხელოვნურობით ხასიათდება. ავტორი ცდილობს მაქსიმალურად გაართულოს ლექსიკა და სინტაქსი და აქციოს ლიტერატურული ნაწარმოები თვითრეფლექციის იარაღად. პლეიეს თქმით, ამით ლოტრეამონმა ლიტერატურულ ტექსტს წაართვა ფიქციის შეგრძნება, ფორმის მინიმალური ცვლილებით გადმოიტანა ფრაზები და მოახდინა მათი ინტროსკოპირება. ამრიგად, ნაწარმოებში არ ჩანს ლოტრეამონის ინდივიდუალური ხმა, ვინაიდან მის მთავარ შემოქმედებით კრედოს წყაროებისადმი მისი ე.წ. „პარაზიტული“ მიდგომა წარმოადგენს. იგი მხოლოდ ტკება სხვისი ენობრივი მასალით, სტილისტური თუ ლექსიკური სიმდიდრით, არსებული ხატებით, და არ გააჩნია პრეტენზიაც კი შექმნას ახალი. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხი, რომელ-

საც ლოტრეამონი პირველწყაროთა ტრანსფორმაციის დროს მიმართავს ჰიპოტექსტების იმიტაციაა, რომლის ყველაზე მრავალი მაგალითი გვხვდება „მალდორორის“ პირველ სიმღერაში, სადაც ხდება სხვადასხვა ავტორის დისკურსის ერთმანეთში არევა, იქმნება ე.წ. რეზონანსული გარემო. ყოველივე ეს გადადის ძალიან დახვეწილ სტილიზაციაში და ახდენს რამდენიმე ტექსტის იმიტაციას ბოდლერის ლირიკიდან დაწყებული ისტორიკოს მიშლემდე. ეს არის ჰიმნი ოკეანეზე (*hymne à l'océan*), რომელიც მოგვაგონებს როგორც ე.წ. შავ რომანს (*roman noir*), ასევე ჯდება წმინდა რომანტიკულ ტრადიციებში. სწორედ ამ გამოთქმით „*vieil océan*“-ით იწყება თერთმეტი აბზაცის პირველი ხაზი, რომელიც, მისი თქმით, აღებულია შატობრიანის „*le Natchez*“-დან, თუმცა ამ შემთხვევაში ტექსტის პირველწყაროს დადგენა საკმაოდ რთულია, ვინაიდან მას ასევე ვხვდებით მიშლესთან, ჰიუგოსთან, მორის დე გერენთან და ბაირონის „*Child Harold*“-ში. თუმცა ყველაზე ნათელ რეფერენციას აღნიშნული ფრაზა მაინც მკითხველის თვალში ბოდლერის ლექსთან „ადამიანი და ზღვა“ ამყარებს, სადაც ბოდლერის სიტყვებს: „*O, lutteurs éternels, O, frères implacables!*“ ლოტრეამონი გარდაქმნის მოთხროვნაში, რომელიც გაყენებულია ირონიული კონოტაციით: „*réponds-moi, océan, veux-tu être mon frère?*“ „მიპასუხე ოკეანე, გინდა იყო ჩემი ძმა?“. ბოდლერის ფრაზა, რომელიც ბრძანებით ფორმაშია, ლოტრეამონთან კითხვით ფორმად გადადის, რაც გამოხატავს მის ინტენციას აბუჩად აიგდოს ადამიანის სული, რომანტიკა, კლასიკა, მეცნიერება და კულტურის ყველა ფორმა, რისი მთავარი მიზეზიც არის ის, რომ მას არ სურს მიიღოს მზა კულტურული ფენომენი. ეს ყველაფერი მისთვის არის „სხვისი“, მზა სიტყვები, რომლებიც თითქოს გაქვავებულია სტერეოტიპებისა და კლიშეების სახით და თავს ვგახვევენ სხვის სამყაროს, სხვის ძალაუფლებას. სწორედ ამ სხვისი ძალაუფლებისგან გათავისუფლების სურვილით შეპყრობილი, ლოტრეამონი ცდილობს აღნიშნული კულტურული სტერეოტიპების აზრობრივ აბსტრაქციას მათი ტექსტში გაფანტვის ხერხით მიაღწიოს, რასაც საბოლოო ჯამში მათი იდენტურობის დაკარგვამდე მიყვარათ. ამ შემთხვევაში იგი ხშირად მიმართავს კონტექსტის ცვლილებას, რომლის ნათელი მაგალითია თუნდაც „ბუნებრივი ისტორიის ენციკლოპედიიდან“ ლოტრეამონის მიერ გადაწერილი შოშიების გუნდის აღწერა, რომლის აზრობრივ ცვლასაც ავტორი კონტექსტის ცვლის ხარჯზე ახდენს. ენციკლოპედიის მეცნიერული

ტექსტი „მალდორორის სიმღერებში“ გადადის ლირიკულ-ეპიკურ კონტექსტში და თითქოს ეს წმინდად მეცნიერული ნაწარმოები მის შეფერილობას იღებს და ამგვარად იძენს ორმაგ უღერადობას.

თუმცა მთავარი მითოლოგემა, რომელიც ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერებში“ მოქმედებს და რომლის ირგვლივაც აყალიბებს ლოტრეამონი თავის ტექსტის აზრობრივ პერსპექტივას, როგორს ლიტერატურულ პლაგიატის, მაინც „მსოფლიო ბოროტების მითოლოგემა“, რომელის მთავარ წყაროსაც შეიძლება შავი გოთიკური რომანი წარმოადგენს. მსგავს თემებს მრავლად ვხვდებით მის ნაწარმოებში, რომელიც მთლიანად შოკისმომგვრელი სიტყვების თამაშს ეფუძნება, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე, შემოგთავაზებთ ძირითადად რამდენიმე პერიფრაზას ბოდლერის ნაწარმოებებიდან, რომელიც ლოტრეამონის ტექსტში ყველაზე ვრცელადაა წარმოდგენილი. პერიფრაზა ბოდლერის დალოცვისა. როგორც ბაშლარი აღნიშნავს, ლოტრეამონთან ინტერტექსტუალობა მძლავრ ენდემურ ხასიათს ატარებს. ჩვენი დაკვირვების შედეგად, ჩვენ გამოვყავით ძირითადი ლექსიკური ველეები და დავადგინეთ, რომ ისინი ტექსტში ორ დიდ ბადეს ქმნის. ერთი მხრივ, ეს არის ჩხვლეტის, ხორციში შეღწევის, მისი სასიცოცხლო წველების დაშრეტა-გამოწევის, სისხლის სმის აქტები, რომელთაც მიმართავს ობობა, მორიელი და სხვა ცხოველები, ხოლო, მეორე მხრივ, ფხაჭნის, ხორცის დაჩხვლეტის, კბენისა და საერთოდ, სხეულის ყველანაირი გახლეჩის პროცესები. შესაბამისად ნაწარმოების ატმოსფერო გაყენებულია აგრესიით და ძალადობით.

Et, quand je m'ennuierai de ces farces impies,
Je poserai sur lui ma frêle et forte main ;
Et mes ongles, pareils aux ongles des harpies,
Sauront jusqu'à son coeur se frayer un chemin.

Comme un tout jeune oiseau qui tremble et qui palpite,
J'arracherai ce coeur tout rouge de son sein,
Et, pour rassasier ma bête favorite,
Je le lui jeterai par terre avec dédain ! "

და როდესაც მოვიწყენ ამ უღმერთო ფარსით; მე მას დავადებ ჩემს მთრთოლვარე და ძლიერ ხელს. და ჩემი ფრჩხილები, რომე-

ლიც წაავსავს პარპიის კლანჭებს, ჩააღწევს მის გულამდე გაიკვლევს გზას. როგორც პატარა, მთრთოლოვარე და მოცახცახე ბარტყი; ისე ამოვგლეჯ მე მკერდიდან წითელ გულს და ზიზლით გადავუვლებ ჩემს საყვარელ ცხოველს, რათა დავაპურო იგი.

On doit laisser pousser ses ongles pendant quinze jours. Oh ! Comme il est doux d'arracher brutalement de son lit un enfant qui n'a rien encore sur la lèvre supérieure, et, avec les yeux très ouverts, de faire semblant de passer suavement la main sur son front, en inclinant en arrière ses beaux cheveux ! Puis, tout à coup, au moment où il s'y attend le moins, d'enfoncer les ongles longs dans sa poitrine molle, de façon qu'il ne meure pas ; car, s'il mourait, on n'aurait pas plus tard l'aspect de ses misères. Ensuite, on boit le sang en léchant les blessures ; et, pendant ce temps, qui devrait durer autant que l'éternité dure, l'enfant pleure

„ორი კვირის განმავლობაში უნდა იზარდო ფრჩხილები. ოჰ! რა სასიამოვნოა, როდესაც ამოვლეჯ თავისი ლოგინიდან პატარა უმანკო ბავშვს, ფართოდ გახელილი თვალებით, შუბლზე გადაუსვამ ხელს და უკან გადაუწევ მშვენიერ თმებს. შემდეგ, უცებ, მაშინ, როდესაც ის ყველაზე ნაკლებად ელის ამას, ჩაასობ ფრჩხილებს ნაზ მკერდში ისე, რომ არ მოკვდეს, რადგან თუ მოკვდება, ის ბოლომდე ვერ შეიგრძნობს თავის უბედურებას. შემდეგ მისი ჭრილობებიდან დალევ სისხლს და ამ დროის განმავლობაში, რომელიც თითქოს გრძელდება სამუდამოდ, ბავშვი ტირის“.

ამრიგად, აქ ლოტრეამონი მიმართავს პერიფრაზას, და ამ ხერხით ბოდლერის ტექსტი გადმოაქვს თავის ტექსტში.

ბოდლერის კიდევ ერთი ნაწარმოები, რომლის ინტერტექსტსაც ვხვდებით „მალდორორის სიმღერებში“ არის „კითერაზე მოგზაურობა“

De féroces oiseaux perchés sur leur pâture
Détruisaient avec rage un pendu déjà mûr,
Chacun plantant, comme un outil, son bec impur
Dans tous les coins saignants de cette pourriture ;

„მტაცებელი ფრინველები გაცოფებულებივით ღრღნიდნენ დაკიდებული ადამიანის გვამს, რომელიც მათ ნადავლად ქვეუღიყო. თითოეული როგორც იარაღს, ისე იყენებს თავის ბინძურ ნისკარტს ძიძგნის რა ამ სისხლისგან დაცლილ ლეშს“.

ამ ლექსიდან არა მარტო ძირითადი სცენა აქვს აღებული დუკასს, არამედ ისიც, რომ გამოხატავს თავის თანაგრძნობას ჩამოკიდებულის მიმართ (დასაცინი მკვდარი, მეგობარი განსაცდელში).

Une potence s'élevait sur le sol ; à un mètre de celui-ci, était suspendu par les cheveux un homme, dont les bras étaient attachés par derrière. Ses jambes avaient été laissées libres, pour accroître ses tortures, et lui faire désirer davantage n'importe quoi de contraire à l'enlacement de ses bras. La peau du front était tellement tendue par le poids de la pendaison, que son visage, condamné par la circonstance à l'absence de l'expression naturelle, ressemblait à la concrétion pierreuse d'un stalagmite.

ამრიგად, მსგავსი ტრანსფორმაციების დიაპაზონი ლოტრეამონთან საკმაოდ დიდია და სწორედ აღნიშნულ ფენომენს შეიძლება დავუკავშიროთ ინტერტექსტუალობის ლინგვისტური ანალიზის დროს წინა პლანზე წამოწეული ტექსტის კომუნიკაციური ასპექტი, რომლის მიხედვითაც ახალი ტექსტის შექმნა განიხილება როგორც ენერგეტიკული რეზონანსი ავტორსა და პროტოტექსტს შორის, რასაც საბოლოოდ მივყავართ ენერჯის ამოტყორცნამდე და ახალი ტექსტის დაბადებამდე, სადაც მუდმივად ხდება ქაოსიდან წესრიგში გადასვლა. უნდა აღინიშნოს, რომ პოსტმოდერნიზმი, ისევე როგორც ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერები“, რომელიც გარკვეულწილად შეგვიძლია მის წინამორბედად მივიჩნიოთ, ახდენს „ქაოსი — კოსმოსი“ უნივერსალური ოპოზიციის ტრანსფორმაციას, ესოდენ დამახასიათებელი ყველა, უკვე არსებული მოდელისა, რომლებიც სამყაროს მხატვრულ სახეს ქმნის. აღნიშნულ მოდელებში ქაოსი მუდმივად ექვემდებარებოდა წესრიგს.

ლიტერატურა

კინწურაშვილი — მ. კინწურაშვილი, „ინტერტექსტის ტიპოლოგია“, „კავკასიის მაცნე“, თბ., 2005, №13.

კინწურაშვილი, ბენიძე, დულარიძე, თათეშვილი, ფხაკაძე, ცოფურაშვილი — მ. კინწურაშვილი, მ. ბენიძე, ნ. დულარიძე, თ. თათეშვილი, თ. ფხაკაძე, ს. ცოფურაშვილი „იმპლიციტური და ექსპლიციტური ინტერტექსტუალობა ლიტერატურულ ტექსტში“, „საენათმეცნიერო ძიებანი“, თბ., 2007, №XXVI.

ბარტი, 1994 — Барт Р. « Избранные работы: Семиотика; Поэтика ». М., Прогресс 1994 стр. 72-130.

ბახტინი, 1975 — Бахтин М. « Проблема содержания, материала и формы в словесном худ. творчестве », М. 1975.

დელეზი და გუატარი, 1976 — Deleuze G. et Guattari F. « Rhizome », Minuit, P. 1976.

ეკო, 1988 — У. Эко, Заметки на полях « Имени розы ». Иностран. лит. М., 1988 №10.

ჟენეტი, 1979 — Genette G. « Figures », P. 1966-1972. vol. 1-3. Introduction à l'archytexte, P. 1979.

ჟენი, 1976 — Jenny L. « La stratégie de la forme ». Poétique, #27, 1976 P. 281.

კრისტევა, 1969 — Kristeva J. « Recherche pour une sémanalyse », Seuil, Paris 1969.

გოლდენშტეინი, 1992 — Jean-Pierre Goldenstein « Lautréamont, les chants de Maldoror », Presses pocket, 1992.

დუკასი, 1990 — Isidore Ducasse, Le Compte de Lautréamont, « Les chants de Maldoror », Flammarion, coll. Paris, 1990.

M. KINSTURASHVILI, M. BENIDZE, N. BEGLARISHVILI, T. ELOSHVILI, M. VACHARADZE

Lautreamont's 'Maldoror' as Rhisomic Plagiarism

Summary

The paper discusses one of the forms of intertextuality – literary plagiarism which implies inclusion of a number of texts into a particular one. Using the technique of conscious and unconscious intertextual games, Lautreamont gives 'Maldoror' the status of plagiarism; he transforms it into a hypertext which is the result of mimesis and reécriture techniques. The text in question is placed into a completely new context, that changes its meaning; the result is a new discourse, the words of the other which is generalized; the text is objectified, distorted, its meaning is inverted, the old forms are given new functions.

მეფა კინურაშვილი

ინტერტექსტულობა როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი

ლინგვისტიკაში ინტერტექსტულობის პრობლემატიკის შესწავლა უახლოეს წარსულს უკავშირდება, იმდენად რამდენადაც ინტერტექსტულობის ფენომენი განიხილებოდა როგორც წმინდად ლიტერატურული კატეგორია. ამავე დროს უდავოა ის მნიშვნელობა, რომელსაც უცხო ტექსტში ინტერტექსტის ჩართვის კონკრეტული ფორმები თუ სახეები იძენს.

ინტერტექსტულობის ფენომენი თანდათან იქცევა ლინგვისტიკის, განსაკუთრებით კი ტექსტის ინტერპრეტაციაში მომუშავე მეცნიერების ყურადღებას. მათი შესწავლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა განეხილათ ინტერტექსტუალური ფენომენის არსი, გაენახლოვებინათ, როგორ და რატომ გახდა ინტერტექსტულობა ლინგვისტიკის კვლევის საგანი. ინტერტექსტულობის ლინგვისტური ანალიზის დროს წინა პლანზე გამოდის ტექსტის კომუნიკაციური ასპექტი, ანუ პროდუცენტის და რეციპიენტის ურთიერთქმედება და მეტატექსტური კომპონენტების შეღწევა სხვა კომუნიკაციურ სივრცეში (კინურაშვილი... 2007, 138).

ინტერტექსტულობის მრავალმხრივი კონცეფციის თანახმად, ამ ტერმინს გააჩნია საკმაოდ გამჭვირვალე შინაგანი ფორმა („ინტერ“-შორის). ინტერტექსტულობის არსი არის, რომ შემოქმედებითი აქტები ხორციელდება იმ ენაზე, იმ მასალაზე, იმ ტრადიციის მიხედვით, რომელთაგან ეს უკანასკნელი წარმოიქმნებიან და რომელთა განახლება მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს. თანამედროვე მეცნიერება აღნიშნული ინტერაქციის გამოსახატავად „ინტერტექსტულობის“ ტერმინთან პარალელურად იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „გადაწერა-გადამუშავება“, (réécriture) „პრეცედენტულობის თეორია“, „სხვისი სიტყვა“, „ზეტექსტობრივი კავშირები“, „ტექსტთა შორის კომუნიკაცია“ „რიზომა“ და ა.შ.

ლოტმანმა გადახედა რა მ. ბახტინის ტექსტის დიალოგიზმის თეორიას, მოათავსა იგი სტრუქტურული პოეტიკის კონტექსტში. მანვე შემოიტანა „სემიოსფერო“ ცნება — სინქრონული სემიოტიკური სივრცე, რომელიც ავსებს კულტურულ საზღვრებს და წარმოადგენს ცალკეული სემიოტიკური სტრუქტურების ფუნქციონირების მნიშვნელოვან პირობას. ინტერტექსტის კანონიკური ფორმულირება, მეცნიერთა უმრავლესობის თვალთახედვით, მაინც რ.ბარტმა ჩამოაყალიბა: „ყოველი ტექსტი ინტერტექსტია. სხვა ტექსტები მასში წარმოდგენილი არიან სხვადასხვა დონეზე მეტნაკლებად გასაგები ფორმით. თითოეული ტექსტი ქმნის თავის მხრივ ახალ ქსოვილს, აგებული ძველი ციტატების საფუძველზე“ (ბარტი, 1970). ამავე დროს ბარტი არ ინტერესდება ტექსტის პირველწყაროთი. მას აინტერესებს მხოლოდ ტექსტი როგორც ტექსტთა დიალოგის პროცესის შედეგი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყარო ინტერტექსტის ჭრილში წარმოადგენს ტექსტს გლობალურ მასშტაბში, სადაც ყველაფერი ოდესღაც უკვე ითქვა.

პირველი მცდელობა, რომ ინტერტექსტულობის პრობლემატიკის კვლევა ლინგვისტიკის ჩარჩოებში მოექციათ, მეცნიერთა აზრით, ყ. ჟენეტს ეკუთვნის. თავის ნაშრომში „პალიმსესტი“ იგი განიხილავს ინტერტექსტულობას როგორც ერთ ტექსტში სხვა ერთ ან რამდენიმე ტექსტის არსებობას, რომელიც ვლინდება ისეთი ფორმით როგორცაა ციტატა, ალუზია, პლაგიატი და ა.შ. აქვე ავტორი გვთავაზობს ინტერტექსტის კლასიფიკაციას და მას ხუთ ტიპად ყოფს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერტექსტის ცნება გულისხმობს ტექსტში მთელი რიგი სხვა ტექსტების ჩართვას, აქ საქმე ეხება როგორც მარკირებულ, ასევე არამარკირებულ ფრაგმენტებს. თავის სტატიაში „ინტერტექსტულობის პრობლემატიკა მხატვრულ ტექსტში“, ლინგვისტი ი.ვ. არნოლდი ინტერტექსტს ყოფს ორ ტიპად: შიდა, ანუ ადვილად ამოსაცნობ და გარე, ანუ ამოუცნობ ფენომენად, და გვთავაზობს არა მხოლოდ ჩართვის სახეებს (ციტატები, რემინისცენციები, ალუზიები), არამედ განსაზღვრავს მათ ფუნქციებს ძირითად ტექსტში. ლინგვისტები იმპლიკაციათა ტიპებს განიხილავენ, როგორც ინტერტექსტემებს, ინტერტექსტულობის მარკერებს, პრეცედენტულობის გამოხატვის საშუალებებს, ინტერტექსტულურ მიმართებებს. აღნიშნულ კვლევაში ავტორი ინტერტექსტს ანალიზებს, როგორც ტექსტის მრავალმხრივ ფსიქოლინგვისტურ კატეგორიას, რომელიც

მიუთითებს სხვა ტექსტთან მიმართებას ლექსიკურ, სინტაქსურ თუ სტილისტურ დონეზე, რაც გამოიხატება ენობრივი მარკერების — ინტერტექსტემების საშუალებით. ინტერტექსტემა, ავტორის განმარტებით, ესაა ინტერტექსტუალური კავშირების რეალიზაციის ლინგვისტური საშუალება.

ამგვარი კვლევა საშუალებას იძლევა უფრო ღრმად იქნას გაანალიზებული ტექსტი, რადგან ხშირად ინტერტექსტუალური მინიშნებების გათვალისწინების გარეშე ტექსტის გაგება-ინტერპრეტაცია ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელი ხდება.

ინტერტექსტუალობის ლინგვისტური ანალიზის დროს წინა პლანზე ინაცვლებს ტექსტის კომუნიკაციური ასპექტი, ანუ ინტერტექსტუალური აქტის დროს როგორ აპელირებს ადრესანტი ადრესატზე და როგორ ხდება მეტატექსტური კომპონენტების შეღწევა სხვა კომუნიკაციურ სივრცეში.

პირველი მცდელობა ინტერტექსტუალობის ცნება გაეყვანათ ლიტერატურის ფარგლებს გარეთ ეკუთვნის გერმანულ ენაზე გამოცემულ ნაშრომს. გარდა ინტერტექსტის კონკრეტული კლასიფიკაციისა, ავტორები შეეცადნენ აეხსნათ ინტერტექსტის ფუნქციური მნიშვნელობა — რისთვის და რა ეფექტის მოსახდენად მიმართავს ესა თუ ის ავტორი ინტერტექსტს. თუმცა, უახლოეს წარსულში ინტერტექსტუალობის კვლევა იქნეს გლობალურ, მრავალმხრივ ხასიათს და შეიძლება განხილულ იქნას კულტურის, ლიტერატურის თეორიის, ტექსტის ანალიზის ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის ჭრილში, რაც მას ანიჭებს ინტერდისციპლინარულ ხასიათს, რასაც ერთგვარი უარყოფითი მხარედ გააჩნია. მის უარყოფით მხარედ ხშირად მიიჩნევენ სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის კონკრეტიზაციის არ არსებობას, ბუნდოვანი ხდება ლინგვისტური, ფსიქოლოგიური თუ კულტურული ანალიზის სამეცნიერო, ოპერაციული ბაზები, რის შედეგადაც ენის ესთეტიური რეალიზაცია შესაძლოა გაიფანტოს არა მხოლოდ ტექსტის გარემომცველ „მოტივირებულ სამყაროში“ (ბიოგრაფია, ისტორიული კვლევა, პერსონაჟთა პროტოტიპები), არამედ სხვადასხვა სახის სემანტიკურ ველებში. ამავე კონტექსტში არსებულ ტენდენციათა აღნუსხვა სულ უფრო და უფრო აქტუალურს ხდის ენის ესთეტიკური რეალიზაციის ცნებას კონკრეტულ მეთოდოლოგიურ საფუძველებზე, რომლებიც მისაღებია ჰუმანიტარული კვლევისთვის.

ინტერტექსტზე ზოგადად საუბრობენ როგორც ობიექტურად არსებულ ინფორმაციულ რეალობაზე, რომელიც წარმოადგენს ადამიანის კერძო ქმედების პროდუქტს. გამოყოფენ ინტერტექსტის სამ ძირითად სუბსტანციას — ადამიანი, ტექსტი და დრო. ამ შემთხვევაში, ადამიანი ტექსტთან მიმართებით პოულობს ორგვარ გამოვლენას: ავტორი და მკითხველი, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ განუყოფელ ერთიანობას.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია მკვლევართა მოსაზრება ინტერტექსტულობის ორი სახის პრაგმატული პირობის შესახებ: ტექსტური და კოგნიტიურ-პიროვნული. თუკი პირველი დროში უცვლელ ფენომენს წარმოადგენს და გამოხატავს ავტორის ძირეულ ინტენციას, მეორე განსაზღვრავს ინტერტექსტის პლასტის სიღრმის ხარისხს, იგი დროში ცვალებადია და უამრავ შემთხვევით ფაქტორზეა დამოკიდებული.

დღესაც გრძელდება ინტერტექსტულობის კვლევა როგორც ლინგვისტური ასევე ლიტერატურათმცოდნეობის თვალთახედვით. ენობრივი მარკერების შესწავლამ, ასევე ტექსტში ინტერტექსტემის მოწესრიგებულმა ფუნქციონირებამ ლინგვისტებს საშუალება მისცა მოეხდინათ ტექსტის უფრო ღრმა შესწავლა, იმდენად რამდენადაც ინტერტექსტულურ მიმართებათა გათვალისწინების გარეშე ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია რთული ხდება, ზოგჯერ კი სრულიად შეუძლებელიც.

ინტერტექსტულობის კვლევის მეტად მნიშვნელოვან ნაშრომად მიგვაჩნია ნ. ა. კუზმინას მონოგრაფია „ინტერტექსტი და მისი როლი პოეტური ენის ფუნქციონირების პროცესებში“ (1999 წელს გამოცემული და 2004 წელს, გადამუშავებული და ხელახლა გამოცემული). მკვლევარი თვლის, რომ ინტერტექსტი ფლობს გარკვეულ ენერჯიას, რომლის საშუალებით მასში მუდმივად ხორციელდება ქაოსიდან წესრიგში გადასვლის პროცესი. ახალი ტექსტის (მეტატექსტის) წარმოქმნა აღწერილია, როგორც ენერგეტიკული რეზონანსი, წარმოქმნილი ავტორსა და პროტოტექსტებს შორის, რაც იწვევს ენერჯიის ამოფრქვევას — ახალი ტექსტის წარმოქმნას. კუზმინა ადგენს ინტერტექსტულობის აღქმის ორი ტიპის პრაგმატულ პირობას: ტექსტუალური და კოგნიტიურ-პირადული. ტექსტუალურს წარმოადგენს ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც მიუთითებენ ინტერპრეტაციაში ინტერტექსტუალობის პარამეტრის აუცილებელ ჩართვას. ისინი

დროში მყარ ტიპს წარმოადგენენ და ავტორის ინტენციას ასახავენ. კოგნიტიურ-პირადული პირობები განსაზღვრავენ ინტერტექსტუალური პლასტის სიღრმის ხარისხს. ისინი ცვალებადი ბუნების არიან და მრავალ შემთხვევით ფაქტორებზეა დამოკიდებული. ლინგვისტები სხვა ტექსტის ჩართვის ყველა სახეს განსაზღვრავენ როგორც ინტერტექსტებს, ინტერტექსტუალობის მარკერებს, პრეცედენტობის გამოხატვის საშუალებებს, ინტერტექსტუალურ მინიშნებებს და ა.შ. ნაშრომში ინტერტექსტუალობა გვესმის როგორც ტექსტის მრავალასპექტური ფსიქოლინგვისტური კატეგორია, რომელიც მიუთითებს მის კომუნიკაციურ ურთიერთობებზე სხვა ტექსტებთან შინაარსობრივ, ლექსიკურ, სინტაქსურ და სტილისტიკურ დონეებზე, რომელიც გამოხატულია ენობრივი მარკერების საშუალებით — ინტერტექსტუალური კავშირების რეალიზაციის ლინგვისტური საშუალებით. ყველაზე მისაღებად ჩვენ ვთვლით შემდეგ თვალსაზრისს. ინტერტექსტუალობის ლინგვისტური კვლევის დროს მთავარ ადგილს იკავებს ტექსტის კომუნიკაციური ასპექტი, ანუ ის, რომ ინტერტექსტუალური აქტის განხორციელებისას ადრესანტი მიემართება ადრესატისაკენ და აგრეთვე ხორციელდება მეტატექსტური არხების შედგენა სხვა კომუნიკაციურ სივრცეში. თანამედროვე ლინგვისტიკაში ხორციელდება ინტერტექსტუალობის კვლევა, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით. ენობრივი მარკერების კვლევა, აგრეთვე ტექსტში ინტერტექსტემების კვლევის კანონზომიერების კვლევა საშუალებას მისცემს ლინგვისტებს უფრო ღრმად გააანალიზონ ტექსტი, რადგან ხშირად ინტერტექსტუალური მინიშნებების გაუთვალისწინებლად ტექსტის გაგება ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელი ხდება.

ზემომოყვანილი თვალსაზრისი ინტერტექსტსა და ინტერტექსტუალობაზე მიზნად არ ისახავს გამიჯნოს, დაუპირისპიროს ერთმანეთს ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, არამედ უჩვენოს ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ახასიათებს როგორც სტრუქტურალიზმს, ისე მის მემკვიდრე პოსტსტრუქტურალიზმს.

პირველი და მეტად პოპულარული კონცეფცია წარმოგვიდგენს ინტერტექსტს როგორც ციტატების კონგლომერატს, როგორც გაშლილ ცენტონს, რომელშიც ავტორის „ხმის“ არ არსებობის პირობებში მუშაობას იწყებენ ტრანსტექსტუალური ურთიერთქმედებების მექანიზმები. ამ შემთხვევაში გამოყენებული კლიშე „ციტატების მო-

ზაიკა“ ამკარად მიუთითებს ობიექტის სტატუტურ და ობიექტურ ბუნებაზე, რომელიც არ არიან მკვლევარზე დამოკიდებული.

ინტერტექსტუალური ანალიზის ეს მიმართულება ემსახურება ალუზიური და რემინისცენტური მასალის გამოვლენას, აგრეთვე ინტერტექსტის მექანიზმის შედეგების გაცნობიერებას. ასე ლიტერატურათმცოდნეები გამომდინარეობენ იმ თვალსაზრისიდან, რომ ინტერტექსტუალობა მეორად „ლიტერატურის ტექსტში“ შეგნებულ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს. „ისინი“ პირველად ტექსტში „ალუზიურ ველთა“ ძიებას აწარმოებენ, ამ ველთა ტექსტუალური რეალიზაცია ტექსტ-რეციპიენტში ციტაციის ამა თუ იმ ფორმებში ვლინდება (იაბლოკოვი 1997:30).

ლინგვისტიკის დარგში მომუშავე მკვლევრები მთლიანად იზიარებენ ამ მიდგომას, მაგრამ ითვალისწინებენ ლინგვისტიკისათვის დამახასიათებელ პრაგმატულ მიმართულებას, რაც მათი კონცეფციის პედაგოგიურ და დიდაქტიკურ რეალიზაციას ემსახურება.

რასაკვირველია, ალუზიური და რემინისცენტული მასალის გამოვლენა ტექსტზე მუშაობის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, რომელსაც ახორციელებს უცხო ენის პედაგოგი ან ლიტერატურათმცოდნე, რომელიც შეისწავლის მემკვიდრეობის, ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემას ლიტერატურაში.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტზე ასეთი სახის მუშაობა დიდი ხანია არსებობს და აღჭურვილია აუცილებელი ცნებითი და ტერმინოლოგიური აპარატით. საფრანგეთში ლინგვისტური მიმართულების სკოლებში ამ მეთოდს ექსპლიკაციის მეთოდიკას უწოდებენ (**Explication de texte**: იხ. ბარტი 1979, 55-59), რომლის საშუალებითაც ხორციელდებოდა ტექსტის ყველა ტექსტგარეშე რეფერირების კომენტირება. ლიტერატურათმცოდნეობაში კი მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მწერლებს შორის „კონტაქტური ურთიერთობების“ შესწავლის მეთოდიკა (ბუმინი 1975) კონრადი (1966).

ამიტომ ხშირად, როდესაც ლიტერატურათმცოდნეები და ლინგვისტები იყენებენ ტერმინებს „ინტერტექსტი“ ან „ინტერტექსტუალობა“, როგორც მოდურ სიტყვებს, რომელთა გამოყენება არ წარმოადგენს აუცილებლობას და არა როგორც ტერმინებს, რომლებიც აღნიშნავენ ახალ ცნებას და შესაბამისად ახალ ფენომენს (მაგალითად, კუპრიანოვა 1977, იულინა 2003 და სხვები), რომლებიც ინ-

ტერტექსტს არქმევენ იმ მოვლენას, რომელსაც ადრე უწოდებდნენ სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა დროის მწერლებს შორის კონტაქტურ ურთიერთობებს.

რა გვაძლევს საშუალებას ტერმინი ინტერტექსტუალობა ამგვარად თავისუფლად გამოვიყენოთ და მოვანდინოთ მისი ანაგრონიზაცია?

ყოველი ახალი კულტურული პარადიგმის წარმოქმნისას ჩნდება მისი შესაბამისი ცნებით-ტერმინოლოგიური სისტემები („ეპისტემები“), რომლის საშუალებითაც ხდება ამ ფაქტების აღწერა. ამიტომ ყოველი ახალი პარადიგმის აღმოცენებისას ჩნდება მისი ექსტრაპოლაციის საშიშროება.

სწორედ ამ შემთხვევაში ხდება ტერმინოლოგიის ექსტრაპოლაცია ერთი ობიექტიდან მეორეზე, თუმცა ამ ობიექტებს შორის გარეგანი მსგავსება არსებობს.

ამგვარი ექსტრაპოლაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ტერმინების „ინტერტექსტი“ და „ინტერტექსტუალობის“ გამოყენება კულტურული ფაქტების მიმართ, რომლებსაც მხოლოდ გარეგანი მსგავსება ახასიათებთ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებთან. ამ ექსტრაპოლაციას საფუძვლად უდევს ნიშნის სამსაფეხურიანი მოვლენის, კონკრეტულად კი სემიოზისის პრაგმატული დონის უგულებელყოფა. სტრუქტურალისტიები არ ითვალისწინებენ სხვადასხვა სახის ციტატური ტექსტების კვლევისას ტექსტის აგების პრაგმატულ მექანიზმებს, რომლებიც მათ საფუძვლად უდევს, ისინი აიგივებენ ინტერტექსტებს და ციტატური ტექსტების სხვა ფორმებს მხოლოდ ფორმალურ, გარეგნულ ნიშნებზე დაყრდნობით (ციტატების არსებობა „ტექსტის სხეულში“).

ინტერტექსტუალობა, როგორც მხატვრული და ენობრივი სტრატეგია, ბოლო ათწლეულებში დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, პოსტმოდერნიზმთან როგორც განსაზღვრულ ესთეტიკურ სისტემასთან. ამ სისტემის წარმოშობა, ისევე როგორც ნებისმიერი სისტემის, განპირობებული იყო როგორც არალიტერატურული, ისე ლიტერატურულ პროცესთან დაკავშირებულ პროცესებით, პოსტმოდერნისტული ლიტერატურის შესწავლა კი პოსტრუქტურალიზმის შესწავლის ობიექტი გახდა, რაც მის ამოცანას შეესაბამებოდა. ი. კრისტევის თეორიის ერთ-ერთი მკვლევარი ბ.მ. გასპაროვი თვლის, რომ ინტერტექსტის ან ინტერდისკურსიული პრაქტიკის ფარგლებში სხვა

ტექსტებიდან ნასესხები გამონათქვამები კი არ ავსებენ ერთმანეთს, არამედ, ი. კრისტევას სიტყვები რომ გამოვიყენოთ, „გადაკვეთენ ერთმანეთს და ნეიტრალიზაციას ახდენენ“; საბოლოო ანგარიშით, ტექსტი, როგორც ცალკე ფენომენი იკარგება განუწყვეტელ ინტერტექსტუალურ დანაშრეგებში (გასპაროვი, 1985:60).

ეს ნიშნავს იმას, რომ ინტერდისკურსიული პრაქტიკა სემიოზისის „დრამატიზაციას“ ახდენს და ამ პრობლემის მიმართ პოსტრუქტურალისტურ მიდგომას გააჩნია კიდევ ერთი არსებითი ნიუანსი, რომელსაც ამ საკითხით დაკავებული სპეციალისტები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ რომელსაც, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერტექსტუალობის და ინტერტექსტის, როგორც პოსტმოდერნისტული ფენომენის გაგებისათვის. ეს საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ პოსტმოდერნისტული კლასიკური ინტერტექსტი ციტაციის სხვა არაინტერტექსტუალური ფორმებისაგან, ვინაიდან არამართებულია განუხრევლად ყველა ციტაცია მივაკუთვნოთ ინტერტექსტს. ამისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ციტატა, როგორც ინტერტექსტის მარკერი, ინტერტექსტის წარმოქმნაში მონაწილე დისკურსების შეჯახება და ურთიერთრედუცირება. ვიზიარებთ რა მთლიანობაში ამ თვალსაზრისს, ჩვენ ეჭვს გამოვთქვამთ ბ.მ. გასპაროვის მხოლოდ ბოლო დებულებაზე — ტექსტის „გაქრობის“ შესახებ. ტექსტი არ ქრება, ის მხოლოდ პრინციპულად იცვლის თავის სემიოტიკურ ბუნებას, რაც ხორციელდება ინტერდისკურსიულ პრაქტიკაში მონაწილე პრეცედენტული ტექსტების სემიოტიკური პარამეტრების ცვლილების საფუძველზე, როგორც ავტორის ინტენციის საბაზო პარამეტრების რეალიზაცია. ეს განპირობებულია მისი ავტორის ინტენციის პრაგმატული ასპექტით. \

ლიტერატურა

კინწურაშვილი, 2007 — მ. კინწურაშვილი, მ. ბენიძე, ნ. დულარიძე, თ. თათეშვილი, თ. ფხაკაძე, ს. ცოფურიშვილი, „იმპლიციტური და ექსპლიციტური ინტერტექსტუალობა ლიტერატურულ ტექსტში“, „საენათმეცნიერო ძიენაბანი“, ტ. XXVI, თბ., 2007.

ბარტი, 1970 — Barthes R. - S/Z - . Seuil, P. 1970.

ბარტი, 1953 — Barthes R. – Le degré zéro de l'écriture. Seuil, P. 1953.

კრისტევა, 1969 — Kristéva J .—Recherche pour une sémanalyse. Seuil, P.1969.

გასპაროვი, 1996 — Гаспаров Б.—Язык, память, образ; Лингвистика языкового существования, М., 1996.

კუზმინა, 2004 — Кузмина Н, Интертекст и его роль в процессах эволюции поэтического языка, М., 2004.

MEDEA KINTSURASHVILI

Intertextuality as an Object of Linguistic Study

Summary

According to the multi-dimensional conception of intertextuality, the term in question has quite a transparent inner form. Alongside the term intertextuality, the terms "precedence theory", 'rhizome', 'the words of the other', 'supratextual links', 'intertextual communication' etc. have been used to convey the discussed interaction. The Intertexteme is the linguistic marker of textual cohesion. The study of linguistic markers, as well as, the regular functioning of intertextemes in a text has eased the in-depth analysis of texts.

Text comprehension and interpretation are difficult and sometimes almost impossible without considering intertextual relations.

მარიამ კობახიძე

**ვნებიანი ბგარის პრაგმატიკული წარმოშობისა და
ფუნქციონირების ფორმის ხმოვის ქართულურში**

ფრონეს ხეობის ქართულურში, მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისა, პრეფიქსიანი ვნებითი წარმოდგენილია ი- და ე- აფიქსებით. „ერთპირიანებს (აბსოლუტურებს) ი მოუღის, ორპირიანებს (რელატიურებს) -ე: ი-წერება — ე-წერება, ი-გრიხება — ე-გრიხება. ამ ნიშანთა მიხედვით ამ ტიპის ვნებითებს ინიანი ჰქვია, ან ენიანი“ (შანიძე, 1980, 289).

ინიანი ფორმები: „ქალი მეთერთმეტე სართულიდან **იციქობდა**“; „როცა საშუალება ექნება, მაშინ მამცეს, მაინც **დაიხარჯება**“; „მოდო, მოდი, მიხედე **გაინსება**“; „ამის საქონელი კი მაშითვე სალდება და **იყიდება**“.

ენიანი ფორმები: „ხენწიფე რო ამ ქალის სურათს ნახანს, ძალიან **მეეწონება**“; „ერთ დღეს გადაწყვეტანს, **მეელაპარაკოს** დას და ვაჭრობა დაიწყოს“; „ხედანს ვაჟი, რო მათ ცხოვრებას აკლდება და არაფერი **ემატება**“.

ფრონეს ხეობის ქართულურში პრეფიქსიანი ვნებითი I სერიის მწკრივებში ყოველთვის -ებ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი. უფრო გავრცელებულია მყოფადის ფორმები. მაგ.: „ხორცი თუ **ჩაიქაფება**, არაფრად ვარგია“; „ამ სიცხეებში **მეითუთქება** ყველაფერი“; „**ჩაიხედება** და რას ხედანს, გამოვიდა ქალი და ირტყანს გულში“; „ის ქალი თუ შენი ცოლია — ჩემი რძალი **იქნება**“; „**დაეტაკება** ხენწიფი ვაჟი და ვაჭარი ერთმანეთსა“.

მეორე სერიაში პრეფიქსიანი ვნებითებთან მრავლობით რიცხვში ხშირად გვხვდება ძველი ქართულის -ენ/ნ სუფიქსი. მაგ.: „**მივეშველენით** და ძლივს გადავარჩინეთ“; „რო არ ფრთხილობდით, ხო **ჩაიფუფქენით** შიგა“; „ბევრი **ეხვეწენით**, **ებრძოლენით**, მაგრა მაინც თქვენი ვერ გაიტანეთ“.

-ენ/ნ სუფიქსი მიჩნეულია სუბიექტის მრავლობითობის ნიშნად,

რომელიც მოქმედებითი გვარიდან ვნებითში გადაჰყვებათ ზმნებს (თოფურია, 1953, 524). ა. შანიძე ამ სუფიქსს უკავშირებს ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებში ნარიანი დამატების აღმნიშვნელ ნიშანს (შანიძე, 1980, 355). გრ. იმნაიშვილის აზრით, -ენ სუფიქსის დამკვიდრება ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ქართულურისა და კახურის მეშვეობითაა მომხდარი (იმნაიშვილი, 1974, 47).

საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ფრონეს ხეობის ქართულურში ვნებითის ორმაგი ნიშნით (თავსართ-ბოლოსართით) წარმოება: ზმნაში ერთდროულად ე-პრეფიქსისა და -დ სუფიქსის დადასტურება. ეს მოვლენა უმეტესად ენიანი ვნებითისათვის არის დამახასიათებელი. მაგ.: „ძმა **დეინიძლავდება** (=დაენიძლავება), მე ასეთი და არ მყავსო“; „მე **გამეცინდება** (=გამეცინება) და ვცდილობ ეს სიტყვები კარგათ დავიმახსოვრო“; „**ამეტირდება** (=ამეტირება) გული და გულარ მაჩერებენ“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა ახსნილია კონტამინაციით (შანიძე, 1980, 302).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დასტურდება ვნებითის წარმოების ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლის შემთხვევები. ენიანი ვნებითის ფორმები დონიანით არის შეცვლილი II სერიის მწკრივებში. მაგ.: „ძან დაშურდა (=დაეშურა) ამ ცხოვრებას“; „გული მწუხარებით **დაწურდა** (=დაეწურა).

-დ სუფიქსის ნაცვლად შეინიშნება ი- და ე- პრეფიქსიანი ფორმები. მაგ.: „**მეემშივა** (=მოშივდა) პური და იქვე ჭამა დაიწყო“; „**მოეწყურა** (=მოსწყურდა) ვაჟს ქალის ნახვა“; „ვაჭართა უფროსი **იბრაზება** (=ბრაზდება), რო ი ქალის ძმა ვერ მოატყუილა“; „ეს ანბავი ასე **დაესრულა** (=დასრულდა)“.

ანალოგიური მოვლენა, ქართულური დიალექტის (იმნაიშვილი, 1974, 230, 231) გარდა, შენიშნულია კახურსა (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, 110, 111) და ჯავახურში (ბერიძე, 1988, 123, 124).

სამეცნიერო ლიტერატურაიდან ცნობილია, რომ ი- და ე- პრეფიქსები სხვადასხვა წარმოშობისაა და მათი ერთმანეთთან დაკავშირება გვიან მოხდა.

ი- პრეფიქსს თავდაპირველად არ ჰქონდა ვნებითის წარმოების ფუნქცია (ზმნის სხვა მოდელში იგი სათავისო ქცევის ფუნქციას გადმოსცემს) (თოფურია, 1947, 457). ბ. ჯორბენაძე მიუთითებს ინი-

ნი ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის სიახლოვეზე, განსაკუთრებით ნამყო ძირითადში, სადაც ეს ორი ფორმა აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს, როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში გარჩევა კონსტრუქციით ხდება შესაძლებელი: დაიხატა მან ის (<იხატავს-ის მას) — დაიხატა ის (<იხატება ის); აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმებით: დაიხატეს (მათ ის, მოქმედებითი გვარი), მაგრამ დაიხატნენ (ივინი, ვნებითია) (ჯორბენაძე, 1975, 38).

ი- პრეფიქსიანი ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სიახლოვეზე მიგვანიშნებს ფრონეს ხეობის ქართლურში ორი ფორმის დამთხვევა მეორე სერიის მწკრივებში. მაგ.: „გველკაცა იმ დედაბრიანად **ჩაიფუფქა (ვნებითი)** აღუღებულ წყალში“; „იმდენი სვა, რო გულ-მუცელი **ჩაიფუფქა (მოქმედებითი)**; „ბოსტნის ჭირია თუ რაა, ყველაფერი **გაიმურა (ვნებითი)**; „ი დედაბერმა თავ-პირი **გაიმურა (მოქმედებითი)**, რო არ ეცნო ხელმწიფი ვაჟსა“.

ფრონეს ხეობის ქართლურში ინიან ვნებითებს, **საკუთრივ პასიური სემანტიკის** გარდა, შეუძლიათ **გადაქცევითობის, გარდაქმნის** ჩვენებაც. მაგ.: „ეს ამოდენა ხეები ქარისაგან მიწამდე **გადაიზნიქა**“; „ხელმწიფე ისე **გაიბერა**, გასკდომამდე მივიდა“; „მეორე დღეს ქალმა პირი დაიბანა, **მოიკაშმა**“.

ინიანი ვნებითები აქტიურ სემანტიკას გამოხატავენ, როცა სულიერი სუბიექტია წარმოდგენილი ან სულიერის თვისებები მიეწერება მას. მაგ.: „თელი მოედანი ხალხით **აივსო**“; „დვას ნეფე და სიმწრით **იკბინება**“; „**იგრიხება** საწყალი კაცი და გადმოვა მეფეცა კიდევ“; შემოდგომის ხილი თუ **დაიოფლება**, უნდა აარჩიო“; „თუ თბილა, კვირტი მალე **გაიპენტება**“.

აქ მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. აქტიურობა ჩანს გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ ზმნებთანაც. მაგ.: „ისე **გაიბერა**, რო აღარ უნდა არავინ“; „**იფუყება** და ბოლოს გასკდება კიდევ“.

ინიან ვნებითებს შეუძლიათ უკუქცევითობის გამოხატვაც. მაგ.: „რკინა წვეთით **იხვრიტება**“; „ისე **იღმურძლება**, რომ კაცს გულს აურევს...“

ზოგჯერ ინიანი ვნებითები ერთდროულად შესაძლებლობისა და პოტენციალის ფუნქციასაც გამოხატავენ. მაგ.: „ფიქრით თავი არ **დაიჭყლიტება**“; „შრომით კაცი არ **მოიკვლება**“; „დედა გულით არ **დაიწვევლება**“.

ფრონეს ხეობის ქართლურში ინიანი ფორმების საპირისპირო ენიანი ვნებითები პასიურ სემანტიკას გამოხატავენ. მაგ.: „ნაწვიმარზე მთლად **გადაეჩიგნა (— გადაიჩიგნა)** წვანილეულობა“; „დედ სიბრაზისაგან სულ **აეფოთლა (— აიფოთლა)** თავ-პირი“; „ნახავს ვაჟი, რო სახლი ძირ-ძირ **ეფხიკება (— იფხიკება)**, არაფერი ემატება“.

ე- პრეფიქსი ა- და უ- აფიქსებთან ერთად მიგვანიშნებს „კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნეირებაზე... ამათგან ე- პრეფიქსი გვევლინება ა- და უ- პრეფიქსების კორელატად ვნებითის ყალიბში“ (ჯორბენაძე, 1983, 225).

ჩვეულებრივ საუბარში აქტიური სემანტიკის გამომხატველია ისეთი ენიანი ვნებითები, რომელთაც საპირისპირო ენიანი არ ეწარმოებათ. მაგ.: „შიერი საქონელი გამწარებული **ეძგერება** ბალახს“; „მალიდან თუ ჩამოვარდა, ისე **დაეხეთქება**, რო კვახივით გასკდება“; „ისე **ეგურგულეზიან** ერთმანეთსა, როგორც დიდი ხნის მოკეთებები“; „თუ ცოლი იყო ინ ვაჟისა, ძმობილს როგორ **შეეცილებოდა**“.

აქტიურ სემანტიკას უნდა უკავშირდებოდეს გადაქცევითობის, გარდაქმნის გამომხატველი ფორმები: „**დაეჭმუჭნა** სახეი ღარიბ კაცსა სიმწრითა“; „პატარა წვიმაი რო წამოვა, ისე **ერეცნება** ვენახი, რომ თან ჩამოაქ მიწა“ **დაწყებითობის** გამომხატველია | სერიის მწკრივებში შემდეგი ფორმები. მაგ.: „ვაჟს **ენიშნება** ი დედაბრის ნათქვამი“; „პატარაძალს **ემცხეთება** ნათქვამი, აწითლდება და სიმართლეს გაუმხელს ქმარსა“; „რაც რამ აბადია, სულ **ეკარქება** ამ მეცხვარესა“.

ა. შანიძემ ცალკე გამოყო პრეფიქსიანი ვნებითებიდან შესაძლებლობის, მიჩნევისა და გუნების ნიუანსების მატარებელი ფორმები (შანიძე, 1980, 291).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით შესაძლებლობის (პოტენციალის), მიჩნევისა და გუნების ვნებითები არ წარმოადგენენ თავისი ბუნებით ვნებითებს, არც მოქმედებითი გვარის ზმნების კონვერსიულ ფორმებს (ჯორბენაძე, 1975, 154; შეროზია, 1985, 104), მაგრამ მათ განიხილავენ როგორც პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბის მქონე ზმნებს, რომელთაც ახასიათებთ საერთო სემანტიკური ნიშნით სტატეიურობა (დათუკიშვილი, 1996, 73).

ფრონეს ხეობის ქართლურში ასეთ ფორმებს განვიხილავთ პრეფიქსიანი ვნებითისათვის დამახასიათებელი ფუნქციის თვალსაზრისით.

შესაძლებლობა გამოიხატება როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ფორმებით. მაგ. : „მათი ბედი ზეცაში იკვრება“; „ისეთია მოსავალი, რო არ იხანვევა“; „გაეყრება ხელმწიფი ვაჟი ქალს და თავი გზით წავა“; „წავა ქალი და ხელმწიფი გვერდზე დაესახლება.“

მიჩნევის გამომხატველი ვნებითი ძირითადად ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოები ფორმებია. მაგ.: „დედინაცვალს გერი სულ თვალეში ეჩხირებოდა“; „ რაც უფრო მეტს იღუღებს ღოღო, იმდენათ მეგემრიელება“; „ღვინო, რო ბკეს მოიგდებს, გეძმარება და მძიმეა დასალევათ“.

გუნება-განწყობილება გვიჩვენებენ პირველადი და ნასახლარი ზმნებით წარმოდგენილი ე- პრეფიქსიანი ვნებითები. მაგ.: „ძალიან ეწყინება იმ საწყალ კაცსა და დაბრუნდება თავისი ჯარით“; „ რას მემცხვირება, რა მართია მაგისი“; „დედაბერი ცივ ნიავს არ აკარებს ქალს, ის კი ემრუნება მაინცა“; „ჭკვიანებისა არაფერი მეეწონება, ახლა სულელს უნდა დაუსვას კითხვა“.

ამრიგად, ფრონეს ხეობის ქართულურში ვნებითის პრეფიქსული წარმოება და ფუნქცია მისდევს ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართულ დიალექტს, ხოლო განსხვავებული ფორმები მიგვანიშნებს ვნებითის პასიური ბუნების გაფართოებასა და დიალექტთა შერევისა და უნიფიკაციის პროცესზე.

ლიტერატურა

ბერიძე, 1988 — ვ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1988.

დათუკიშვილი, 1996 — ქ. დათუკიშვილი, ვნებითის ყალიბის მქონე სტატიკური ფორმები ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

თოფურია, 1947 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან, ხმოვანსართოვანი სახელები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1947.

თოფურია, 1953 — ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, თბ., 1953.

იმნაიშვილი, 1974 — გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხუზულეზანი, ტ. III, თბ., 1980.

შეროზია, 1985 — რ. შეროზია, პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1985.

ჯორბენაძე, 1985 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

MARIAM KOBERIDZE

Towards the Prefixed Formation of the Passive Voice in the Prone Valley Accent of the Kartlian Dialect

Summary

The prefixed formation of the pasive voice in the Prone Valley accent of the Kartlian dialect follows the general rules of voice formation typical of Standard Georgian. However, a shift from one type of formation into another, substitution of prefixed forms with the forms with **d**, simultaneous use of prefixes and suffixes in a single verb form are widely spread in this accent. The paper argues that different functional loading of **i-** prefixed and **d-** suffixed voice forms in spoken discourse is a sign of dialect confusion and unification process; it also shows the functional extension of the passive voice as well as the tendency towards verb activation.

გაბა ლაბარტყავა

აზიშსაციის გზით მიღებული გეოგრაფიული
ოზიშსატი ალმნიშნეალი სახელები
(ჰართიშეაშურ ენებთან მიშართებით)

ა) ოდენბრეფიქსული წარმოება

ოდენბრეფიქსული გეოგრაფიული სახელები ძირითადად ნა- პრეფიქსითაა წარმოდგენილი, მაშასადამე, ამ ტიპის ფორმები წინა ვითარების სემანტიკის გამომხატველია.

ეს სახელები მეგრულში ნა-ს მორფოლოგიურ-ფონეტიკურ შესატყვისს — ნო- ფორმანტს წარმოგვიდგენს. დასტურდება აგრეთვე ქართულიდან შეთვისებული ნა- პრეფიქსი. ოდენბრეფიქსული ფორმები დატულია სამსავე ქართველურ ენაში. სვანურში, ისევე როგორც ქართულში, წინა ვითარების ფუნქციის გამომხატველია პრეფიქსი ნა.

მაგალითები: ნა-ღრანტ-ი „წყლისგან ჩაღრმავებული ადგილი“;
ნაშარა : შარა ნაშარას — „გზა ნაგზევზე“;

ნა-ლგც /ლიც/ „წყალი“, „ნაწყლევი“; ნა-შუკუტ (შუკუტ „გზა“, ნა-გზევი) : ლიც ესერ ნალგცს ი შუკუტ ნაშუკვს „წყალი ნაწყლევის და გზა ნაგზევს“; ნა-დაბ /დაბ „ყანა“/ „ნაყანევი“ : სოფელხენ დემთე თერონ ნადაბ „სოფლიდან არსად ჩანდა ნაყანევი“; ნა-ქაშან /ქაშან „ბილიკი“/ „ნაბილიკარი : ეჩე ქა დესა თერა ნა-ქაშან „იქ უკვე არცკი ჩანს ნაბილიკარი“.

ბ) ოდენსუფიქსური წარმოება

გაცილებით მრავლად დასტურდება ოდენსუფიქსური სახელები. აქ გამოიყოფა ქონების სუფიქსებით დადასტურებული ფორმები.

-იან : გორაკ-იან-ი (გორაკი თავად ნაწარმოებია -აკ სუფიქსით) „გორაკიანი ადგილი“; კლდ-იან-ი „სადაც კლდეები“; ხეობ-იან-ი (შდრ. ხეობა) „სადაც ხეობა“; ბორცვ-იან-ი „სადაც ბორცვა“; ჭიუხ-იან-ი „ადგილი, სადაც ჭიუხები“; ხრამ-იან-ი „ხრამების შემცველი“; ფლატ-იან-ი „ღრანტე ადგილებიანი“; ველიან-ი „ადგილი, რომელიც ველს წარმოადგენს“; ვაკ-იან-ი „ვაკე ადგილი“; ნამ-იან-ი „რასაც ნა-

მი მოხვდა“; წყარო-იან-ი „სადაც წყარო“; ბურღო-იან-ი „სადაც ბევრი ბურღო“; ლიქღო-იან-ი „ადგილი, სადაც ლიქღო“; ლამ-იან-ი „სადაც ლამია“; ჭაობ-იან-ი „ჭაობით დაფარული“; ვაკ-იან-ი „ვაკე ადგილი“.

-ოვან : ციცაბ-ოვან-ი „ციცაბო ადგილებიანი“; კლდ-ოვან-ი „სადაც კლდეები“; კუნძულ-ოვან-ი „სადაც კუნძულებია“; ტალღ-ოვან-ი „ტალღების შემცველი“; ბრაგ-ოვან-ი „სადაც ბრაგებია“; წვეთ-ოვან-ი „სადაც წვეთით, შეფეებით ხდება სითხის ჩამოდენა“.

-იერ : ქვეყნ-იერ-ი „მიწიერი“.

-ოსან : ზღვა-ოსან-ი „ვინც საზღვაო ფლოტში მუშაობს“.

დასტურდება აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი ფორმებიც. აქ გამოიყოფა -ობა და -ება სუფიქსები.

-ობა : კლდე-ობა „კლდედ ყოფნა“; მთაწმინდ-ობა „მამადავითობა“; ველ-ობა (თუმ. ხევ.) „საომრად ან სათამაშოდ წასვლა“; ნამიან-ობა (შდრ. ნამ-იან-ი) „ნამის თვისება, ტენიანობა“; დელე-ობა „დელესაწაული ფშავში“.

-ება : ქვეყნიერ-ება „(შდრ. ქვეყნ-იერ-ი) „ქვეყანა“.

დამოუკიდებლად -ობ სუფიქსი რამდენიმე სიტყვაში იხმარება, — აღნიშნავს ა. შანიძე (შანიძე, 1973); თ. ზურაბიშვილის აზრით, ტოპონიმიკურ სახელებში -ობ || -ობ-ა ბოლოსართებს კრებითი ქონების მნიშვნელობა აქვს (ტ. I, 1976, 49).

-ობ : ბუც-ობ-ი (კუთხ.) „ჭიანჭველებისაგან ამოტანილი ფხვიერი მიწა“ (ქეგლ, I); ჭურ-ობ-ი „კლდიანი ადგილი, სადაც მინდორიც არის“; ჭყანტ-ობ-ი „ჭყანტიანი ადგილი, ჭაობი“; ჭანჭურ-ობ-ი „კორდი წყლიანი, ნოტიო“; მადლ-ობ-ი „მადალი ადგილი“; დაბლ-ობ-ი „დაბალი, დაცემული ადგილი“; ვიწრო-ობ-ი „ვიწრო გასავალი მთებში“ (ქეგლ, IV); ველ-ობ-ი „მინდორი ტყეში“ (შდრ. ველობა — საომრად ან სათამაშოდ წასვლა) (ქეგლ); ვაკ-ობ-ი „ვაკე ადგილი“; ქან-ობ-ი „დაღმართი, დაქანებული ადგილი“; ფერდ-ობ-ი „დაფერდებული ადგილი“; გვერდ-ობ-ი „დაფერდებული ადგილი; ღრანტ-ობ-ი (შდრ. ღრანტე, ღრანტო) „ღრანტე ადგილი“.

დასტურდება -ურ(-ულ) წარმომავლობის სუფიქსით ნაწარმოები სახელებიც:

-ურ(-ულ) : ალბ-ურ-ი „ალბების შესაფერი, დამახასიათებელი“ „ალბური საძოვარი“; ბექ-ურ-ი ბექიანი ადგილი“; ნიადაგ-ურ-ი „ნიადაგთან დაკავშირებული“; ტალღ-ურ-ი „ტალღის დამახასიათებელი“.

-ურ სუფიქსი გამოიყოფა **გუბ-ურ-ა** ფორმაშიც, რაც ნიშნავს „პატარა გუბეს“.

დასტურდება **-იურ** სუფიქსიც, რომელშიც ორი მაწარმოებელია გაერთიანებული: **ივ + ურ** → იურ (შანიძე, 1973, 128) → მაგ., **ქვეენ-ი-ურ-ი**.

დაიძებნება **-აკ** კნინობითის სუფიქსიანი ფორმებიც, როგორც არის **გორ-აკ-ი** „პატარა გორა“.

გვაქვს **-ალ** სუფიქსიანი წარმოებაც: **ღრანტ-ალ-ი** (შდრ. **ღრანტ-ობ-ი**) „ვიწრო ხევი“. დასტურდება **ღრანტო**, **ღრანტე** ვარიანტებიც. **ღრანტ-ო** „ღრმა და ვიწრო ხევი“. **ღრანტ-ე** „ღრმა და ვიწრო ხევი“. აქ **-ალ**, როგორც ჩანს, ფუძის მაწარმოებელი აფიქსია.

დადასტურდა **-ეულ** სუფიქსიანი ზმნისართიც, რომლის ფუძედ გამოყენებულია **წვეთ- : წვეთ-ეულ** „წვეთობით“.

შეგვხვდა **-ირ** სუფიქსიანი ფორმაც: **ყანო-ირ-ი** (შდრ. **ყან-ობ-ი**) „იგივეა, რაც ყანები“. ვფიქრობთ, **-ირ** სუფიქსი ფუძის მაწარმოებელი ფორმატია.

როგორც ცნობილია, ქართულში მოიპოვება სუფიქსი **-ნარ** (რაენარე ფუძეებთან დისიმილაციით **-ნალ**), რომელიც დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე : **ნაძვ-ნარ-ი**, **ფიჭვ-ნარ-ი** და სხვა (შანიძე, 1973, 144). ამ ტიპისაა **თიხ-ნარ-ი** ფორმა („თიხიანი ადგილები“).

-ეთ სუფიქსი არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახე გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას. ის უშუალოდ დაერთვის სახელთა ფუძეს (შანიძე, 1937, 138). მაგალითად, **წყლ-ეთ-ი** (შდრ. ხმელ-ეთ-ი) „წყლით დაფარული ადგილი, ზღვები და ოკეანეები“; **კუნძულ-ეთ-ი** „კუნძულების წყება, ერთმანეთს მიყოლებული მრავალი კუნძული“; **ტბ-ეთ-ი** „ადგილი, სადაც ტბაა“; **კლდე-ეთ-ი** „კლდისანი ადგილები“.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ **-ა** სუფიქსი გამოხატავს რისამე მქონებლობასა თუ კნინობითობას. ამ ტიპის წარმოება დადასტურდა ჩვენთვის საინტერესო სახელებშიც. საინტერესოა, რომ **-ა** სუფიქსის წინ გვხვდება **-ულ**, **-ალ**, **-ელ**, **-ორ**, **-ის** და **-უს** ფორმანტები, რომლებიც, ვფიქრობთ, ფუძის მაწარმოებელი აფიქსებია: **კუნწ-ულ-ა** (შდრ. **კუნწ-ულ-ი**, **კუნწ-ულ-ო**) „მთის წვერი“; **ფერცნ-ალ-ა** „ჭიუხებიანი ადგილი“; **კოთ-ორ-ა** „პატარა კლდო-

ვანი მაღლობი“; **კინწრ-უს-ა** (შდრ. **კინწრ-ის-ო**, **კუნწ-უს-ი**) „წვერი, კენწერო“ (აგრეთვე, ხის ან სახლის). გვაქვს მხოლოდ **-ო** სუფიქსიანი წარმოებაც, როგორც არის **კინწრ-ის-ო** „მთის წვერი, მთის თხემი“.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ასევე ცნობილია, რომ **-ოდენა** ფორმანტი დაერთვის სახელებს და გამოხატავს თანაბრობას, ხშირად ფუძედ გამოყენებულია გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი სახელებიც. ამ ტიპისაა: **ზღვის-ოდენა** „ზღვასავით დიდი“; **მთის-ოდენა** „მთასავით დიდი“; **ქალაქის-ოდენა** „ქალაქივით დიდი“.

მსგავსებას გამოხატავს, აგრეთვე **-ებრ** თანდებულისანი ფორმები (შანიძე, 1973, 602); **ფრიალოსა-ებრ** „ფრიალოს მსგავსად“; **ზღვის-ებრ-ი** „ზღვებრი, ზღვისნაირი“.

დასტურდება ასევე რთული სუფიქსი **-ობრივ**, რომელიც აწარმოებს ვითარებით ზმნისართებსა და ზედსართავ სახელებს: **ნიადაგი : ნიადაგ-ობრივ-ი** „ნიადაგური“.

შეგვხვდა **გარდა** თანდებულებიც, რომელიც გამოიყენება გამოსარიცხავად (შანიძე, 1973, 602): **წყალგარდა** ნიშნავს „უწყლოდ“.

ზემოთ ჩვენ გამოყავით **-ულ** და **-ილ** სუფიქსიანი მიძღობები, რომლებიც დასტურდება გეოგრაფიულ სახელთა მსაზღვრელებად. მაგალითები: **და-ყა-მებ-ულ-ი** „დამსკდარი“; **გა-ვაკ-ებ-ულ-ი** „გაკედ ქცეული ადგილი მთაში; სადაც ვაკეა“; **გა-მინდვრ-ებ-ულ-ი** „მინდვრად ქცეული; ადგილი, სადაც მინდორი იწყება“; **ამო-ქვაბ-ულ-ი** „ქვაბივით ჩაღრმავებული ადგილი მიწის ზედაპირზე“; **ნამ-ულ-ი** „დანამული“; **ამდვრ-ულ-ი** „ის, რაც ამდვრა“; **ნამ-ილ-ი** „დანამული“; **შე-კბერ-ილ-ი** „შეჭრილი ადგილი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეოგრაფიულ ობიექტთა გამომხატველ სახელთა დიდი ნაწილი მიღებულია პრეფიქსისა და სუფიქსის დართვით. ამ ტიპისაა: **ნა-მთ-ევ-ი** „სადაც აღრე მთა იყო“ (ან „მთაში ნამყოფი კაცი“), **ნა-წყარო-ევ-ი** „სადაც აღრე წყარო იყო“; **ნა-წყლ-ევ-ი** „სადაც აღრე წყალი იყო“ და სხვა მრავალი.

წინა ვითარების კვალობაზე ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები (პრეფიქს-სუფიქსური) მეგრულშიც დავადასტურეთ, მაგრამ აქ **წა-** || **ნო-** პრეფიქსებთან ერთად გვაქვს **-ერ**, **-ორ**, **-ე** და **-უ** სუფიქსები. აღსანიშნავია, რომ **-ერ** და **-ორ** ფორმანტები ქართული **-არ** სუფიქსის მორფოლოგიურ-ფონეტიკური ეკვივალენტებია (ვაშაკიძე, 1887); **ნო-წყურ-გილ-ერ-ი** (წყურვილი „წყარო“) „ნაწყაროვი“; **ნოწყურგილეშა** გვემართთ „ნაწყაროვზე ავედით“; **ნო-ცვან-**

ერ-ი (ცვანა „ყანა“) „ნაყანევი“: სოფელში სოთინ ვაჩქუ **ნოცვანე** „სოფლიდან არსად ჩანდა **ნაყანევი**“; **ნა-ჭყონჭყ-ორ-ი** (ჭყონჭყი „ჭაობი“) „ნაჭაობარი“: **ნაჭყონჭყორს** ვე შიამჩნენთია „ნაჭაობარს ვერ შეამჩნევთო“. აღნიშნული ტიპის სახელებთან დადასტურებული **-ე** სუფიქსი **-ერ-**ისაგან მიღებული ჩანს (-ერ → ე) (ვაშაკიძე, 1987); **ნო-ცვან-ე** „ნაყანევი“; **ნო-წყურგილ-ე** (წყურგილი „წყარო“) „ნაწყაროვი“. რაც შეეხება **ნა- || ნო-** პრეფიქსებთან ერთად დადასტურებულ **-უ** სუფიქსს, იგი ქართული **-ევ** სუფიქსის ბადალი ჩანს მეგრულში (ვაშაკიძე, 1987); **ნა-წყარ-უ** (წყარი „წყალი“) „ნაწყლევ-ვი“ წყარქ კინ **ნაწყარუს** ქინოლუ „წყალი ისევ ნაწყლევში ჩავარდა“; **ნო-წყარ-უ** (მდრ. **ნა-წყარ-უ** „ნაწყლევს“) **ნოწყარუს** წყარი ვედიტენს კინი ქიციანია „ნაწყლევს წყალი არ დასტოვებს, ისევ იქნებაო (მოვაო)“.

დადასტურდა დანიშნულების სახელების კვალობაზე ნაწარმოები ფორმებიც.

სა-ე : **სა-თოვლ-ე** „თოვლიანი მთა“; **სა-ო** : **სა-ნიაგ-ო** „ადგილი, სადაც ნიაგი ქრის“; **სა-ზღვა-ო** „ზღვისთვის განკუთვნილი“; **სა-მთ-ო** „მთისთვის განკუთვნილი“ და სხვა მრავალი. შეგვხვდა **მა-არ** აფიქსებიანი წარმოებაც: **მა-ქან-არ-ი** „ხევის პირი, ფლატიანი“.

გვაქვს უქონლობის აფიქსებით მიღებული ფორმებიც: **უ-წყლ-ო** „სადაც წყალი არ არის“ და სხვა.

გაანალიზებული მასალიდან ჩანს, რომ ერთ შემთხვევაში დერი-ვაციის გზით მიიღება გარკვეული შინაარსის მქონე გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სახელები (**გორ-აკ-ი**, **ფერდ-ობ-ი** და სხვა), ხოლო სხვა შემთხვევაში გეოგრაფიული სახელებისაგან ნაწარმოებია ახალი ლექსიკური ერთეულები (რომლებიც აღარ არიან გეოგრაფიული სახელები: **ზღვა-ოსან-ი**, **სა-ზღვა-ო**, **კლდე-ობა** და სხვა).

ლიტერატურა

ვაშაკიძე, 1987 — თ. ვაშაკიძე, წინა ვითარების სახელთა წარმოება ქართველურ ენებში, თბ., 1987.

ფოჩხუა, 1987 — ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.

სვანური ენის ლექსიკონი, 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, თბ., 1960.

ქაჯაია, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2002.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I-VIII ტ.

ღლონტი, 1984 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984.

შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძვ. ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ჭარაია, 1997 — ბ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

MAKA LABARTQAVA

Geographical Names Formed by Means of Affixation

(on the material of Kartvelian Languages)

Summary

Geographical names in Kartvelian languages are formed by means of:

1. prefixes; na with the semantics of previous state being the most productive.
2. suffixes, that are the main means of geographical name formation.
3. both prefixes and suffixes. The given way of formation is quite productive too.

მსგ მანია

**მსგ მანიაში ენობრივი ელემენტები პუბლიცისტიკაში –
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ინდიკატორი**

უდავოა, რომ მასმედიის როლი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში თვალსაჩინოდ გაიზარდა, რაც თავისთავად გულისხმობს მისადმი ნდობის ხარისხის ამაღლებას. სოციუმი თავისი აზროვნებით, ინტერესთა სფეროთი და, შესაბამისად, ქცევით დამოკიდებული გახდა ამ ინსტიტუტზე. თანამედროვე საზოგადოებაში უკვე დანერგილი და სამომავლო ტენდენციების წყაროდ უმეტესწილად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოწოდებული მასალა გვევლინება. მედიის კვლევის სხვადასხვა ვექტორს ხშირად საგულისხმო შედეგებამდე მივყავართ.

„მხატვრული ლიტერატურა, თუ მკაცრად და პრინციპულად შევხედავთ, მარადიული თემებისაგან შედგება. მწერლობა სულიერი განვითარების მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება და კონკრეტულ ეპოქაში იმ მთავარ ნერვებს ეძებს, რომელიც დროთა კავშირს ქმნის, მაგრამ მწერლობა სხვა არის და მწერალი — სხვა. მწერალი კონკრეტული ადამიანია და თუ ალღო არ უღალატებს და დროის ორომტრიალში შეუცდომლად გაარჩევს წარმავალსა და მარადიულს, მარადიულს მხატვრულ ჭურჭელში მოაგროვებს, წარმავალს — თუ მისი მოგროვების საჭიროებასაც ხედავს — პუბლიცისტურში, ვინაიდან ყოველი მწერალი, მიუხედავად იმისა, მიმართავს თუ არა როდისმე ამ ჟანრს, მოწოდებით პუბლიცისტიკა“ (ქარჩხაძე, 2005, 9).

ამ მოსაზრების შებრუნებაც შეიძლება — ყველა პუბლიცისტს, რომელსაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის შექმნის დიდოსტატად ვიცნობთ, გააჩნია ღირებული მხატვრული პროზაც. თუ მხატვრული ლიტერატურის ასახვის საგნად „მარადიულს“ მივიჩნევთ, პუბლიცისტური ლიტერატურის საგანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენები უნდა იყოს. საცნობარო ლიტერატურაც პუბლიცისტიკის ამგვარ განმარტებას გვაწვდის: „საზოგადოებრივ-პო-

ლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე“ (ჭაბაშვილი, 1989, 416).

ნორმატიულ დოკუმენტებთან ერთად პუბლიცისტიკა ნებისმიერი ეპოქის პოლიტიკის (ამ სიტყვის უნივერსალური მნიშვნელობით) მატანია. პოლიტიკა თავისი ბუნებით მანიპულაციურია. პუბლიცისტიკის ბუნება უფრო „მქადაგებლურია“. სწორედ ეს უკანასკნელი გვევლინება პოლიტიკის მანიპულაციური ხასიათის „რუპორად“. ამიტომ ის გარკვეული ხიფათის შემცველიცაა.

„მასმედიისგან მომდინარე საფრთხე სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. დიდ ბრიტანეთში მედია ქვეყნის კულტურულ განვითარებას უქმნის საფრთხეს. ამ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები მდებარე კულტურის მქადაგებელია. აშშ-ში ფოკუსი მორალის მხარეს არის მიმართული. მას შეუძლია ახალგაზრდობაში გამოიწვიოს ქცევებისა და ღირებულებების შეცვლის საფრთხე. 1970-იან წლებში მედიამ ევროპასა და ამერიკაში შეიძინა კიდევ ერთი — პოლიტიკური ასპექტი. შეიქმნა წარმოდგენები, რომ სწორედ მკს-ა პასუხისმგებელი პოლიტიკური რწმენისა და შეხედულებების ფორმირებაზე.“ (ვართანოვა, ზაგურსკაია, 2002, 132).

პუბლიცისტიკის მანიპულაციურ-მქადაგებლური ბუნება ორი ასპექტით მჟღავნდება: ფაქტის შერჩევის პუბლიცისტიკისეული ტენდენციით და ექსპრესიული ლინგვისტური ელემენტების გამოყენების გზით.

ფაქტია, რომ ნებისმიერი ტიპისა და ფუნქციის ტექსტი (მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-დოკუმენტური...) გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, აქვს მისი „აყოლიების“ ეფექტი. თუმცა სიტყვა „მანიპულაცია“ ნეგატიური შინაარსის შემცველია (ლათ. "manipulatio" — ოინი, ყალთაბანდობა) (ჭაბაშვილი, 1989, 293). უპრიანი იქნებოდა ამ ტერმინის პუბლიცისტიკის ეფექტურობისა და ქმედითობის ფარდ ცნებად მიჩნევა.

მასმედიის პროდუქციის მანიპულაციური ხასიათი აუდიტორიის ქცევის, მოქმედების, განწყობების შეცვლას გულისხმობს. ნებისმიერ შემთხვევაში პუბლიცისტიკა შუალედური რგოლია ხელისუფლებასა და ელექტორატს შორის და მას მანიპულაციის საკუთარი მეთოდების საშუალებით ტრანსფორმირებული ფორმით მიაქვს ხელისუფლების სათქმელი ელექტორატთან და — პირიქით. მასმედია აუდიტო-

რის ფაქტობრივ იზოლაციას ახდენს ინფორმაციის წყაროსგან (ხელისუფლებისგან), აშუალოებს ხელისუფლებისა და რეციპიენტის ურთიერთქმედებას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჟურნალისტიკის ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევასთან დაკავშირებულ თეორიულ ლიტერატურაში ტერმინების — „აუდიტორია“, „ადრესატი“, ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „რეციპიენტი“, რაც ასე განიმარტება: მედიც.: ადამიანი, რომელსაც სისხლს გადაუხსამენ ან რაიმე ქსოვილს გადაუწერავენ (ჭაბაშვილი, 1989, 448).

თუ კომუნიკაციური აქტის ღრმა ფსიქოლოგიურ და ორგანიზაციულ ბუნებას (განწყობების, ქცევის შეცვლა) გავითვალისწინებთ, თვალსაჩინო ხდება კომუნიკაციის მანიპულაციური ხასიათი, რის შედეგადაც ადამიანი ფიგურალურად სისხლის, ქსოვილის ან რომელიმე ორგანოს ნაცვლად იღებს პუბლიცისტის შეხედულებისამებრ დაკომპლექტებულ-დაბალანსებულ ინფორმაციას და ეტაპობრივად იცვლის განწყობებს, შეფასებებს, დამოკიდებულებებს და ბოლოს — ქცევას. ქცევის შეცვლა ჟურნალისტიკის საბოლოო მიზანია. ეს მისი ეფექტური ორგანიზაციული ფუნქციაა.

რაც შეეხება მანიპულაციის მექანიზმს, მას ასეთი სახე აქვს: თავდაპირველად ჟურნალისტი ფაქტის, მოვლენის, პროცესის გარეშე პირია და საინტერესოა, რომ საბოლოოდ ის ხდება ამ მოვლენების არა მთავარი გმირი, არამედ უმთავრესი აღმქმელი, ე. წ. „ფილტრი“.

ჟურნალისტიკის თეორიტიკოსი ნ. ბლოხინი ფაქტის მასმედიის პროდუქტად ქცევის პროცესის შემდეგნაირ გრადაციას გვთავაზობს: ჟურნალისტი პირველ ეტაპზე ასახვის საგანს აკვირდება მასში მონაწილეობის მიღების გარეშე (**ფაქტის ასახვა**), მეორე ეტაპზე ერთ კერძო მოვლენას აკვირდება როგორც ზოგადად მიმდინარე მოვლენების ნაწილს (**ფაქტის განზოგადება**), მესამე ეტაპზე განსჯის ფაქტს — ანალიზებს, აფასებს, გამოკვეთს ტენდენციებს (**ფაქტის რეკომენდაცია**), მეოთხე ეტაპზე უკვე ფაქტის მონაწილე ხდება (**ფაქტის ტრანსფორმაცია, ავტორისეული აღქმა**) (ბლოხინი, 2004, 282).

ჟურნალისტიკაში არსებობს თეორია ასახვის საგნის წმინდა სახით აღქმის პრიორიტეტულობის შესახებ, მას ე.წ. „პრეციოზული“ (მეტალურგიული ტერმინია და „წმინდას“, „უნარევოს“ ნიშნავს) ჟურნალისტიკა ეწოდება. ეს თეორია წინააღმდეგობრივია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერ ადამიანს ახასიათებს „ფსიქი-

კური წყობის, ბუნების საერთო სტრუქტურისა და ცნობიერების მექანიზმის არასრულყოფილება“ (ბრეგვაძე, 2004, 4). აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანი საკუთარი თვისებებით ამკობს ყოველ მარტივ საგანს, ასევე თავისი რთული ბუნების დაღს, რის გამოც ე.წ. „ნეიტრალური“ (ასახვამდე) ფაქტისგან რთულ და კომპლექსურ ინფორმაციულ პროდუქტს ვიღებთ.

პოლიტიკა, რომელიც პოლიტიკურ წრეებში იქმნება, თუ სრულიად არა, საგრძნობლად გადასხვაფერებული ფორმით აღწევს რეციპენტამდე. ჩვენი დაკვირვებით, ამას ჟურნალისტიკები შემდეგი პუბლიცისტური ხერხების საშუალებით აღწევენ (*ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ენობრივ ასპექტებზე*):

1. **ფაქტის წარმოდგენად ქცევა, მისი რეალური შინაარსის ხარჯზე პირობითი შინაარსების წამოწევა;**
2. **„ენობრივი ფანტომების“, ფრაზეოლოგიზმთა და მყარ სიტყვიერ გამოთქმთა სიჭარბე;**
3. **მკითხველისადმი აპელირება (შენ, მკითხველო!);**
4. **ფსევდო-რიტორიკული პასაჟები;**
5. **შეგნებულად დამდაბლებული ყოფითი ლექსიკა;**
6. **სიტყვიერი შაბლონები;**
7. **ტყუილი, რომელიც იმ სიხშირით მეორდება, სანამ არ დაიწყებენ მის სიმართლისებურ აღქმას;**

ამგვარი სიტყვიერი პასაჟები ხშირად ე.წ. „წყალში ჩაგდებული კენჭის“ პოზიციაში გვევლინება, აქვს „ლოკომოტივის“, „გამწევი ძალის“ ფუნქცია ტექსტში და თავის ირგვლივ აძლიერებს მისსავე ემოციურ გავლენას.

მყარი სიტყვიერი შეთანხმებების („ქვა და გუნდა ვესროლოთ“, „თვალში ნაცარი შევყაროთ“) გამოყენება ზოგჯერ ემპირიული ფაქტის ასახვას კი არ ემსახურება, არამედ — მკითხველის ცნობიერებაში ერთხელ უკვე დანერგილი და მიღებული ცოდნის აქტუალიზებას.

ასევე ენათმეცნიერულ ლიტერატურაში იდიომის, ფრაზეოლოგიზმისა და მყარი სიტყვიერი გამოთქმის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ექსპრესიულობა. გამოთქმით „ქვა და გუნდა ვესროლოთ“, რასაკვირველია, უარყოფით შინაარსს გამოვხატავთ, მაგრამ ეს არ არის დაჟინებით აგრესული ფრაზა. თუ ამ გამოთქმას შევცვლით სიტყვით „ჩაგქოლოთ“, მისი შინაარსი ბევრად უფრო კატეგორიულ მნიშვნელობას შეიძენს. ფრაზეოლოგიზმში კი ჩაქოლის ნიუანსი

მხატვრულადაა გადმოცემული და პირობითია, პირობითი შინაარსების გამოხატვა ექსპრესიული ენობრივი ელემენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. „ქვა და გუნდა ვესროლოთ“ და „ჩაგქოლოთ“ ლექსიკური პარალელებია, მათ შორის განსხვავება ემოციურ მუხტშია. პირველი ვარიანტის უპირატესობა ისაა, რომ აგრესიულობის ხარისხი თუ სრულიად არა, ბევრად შემცირებულია, შინაარსი ნაკლებად კატეგორიული და არამომთხოვნია, რის გამოც ფაქტის საწყისი და საბოლოო მნიშვნელობები აბსოლუტურად გამიჯნულია. ასახვის საგნისადმი ამგვარი დამოკიდებულება ქმნის თვისობრივად ახალ, თითქმის ვირტუალურ სივრცეს, რომელშიც უწევს ცხოვრება თანამედროვე საზოგადოებას.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი გამოთქმები ძირითადად გამოიყენება რესპონდენტის პირდაპირ ნათქვამში ან მის პერიფრაზში და არა პუბლიცისტის მეტყველებაში. ეს კი დასწრების ეფექტის, სიტუაციის გაცოცხლებისთვის ხდება. ამგვარ ფრაზებს პუბლიცისტური თვალსაზრისით ორგვარი უპირატესობა აქვს: გააჩნია „აყოლების“ საკმაოდ ძლიერი მუხტი თავისი ქვეტექსტური შინაარსების გამო და მკითხველს ნაცნობი ფრაზებით რალაცის ამოცნობის, ამოხსნის სიხარულს უჩენს, რაც კიდევ ერთი შესაძლებლობაა ყურნალისტის ჩანაფიქრის (აუდიტორიის მიმხრობის) ეფექტურად განხორციელებისთვის. მით უმეტეს, რომ ამ „ამოცნობის სიხარულით“ გამოწვეულ დადებით ემოციას მკითხველში მეორე პლანზე გადააქვს ინტერესი რეალური ფაქტისადმი.

რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ეს დადებითი მოვლენაა, მაგრამ თითქმის უტყუარად ასახავს მდგომარეობას იმ ვირტუალურ სივრცეში, რომელსაც დღეს საკმაოდ ეფექტურად ქმნის მასმედია.

ამგვარი ენობრივი ელემენტები ხშირად პოლიტიკური ვითარებებისა და განწყობების ინდიკატორები ხდება. თანამედროვე პერიოდული პრესის ორგანოებში („ალია“, „კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „საქართველოს რესპუბლიკა“) მოვიძიეთ და თემატურად დავაჯგუფეთ ამგვარი ნიმუშები და საკმაოდ საგულისხმო შედეგებამდე მივვდიეთ. გამოვყავით საზოგადოების შემდეგი ფსიქო-სოციალური მახასიათებლები:

(ნიმუშები მოგვყავს ზმნის პირიანი ფორმით, რომელსაც მეტი გამომსახველობისთვის თითქმის ყოველთვის მიმართავენ ყურნალისტები):

აგრესია („ქვა და გუნდა ვესროლოთ“, „თვალში ნაცარი შევაყაროთ“, „ბღღვირი ავადინოთ“, „ხელი შევავსოთ“, „კისერი და კინჩხი მოვტეხოთ“);

იძულება („პირში წყალი ჩაიგუბა“, „იარლიყი მიაწებეს“, „თავი სხვის უღელში გააყოფინეს“);

პირფერობა („გული მოიგო“, „გამოხრული ძვალი გადაუგდო“);

ინდიფერენტიზმი

გაზვიადება, გადაჭარბება („მკლავები დაიკაპიწეს“, „კბილებამდე იარაღი აისხეს“);

ვარაუდი („ნავთის სუნი უღის“, „შეთქმულების სუნი უღის“);

პროგრესი, სტაბილურობა („ხორცი შეასხეს“, „კვერი დაუკრეს“, „მკვდარი წერტილიდან დაძრეს“) და ა.შ.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი მახასიათებლებიდან თვალსაჩინოდ იკვეთება შექმნილი პოლიტიკური ვითარების კონტურები. „ყურნალისტების“ ენა პათეტიკური, შინაარსისაგან დაცლილი ფრაზეოლოგიაა — წერს აკაკი ყულიჯანაშვილი — იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ტენდენციის მიმდევარი ისეთ ენობრივ ველში არიან მოქცეულნი, რომ თავდაცვ გრძნობენ სიტყვებისა და ფრაზეოლოგიისგან გაუცხოებას.“

ამის მიზეზად ავტორი ღირებულებათა გადაფასებას ასახელებს, რასაც უპრინციპობის, უზნეობის, ცინიზმის და პირფერობის სახით გამოვლენილი ნიჰილიზმი იწვევს (ყულიჯანაშვილი, 2003, 167). სწორედ ნიჰილიზმს ასახელებს აკაკი ბაქრაძე ლიტერატურის ყველაზე უღირს მტრად (ბაქრაძე, 2003, 310), რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურიდან „მარადიულის“ გამოყოფის ალბათობას ძალიან ამცირებს.

საზოგადოების ჩვენ მიერ გამოყოფილი ფსიქო-სოციალური მახასიათებლები სწორედ ამ ნიჰილიზმზე მეტყველებს. ზემოთ მოყვანილი ენობრივი ელემენტები ათვალსაჩინოებს, ერთი მხრივ, პუბლიცისტისა და, მეორე მხრივ, იმ აუდიტორიის ნიჰილისტურ განწყობებს, რომელიც უპროტესტოდ იღებს ამგვარ ტენდენციებს.

მოქილიკე-ნიჰილისტური ტიპის ყურნალისტის ძირითადი მახასიათი ორ ურთიერთსაპირისპირო ასპექტში, ანტონიმური ბუნების ცნებებში — პათეტიკასა და ცინიზმში ვლინდება, რომელთაც თანაბარი ხარისხის ზიანის მოტანა შეუძლიათ აუდიტორიისთვის.

ტერმინი „კანონზომიერი ანომალიები“, მასმედიის ბუნების მისა-

მართით, ა. არაბულმა გამოიყენა (არაბული, 2001, 9). მართლაც, ე. წ. „ლოგიკური პარადოქსები“ პუბლიცისტიკის დამახასიათებელი თვისებაა. ცინიზმი ისევე აბუნდოვებს სათქმელს, როგორც პათეტიკა. ფრაზეოლოგიზმები და მყარი სიტყვიერი შეხამებები ისევე ახდენს სათქმელის დეკორირებას, როგორც ამ სათქმელში კოდირებული ემპირიული ფაქტის კონსერვაციას. შესაბამისად, პიროვნების სოციალური ინტეგრაციის საშუალებასაც ქმნის და არაზუსტი ინფორმაციით მის საზოგადოებისგან იზოლირების საფრთხესაც იწვევს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამგვარი ფუნქციონირება შეუქცევადი პროცესია. პუბლიცისტიკა მანიპულირების საკუთარი მეთოდებით შუამავლობს ხელისუფლების სამივე შტოსა და ამ უკანასკნელისადმი კონფრონტაციულად განწყობილ საზოგადოებას შორის, რომლებიც ინტერაქტიულ ურთიერთობებში არიან ჩართული და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. სწორედ ამიტომაც, რომ ხშირად ცალკე აღებული ექსპრესიული ლინგვისტური ნიმუშები არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების კვლევისთვის ასეთი მნიშვნელობის მასალას გვაწვდის. მედიოლოგების, სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების ერთობლივმა კვლევებმა ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, საზოგადოების აზროვნების ტენდენციების პერსპექტიული ხაზი გვიჩვენოს და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განახორციელებაც დაგვგმოს.

სამყაროში მიმდინარე მოვლენები პირობითად ასე შეიძლება დაიყოს: ის, რაც მარადიულია და ის, რაც მანიპულირებას, ზემოქმედებას, ცვლილებებს, დროს ექვემდებარება. პირველი უპირობოდ არის მხატვრული ლიტერატურის წყარო, მეორე — პუბლიცისტიკის, მხოლოდ იმ პირობით, თუ თავის წიაღშივე აღმოაჩენს, გამოკვეთს „კონკრეტული ეპოქის მთავარ ნერვს“.

ლიტერატურა

არაბული, 2001 — ა. არაბული, დროის ანაბეჭდები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენაზე, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები IX, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2001.

ბაქრაძე, 2003 — აკ. ბაქრაძე, გაურკვევლობის ბურუსიდან

მშობლიურ წიაღში. წგ. „ბედნიერი ტანჯული“, სერია: ესე, პუბლიცისტიკა, ინტერვიუ. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს-პრესი“, 2003.
ბრეგვაძე, 2004 — ბ. ბრეგვაძე, ბოლო წლების ჩანაწერებიდან. გაზ. „ახალი ეპოქა“, 15 იანვარი-5 თებერვალი, 2004.

ჭაბაშვილი, 1989 — მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1989.

ქარჩხაძე, 2005 — ჯ. ქარჩხაძე, მონოლოგი დიალოგთან, წგ. პუბლიცისტიკა, თბილისი: გაა ქარჩხაძის გამომცემლობა, 2005.

ყულიჯანაშვილი, 2003 — აკ. ყულიჯანაშვილი, ტელევიზია — პოსტ-მოდერნული კულტურის უმთავრესი ფაქტორი, წგ. მედიის ფილოსოფიური პრობლემები, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2003.

ბლოხინი, 2004 — Блохин Н. И. Автор произведения политической журналистики, «Журналистика в мире политики». С-Пб., изд., Михайлова В. А., 2004.

ვართანოვა, 2002 — Вартанова Е. Л., Загурский Я. Н., Медиаобразование как средство формирования информационной безопасности молодежи, «Информационная и психологическая безопасность в СМИ», /Телевизионные и рекламные коммуникации/, изд., Аспект-пресс, Т. 1, М. 2002.

„კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „ალია“, „საქართველოს რესპუბლიკა“

ESMA MANIA

Expressive Linguistic Elements in Publicistic Style as Indicators of Social and Political Situations

Summary

The growing role of mass media in modern social life implies the increase of confidence to the given institution. Socium with its mode of thinking, spheres of interest, and types of behaviour is largely dependent on mass media. Mass media often serves as the source of already introduced, as well as, perspective tendencies of societal life.

The impact on the recipient's behaviour is one of the ultimate aims of publicistic style. It is implemented in two ways: a) by selection of suitable

facts and b) by use of expressive linguistic means.

An empirical fact undergoes a number of stages - it is generalised, evaluated, commented on, shaped according to the journalist's perception. The journalist creates qualitatively new space between, the information source and the audience by appealing to the reader with pseudo-rhetoric passages, truth-like lies, and other expressive means. These linguistic elements become the indicators of modern social tendencies and political situations. the analysis has revealed the following features of social and psychological conditions of a society: aggression, compulsion, hypocrisy, exaggeration, supposition.

These linguistic elements serve to socially integrate individuals as well as create certain threats to isolate them from the society by means of misinformation. The discussed type of functioning of mass media is an irreversible process.

By using specific methods of manipulation journalists are mediators between the three branches of power and society opposed to them. The paper stresses the need for an interdisciplinary study of the question.

ნანა მახარაძე

„ინდი-მინდი“ წარმომავლობისათვის

ქართულ ხალხურ პოეზიაში გვხვდება ამჟამად სემანტიკისაგან დაცლილი ლექსიკური ერთეული „ინდი-მინდი“, რომელსაც რეფერენის ფუნქცია ეკისრება:

„ინდი-მინდი, ფერად შინდი,
გადმოფრინდი, გადმობრწყინდი“
იცი, ჩემო სიცოცხლეო,

გულში ვარდათ ჩამიფრინდი“ (ქართული ხალხური პოეზია, VI, თბ., 1978, 310-311)

„ვის გაქვთ ბაგე ფერად შვინდი,
თვალი შავი, ინდი-მინდი,
გამომყვი, გამობრწყინდი,

სანახავად ნუმცა გინდი“ (ქართული ხალხური პოეზია, VI, თბ., 1978, 310-311)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ინდი-მინდი“, დამოუკიდებლად ნახმარი, შეიძლება იყოს ერთი და იმავე ზმნის პირიან ფორმათაგან შემდგარი ორკომპონენტისანი, თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით, „შეკუმშული“ ლექსემა, რომლის პირველი ნაწილის ანლაუტში უნდა ვივარაუდოთ I ობიექტური პირის მ-, ან II ობიექტური პირის გ- პრეფიქსი, ხოლო მეორე კომპონენტის თავკიდური მ- I ობიექტური პირის ნიშანი უნდა იყოს: *მ-ინდი-(ხარ)-მ-ინდი(ხარ) ან *გ-ინდი-(ვარ)-მ-ინდი(ხარ).

დროთა ვითარებაში ლექსემის პირველ ნაწილს (ზმნას) პირის ნიშანი „მოეცვითა“, მეორე ნაწილს კი შერჩა და ახლაც სახეზეა. ამასთან, ორივე კომპონენტმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

ამ მოსაზრების საფუძველია უპირველესად ხალხური სატრფია-

ლო პოეზიის ნიმუშები, რომლებშიც მიმართვის ობიექტია მე-2 პირი (ქალი).

ხოლო „ინდი-მინდი“ შესიტყვებაში: „თვალი შავი, ინდი-მინდი,“ უნდა ნიშნავდეს „*შენი შავი თვალი მინდა, მინდა“.

ინდი-მინდი, ფერად შინდი“, უნდა ნიშნავდეს „*შენი ფერად შინდი ბაგე მინდა, მინდა“...

ან:

„თვალი შავი, ინდი-მინდი,“ უნდა ნიშნავდეს „*შავი თვალი გინდა, მინდა“... ინდი-მინდი, ფერად შინდი“, უნდა ნიშნავდეს „*ფერად შინდი ბაგე გინდა, მინდა“...

ერთ-ერთი ლექსის სტრიქონი მთავრდება გამჭვირვალე სემანტიკის მქონე ზმნით — „გინდი“: „სანახავად ნუმცა გინდი“. აქ გინდი აღნიშნავს: „გინდი(ვარ)“. მეშველ ზმნას თანამედროვე ქართულის მიხედვით აღვადგენთ. ვფიქრობთ, აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ჩვენს მოსაზრებას.

ქართული ენისათვის ზოგადად უცხო არაა ზმნის პირიან ფორმათა გასუბსტანტივება — საკუთარ სახელებად ქცევა:

„ხახაბოს, მიცუ-არდოტა
ცხენტ დასხნეს შარა-გზანია
მინდიკათ გორის ციხეო
შამაგეხვია ჯარია...“

„ტერდის წვერს მონადირეთა
თოფის ხმა იცნეს ძმისაო.
მინდოდა გეუბნებოდა:

„თუ კვალად დაგვკრეს, ვისაო!“ (ქართული ხალხური პოეზია, IV, თბ., 1975, 271)

„ჩაგვიძელ ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო
თან ჩაიყოლე სწორები,
ვისაც თავი აქვს ცდისაო“... (ქართული ხალხური პოეზია, IV, თბ., 1975, 32)

„არხოტით მზირი გავიდა,
წყრომით გამახყვა ჯვარია,
გააბერტყინა ნამია“... (ქართული ხალხური პოეზია, IV, თბ., 1975, 32)

„ხახარემ ცხორი აპყარა,
მიჯრილი სამი დღე არი,
ადგა და გამაიმართა
ბედრიან-დოვლათიანი.“ (უმეცაშვილი, 1964)

ცნობილია, რომ ამ შემთხვევაშიც მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე: — კერძოდ, ზმნური პირიანი ფორმის გასუბსტანტივებასთან.

თავის ერთ-ერთ ორიგინალურ სტატიაში, რომელიც საკუთარი სახელის — მედეას წარმომავლობას ეხება, გიორგი როგავა მიიჩნევს, რომ ანთროპონიმი — მედეა (აიეტის ასულის სახელი) უნდა მომდინარეობდეს ასევე საკუთარი სახელისაგან „მინდია“, რომელიც წარმოშობით „მინდა“ ზმნაა, ვარაუდობს რა, რომ თავდაპირველად ეს სახელი ქალისაც შეიძლებოდა ყოფილიყო და მამაკაცისაც (როგავა, 1991, 55-56).

ხომ არ არის ამჟამად რეფერენად ქცეული „ინდი-მინდი“ მედეასადმი მიძღვნილი სარიტუალო-საკულტო სიმღერის ნაშთი, წარმოშობით ზმნური ფორმა, რომელსაც დროთა ვითარებაში (ლექსემის პირველ ნაწილს (ზმნას) პირის ნიშანი „მოეცვითა“, მეორე ნაწილს კი შერჩა და ახლაც სახეზეა. ამასთან, ორივე კომპონენტმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

თუმცა, ცნობილია, რომ ამ ზმნას დონი (წარმოშობით ნ-საგან მომდინარე ვნებითის ნიშანი: (*უნნა > უნდა) (დისიმილაციით ნარნარა ბგერებთან) მოგვიანებით გაუჩნდა, ძველ ტექსტებში და საბასთანაც ეს ზმნა დონის გარეშეა.(შანიძე, 1980, 289).

„ვეფხისტყაოსანში“ ეს ფორმები დონიანია, ერთ შემთხვევეშია მხოლოდ დონის გარეშე.

გინდი (ეუბნება შერმადინი ავთანდილს):

...„წამითანე სამსახურად, მოგეხმარო რადცა გინდი“(781,4)

მინდი (ამბობს ავთანდილი):

...„ვირე ვნახვიდე, სოფელო, მინდი სალხინოდ აღარად“(714,4)

მინდით (როსტევანის სიტყვებია გმირთა მიმართ):

...,თქვენ საჭვრეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო“(1537,4)

მინდეს

...,ახლოს მომდევდით, მიშველდით, გიხმობ, თუ მინდეს შველანო“(427,4)

გინა (ეუბნება ასმათი ტარიელს):

...,ქალმან უთხრა: „ყმაო, მოგცა ჯამად ღმერთმან, რაცა გინა“(264,1)

ამრიგად, „ინდი-მინდი“ ამჟამად რეფრენად ქცეული პირის ნიშნიანი ზმნური ფორმა უნდა იყოს, ისევე, როგორც ეს საკუთარი სახელების შემთხვევაშია.

ლიტერატურა

„ვეფხისტყაოსნის სიმფონია. ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი“, თბ., 1973.

როგავა, 1991 — გ. როგავა, მედეა-სა და მინდია-ს იდენტიფიკაციისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1991.

უმიკაშვილი, 1964 — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება I, თბ., 1964.

ქართული ხალხური პოეზია, IV, თბ., 1975.

ქართული ხალხური პოეზია, VI, თბ., 1978.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ტ.III, თბ., 1980.

NANA MACHAVRIANI

Towards the Origin of “Indi-Mind”

Summary

The paper proposes that the now widely spread Georgian folk song and verse refrain ‘indi-mindi’ might have originated from the ‘condensed’ two-component lexeme of one and the same finite verb. In the first part of the anlaut the first objective person marker **m**- or the 2nd objective person marker

prefix **g** can be restored; whereas the initial **m** of the second component might have been the 1st objective person marker - *m-indi-(xar)-m-indi(xar), or *g-indi-(var)-m-indi(xar).

Gradually, the person marker of the first component has been reduced, whereas in the second component it is still preserved. However, both components have lost their primary meanings.

ლელა გახვილაძე

დემოტივირებული ლექსების ჩამოყალიბების
პროცესი ბერძნულ ენაში

(დემოტივაცია, ხალხური ეტიმოლოგია, იდიომატიზაცია)

ლექსიკალიზაცია არის ენის ლექსიკონში სიტყვის ან გამოთქმის შეტანის პროცესი და შედეგი. ლექსიკალიზაციით კომპლექსურმა სიტყვამ ფორმობრივი და/ან სემანტიკური თვალთახედვით შეიძლება დაკარგოს თავისი მოტივაცია. ენათმეცნიერები კომპლექსურ სიტყვებში განასხვავებენ შემდეგ ტიპებს: (1) უშუალოდ წარმონაქმნებს — სიტყვებს, რომლებიც უნარჩენოდ ექვემდებარებიან ანალიზს, (2) დემოტივირებულ სიტყვებს, (3) იდიომატიზირებულ სიტყვებს და (4) ისეთ სიტყვებს, რომლებიც ერთდროულად იდიომატიზირებული და დემოტივირებულია (იხ. გუენტერი, 1987, 188-189; მისივე, "Lexikalisierung", წიგნი: მლშპ., 1993, 363-364).

დესემანტიზირებული სტრუქტურული ელემენტებისა და შესაბამისად ასეთი ელემენტებით შედგენილი სიტყვების გაჩენა ენაში უკავშირდება გარკვეულ პროცესებს. ამ ენობრივი მოვლენების შედეგების მრავალფეროვნება იძლევა ასეთი სიტყვების ტიპებად განხილვის საშუალებას.

წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრებ დემოტივაციის, შესაბამისად, დესემანტიზაციის, ხალხური ეტიმოლოგიისა და იდიომატიზაციის გამომწვევ მიზეზებზე, ასევე მათ თანმდევ სხვა ენობრივ მოვლენებზე. წარმოვადგენთ ენობრივ ფაქტთა ისტორიულ თანამიმდევრობას, შევხებით აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებულ ზოგიერთ დეფინიციურ და ტერმინოლოგიურ საკითხს, რომლებიც, ვფიქრობთ, საჭიროებს დაზუსტებას.

1. დემოტივირებულ სიტყვებს ჰ. გუენტერი წიგნი Metzler Lexikon Sprache შემდეგი სახის დეფინიციას აძლევს: "დემოტივირებული წარმონაქმნი ("demotivierte Bildung") არის სიტყვა უნიკალური მორფემით, მაგ., Schornstein, drollig, რომელიც სინქრონიულ დონეზე

სრულყოფილ ანალიზს აღარ ექვემდებარება" (მლშპ., 1993, 125; H. Günther, "Demotivierte Bildung", მისივე, "Lexikalisierung", იქვე, 363-364; თარგმანი ყველგან ჩვენია — ლ. მ.). ვფიქრობთ, დეფინიციის ე.წ. "უნიკალური მორფემები" უფრო ფართო გაგებით არის ნაგულისხმები, განზოგადებულია და მოიცავს სემანტიკურად გაუმჭვირვალე განმეორებად ენობრივ ერთეულებსაც.

უნიკალური და განმეორებადი ფსევდო- ან კვაზიმორფემები (ასევე: უნიკალური ან ბლოკირებული მორფემები, ნარჩენი ელემენტები, უნიკალური ერთეულები) ეტიმოლოგიურად თავისუფალი მორფემებია. ერთ დროს სიტყვები (მაგ., საშ.ზგ. *vlât* "სისუფთავე, სილამაზე" სიტყვაში: *un-vlât* "Unflat") თანამედროვე ენაში გვხვდებიან მხოლოდ სხვა მორფემებთან შეკავშირებაში. ამასთან, სინქრონიში მათ აღარა აქვთ თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. მისი დადგენა შეიძლება მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით. ფსევდომორფემები თანამედროვე გერმანულ ენაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე დაკავშირებული სტრუქტურული ელემენტებია და სიტყვაში გამოწვევად მხოლოდ სრულფასოვანი მორფემის გამოყოფით (მახვილაძე, 2000, 53-63; მისივე, 2001, 116-124).

დავიწყით იმ მიზეზებით, რამაც გამოიწვია ენაში კომპლექსური სიტყვების ეტიმოლოგიური გამჭვირვალობისა და მოტივაციის დაკარგვა, შესაბამისად კი დესემანტიზირებული ელემენტების გაჩენა. მკვლევრები (იხ. ჰირტი, 1921, 352; ჰენცენი, 1965, 74; შმიდტი, 1982, 100; ფლაიშერი/ბარცი, 1995, 92; სტეპანოვა, 1953, 133) მიუთითებენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ისტორიული რთული სიტყვის უმახვილო ან სუსტმახვილიანმა კომპონენტმა განიცადა რედუცირება და ამის შედეგად შეიცვალა ფონეტიკური ფორმა, ზოგიერთი მათგანი აფიქსს დაემსგავსა, მაგალითად, "-bar" სიტყვაში: "Nachbar" (საშ.ზგ. *näch-gebür[e]*, *nach-büre*, *-bür* "ახლომცხოვრები, მეზობელი" [ლექს., 147], ძვ.ზგ. *nähgibür[o]* [დუ., 477-78]. სიტყვის მეორე უშუალო შემადგენლის (უშ) შესატყვისი ფორმა საშ.ზგ. *ge-bür*, *-büre*, "თანამცხოვრები, თანამოქალაქე, თანასოფელი; მეზობელი" [ლექს., 55] ნაწარმოებია ფორმებიდან: საშ. ზგ. *bür*, *bure* "ციხე, ციხე-სიმაგრე, ქალაქი" (იქვე, 28), ძვ. ზგ. *bür* "სახლი" [შუტც., 104]. მეორე უშ რედუცირება განიცადა, დაიკარგა "ge" ელემენტი). ზოგიერთ ისტორიულ რთულ სიტყვაში შემოინახა ისეთი გაუმჭვირვალე ელემენტები, რომელთა შესატყვისი თავისუფალი მორფემები ენიდან

დამოუკიდებელი ხმარებიდან დაიკარგნენ ან შეიცვალნენ, მაგალითად, "**de-**" სიტყვაში: "**Demut**" "მორჩილება, თვინიერება, თავმდაბლობა" (საშ.ზგ. **die-müete, -muot, démuot** "მორჩილება, თავმდაბლობა" [ლექს., 30], ძვ.ზგ. **theomuati, deo-, deohmuat[i]** "მორჩილება, მსახურული გამგონობა, დამცირება" [შუტც., 112]), უკავშირდება **diene-**ით გადმოცემული ზმნის ფუძეს და შეესაბამება გუთ. **Pius-**ს "მსახური, ყმა, მოჯამაგირე" [ლუ., 120]); "**mein-**" სიტყვაში: "**Meineid**" "ცრუ ჩვენება" (საშ.ზგ. **meineit** [ლექს., 136], საშ.ზგ. **mein, meine** (ზედს.) "არასწორი, მცდარი, ცრუ, მომატყუებელი," "**meiner eit**" "ცრუ, მცდარი ჩვენება, ცრუმოწმება" [ლექს., იქვე]). ამასთან, ამ მოვლენებს თან სდევდა დაკავშირებული ენობრივი ელემენტის ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგვა.

შევეცადოთ გავიაზროთ ის გზა, რაც ასეთმა ენობრივმა ელემენტებმა გაიარეს თავისუფალი მორფემიდან გაბუნდოვნებულ დაკავშირებულ ელემენტამდე. დამოუკიდებელი სიტყვა, რომელიც იშვიათად იხმარება, ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე შეიძლება დამოუკიდებელი ხმარებიდან დაიკარგოს და დარჩეს მხოლოდ შეკავშირებებში, მაგრამ ახლა უკვე როგორც მნიშვნელობის არმქონე ელემენტი. ეს ნიშნავს, რომ ერთ დროს თავისუფალი მორფემა გადაიქცა სემანტიკურად გაუმჭვირვალე დაკავშირებულ ფსევდომორფემად. გავიხსენოთ როგორ წარმოიშვნენ სუფიქსები თავისუფალი მორფემებიდან. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ენიდან გაქრეს ყველა შეკავშირება გარდა ერთისა. ასეთ შემთხვევაში ფსევდომორფემა უნიკალურია. მაგრამ შესაძლებელია ფსევდომორფემამ ხელახალი ინტერპრეტაციით მიიღოს სხვა ფორმა ან მნიშვნელობა და ერთ დროს გაბუნდოვნებულმა წარმონაქმნმა ასე გააგრძელოს ენაში ფუნქციონირება.

ჰ. ჰირტი აღნიშნავს, რომ ხშირად ენაში რჩება ცალკეული შეკავშირებები და ასე აგრძელებს სიცოცხლეს უკვე დიდი ხნის უხმარებელი სიტყვა [ჰირტი, 1921, 351]. ეს პროცესი დრესაც გრძელდება. ო. ბეჰაგელმა (**O. Behagel**) ამგვარ სიტყვებს "ენობრივი ფიქსაციები" ("**sprachliche Versteinerungen**") უწოდა [იქვე]. "ენობრივ ფიქსაციებში" შემონახულია ისეთი სემანტები, რომლებიც დღეს ენაში უკვე აღარ გვხვდება როგორც თავისუფალი მორფემები. როგორც უკვე ითქვა, ამ ელემენტებს თანამედროვე ენაში არა აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. ჰ. ჰირტი ამის მიზეზად (თუმცა არაპირდაპირ) ასახელებს ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან სიტყვის გაქრობას. ჩვენი

აზრით, ეს ახსნა-განმარტება არ არის საკმარისი, რადგანაც სუფიქსების წარმოშობა დაკავშირებულია ასევე ენიდან დამოუკიდებელი სიტყვის გაქრობასთან. როგორც ცნობილია, ასეთი ელემენტების ნაწილმა მიიღო ფსევდომორფემის სტატუსი, მაგრამ ნაწილმა კი — სიტყვამაწარმოებელი მორფემებისა, რომლებსაც აქვთ თავისი სემანტიკური დატვირთვა.

ეს დანაკარგი ენაში შეივსო ახალი სიტყვით, რომელიც გამომხატავდა იმავე ცნებას. და რადგანაც ენას არ სჭირდება ორი აბსოლუტურად ერთნაირი მნიშვნელობის აღმნიშვნელი სიტყვა (ვიცი, რომ აბსოლუტური სინონიმები არ არსებობს), ერთ-ერთი ქრება ენიდან, ან იღებს სხვა მნიშვნელობას, ან მნიშვნელობათა სიმრავლიდან იღებს ერთს. ე.ი. ხდება სუფიქსის ან პრეფიქსის წარმოშობა და შუალედური მდგომარეობის შემთხვევაში (ეს ნიშნავს, რომ არსებობს სიტყვის კომპონენტი და თავისუფალი მორფემა არის გაქრობის პროცესში) გვაქვს ნახევარაფიქსი / აფიქსოიდი.

შემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ მითითებულ მიზეზებთან ერთად ელემენტების ლექსიკური მნიშვნელობის და შესაბამისად მოტივაციის დაკარგვამ (სრულად ან ნაწილობრივ) გამოიწვია ენაში გაბუნდოვნებული ელემენტების წარმოშობა.

მაშასადამე, გამოიკვეთა, რომ ფსევდომორფემები არ წარმოადგენს ე.წ. "გარდამავალ ზონას" თავისუფალსა და დაკავშირებულ მორფემებს შორის. პირიქით, ენის განვითარების პროცესში შესაძლებელია ძირეული მორფემა გახდეს აფიქსოიდი და შემდგომ აფიქსი, ან გახდეს მნიშვნელობადაკარგული ენობრივი ელემენტი; ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი მორფემა გადაიქცეს დაკავშირებულ მორფემად ან დაკავშირებულ გაუმჭვირვალე სტრუქტურულ ელემენტად — უნიკალურ (ან განმეორებად) ფსევდომორფემად.

გაბუნდოვნებული ელემენტის სიტყვები დღეს მხოლოდ ერთი უშუალო შემადგენლით არის მოტივირებული. მაგალითად, სიტყვა "**Pausback**" მოტივირებულია მხოლოდ "**Backe**"-ს "ლოყა" მიხედვით, **Samstag** — მხოლოდ "**Tag**"-ის "დღე" მიხედვით.

მაგრამ დღეს ენაში ფუნქციონირებენ ისეთი "გაბუნდოვნებული რთული სიტყვებიც", რომლებშიც სიტყვის ორივე ისტორიულმა წევრმა განიცადა დესემანტიზაცია. ასეთ სიტყვებში ეტიმოლოგიური ანალიზით დადგენილი ისტორიული კომპონენტები ან ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან დაიკარგნენ, ან გარკვეული ფონეტიკური ზე-

მოქმედებით განიცადეს რედუცირება (მაგ.: Ameise, Amboss, Messer, Sperber, Adler, Kiefer (die), Schuster, Welt, Eidechse, Grummet, heute და მისთ.). ვფიქრობთ, ისტორიული კვლევებიდან გამომდინარე მათ შეიძლება ვუწოდოთ "ისტორიული რთული სიტყვები". ორივე შემთხვევაში ელემენტები სემანტიკურად გაუმჭვირვალენი გახდნენ და შესაბამისად კომპონენტებს შორის არსებული ზღვარი წაიშალა. შედეგად მივიღეთ მარტივი სიტყვა, რომელსაც აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. ასეთი სიტყვები სინქრონიში არასეგმენტირებადია და მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით არის შესაძლებელი მათში ისტორიული კომპონენტების დადგენა.

სიტყვის "**Hexe**" "ჯადოქარი, კუდიანი დედაბერი" (< საშ.ზგ. hese, hesse [ლექს., 83], ძვ.ზგ. hāzessa [შუტც., 160], hagzissa, hag[la]zus[sal] [დუ., 283]) ისტორიული I უმ სავარაუდოა იყოს Hag-ით "ღობე, ზღუდე, გალავანი" წარმოდგენილი არს. სახელი, II უმ ასევე სავარაუდოა, რომ მიეკუთვნება ნორვ. დიალ. tysja-ს "ელფი, ალი, მახინჯი ქალი" (დუ., იქვე).

"**Ameise**" "ჭიანჭველა" (<საშ.ზგ. âmeze, ძვ.ზგ. âmeiza) შედგება საშ.ზგ., ძვ.ზგ. ā-სა "შორს, იქით; მოცილება" და გერმ. ზმნის საშ.ზგ. meizen "მოჭრა" ფუძისაგან (დუ., 32, 496; ლექს., 4).

"**Schuster**" "შეწაღე" (< საშ.ზგ. schuoch-sûtære, -er "ფეხსაცმლის მკერავი", შეკუმშული ფორმები: schuochster, schuoster, sûster [ლექს., 188], ძვ.ზგ. sûtāri, ძვ. ინგლ. sûtære-ს მსგავსად მოდის ლათ. sutor-იდან "მკერავი, შემკეთებელი" [დუ., 654]): სიტყვის ერთი ისტორიული კომპონენტი შეესატყვისება საშ.ზგ. schuoch, schuo-ს "ფეხსაცმელი", მეორე — საშ.ზგ. sûter-ს (შდრ. გვ.საშ.ზგ. schuo[ch]ster, schuster, იქვე).

წიგნში: L. Götze/E. Hess-Luttich, "Grammatik der deutschen Sprache" კვითხულობთ: "გაბუნდოვნებული რთული სიტყვები ("verdunkelte Zusammensetzungen") ისეთი სიტყვებია, სადაც უმეტესად აღარ შეიძინება, რომ ისინი კომპოზიტებია. მიზეზი ისაა, რომ კომპოზიტის ერთი წევრი დღეს როგორც დამოუკიდებელი სიტყვა აღარ არსებობს" [გოტცე/ჰეს-ლუტიჩი, 1993, 294-295]. ჩვენ საფუძვლად ვიღებთ ამ დეფინიციას, ამასთან მიგვაჩნია, რომ მასში უნდა გამოჩნდეს ისტორიული რთული სიტყვის ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის დაკარგვის გამომწვევი სხვა მიზეზებიც. ასევე ვფიქრობთ, რომ ტერმინები: "გაბუნდოვნებული წარმონაქმნები" (რომელიც გერმანისტიკაში არა-

ტერმინოლოგიური ხასიათით გამოიყენება), ან "ისტორიული რთული სიტყვები" უფრო მეტად შეესატყვისება როგორც გაუმჭვირვალე ლექსემებს, ისე სინქრონიულ დონეზე დაუნაწავრებელ სიტყვებს.

ამდენად, მიგვაჩნია: გაბუნდოვნებული წარმონაქმნები (ასევე: ისტორიული რთული სიტყვები) ისეთი წარმონაქმნებია, რომლებიც ხშირად აღარ ასოცირდება რთულ სიტყვებთან. მიზეზი ისაა, რომ ისტორიული რთული სიტყვის ერთი ან ორივე წევრი დღეს როგორც დამოუკიდებელი სიტყვა ენაში აღარ ფუნქციონირებს, ან გვხვდება შეცვლილი ფორმით, ამასთან, ასეთმა ელემენტებმა დაკარგეს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. მეორე მხრივ, უმახვილობის ან სუსტი მახვილობის გამო ისტორიული რთული სიტყვის ერთი (უფრო ხშირად მეორე) ან ორივე წევრი დასუსტდა და ეს კომპონენტი (ან კომპონენტები) დღეს სიტყვაში წარმოდგენილია რედუცირებული ფორმით. შესაბამისად მათი ლექსიკური მნიშვნელობაც გაბუნდოვნებულია. ორივე კომპონენტის ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან დაკარგვის, ან რედუცირების შემთხვევაში ისინი უშუალო შემადგენლებად აღარ გამოწვევრდებიან. ელემენტები შეერწყნენ ერთმანეთს.

2. ეტიმოლოგიური ანალიზით გაირკვა, რომ ზოგიერთმა ფსევდომორფემამ, მას შემდეგ, რაც ის სემანტიკურად გაუმჭვირვალე გახდა, ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე განიცადა გარკვეული გარდასახვა: ბევრთი და/ან შინაარსობრივი სახელცვლილება. ეს მნიშვნელობადაკარგული ელემენტი, რომელიც სიტყვაში გაუგებარ ნაწილს წარმოადგენდა, ან ზოგიერთი არაგერმანული გაუგებარი სიტყვა ენის მატარებელმა განმარტების მიზნით მიაშვავსა მსგავსი მნიშვნელობის და/ან მსგავსი ჟღერადობის სიტყვას, ანუ მისცა მისი შინაარსიდან გამომდინარე ახალი განმარტება, რომელსაც ხელს უწყობდა ფონეტიკური მსგავსება და ასოციაციური წარმოდგენა.

მაგალითად, სიტყვის "**Ohnmacht**" "გულყრა, ცნობიერების დაკარგვა, კომა" (ადრ. ახ. გ. onmacht) ფორმა განვითარდა თანამედროვე ohne-ს "გარეშე" შესაბამის ძველ ფორმასთან მიმსგავსებით საშ.ზგ. āmaht-იდან. სახელადი პრეფიქსი ძვ.ზგ., საშ.ზგ. "ā-" "შორს, იქით, განზე; უქონლობა, არარსებობა; უკუ-, უკუღმა, შებრუნებითი" თანამედროვე გერმანულში გვხვდება მხოლოდ სიტყვაში "Ameise" (იხ. ეტიმონები ზემოთ) [დუ., 496].

"**Hagestolz**" "უცოლო, ბერბიჭა" (< საშ.ზგ. hage-stalt, -stolz, ძვ.ზგ. hagustalt) შედგება ძვ.ზგ. hac, hages-სა "შემოზღუდული, შემოღობი-

ლი მიწის ნაკვეთი" და -stalt გერმ. წარმოშობის ელემენტისაგან (შდრ., გუთ. staldan "ფლობს"). იმის გამო, რომ რთული სიტყვის მეორე კომპონენტი (უშ) ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან დაიკარგა და შესაბამისად სიტყვა ეტიმოლოგიურად გაუმჭვირვალე გახდა, განმარტეს როგორც stolz "განუსჯელი, თამამი, თავგასული, ამაყი" (დუ., 263; ლექს., 79).

"**Adebar**" "წერო" (< გერმ. udafaran): სიტყვის პირველი უშ ნიშნავს "ჭაობიან ადგილს, სველ მდელოს" ("sumpfige Stelle, feuchte Wiese"), მეორე უშ "faran" - "სიარულს", ე.ი. "Sumpfgänger" "ჭაობში მოსიარულე" [შმიდტი, 1982, 58]. ძველი ქვემოგერმანული adafaro გრამატიკული ცვლილებებით გადაკეთდა odabaro-დ და ამ უკანასკნელმა კი სავარაუდოა, რომ ძვ.საქს. ōd, ძვ.ზგ. ōt-თან - "ბედნიერება, სიმდიდრე" მიმსგავსებითა და boro "მტარებელი" ფორმით (შდრ. გერმ. beran "ტარება, მოტანა") მიიღო ახალი ინტერპრეტაცია: "ბედნიერების მომტანი" (იქვე).

სიტყვა "**blümerant**" "თავბრუ, თავბრუდამხვევი; სუსტი, უღონო, მოღუნებული, დაუძლურებული" ("schwindelig, flau") მოდის ფრ. "bleu mourant"-დან "მკვდრისფერი, ფერმიხილი" ("sterbendes (=blasse) Blau"). დღევანდელი მნიშვნელობა განვითარდა გამოთქმიდან: "blümerant vor den Augen" — "თვლების დაბნელება, თავბრუ, თავბრუდახვევა" [დუ., 89]. "bleu mourant" იყო რა გაუგებარი ენის მტარებლისათვის, მას შეუცვალეს ფორმა მსგავსი ჟღერადობის, მაგრამ აბსოლუტურად არამონათესავე სიტყვასთან მიმსგავსებით (შდრ., "Blume" — "ყვავილი")¹.

ცხადი ხდება, რომ აქ ადგილი აქვს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ენობრივ მოვლენას: სიტყვის მნიშვნელობის გაბუნდოვნებას — დემოტივაციას, და მის ახლებურ, ხელახალ ინტერპრეტაციას. მაშასადამე, შეიძლება გაუმჭვირვალე სტრუქტურულმა ელემენტმა განიცადოს ფორმობრივი ან შინაარსობრივი ცვლილება და გააგრძელოს ენაში ფუნქციონირება ახლა როგორც თავისუფალმა მორფემამ.


ამდენად, ე.წ. "დემოტივაციისა" და "ხალხური ეტიმოლოგიის" პროცესები ერთმანეთს უკავშირდება ენაში სემანტიკურად გაბუნ-

¹ ამ პროცესზე ჰ.გლუეკი ლაპარაკობს როგორც "მორფემის საზღვრების გადაწვევაზე" ("Morphemgrenzenverschiebung") და შესაბ. მისი მორფოლოგიური სტრუქტურის დაშლასა და ახალი მორფემის შედგენაზე, შდრ., ფრ. bleu mourant > გ. blümerant [H.Glück, წიგნი: მლშ., 1993, 388, "Metanalyse"].

დოვნებული ელემენტების გაჩენის საერთო მიზეზებით. ამასთან, გამოიკვეთა, რომ ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა სიტყვის დემოტივაციის შემდგომი პროცესია, მაგრამ არა ყოველთვის სავალდებულო. როგორც ჩანს, დემოტივირებული სიტყვები შედიან ამ ენობრივ პროცესში, ჩერდებიან სხვადასხვა ეტაპზე და ასე აგრძელებენ ფუნქციონირებას ენაში.

მიგვაჩნია, რომ ფსევდომორფემა, რომელმაც მოგვიანებით ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის ზემოქმედებით განიცადა ფორმობრივი და/ან შინაარსობრივი სახეცვლილება, შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიული ფსევდომორფემა, მაგ., ელემენტი: "ā-" საშ.ზგ. ფორმაში: āmaht "Ohnmacht" [იხ. ზემოთ].

ასეთი ელემენტების ისტორიულ-ენობრივი გზა დროის ვერტიკალურ ჭრილში (დიაქრონიამში) სქემატურად შემდეგ სახეს იღებს:



3. რაც შეეხება იდიომატიზირებულ სიტყვებს, ისინი ძალიან ადვილად იშლებიან აფიქსებად და მაწარმოებელ ფუძეებად, რომლებიც შეესაბამებიან თავისუფალ მორფემებს თანამედროვე ენაში. მაგრამ ასეთ სტრუქტურებში მათი მოტივაცია მეტ-ნაკლებად გაბუნდოვნებულია, ზოგან კი საერთოდ წაშლილია [სტეპანოვა, 1979, 522], მაგ., Augenblick, Ohrfeige, Geizkragen და სხვ., შდრ.: "ohr", "feige"; "geiz", "kragen". მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სიტყვის შემადგენელი ცალკეული ნაწილების ჯამი სულაც არ გვაძლევს ახალი სიტყვის მნიშვნელობას, და რომ ფაქტობრივად რთული სიტყვა წარმოადგენს ახალ მთლიან სიდიდეს, რომელიც მხოლოდ ფორმობრივად და ისტორიულად შეიძლება აღიქმებოდეს როგორც რთული სიტყვა [იხ. ნაუმანი, 1972, 3]. იდიომატიზაცია, როგორც ავტორები მიუთითებენ, არის "პროცესი კომპლექსური სიტყვის ან ენობრივი გამოთქმის სემანტი-

კური ცვლილებისა, ისე რომ მისი მნიშვნელობის განსაზღვრა (დადგენა) აღარ შეიძლება კომპლექსური სიტყვის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობების საფუძველზე, როგორც, მაგალითად: **Augenblick, Bürgersteig, freizügig, entscheiden** (მლშპ., 1993, 255; H. Günther, B. Schaefer, "Idiomatisierung" წიგნი:); სხვა მაგალითები: **Handschuh, Morgenmantel, Hühnerauge, Löwenzahn, Buchstabe, Frauenzimmer, höflich, behaupten, befinden, befassen, befehlen** და მისთ. საინტერესოა ამ მხრივ ე.წ. "be-ზმნები" (იხ. გუენტერი, 1974, 217-218). ისმის კითხვა, რატომ არის ეს ასე. ვფიქრობთ, აქ სხვადასხვა მიზეზი უნდა არსებობდეს, რადგან, როგორც ჰ. გუენტერი აღნიშნავს, იდიომატიზაციის მოვლენა შეეხო არა სისტემას, არამედ ცალკეულ სიტყვებს (იქვე, 215). ერთი რამ უდავოა, რომ ეს არის დიაქრონიული განვითარება, ამიტომ მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით შეიძლება აიხსნას ეს ფენომენი; მაგალითად; **Handschuh – Schuh** (მდრ. საშ.ზგ. schuoch, ძვ.ზგ. scuoh "Schutzhülle" "საფარველი, საბურველი; ბუდე").

ამ ტიპის სიტყვებში ხშირად მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ ასოციაციური კავშირი სიტყვის შემადგენელი ნაწილისა შესაბამის თავისუფალ მორფემასთან, და ეს კავშირი დგინდება სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზით. მაგალითად, "**höflich**" ასოცირდება სამეფო კარზე არსებულ თავაზიან მოქმედებასა და ქცევასთან (მდრ. "Hof" ერთ-ერთი მნიშვნელობა "სამეფო კარი", მაგ., Hofmusikant, Hofpoet). სიტყვა "**Augenblick**"-ის ეტიმოლოგიური ანალიზით ირკვევა, რომ მისი საშ.ზგ. ფორმა **ougenblic** თავდაპირველად ნიშნავდა "სწრაფ შეხედვას, თვალის დაკვრას", მე-13 საუკუნიდან კი — "დროის ძალიან მცირე მონაკვეთს" [ლუ., 53].

4. და ბოლოს, თანამედროვე გერმანულ ენაში ფუნქციონირებენ ისეთი სიტყვებიც, სადაც ერთდროულად ორ ენობრივ მოვლენას — იდიომატიზაციას და დემოტივაციას — აქვს ადგილი. მაგალითად, სიტყვა "**Schornstein**" ("საკვამური, ბუხარი") არის იდიომატიზირებული და დემოტივირებული წარმონაქმნი, რადგან **Schornstein** არ არის „ქვა“; და "schorn-" უნიკალური ფსევდომორფემაა. ასევე "**Lindwurm**" ("გველესაპი, დრაკონი") არ არის „ჭია, მატლი“, "lind-" კი დღეს უნიკალური ფსევდომორფემაა.

ამდენად, ნაშრომში წარმოდგენილი იყო ის ენობრივი მოვლენები და მიზეზები, რამაც გამოიწვია ენაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტებისა და შესაბამისად დემოტივირებული ლექსემების გა-

ჩენა, რასაც მოჰყვა ხშირ შემთხვევაში სიტყვის ე.წ. "შიდა ფორმის" (მნიშვნელობის ელემენტების) დარღვევა ან ცვლილება. გამოიკვეთა, რომ ენაში ასეთი ელემენტებისა და წარმონაქმნების გაჩენა (ისე როგორც მათი ფუნქციონირება და ენიდან გაქრობა) სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ის დეტერმინირებულია შესაბამისი პირობებითა და ფაქტორებით.

ლიტერატურა

გოტცე/ ჰეს-ლუტიში, 1993 — Götze L./Hess-Luttich E.W.B.: Grammatik der deutschen Sprache. Bertelsmann Lexikon Verlag 1993.

გუენტერი, 1974 — Günther H.: Das System der Verben mit Be- in der deutschen Sprache der Gegenwart. Ein Beitrag zur Struktur des Lexikons der deutschen Grammatik. Tübingen 1974.

გუენტერი, 1987 — Günther H.: Wortbildung, Syntax, be-Verben und das Lexikon. In: Beiträge zur Geschichte der deutschen Sprache und Literatur, hrsg.von H. Fromm, P. Ganz, M. Reis, Tübingen 1987, S.179-201.

დონალისი, 2005 — Donalies E.: Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick. 2., überarb. Aufl. Hrsg. von U.Haß, W. Kallmeyer, U. Waßner, Gunter Narr Verlag, Tübingen 2005.

მახვილაძე, 2000 — მახვილაძე ლ. სემანტიკური გაბუნდოვნების ფენომენი და მისი ადგილი გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში. „ენა, თარგმანი, ლიტერატურა“, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნ. შრ. კრ., ტ.V. თბ., 2000, 53-63.

მახვილაძე, 2001 — მახვილაძე ლ. გაბუნდოვნებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში და მათი ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმები. „ენა, თარგმანი, ლიტერატურა“, თბილისის ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნ. შრ. კრ., ტ.VI. თბ., 2001, 116-124.

ნაუმანი, 1972 — Naumann, B.: Wortbildung in der deutschen Gegenwartssprache. Tübingen 1972.

სტეპანოვა, 1953 — Степанова М.Д.: Словообразование современного немецкого языка. М., 1953.

ფლაიშერი ბარცი, 1995 — Fleischer W./Barz I.: Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. 2., dur-

chges. und erg. Aufl., Tübingen 1995.

შმიდტი, 1982 — Schmidt W.: Deutsche Sprachkunde. 9. Auflage, Berlin 1982.

ჰენცენი, 1965 — Henzen W.: Deutsche Wortbildung. 3., durchges. u. erg. Aufl., Tübingen 1965.

ჰირტი, 1921 — Hirt H.: Etymologie der neuhochdeutschen Sprache. Darstellung des deutschen Wortschatzes in seiner geschichtlichen Entwicklung. 2., verbess. und verm. Aufl., München 1921.

ლექსიკონები

დუ., 1989 — Duden. Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache. 2., völlig neu bearb. und erw. Aufl. von Günther Drosdowski. B. 7, Dudenverlag. Mannheim, Leipzig ... 1989.

კლ., 1989 — Kluge Fr.: Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. 22. Aufl. unter Mithilfe von M. Bürgisser u. B. Gregor völlig neu bearb. von E. Seebold. Berlin, New York 1989.

ლექს., 1992 — Lexer M.: Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch. Mit den Nachträgen von U. Pretzel. 38., unveränd. Aufl. S. Hirzel Verlag, Stuttgart 1992.

მლშპ., 1993 — Metzler Lexikon Sprache. Hrsg. von Helmut Glück. Verlag J. B. Metzler, Stuttgart, Weimar 1993.

შუტცი., 1995 — Schützeichel R.: Althochdeutsches Wörterbuch. 5., überarb. und erw. Aufl. Max Niemeyer Verlag, Tübingen 1995.

შემოკლებათა განმარტებანი

ადრ. ახ. გ. — ადრეული, ახალი გერმანული

გერმ. — გერმანიკული

გვ. საშ. ზგ. — გვიანდელი საშუალო ზემოგერმანული

გუთ. — გუთური

ლათ. — ლათინური

საშ.ზგ. — საშუალო ზემოგერმანული

ფრ. — ფრანგული

ძვ.ზგ. — ძველი ზემოგერმანული

ძვ.საქს. — ძველი საქსონური

LELA MAKHVILADZE

The Process of Demotivated Lexeme Formation in German

(demotivation, folk etymology, idiomatisation)

Summary

The paper discusses the question of demotivation, and consequently the reasons for desemantisation, folk etymology and idiomatisation from the historical standpoint.

The study has shown that:

1. The loss of etymological transparency and motivation of historically compound words is mainly connected with the disappearance or substitution of free morphemes. On the synchronic level these words cannot be segmented; only the etymological analysis makes it possible to state their historical components.

2. The etymological analysis has revealed that after having lost their semantic transparency, some pseudo-morphemes underwent phonetic and semantic changes.

ლეონა მახვილაძე

“be-, ge-“ პრეფიქსიანი ლექსემები გაუმჭვირვალე მემორე კომპონენტით ბერძნულ ენაში

სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტებიანი სიტყვების სრულყოფილი ანალიზი სინქრონიულ დონეზე შეუძლებელია. ასეთი მორფემული წარმოშობის სტრუქტურული ელემენტების — ე.წ. ფსევდომორფემების (ასევე: უნიკალური, ბლოკირებული მორფემების, კვაზიმორფემების, ნარჩენი ელემენტების...) ლექსიკური მნიშვნელობის დადგენა შეიძლება მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით, მაგ., "sper-" სიტყვაში: "Sperling" "ბელურა" (შდრ., საშ. ზგ. sperlinc, ძვ. ზგ. sperilig, ფორმები ნაწარმოებია საშ. ზგ. spar(e), sparwe, ძვ. ზგ. sparo- დან "ბელურა" [დუ., 688]) [იხ. H.Günther, "Demotivierte Bildung", წიგნში: მლშპ., 1993, 125; H.Günther, "Unikales Morphem", იქვე, 664; მახვილაძე, 2000, 53-63; მისივე, 2001, 116-124]¹. ამიტომ თანამედროვე ენაში ასეთი სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივად მოტივირებული.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ასეთ შემთხვევებში ცალკე უნდა განვიხილოთ "be-, ge-" პრეფიქსიანი ლექსემები — მაგალითად, **beginnen, begehren, gelingen, gelangen** -ის ტიპის სიტყვები — და მათთან დაკავშირებული სემანტიკური გაუმჭვირვალეობის საკითხი თანამედროვე ბერძნულ ენაში.

მაგალითად, სიტყვაში "**gelingen**" "გამოსვლა, მოხერხება" (მისი ძველი ფორმები: საშ. ზგ. **ge-lingen** [ლექს., 59], ძვ. ზგ. **gi-lingen, gelingen** [შუტც., 198]) სტრუქტურული ანალიზით გამოიყოფა უშუალო შემადგენლები (**ge-ling(en)**). სიტყვის მეორე უშუალო შემადგენელს შეესაბამება საშ. ზგ., საშ. ქვე. ზმნა **lingen** "წინ წასვლა, წარმატების ქონა" "**vorwärtsgehen, Erfolg haben**", ასევე - საშ. ზგ. არსებითი

¹ ასეთი ენობრივი ელემენტების შესახებ ლინგვისტების მოსაზრებები ტერმინოლოგიურ და დეფინიციურ პლანში (და ასევე ჩვენი მოსაზრების შესახებ) ვრცლად იხ. მითითებულ ლიტერატურაში.

თი სახელი **linge** "das Gelingen, guter Erfolg, Glück" [ლექს., 128; დუ., 228]. ელემენტი "**-ling-**" დღეს აღარ გვხვდება როგორც თავისუფალი მორფემა. ის თანამედროვე ბერძნულ ენაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტია. მაგრამ ვერაფერს ვიტყვით "**ge-**" ელემენტზეც, მას სინქრონიზაში არა აქვს რაიმე სემანტიკური დატვირთვა.

ასევე სიტყვა "**gelangen**" "მოხვედრა, ჩამოსვლა; მიღწევა, განსაზღვრულ ადგილამდე მისვლა" (საშ. ზგ. **gelangen**, ძვ. ზგ. **gilangōn**) ეტიმოლოგიურად ნაწარმოებია იმავე ზმნიდან, საიდანაც — ზემოთ განხილული **gelingen** [დუ., 227]. ელემენტი "**-lang-**" დღეს სემანტიკურად გაუმჭვირვალეა.

აქედან გამომდინარე, ამ სიტყვებში სინქრონიულ დონეზე მხოლოდ სტრუქტურულად შეიძლება გამოწვევდნენ უშუალო შემადგენლები, მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით ვერ ვილაპარაკებთ სიტყვის შემადგენელ ნაწილებზე. ე.ი. სინქრონიზაში სემანტიკური თვალთახედვით ისინი არასემანტიკურადი სიტყვებია. "**gelingen**"-იდან მოგვიანებით ანალოგიითაა ნაწარმოები "**misslingen**" საწინააღმდეგო მნიშვნელობით.

იგივე შეიძლება ითქვას სიტყვებზე: **beginnen, begehren** და, შესაბამისად, მსგავს წარმონაქმნებზე. განვიხილოთ ზმნის "**beginnen**" ("დაწყება, წამოწყება") "შიდა ფორმა". სიტყვის თავდაპირველი ფორმებია: საშ. ზგ. **beginnen** "დაწყება" [ლექს., 11], ძვ. ზგ. **biginnan, biginnan, be-, pi-, biginnen...** "დაწყება; წამოწყება, ცდა" [შუტც., 151], რასაც შეესაბამება ნიდერ. **beginnen**, ინგლ. **to begin** [დუ., 70]. დასავლეთგერმანიკული სიტყვა შეიცავს გერმანიკულ ენობრივ სამყაროში მხოლოდ შეკავშირებებში ხმარებულ ძვ. გერმ. ზმნას, რომლის წარმოშობაც ბუნდოვანია, შდრ. გუთ. **duginnan**, ძვ. ინგლ. **onginnan** "დაწყება" [დუ., იქვე], ვნახულობთ მარტივი ზმნის ფორმასაც: ძვ. ზგ. **ginnan** "დაწყება" [Schütz., იქვე], **bigin-, -ghin** "დასაწყისი, დასაბამი" (იქვე, 96).

ზმნა "**begehren**" "სურვილი, ნდომა" (საშ. ზგ. **[be]gern**, ძვ. ზგ. **gerōn**) ნაწარმოებია საშ. ზგ., ძვ. ზგ. ზედსართავი სახელი **ger** -იდან "**begehend, verlangend**" [დუ., 70]; შდრ., ასევე დღეს მოძველებული არსებითი სახელი **Begehr** [იქვე].

როგორც ვხედავთ, "**-ginn-**", "**-gehr-**" თანამედროვე ბერძნულში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტებია. მაგრამ არც "**be**" ელემენტს აქვს სინქრონიზაში რაიმე სემანტიკური დატვირთვა. როგორც

ლინგვისტიკები აღნიშნავენ, "be-" ელემენტის ძირითადი ფუნქცია პრეფიქსაციისას "მხოლოდ ბაზისური ზმნების სინტაქსურ მოდიფიკაციაშია: ან რაიმე სემანტიკური ნიუანსის გარეშე, ან "გაურკვეველი, ბუნდოვანი სემანტიკური ზემოქმედებით" (თარგმანი ჩვენია — ლ.მ.) [P. von Polenz, წიგნში: ფლამური/ბარცი, 1995, 320]¹. უნდა ითქვას, რომ "be" ელემენტი სემანტიკური დატვირთვის მქონე ფუძეს ან აძლევს რალაც ნიუანსს (მდრ., მაგ.: *lehren – belehren, grüßen - begrüßen*), ან მთლიანად უცვლის მნიშვნელობას. მაგრამ სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტთან ის ამ უნარს მოკლებულია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიტყვებში: *gelangen, gelingen, begehren, beginnen* და მისთ. მხოლოდ სტრუქტურულად შეიძლება გამოწვევდეს უშუალო შემადგენლები: *ge-lang(en), ge-ling(en), be-ginn(en), be-gehr(en)*, რაც ფაქტობრივად ემთხვევა მათ ტრადიციულ სემანტიკას ელემენტებად. და იმ შემთხვევაში, თუ "be-", "ge-" ელემენტებს მივიჩნევთ პრეფიქსებად, მაშინ ელემენტები: "-ling-", "-lang-", "-ginn-", "-gehr-" და მისთ. შეიძლება განვიხილოთ როგორც ფსევდომორფემები. სემანტიკური თვალთახედვით სინქრონიკაში ასეთ სიტყვებში მორფემებს ან უშუალო შემადგენლებს ვერ გამოვყოფთ [მდრ., B.Schaeder, წიგნში: მლშპ., 1993, 494]. ამ დონეზე ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც არასემანტიკური სიტყვები.

განვიხილოთ სხვა მაგალითები:

არსებითი სახელი "Gewicht" "წონა, სიმძიმე; ტვირთი; საწონი; წონა, გავლენა" (საშ.ზგ. *ge-wige, ge-wihte, -wiht "Gewicht"* [ლექს., 71]) "ge-" წარმონაქმნია ზემოგერმანულში (*hochdeutsch*) ენიდან დაკარგული საშ. ქვე. არსებითი სახელი *wicht[e]*-იდან "Gewicht, Schwere", რასაც შეესატყვისება: ნიდერ. *wicht*, ინგლ. *weight "Gewicht"*, ძვ. ისლ. *vætt "Gewicht, Schwere"* [დუ., 240]. თვითონ ძვ. გერმ. არსებითი სახელი მოდის საერთო-გერმანიკული ზმნის ფორმებიდან: საშ. ზგ. *wegen "sich bewegen; wiegen"*, ძვ. ზგ. *wegan "bewegen, wiegen"* [დუ., 240, 796], მდრ., არსებითი სახელის საშ. ზგ. ფორმები: *wige, wiege "სასწორი" "Wiege"* [იქვე, 320]. "-wicht" დღეს მნიშვნელობადაკარგული ელემენტია, მაგრამ, როგორც ითქვა, მხოლოდ

¹ Die Hauptfunktion von be- besteht bei der Präfigierung in der syntaktischen Modifikation des Basisverbs, entweder ohne eine semantische Nuancierung oder mit nur "vager semantischer Wirkung" (P. von Polenz, იხ. მითითებული შრომა).

სტრუქტურულ დონეზე არის შესაძლებელი სიტყვის სემანტიკა. შესაბამისად "wicht-" ელემენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ფსევდომორფემა. ელემენტი გვხვდება ასევე სიტყვაში wichtig "მნიშვნელოვანი, საყურადღებო", რომელიც განვითარდა საშ. ქვე. არსებითი სახელი *wicht[e]*-დან [დუ., 811].

არსებითი სახელი "Gewand" (ამაღლ.) "სამოსი, სამოსელი, ტანსაცმელი" (საშ. ზგ. *gewant*, ძვ. ზგ. *giwant* [ლექს., 70; დუ., 239] ნაწარმოებია ზმნა *wenden*-ის შესაბამისი ძველი ფორმიდან და თავდაპირველად ნიშნავდა "დაკეცილს ან დახვეულს" ("das Gewendete"), იგულისხმებოდა "დაკეცილი ან დახვეული შენახული მალა". მისი ძველი მნიშვნელობა შემონახულია რთულ სიტყვებში: *Gewandschneider "Tuchschneider"* და *Gewandhaus "Tuchhalle"* [დუ., იქვე]. "wand" სინქრონიკაში გაბუნდოვებული ელემენტია. სიტყვა "ge-" წარმონაქმნია და მხოლოდ სტრუქტურულად შეიძლება მასში უშუალო შემადგენლების (შესაბამისად ფსევდომორფემის) გამოყოფა.


უნდა აღინიშნოს, რომ პრეფიქსი "ge-" მონაწილეობს სხვადასხვა მოდელში, განსაკუთრებით კი კომბინატორულ დერივაციაში. აქ მხოლოდ დესუსტანტიური კონსტრუქციები განიხილება, რომლებიც ისტორიულად სწორედ კომბინატორულ დერივაციას უკავშირდებიან და ისტორიულ კრებით სახელებს აწარმოებენ. -i/-j სუფიქსის გავლენით ხშირად სიტყვაში უმლაუტის ან ბრეხუნგის მოვლენაც გვაქვს (მდრ., *Gebirge - Berg*). ზოგიერთმა სიტყვამ დაკარგა სუფიქსი და შესაბამისად კრებითობის ხასიათიც, და ასეთი ფორმები "ge-" წარმონაქმნები გახდნენ (თუმცა ხანდახან კრებითობა მაინც შეინიშნება). წარმოვადგენთ ასეთ შემთხვევას.

არსებითი სახელი "Geländer"-ის "მოაჯირი, პარაპეტი; სპორ. ბარიერი (ცურვა)" ძველი ფორმებია: გვ. საშ. ზგ. *gelenter* (მე-15 ს., უფრო ძველი: *gelanter*, მე-14 ს.). სიტყვა თანამედროვე გერმანულში ენიდან დაკარგული არსებითი სახელი - საშ. ზგ. *lander* -ის "ლატანის ლობე, მესერი, ზღუდე" კრებითი წარმონაქმნია. საშ. ზგ. *lander* მიეკუთვნება დღევანდელი *Linde*-თი გადმოცემულ სახელწოდებას და ნიშნავს "ცაცხვის ძელს, ლატანს" [დუ., 227]. "-länder" თანამედროვე გერმანულში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტია და განვიხილავთ როგორც უნიკალურ ფსევდომორფემას. სიტყვაში შეიძლება დავინახოთ კრებითობაც.

ზედსართავი სახელი "geheuer" "ინტიმური, ახლო; ძალიან ახლო-

ბელი" ("vertraut, heimelig") მოდის საშ. ზგ. **gehiure**-დან მნიშვნელობით - "სანდომიანი; თავაზიანი, გულითადი; არაფერი ცუდის მქონე გულში". სიტყვა "**ge-**" წარმონაქმნია საშ. ზგ. პერიოდში ენიდან დაკარგული ძვ. გერმ. ზედსართავიდან, რომელსაც შეესატყვისება ფორმები: ძვ. ზგ. **hiuri** "freundlich, lieblich", ძვ. ინგლ. **hīere** "სასიამოვნო, ნაზი, რბილი, სუსტი", ძვ. ისლ. **hyrr** "თავაზიანი, გულითადი, მხიარული; რბილი, ნაზი, ზომიერი" [დუ., 225]. ზედსართავი სახელი ენათესავება სიტყვა **Heirat** -ს "ქორწინება". იგი გვხვდება უარყოფით ფორმაც: **ungeheuer** "შემზარავი, საშინელი" (შდრ., საშ. ზგ. **ungehiure**, ძვ. ზგ. **un[gi]hiuri** [დუ., იქვე]). ელემენტი "**-heuer**" სინქრონიში სემანტიკურად გაუმჭვირვალეა, განხილულ სიტყვაში მისი გამოწვევება შეიძლება მხოლოდ სტრუქტურულად.

მაშასადამე, მიგვაჩნია, რომ ასეთი სიტყვების სემანტიკა სინქრონიში მხოლოდ სტრუქტურულად არის შესაძლებელი, სემანტიკური თვალთახედვით უშუალო შემადგენლებს — გამომდინარე იქიდან, რომ ამ ელემენტებს სინქრონიში არა აქვთ სემანტიკური დატვირთვა — ვერ გამოვაწვევებთ. ამ დონეზე მათ განვიხილავთ როგორც მარტივ სიტყვებს. ჩვენი აზრით, ამ ტიპის სიტყვებს შეესაბამება "**be-, ge-**" წარმონაქმნთა მოდელი (იხ. სქემა).



ამდენად, ნაშრომში წარმოვადგინეთ "**be-, ge-**" პრეფიქსიანი ლექსემები გაბუნდოვნებული მეორე კომპონენტით და დავაზუსტეთ მათთან დაკავშირებული სემანტიკური გაუმჭვირვალეობის საკითხი თანამედროვე გერმანულ ენაში.

ლიტერატურა

გუნთერი, 1987 — Günther H.: Wortbildung, Syntax, be-Verben und das Lexikon. In: Beiträge zur Geschichte der deutschen Sprache und Literatur. Hrsg. von H. Fromm, P. Ganz, M. Reis, Tübingen 1987, S.179-201

დონალისი, 2005 — Donalies E.: Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick. 2., überarb. Aufl. Hrsg. von U. Haß, W. Kallmeyer, U. Waßner, Gunter Narr Verlag, Tübingen 2005

მახვილაძე, 2000 — მახვილაძე ლ. სემანტიკური გაბუნდოვნების ფენომენი და მისი ადგილი გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში. „ენა, თარგმანი, ლიტერატურა“, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნ. შრ. კრ., ტ. V. თბ., 2000, 53-63.

მახვილაძე, 2001 — მახვილაძე ლ. გაბუნდოვნებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში და მათი ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმები. „ენა, თარგმანი, ლიტერატურა“, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნ. შრ. კრ., ტ. VI. თბ., 2001, 116-124.

ფლაიშერი / ბარცი, 1995 — Fleischer W. / Barz I.: Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. 2., durchges. und erg. Aufl., Tübingen 1995.

ლექსიკონები

დუ., 1989 — Duden. Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache. 2., völlig neu bearb. und erw. Aufl. von Günther Drosdowski. B.7. Dudenverlag. Mannheim, Leipzig ... 1989.

კლ., 1989 — Kluge Fr.: Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. 22. Aufl. unter Mithilfe von M. Bürgisser u. B. Gregor völlig neu bearb. von E. Seebold. Berlin, New York. 1989.

ლექს., 1992 — Lexer M.: Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch. Mit den Nachträgen von U. Pretzel. 38., unveränd. Aufl. S. Hirzel Verlag, Stuttgart 1992.

მლშპ., 1993 — Metzler Lexikon Sprache. Hrsg. von Helmut Glück. Verlag J.B.Metzler. Stuttgart, Weimar 1993.

სსე., 1979 — Словарь словообразовательных элементов немецкого языка. Под рук. М. Д. Степановой. М., 1979.

შუტც., 1995 — Schützeichel R.: Althochdeutsches Wörterbuch. 5., überarb. und erw. Aufl. Max Niemeyer Verlag, Tübingen 1995.

the elements be and ge have no semantic loading either. The prefix be gives some kind of semantic shading to a stem with a certain semantic loading, but it is devoid of any meaning with opaque stems. In these cases word segmentation is only structural. The morphemes in question can be considered pseudo-morphemes.

შემოკლებათა განმარტებანი

- ა) **გერმ.** — გერმანიკული
- გვ. საშ. ზგ.** — გვიანდელი საშუალო ზემოგერმანული
- გუთ.** — გუთური
- ინგლ.** — ინგლისური
- ნიდერ.** — ნიდერლანდური
- საშ. ზგ.** — საშუალო ზემოგერმანული
- საშ. ქვგ.** — საშუალო ქვემოგერმანული
- ძვ. გერმ.** — ძველი გერმანიკული
- ძვ. ზგ.** — ძველი ზემოგერმანული
- ძვ. ინგლ.** — ძველი ინგლისური
- ძვ. ისლ.** — ძველი ისლანდიური
- ბ) **B₂** — მეორეული ფუძე, ე.ი. საანალიზო სიტყვის ფუძე
- B₁** — პირველადი ფუძე
- P** — პრეფიქსი
- R** — ფსევდომორფემა ("გაბუნდოვნებული ნარჩენი ელემენტი")

LELA MAKHVILADZE

be and ge Prefixed Lexemes with the Opaque Second Component in German

Summary

The paper discusses the issue of semantic opaqueness of be and ge prefixed lexemes in Modern German. For instance, in the words *gelingen*, *beginnen*, *begehren* the second components are not free morphemes any longer; at the synchronic level they are semantically opaque; synchronically,

ეთერ მელქაძე

ლოკალური ბრუნვა თანამედროვე ფრანგულ ენაში

ბრუნვა უნივერსალური კატეგორიაა. სინტაქსური მიმართებების დასამყარებლად ფლექსიური ენები იყენებენ ბრუნვათა ფორმებს, ხოლო ანალიტიკური ენები — სხვადასხვა საშუალებას. მთავარია, რომ ენები აღწერენ ერთსა და იმავე რეალურ სიტუაციას, რომელიც უცვლელი და მუდმივია, ხოლო მათი გამოხატვის საშუალებანი ცვალებადი.

რას წარმოადგენს ბრუნვა? ენის გამოყენების დროს ერთი და იგივე სიტყვა განსხვავებული ფორმით გვხვდება, მაგრამ მათ ერთი მნიშვნელობა აქვთ. ფორმათა ცვალებადობა გამოწვეულია სხვა სიტყვებთან შეწყობის აუცილებლობით, რისთვისაც ისინი იყენებენ ფუძეზე დართულ სხვადასხვა სართს. სწორედ ამ სართების საშუალებით მყარდება გარკვეული ურთიერთმიმართება სიტყვებს შორის და აზრი გასაგები ხდება.

სხვადასხვა ენის ბრუნვათა სისტემაში (ლაიონში, 312) განასხვავებენ ბრუნვათა „გრამატიკულ“ და „ლოკალურ“ ფუნქციებს. ეს განსხვავება ზოგჯერ გამოიხატება ტერმინების — აბსტრაქტულისა და კონკრეტულის დაპირისპირებით, რაც ნიშნავს, რომ „აბსტრაქტული“ გრამატიკული ფუნქციაა, ხოლო „კონკრეტული“ — კონკრეტული ბრუნვების „ლოკალური“ ფუნქცია. „გრამატიკული ფუნქციებიდან“, რომელიც აღიარებულია მრავალ ენაში, გამოიყოფა შემდეგი ბრუნვები: სუბიექტური („ნომინატივი“), ობიექტური („აკუსატივი“), ირიბი ობიექტი („დატივი“), სახელადი ჯგუფის „კუთვნილებითი“ („გენეტივი“), ინსტრუმენტალური, აგენტური, კომიტატიური.

„ლოკალური“ ფუნქცია ბრუნვის კატეგორიაა და მოიცავს როგორც სივრცობრივ, ისე დროისეულ გამიჯვნებს. ენის ნებისმიერი გამონათქვამი ხორციელდება კონკრეტულ ადგილას და კონკრეტულ დროს, ე.ი. გამონათქვამი დაკავშირებულია სივრცობრივ — დროისეულ სიტუაციასთან; ენის გრამატიკული სტრუქტურები კი მათ სხვა-

დასხვანაირად ასახავენ.

ბრუნვათა მიმართებების (ფილმორი, 372-374) ჰეშმარიტი არსის დასადგენად აუცილებელია ისეთი ბაზისური სტრუქტურის დადგენა, რომლის მიხედვითაც ბრუნვათა მიმართებანი თეორიული ცნებებით განისაზღვრება და ბრუნვათა ერთიანი მნიშვნელობა გამოყენებულ იქნება ნებისმიერ კონკრეტულ ენაში მათ მიერ შესრულებული სინტაქსური, ლექსიკური და სემანტიკური ყველა შედეგით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გრამატიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს სინტაქსს, შესაბამისად, სიტყვათა ფორმებიც უპირატესად უნდა განისაზღვროს სინტაქსური ცნებებით, რადგან ბრუნვების უნივერსალური სისტემის ახსნა ძირითადად სინტაქსური და არა მორფოლოგიური ბუნებისაა.

ჩ. ფილმორი (404-409) წინადადებას განიხილავს შემდეგნაირად: წინადადება → მოდალობა + პროპოზიცია, ანუ $S \rightarrow M + P$. შემადგენელი P „გაივრცობა“ ზმნად და მას შეუერთდება ერთი ან მეტი ბრუნვის კატეგორია. შემდგომი წესი უზრუნველყოფს ბრუნვის ავტომატურ რეალიზაციას კატეგორიის სიმბოლოდ NP -ს სახით (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც NP დამოკიდებული წინადადებაა). პროპოზიციული შემადგენლის P -ს გავრცობა წარმოდგენილია როგორც ისეთი სახის ფორმულა, სადაც აუცილებლად უნდა იყოს ერთი ბრუნვის ფორმა მაინც და იგი არ უნდა მონაწილეობდეს იმავე ფორმულაში ორჯერ.

ფრეიმი ანუ „ბრუნვის ჩარჩოები“ (ფილმორი, 408, 417, 418, 499) სიღრმული ბრუნვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის ფუნქციაც იმაში მდგომარეობს, რომ დააკავშიროს ერთმანეთთან აღწერები (ზედაპირული სტრუქტურები) და სიღრმული სტრუქტურების სინტაქსური წარმოდგენები. ზედაპირულ სტრუქტურათა სისტემა შეიძლება ერთნაირად წარმოდგეს, რის მაგალითიც ბევრია ძველ ფრანგულში ლათინურიდან შემონახულ ბრუნვებში, ან პირიქით.

ბრუნვა ლოკატივი (L) ზმნის სივრცობრივ ორიენტაციას ახასიათებს. ლოკატივი ზოგადი სახელია ყველა იმ მიმართებისა, რომელსაც ადგილმდებარეობა გულისხმობს და მას ტრადიციულ გრამატიკაში ადგილის გარემოება ეწოდება; ესენია: მდებარეობა, მიმართულება, გასვლის ან ჩასვლის წერტილი, გავლის ადგილი და ა.შ. არ არსებობს ცალ-ცალკე, ვთქვათ, „მიმართულების“ ან „ჩასვლის“ და ა.შ.

ბრუნვები, მაგრამ ადგილის აღმნიშვნელი ჩამოთვლილი მნიშვნელობები არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, ისინი მხოლოდ ზედაპირული განსხვავებებია ერთი სიღრმული **L** ბრუნვისა, რომელიც სიღრმის სტრუქტურის ისეთივე უშუალო შემადგენელს წარმოადგენს როგორც კატეგორიული სიმბოლოები — **S, NP, VP** და ა.შ. ეს განსხვავებანი განპირობებულია ფრაზის სტრუქტურით, ზმნის სემანტიკით, რომელიც მართავს არსებით სახელს ან თვით არსებითი სახელის მნიშვნელობით.

ტრადიციულად ბრუნვის კატეგორია დაკავშირებულია სიტყვათცვალებადობასთან, თუმცა როგორც „გრამატიკული“, ისე „ლოკალური“ ფუნქციები ლოგიკურად არაა დამოკიდებული მათი რეალიზაციის ხერხებთან კონკრეტულ ენებში. ერთსა და იმავე ენაში „გრამატიკული“ და „ლოკალური“ ფუნქციები შეიძლება გამოიხატოს ნაწილობრივ ბრუნვის დაბოლოებებით, ნაწილობრივ სხვა ხერხებით, უმეტესად წინდებულთ (თანდებულთ) ან სიტყვათა რიგით.

წინდებული ფორმაუცვლელ სიტყვათა კლასია, რომლებიც ასრულებენ „გრამატიკულ“ ან „ლოკალურ“ ფუნქციებს და დგანან უშუალოდ მოდიფიცირებულ არსებით სახელთან ან სახელად ჯგუფთან. ჯ. ლაიონზი (420) არ თვლის საჭიროდ გაფართოვდეს ტერმინის „ბრუნვა“ ხმარება და სიტყვათცვალებადობასთან ერთად მასში წინდებულთ ჩაერთოს, რადგან განსხვავება მათ შორის ეხება მხოლოდ „ზედაპირულ“ სტრუქტურას.

ფრანგული ენის „ბრუნვათა სისტემაში“ დიდი ადგილი უჭირავს წინდებულს. ბრუნვათა სისტემის გამარტივება ჯერ კიდევ კლასიკურ ლათინურში დაიწყო, როცა ადგილის გამომხატველი ბრუნვა ნაწილობრივ მოქმედებით, ხოლო ნაწილობრივ ნათესაობით დაემთხვა. ამის მიზეზი კი, სხვა მოვლენებთან ერთად, წინდებულთა მნიშვნელობის და ხმარების გაფართოება იყო, რამაც ბრუნვათა ხმარების საჭიროება გააუქმა. ლათინურ ენაში წინდებული წარმოშობით ზმნი-ზედა იყო — იგი ჯერ აზუსტებდა ბრუნვას, შემდეგ მართავდა სახელს, ბოლოს კი ფლექსიაც შეცვალა (დოზა, 270, 317). ბრუნვათა ფლექსიების მოშლამ გამოიწვია წინადადების წევრთა თავისუფალი განლაგების შეცვლა და დღევანდელ ფრანგულ ენაში მათი ადგილი მკაცრად დაცული. დღეს წინადადების წევრთა თავისუფალი გადაადგილება შეიძლება მხოლოდ სტილისტური მოსაზრებით მოხდეს, რომელიმე წევრის აქტუალიზაციის თვალსაზრისით. ამრიგად, ბრუნ-

ვათა დაკარგვა იწვევს წინდებულის კონსტრუქციების ხმარების დამკვიდრებას.

ლოკაციის, ანუ „ადგილმდებარეობის“ ბრუნვა ლათინურ ენაში გადმოიციმდა ნაწილობრივ წინდებული + არსებითი სახელი აბლატივში, ნაწილობრივ უწინდებულთ, რადგან არსებითი სახელთა განსაზღვრული ჯგუფი წინდებულთან ერთად არ იხმარებოდა; ამრიგად, ბრუნვის ნებისმიერმა ზოგადმა თეორიამ უნდა აღიაროს ორი ფაქტი: 1. ერთმა და იმავე ბრუნვამ შეიძლება შეასრულოს ერთზე მეტი სინტაქსური ფუნქცია და 2. კონკრეტული სინტაქსური ფუნქცია შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული საშუალებებით (ლაიონზი 308, 309, 417, 418).

წინდებულების **L** ბრუნვასთან მიერთებისას ჩნდება შემდეგი შეზღუდვები: 1. წინდებულს გააჩნია თავისი სემანტიკური მნიშვნელობა და მაშინ ისინი თავისუფლად აირჩევიან; 2. მათი არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ არსებით სახელზე (*dans la rue*); 3. ზოგიერთი კონკრეტული ზმნა შეიძლება სპეციფიკურად ირჩევდეს წინდებულს.

არსებით სახელთან წინდებულის ხმარება შემდეგნაირად წარმოდგინება : **Prep + P**, ან წინდებული შედის **NP**-ში როგორც მისი უშუალო შემადგენელი. ჩ. ფილმორის ბაზურ წესთა „უნივერსალური“ ხასიათი შენარჩუნებულია, რადგან წინდებულები და ბრუნვის გამომხატველი აფიქსები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა სემანტიკურად რელევანტურნი, სინამდვილეში ერთი და იმავე სიღრმული **K** ელემენტის (**Kasus**-ბრუნვა) რეალიზაციაა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბრუნვათა ყველა სიმბოლოსათვის მოქმედებს ჩანაცვლების წესი, რომელიც მათ ასე განავრცობს — **K → NP**.

თანამედროვე ფრანგულ ენაში ბრუნვას **L** საფუძვლად უდევს ლათინური ენის სამი ბრუნვა : **lōcus** (ადგილი) — სიტუაციის ერთ-ერთი მონაწილის ადგილმდებარეობა; **allatus** — (მიმართულება) — მიუთითებს სიტუაციის ერთ-ერთი მონაწილის მოძრაობის საბოლოო პუნქტს; **ablatus** (მოშორება) — მიუთითებს სიტუაციის ერთ-ერთი მონაწილის გამოსვლის პუნქტს.

სივრცის აღმნიშვნელი წინდებული ბევრია ფრანგულ ენაში. მაგალითისათვის ვიღებთ რამდენიმეს: **à, chez, de, dans, en, pour, sous, sur** და ვნახოთ როგორ მიიერთებს მათ ზოგიერთი ზმნა ან არსებითი

I. ზმნა *aborder* იხმარება ან უწინდებულთ ან წინდებულთ

à, dans, en, სურ სივრცის აღმნიშვნელ არსებით სახელთან L ბრუნვის გადმოსაცემად :

1. **aborder le rivage**; 2. **aborder au rivage**. ორივე კონსტრუქცია სინონიმურია და ნიშნავს რაიმეს ან ვინმეს მიახლოებას ნაპირთან. 3. **aborder dans une ville déserte**; 5. **aborder en Chine**; 4. **aborder sur une petite île**; 6. **aborder au Brésil**. 3, 4, 5, 6 კონსტრუქციებში წინდებულის არჩევა დამოკიდებულია არსებით სახელზე და აქ ზმნას **aborder** აქვს **débarquer**-ს მნიშვნელობა, ანუ გემიდან მგზავრების ჩამოსმა განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ყველა შემთხვევაში ქვემდებარე უსულო არსებითი სახელია (ვთქვათ **le navire, le nacelle**). სულიერი ქვემდებარის შემთხვევაში, ზმნა უწინდებულოდ იხმარება და L ბრუნვის ნაცვლად გაჩნდება დამატების ბრუნვა: 7. **Ils ont abordé ce vieillard**.

II. ზმნის **accouder (s')** შემდეგ წინდებულის ხმარება დამოკიდებულია როგორც საყრდენზე, ისე იდაყვის მდებარეობაზე. თუ საყრდენი ჰორიზონტალურია, მაშინ იხმარება ან **à** ან **sur**. 8. **s' accouder au parquet**; 9. **s' accouder le parquet**. თუ საყრდენი ვერტიკალური საგანია, მაშინ იხმარება არა **sur**, არამედ ან **à** ან **contre**, მაგრამ წინდებულს არსებითი სახელი ირჩევს: 10. **s' accouder au mur**; 11. **s' accouder contre le piédestal**; თუ იდაყვი არა მხოლოდ ეყრდნობა საგანს, არამედ ნაწილობრივ ეფლობა მასში, იხმარება **dans** : 12. **accoude dans l' oreiller**.

III. ზმნა **partir** სხვადასხვა წინდებულთან სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს: 13. **partir pour** მიუთითებს მოძრაობის მიზანზე. ბევრი ლინგვისტი ფიქრობს, რომ ამ ზმნის შემდეგ, ენის ნორმის შესაბამისად, უნდა იხმარებოდეს წინდებული **pour**, მაგრამ იხმარება აგრეთვე წინდებულები **à, chez, dans, en**, არა თუ მხოლოდ სალაპარაკო, არამედ სალიტერატურო ენაშიც : 14. **partir à Paris, en Italie, chez son oncle, dans une maison au bord de la mer**. ყველა ეს წინდებული მიუთითებს დანიშნულების ადგილს; წინდებულები ქმნიან სინონიმურ პარადიგმას, მაგრამ წინდებულის არჩევა დამოკიდებულია არსებით სახელზე. 15. **partir de** – მიუთითებს გამგზავრების წერტილს.

წინდებული + არსებითი სახელით გამოხატული L ბრუნვა შემდეგნაირად გადმოიცემა:

IV. Lieu-ს შემდეგ იხმარება წინდებულები **à, dans, sur, en**. ყველაზე ხშირად ხმარებულია **dans, en** კი მისი სტილისტური სინონიმია იმ შემთხვევაში, თუ არსებით სახელს ახლავს ნებისმიერი დეტერმინანტი გარდა განსაზღვრული არტიკლისა : 16. **Se trouver dans un lieu**; 17. **Ils restèrent en ce lieu**. წინდებული **à** იხმარება იშვიათად — როდესაც არსებით სახელს **chaque** და **même** განსაზღვრავს : 18. **séjourner longtemps au même lieu**. წინდებული **sur** იხმარება იმ შემთხვევაში თუ ადგილი ზუსტდება მასთან დაკავშირებული მოქმედებით: 19. **arriver trop tard sur le lieu de combat**.

V. L ბრუნვა შეიძლება წინდებულისანი აბსტრაქტული სახელითაც გამოიხატოს. მაგ: სიტყვა **obscurité** — და მოითხოვს **dans** წინდებულს: 20. **Ils chuchotaient dans l' obscurité**. ასევე სიტყვა **ombre** L ბრუნვას გამოხატავს **à, dans, sous** წინდებულებთან ერთად. იგი შემოდის **à** წინდებულთ თუ ქართულად ითარგმნება — ჩრდილში : 21. **Ils s' assirent à l' ombre d'un arbre**; წინდებულთ **dans** იგი იხმარება მაშინ, როცა აღნიშნავს არასაკმარისად განათებულ ადგილს — უფრო ბნელს, ვიდრე განათებულს: 22. **Dans l'ombre d'une forêt**. კონსტრუქცია წინდებულთ **sous** სინონიმურია კონსტრუქციისა **à** წინდებულთ და იშვიათად იხმარება. 23. **dormir sous l' ombre d'un arbre**.

მოცემულ ყველა მაგალითში გამოყენებული ზმნა თუ არსებითი სახელი განხილულია L ბრუნვასთან მიმართებაში, მათი მეტაფორული მნიშვნელობით ხმარება ცვლის სახელისა და ბრუნვის მნიშვნელობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

ფრანგულ ენაში L ბრუნვა გამოიხატება უწინდებულო არსებითი სახელით, სხვადასხვა წინდებულისანი არსებითი სახელით. მათ მიერ გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობა ემთხვევა ფლექსიური ენების ბრუნვის ფორმებით გამოხატულ მნიშვნელობებს. აღწერილი რეალური სიტუაცია უნივერსალურია, იცვლება მხოლოდ გამოხატვის ფორმები.

წინდებულების დაურთველობა სახელადი ჯგუფის წინ განიხილება როგორც ნულოვანი ან არამარკირებული ბრუნვის აფიქსი.

მიუხედავად იმისა, რომ L ბრუნვა შეიცავს ადგილმდებარეობის აღნიშვნის სხვადასხვა ნიუანსს, ისინი მხოლოდ L ბრუნვის ვარიანტებია, ერთ სინონიმურ პარადიგმას ქმნიან და ზმნასთან თუ სახელად

ჯგუფთან მიერთების ფორმებით განსხვავდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი სინტაქსსა და სემანტიკას შორის L ბრუნვით გამოხატული სიტუაციების აღწერისას უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა ბრუნვების შემთხვევაში.

L ბრუნვის კავშირი ზმნასთან უფრო თავისუფალია, ვიდრე სხვა ბრუნვებისა.

მოყვანილ მაგალითებში ზოგიერთი ზმნა L ბრუნვის მიერთების დროს არ იერთებს სულიერ ქვემდებარეს (მაგალითები №1-6), L ბრუნვა შეიძლება გადმოიცეს როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული სახელებით, თუმცა ამ უკანასკნელთა ხმარება შეზღუდულია.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული წინდებულები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულია — ზოგიერთი უფრო კონკრეტულია (*chez, dans, pour, sous, sur*) ე.ი. სახელთან ამყარებენ ერთ თუ ორ ძალიან კარგად განსაზღვრულ კონკრეტულ მიმართებას, ხოლო — ზოგიერთი (*à, de, en*) უფრო აბსტრაქტული, რადგან დამოუკიდებლად მათ არ აქვთ ის კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა, რაც ზემოთ ნახსენებ წინდებულებს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩამოთვლილი წინდებული სახელთან მიერთებისას L ბრუნვის გრამატიკულ მნიშვნელობას იძენს, ხოლო აბსტრაქტული — ლექსიკურსაც.

ლიტერატურა

დოზა, 1956 — Доза А., История Французского языка, Москва 1956.

ლაიონზი, 1973 — Лайонз Джон, Введение в теоретическую лингвистику, Москва, 1973.

პოლი, 1995 — Robert Paul, Le nouveau petit Robert, Paris, 1995.

ტერ-ავაკიანი, 1977 — Тер-Авакян, Г. А., Предлоги французского языка, Москва, 1977.

ფილმორი, 1981 — Филмор Ч., Дело о падеже, новое в зарубежной лингвистике вып. X, Москва, 1981.

ფილმორი, 1981 — Филмор Ч., Дело о падеже открывается вновь, Новое в зарубежной лингвистике, выпуск X, Москва, 1981.

The Locative Case in Modern French

Summary

Two types of case functions-grammatical and local - are differentiated in the case system of a language.

The Locative case characterises the spatial orientation of the verb. Its relations to the verb is different from those of the objects attached to the given verb.

The Locative case has no morphemic realization; it is expressed by quite different syntactic relations.

სოფიო მუჯირი

მეტყველების ტაქტი – ზეპირი, სკონტანური ტექსტის
საბუნალოო ერთეული

ფონეტიკურ გამოკვლევებში ნებისმიერი რანგის ენობრივი ერთეულის კვლევა სინტაგმის ანალიზს უკავშირდება, რომელსაც ფონეტიკოსთა უმეტესობა გამონათქვამის (ფრაზის) აზრობრივ-ფონეტიკურ მონაკვეთად თვლის (ნიკოლაევა, 1972; ზლატოუსტოვა, 1981; სვეტოზაროვა, 1989). ლ. შჩერბა სინტაგმას უწოდებს პაუზებით გამოყოფილ ინტონაციურ ერთეულს, რომელიც ფონეტიკურ და აზრობრივ მთლიანობას ქმნის: „Интонационные единицы реализуются в отрезках, именуемых синтагмами“ (შჩერბა, 1948, 81-82). „Это фонетическое единство, выражающее единое смысловое целое в процессе речи-мысли и могущее состоять как из одной ритмической группы, так и из целого ряда их“ (შჩერბა, 1948, 86).

სინტაგმას ახასიათებენ როგორც გამონათქვამის აზრობრივ-სინტაქსურ მთლიანობას, პერცეფციულ და ინტონაციურ ერთეულს, რომელიც მოთავსებულია ორ მეზობელ პაუზას შორის და გამოყოფილია პროსოდიული საშუალებებით — მელოდიით, პაუზით, ტემპის შენელებით, ხმის აწევით, ძირითადი ტონის სიხშირის დიაპაზონით (კალიტა, 1984, 163). სინტაგმა შეიძლება შედგებოდეს ნებისმიერი იერარქიული რანგის ერთეულისაგან — მორფემის, სიტყვის, შესიტყვების, შესიტყვებათა ჯგუფისაგან, მარტივი და დამოკიდებული წინადადებისაგან. სინტაგმა წარმოადგენს ერთადერთ სინტაქსურ-ინტონაციურ ერთეულს, რომელიც თავისი საზღვრებით შეიძლება დაემთხვას ნებისმიერ ზემოჩამოთვლილ ენობრივ მონაკვეთს (ლაიონზი, 1978, 183, 220; ნიკოლაევა, 1978, 13).

სინტაგმის როგორც აზრობრივად და ფონეტიკურად მთლიანი ერთეულის აღნიშნული გაგებისაგან განსხვავდება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სინტაგმა შეიძლება შედგებოდეს ერთი (მარტივი სინტაგმა) ან რამდენიმე მეტყველების ტაქტისაგან (რთული სინტაგ-

მა) (ბუბნოვა, 1980, 83-85).

მარტივი და რთული სინტაგმების ცნებებს შეესაბამება შ. ბალის მიერ შემოტანილი ნაწილობრივი და სრული სინტაგმის ცნებები. ნაწილობრივი სინტაგმა მას ესმის როგორც სხვადასხვა გრამატიკული წევრისაგან შეკავშირებული მეტყველების ტაქტი, რომელიც ყოველთვის შედგება: განსასაზღვრელისა და განმსაზღვრელისაგან. ნაწილობრივი სინტაგმებია მაგალითად, A: *Le frère de Paul* (პოლის ძმა) და Z: *est mon ami* (ჩემი მეგობარია). A და Z ნაწილობრივი სინტაგმების შეერთების შედეგად ვიდებთ სრულ სინტაგმას, რომელიც შედგება თემისაგან და საბაბისაგან (რემისაგან). საბაბი ყოველთვის შეიცავს მაერთს (კოპულას) (ნიკოლაევა, 1978, 11; ბალი, 1955, 44-114).

შ. ბალისა და თ. ნიკოლაევას თვალსაზრისებზე დაყრდნობით, სინტაგმა (როგორც ნაწილობრივი, ასევე სრული) შეიძლება ჩავთვალოთ ენობრივ ერთეულთა წრფივი მიმდევრობის, სინტაგმატიკის კატეგორიად, რომლის ფორმირება და პოზიცია ტექსტში დამოკიდებულია ტექსტის კომუნიკაციურ მიზანდასახულობაზე, მეტყველი პირის კომუნიკაციურ ამოცანაზე. „სინტაგმა ზეპირი მეტყველების ლინეარულად განლაგებული ერთეულია, რომელიც ტექსტის გრამატიკის გასაღებს წარმოადგენს“ (ნიკოლაევა, 1978, 15). ინფორმაციის ერთეული, რომელიც გამოხატავს მეტყველი პირის მოდალობას მოცემული რეალური სინამდვილის ფრაგმენტის მიმართ, რეალიზებულია სინტაგმით ან რიტმული ჯგუფით: „ტექსტის პროდუცენტი საკუთარ მეტყველებას ანაწევრებს ინფორმაციულ სეგმენტებად — სინტაგმებად მახვილის შესაბამისი ხარისხის მეშვეობით“ (ზოლოტოვა, 1973, 47). სინტაგმის ზოგი წევრი ემსახურება სხვა სინტაგმებთან, კონტექსტის სხვა ერთეულებთან კავშირის დამყარებას (ანდრიუშენკო, 1989, 124; პოტოპოვა/ბლოზინა, 1986, 69).

სინტაგმის გაგებაში ჩვენ ვეყრდნობით უმთავრესად შ. ბალის მოსაზრებას. ამ აზრს გვიმტკიცებენ ვ. მათეზიუსის, უ. ჩეიფის, პ. სგალის, ვ. ბოვანოვის და სხვათა მიერ მოყვანილი მაგალითები, სადაც თემა თუ რემა წარმოდგენილი არიან არა სიტყვით, არამედ უფრო მეტად ნაწილობრივი სინტაგმებით. შ. ბალის მიხედვით ნაწილობრივი სინტაგმები ერთიანდებიან სრულ სინტაგმაში, რომელსაც ლ. შჩერბა ფრაზას უწოდებს. „ფრაზა წარმოადგენს დასრულებულ მთლიანობას, რომელიც შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთი სინ-

ტაგმის, ასევე სინტაგმათა ჯგუფისაგან, რომლის ბოლო ნაწილი ტონის დაცემითა და მახვილის გაძლიერებით ხასიათდება“ (შჩერბა, 1948, 81-82).

აღსანიშნავია, რომ ზეპირი, სპონტანური ტექსტები, მათი წარმოქმნის მექანიზმის გამო გამოირჩევიან ხშირი პროსოდიული დანაწევრებით, რომელიც მეტყველების კონტინუუმში ცალკეული სიტყვების გამოყოფის შედეგად ჩნდება. ამის გამო ხშირ შემთხვევაში ხდება სინტაგმების დანაწევრება, ისინი კარგავენ მათთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ იმანენტურ თვისებას — აზრობრივი მთლიანობის გამოხატულებას (პოტოპოვა/ბლოხინა, 1986, 64). ზოგიერთი მკვლევარი შეეცადა ზეპირი ტექსტების ანალიზის ტრადიციული ერთეული — სინტაგმა მიესადაგებინა სპონტანური ტექსტების ანალიზისათვის, რამაც დაამკვიდრა ტერმინი: „არასრული სინტაგმა“ (ანტიპოვა, 1979, 99). არასრულ სინტაგმებს უწოდებენ მეტყველების ისეთ მონაკვეთებს, რომლებიც წყდებიან სწორედ იქ, სადაც ისინი ძლიერად უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომ არასრული სინტაგმა ასევე ვერ პასუხობს სინტაგმის ძირითადი მახასიათებლის — აზრობრივი მთლიანობის მოთხოვნას. აღნიშნული მიზეზის გამო ტერმინ „სინტაგმის“ გამოყენება ზეპირი, სპონტანურად პროდუცირებული ტექსტის სეგმენტაციის აღსაწერად მართებულად არ ჩავთვალეთ.

მეორე მცდელობას წარმოადგენდა ზეპირი სპონტანური ტექსტების ანალიზისათვის ტერმინ „პროპოზიციის“ გამოყენება. პროპოზიცია გაგებულია როგორც ზმნით სტრუქტურირებული ტექსტის მონაკვეთი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ემთხვევა ზეპირი ტექსტის პაუზალური დანაწევრების შედეგად გამოყოფილ მონაკვეთებს (პოტოპოვა/ბლოხინა, 1986, 68).

ეს მონაკვეთი მოქცეულია ორ მეზობელ პაუზას შორის და ასახავს გამონათქვამის შინაარსისა და სინტაქსური სტრუქტურის დანაწევრებას მეტყველი პირის კომუნიკაციური მიზნის შესაბამისად. პაუზებს შორის მოქცეული სეგმენტის საზღვრები შეიძლება დაემთხვას რიტმული ჯგუფის, მეტყველების ტაქტის, ფრაზისა და ფონოაბზაცის საზღვრებსაც.

ტექსტის გამონათქვამთა პაუზებით დანაწევრება შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. იგი განპირობებულია გამონათქვამის სემანტიკურ-გრამატიკული სტრუქტურით. ტექსტის ავტორი სეგმენტაციის

რამდენიმე სავარაუდო ვარიანტიდან იმ ერთადერთ შესაძლებელ ვარიანტს ირჩევს, რომელიც კომუნიკაციის მიზანს მეტად შეესაბამება. გ. მაინჰოლდი აღნიშნავს, რომ გამონათქვამის პაუზებით დანაწევრებას ანუ ფრაზირებას, დისტინქტური ფუნქცია აქვს, მაგალითად: **Sie rief || er wird warten. – Sie, || rief er, || wird warten.**

დასმული პაუზები (ასევე იმპლიციტურად კოდირებული მახვილები და მელიოდები) მიუთითებენ მოცემულ ორ წინადადებას შორის არსებულ სემანტიკურ-სინტაქსურ განსხვავებებსა და მათ ელემენტთა სხვადასხვა ურთიერთმიმართებაზე. მეტყველი პირი თავისი ჩანაფიქრის შესაბამისად გეგმავს პაუზებს შორის მოქცეული სეგმენტების ზომას, მათ თანმიმდევრობას და პროსოდიულ გაფორმებას ტექსტში. ამ სეგმენტთა საზღვრებზე თავმოყრილი პროსოდიული მარკერები, განსაკუთრებით კი ხანგრძლივი პაუზები, ხაზს უსვამენ მათი ფუნქციური და ინფორმაციული მნიშვნელობის ხარისხს და განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ტექსტის კომუნიკაციური და პრაგმატიკული მიზანდასახულობის გადმოცემაში. ზეპირ სპონტანურ ტექსტში მოკლე და ხანგრძლივი პაუზებით გამოყოფილი სემანტიკურ-სინტაქსური სეგმენტები ემთხვევიან მეტყველების ტაქტის საზღვრებს და წარმოადგენენ მაკროტექსტის ილოკუციური მიმართულების უმცირეს ინდიკატორს, როგორც ფონოლოგიურ, ასევე აზრობრივ-გრამატიკულ დონეებზე. ისინი ქმნიან ისეთ გრამატიკულ, სემანტიკურ მთლიანობას, რომლის მიკროჩარჩო ემთხვევა პროსოდიულ პარამეტრთა მოქმედების ზონას.

სავსებით რეალურია იმის დაშვება, რომ ზეპირი ტექსტის მეტყველების ტაქტები ხშირ შემთხვევაში თავისი საზღვრებით შეესაბამება განსაზღვრული გამონათქვამის თემასა და რემას. დადგენილია, რომ „თუ წინადადების თემა გამოხატულია არსებითი სახელით ან რომელიმე სხვა მახვილიანი სიტყვით, იგი ქმნის ფრაზირების საკუთარ ერთეულს“ (ფები, 1975, 129-130). მ. ბირვიში აღნიშნავს, რომ ფრაზირების ერთეული შეიძლება წარმოადგენდეს პროკლიტიკებისა და ენკლიტიკების შეკავშირებას, რომელიც გამოხატავს ტექსტის თემის ნაწილს“ (მაინჰოლდი, შტოკი, 1982, 235-236). მეორე მხრივ, ყოველი გამონათქვამის რემის/ფოკუსის განსაკუთრებული პროსოდიული გაფორმება, მათი ხანგრძლივი პაუზებით გამოყოფა ხაზს უსვამს მათ პრაგმატიკულ ფუნქციას, რომელიც მდგომარეობს აქტუალური, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემაში. თემატური და

რემატულ/ფოკუსური სეგმენტების მეტყველების ტაქტთან და სხვა ფონეტიკურ ერთეულებთან კავშირში კვლევა მეტად საინტერესოა მათი კომუნიკაციური დინამიზმის ხარისხის დადგენისა და პროსოდიული გაფორმების აღწერისათვის.

ლიტერატურა

ანდრიუშენკო, 1989 — Андриушенко, Т. Я. Структура текста как инструмент в исследовании смыслового восприятия речевого сообщения. В.: Общение. Текст. Высказывание. «Наука», М., 1989.

ანტიპოვა, 1979 — Антипова, А. М. Антипова, Система английской речевой интонации. «Высшая школа», М., 1979.

ბალი, 1972 — Балли, Ш. Общая лингвистика и вопросы французского языка. Издательство иностранной литературы. М., 1972.

ბუბნოვა, 1980 — Бубнова, Г. И. Коммуникативная функция интонации в диалоге. Диссертация на соиск. степ. кандидата филолог. наук, М., 1980.

ვერნერი, 2005 — Werner, A. Deutsche Syntax im Sprachenvergleich. Stauffenburg Verlag. Tübingen, 2005.

ზოლოტოვა, 1973 — Золотова, Г.А. Очерк функционального синтаксиса русского языка. «Наука». М., 1973.

ლაიონზი, 1978 — Лайонз, Дж. Введение в теоретическую лингвистику. «Прогресс», М., 1978.

მაინჰოლდი, შტოკი, 1982 — Meinhold, G. Stock, E. 1982 – Phonologie der deutschen Gegenwartssprache. VEB Bibliographisches Institut Leipzig.

ნიკოლაევა, 1972 — Николаева, Т. М. Актуальное членение – категория грамматики текста. В.: Вопросы языкознания. №2, М., 1972.

ნიკოლაევა, 1972 — Николаева, Т. М. Лингвистика текста. Современное состояние и перспективы. В.: Новое в зарубежной лингвистике. Вып. VIII. "Прогресс", М., 1972.

პოტობოვა, ბლოხინა, 1986 — Потапова, Р. К. Блохина, Л. П. Средства фонетического членения речевого потока в немецком и русском языках. М., 1986.

სვეტოზაროვა, ტერნი, 1989 — Светозарова, Н. Д. Штерн, А. С. Ключевые и фонетически выделенные слова текста. В.: Эксперимен-

тальная фонетика. Издательство МГУ. Филологический факультет. М., 1989.

ფები, 1975 — Pheby, J. Intonation und Grammatik im Deutschen. Akademie-Verlag., Berlin, 1975.

შჩერბა, 1948 — Щерба, Л. В. Фонетика французского языка. М., 1948.

SOPHO MUJIRI

A Speech Beat – A Unit of Spontaneous, Spoken Text

Summary

The paper examines simple and complex, complete and partial types of syntagms. It is maintained that in a spontaneous spoken text, the phonemic and semantic wholeness is distorted. This is caused by the peculiarities of spoken text production which is characterized by prosodic segmentation. For the description and analysis of a segmented, spontaneous, spoken text, the notion of beat has been introduced.

The beat is characterized as a segment distributed between two neighbouring pauses and indicating segmentation of the syntactic and semantic structures of an utterance according to the speaker's communicative aim. The grammatical and semantic microform of a speech beat coincides with the activity zone of prosodic parameters, as well as with the components of the functional perspective of an utterance.

სოფიო მუჯირი

ლინგვისტური პრაგმატიკა – პროპოზიციის ინტონაციური კვლევის თეორიული საფუძველი

კომუნიკაციური დინამიზმის კვლევის ლოგიკას მიყვარათ იმ დასკვნამდე, რომ მისი კვლევა უნდა მიმდინარეობდეს ზეპირი ტექსტის დონეზე.

მაგრამ ამ დასკვნის ადეკვატური განხორციელება შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენს კვლევას გამიზნულად და თანმიმდევრულად არ დავუკავშირებთ თანამედროვე ლინგვისტიკის იმ დისციპლინებს, რომლებიც იკვლევენ სწორედ ტექსტობრიობას როგორც ენობრივ ფენომენს. ეს დისციპლინებია პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა. უნდა აღინიშნოს, ერთი მხრივ, ამ ორი დისციპლინის ორგანული შინაგანი კავშირი, ხოლო, მეორე მხრივ — პრაგმატიკის წამყვანი როლი ამ კავშირის ფარგლებში. ნათქვამის მართებულობა ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ პრაგმატიკის ზოგად განსაზღვრას: „პრაგმატიკა შეისწავლის ენის იმ განზომილებას, რომელშიც ასახულია სამეტყველო აქტის სუბიექტურობა“. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჩამოყალიბების მომენტში სამეტყველო აქტის სუბიექტურობა ნიშნავდა მხოლოდ მეტყველი სუბიექტისაგან მომდინარე სუბიექტურობას, კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე იგი განისაზღვრება ორ კომუნიკანტს შორის არსებულ მიმართებათა მთელი სისტემით (ლებანიძე, 1997, 50). მაგრამ, ამავე დროს ცხადია, რომ ენობრივი ფაქტი, რომელიც კომუნიკანტებს ერთმანეთთან აკავშირებს არის სწორედ ტექსტი და ამიტომ შეუძლებელია ამ ორი დისციპლინის ერთმანეთისაგან რეალური გამიჯვნა: „პრაგმატიკა ტექსტის ლინგვისტიკასთან ერთად უნდა მივიჩნიოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვად“ (ლებანიძე 1997, 93; ენგელკამპი, 1976).

ენის პრაგმატიკული ასპექტის განსაზღვრის ვარიანტების მრავალფეროვნების მიუხედავად მკვლევართა უმეტესობისათვის მისაღებია იდეა სამეტყველო აქტის მეშვეობით ადამიანის ვერბალურ

ან არავერბალურ ქცევაზე ზემოქმედების შესახებ, რომელსაც აქვს როგორც ინტენციური, ასევე კონვენციური ხასიათი (კოლშანსკი, 1984, 137). კომუნიკაციის პარტნიორებმა იციან, თუ როგორ პირობებში და რა წესებით უნდა განახორციელონ ერთმანეთზე სამეტყველო ზემოქმედება. მხოლოდ კონვენციურად მოქმედი წესების საფუძველზეა შესაძლებელი მსმენელის მიერ გამონათქვამის სათანადოდ გაგება. ჯ. სერლის მიხედვით არსებობს გამონათქვამის აგების სემანტიკური (კონსტიტუციური) წესები: მოთხოვნის, რჩევის, შეპირების, მტკიცების, კონსტატაციის, დადასტურების, კითხვის შემთხვევებში. სამეტყველო ზემოქმედების ექსპლიციტურ ფორმად ჯ. სერლი მიიჩნევს სრულ წინადადებას პერფორმატიული ზმნით პირველ პირში (ბრინკერი, 1988, a, 81-82; კაროლი, 1977, 45-50). ჯ. სერლი განასხვავებს სამეტყველო ქმედების შემდეგ შემადგენელ აქტებს:

1. გამონათქვამის აქტი, ანუ ლოკუციური აქტი შედგება ფონეტიკური და ფატიკური (სიტყვების და წინადადების) აქტებისაგან.

2. პროპოზიციის შექმნის აქტი (ოსტინის ტერმინია „რეტიკული აქტი“), რაც რეფერენციას და პრედიკაციას, თემისა და რემის სემანტიკას შეესაბამება, მაგალითად: **Die Studentin (თემა.) dolmetscht gut (რემა).**

3. ილოკუციური აქტი (იმავე გაგებითაა ნახმარი ოსტინთან). მაგალითად, მტკიცება: **Die Studentin dolmetscht gut.**

კითხვა: **Die Studentin dolmetscht gut?**

4. პერლოკუციური ანუ კომუნიკაციის პარტნიორზე ზემოქმედების აქტი (იმავე გაგებითაა ნახმარი ოსტინთან) (გროსი, 1990, 145-148, 151-152).

3. გროსის, კ. ბრინკერისა და ვ. ზოკელანდის აზრით, პროპოზიციური შინაარსი, პროსოდიული საშუალებები და ნაწილაკები წარმოადგენენ ილოკუციურ ინდიკატორებს. ზეპირ მეტყველებაში პროსოდიული საშუალებები განსაკუთრებით ძლიერ ილოკუციურ ინდიკატორებად ითვლებიან (გროსი, 1990, 145-148; ბრინკერი, 1988, a, 85). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზეპირი მეტყველების შესწავლას სოციალური ინტერაქციის ფარგლებში. ასეთია საუბრის ანალიზი, რომელიც იკვლევს ინტერაქტუს, დიალოგს და სხვა სტერეოტიპულ ნიმუშებს, მათ საწყის და დამასრულებელ ფორმებს, სემანტიკისა და სიგნალებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამეტყველო აქტის ილოკუციური როლის დადგენისათვის (გროსი, 1990, 144-145).

ამგვარად, სამეტყველო აქტის პრაგმატიკული დახასიათება შეუძლებელია არ დავეყავიროთ მთლიანი ტექსტის ფენომენს. სამეტყველო აქტების თეორია გვთავაზობს წინადადებათა კატეგორიულური აზრის აღწერას (მაგალითად, მოწოდება, მტკიცება, ეჭვი, თხოვნა და ა.შ.), მაგრამ თუ ცალკეული სამეტყველო აქტი არ ჩავრთეთ ისეთ დასრულებულ კომუნიკაციურ აქტში როგორც ტექსტია, სრულფასოვნად ვერ აღვწერთ მის ილოკუციურ ფუნქციას, ვინაიდან კონკრეტული სამეტყველო აქტი კონკრეტული ტექსტის ერთეულს წარმოადგენს. „ტექსტი ახდენს მასში შემავალი წინადადების არა მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის, არამედ მისი კონტექსტუალური აზრის ტრანსფორმაციას“ (კოლშანსკი, 1984, 173-174). თუ ზემოთქმულს წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის შესწავლის პრობლემატიკას დავუკავშირებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამონათქვამის ფუნქციონალური პერსპექტივა მთელი ტექსტის პრაგმატიკულ ქსოვილშია რეალიზებული. იგი შეიცავს არა მხოლოდ თემასა და რემას, არამედ პრესუპოზიციის, პერფორმატივის კატეგორიებს და ილკუციის არავერბალურ ინდიკატორთა მთელ სპექტრს. წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივა რეალიზდება კომუნიკაციის კონკრეტულ სამეტყველო აქტში. ხდება სამეტყველო აქტისა და წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის ერთგვარი თანხვედრა წინადადების ფარგლებში. ტ. ვან დეიკის აზრით, ენის პრაგმატიკული ბირთვი ვლინდება ენობრივი ერთეულებიდან იმ ვარიანტის არჩევაში, რომელიც კომუნიკანტთა განსაზღვრული მოტივებითაა ნაკარნახევი და მთლიანადაა დამოკიდებული ავტორის პრაგმატიკულ მიზანდასახულობაზე. გ. კოლშანსკის ენობრივი ნიშნის გამოყენება ესმის, როგორც ადამიანის გაცნობიერებული მოქმედება ამა თუ იმ ენობრივ საშუალებათა ასარჩევად, რომელიც კომუნიკანტთა აზრს უფრო შესაფერისად გამოხატავს (კოლშანსკი, 1984, 135, 142-143).

ტექსტის შინაარსობრივი კატეგორიების პრაგმატიკულ მნიშვნელობათა კვლევა, ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა გამოვლენა, რომლებსაც მეტყველი პირი საკომუნიკაციო ინტენციის განსახორციელებლად იყენებს, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ აუცილებელია ემიტენტთა პრაგმატიკული მიზანდასახულობის ისეთი ძლიერი ინდიკატორების შესწავლა ზეპირ ტექსტში, როგორცაა:

1. თემა-რემა და მათი დისტრიბუცია ტექსტში;

2. ინტონაციური სიგნალების მექანიზმი და რემატული სემანტიკის ინტონაციური მარკირების ლოკუციური როლი.

ლიტერატურა

ლებანიძე, 1997 — გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა. „ენა და კულტურა“, თბ., 1997.

ენგელკამპი, 1976 — Engelkamp, J. Satz und Bedeutung. Stuttgart, 1976.

კოლშანსკი, 1984 — Колшанский, Г. В. Коммуникативная функция и структура языка. «Наука», М., 1984.

ბრინკერი, 1988 — Brinker, K. Grundlagen der Germanistik. „Linguistische Ge-sprächsanalyse“. Eine Einführung in Grundbegriffe und Methoden. Erich Schmidt Verlag. Berlin, 1988.

კაროლი, 1977 — Caroli, F. Pragmatische Aspekte syntaktischer Variation in der gesprochenen Sprache. Verlag Alfred Kümmerle, Göttingen, 1977.

გროსი, 1996 — Gross, H. Einführung in die germanistische Linguistik. Judicium Verlag., München, 1996.

შმიტი, 2004 — Schmitt, U. Diskurspragmatik und Syntax. Peter Lang. Frankfurt am Main – Berlin – Bruxelles – New York – Wien, 2004.

SOPIO MUJIRI

Linguistic Pragmatics – A Theoretical Basis for Studying

Proposition Intonation

Summary

On the basis of the scholarly literature the author of the paper assumes that speech acts are primarily connected with prosodic and propositional aspects.

The propositional content, and prosodic means, in particular serve as illocutionary force indicators. Special emphasis should be placed upon the distribution of the proposition and the focus as well as the mechanisms signalling the intonation contour.

ნიკო ოთინაზვილი

ქსნური მეტყველების სიტყვაწარმოებიდან

შინაგანი თავისებური მოვლენების დაჯგუფების შედეგად ქართული დიალექტის ქსნური მეტყველება შეიძლება დაგვით ზემოქსნურად და ქვემო ქსნურად. პირველში ჭარბობს მთის კილოებისათვის, კერძოდ, მთიულურისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები, ლექსიკა, ხოლო მეორეში — ქართლიზმები.

წარმოდგენილი სიტყვაწარმოების მასალები, სათანადო გაანალიზების შედეგად, შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს. ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნისას ზოგიერთ აფიქსს განუტლია საგრძნობი ფონეტიკური ცვლილება, ზოგს შენარჩუნებია არქაული ფუნქცია, ხოლო სიტყვებს შეუცვლიათ მნიშვნელობა.

განვიხილავთ ქსნურ მეტყველებაში დადასტურებულ აფიქსურ სიტყვაწარმოების თავისებურებებს.

ყურადღებას იქცევს ნა- პრეფიქსით წარმოქმნილი სიტყვები: ნა-ბადა, სათიბი სოფ. ყანჩავეთი; ნა-გომევი, სოფ. მდ. ქსნის მარცხენა მხარეს. ნა-გუბარა, ნა-გუბრები, სათიბი, ქედი საძოვარი სოფ. წირქოლში; ნა-დიკვარი, ნა-დიკვრები, სათიბი სოფ. უკანა მხარეში; ნა-ვიხევი, ხევი მდინარე ქსნის სათავეში, მისი მარცხენა შენაკადია. არის ნასოფლარიც ამ სახელის მატარებელი; ნა-ვნევი, ნა-ვნევიარი, სათიბი სოფ. ალევში. ნა-თესი, სათიბი ქარჩოხის ხეობაში; ნა-ტაზრები, ნასახლარები ჭურთის ხეობაში. ნაფუზართები-ჭურთის ხეობის სოფ. მშველიეთში.

გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას წარმოქმნილ სახელებში ზოგჯერ ვხვდებით რამდენიმე პრეფიქსს, სუფიქსს ან ორივეს ერთად. მაგალითად: ნა-ურ-ა, ნა-ხიდ-ურ-ა, ჰიდრონიმი სოფ. ნახიდი, ნა-ბად-ურ-ა, ჰიდრონიმი სოფ. ხალბეგანში. ნა-სახლა-ურ-ებ-ი, ნასახლარი სოფ. ბალანა, ნა-ჭაჭ-ურ-ებ-ი, მამული. სოფ. ძაბოეთი.

ნა-ევ, სა-ევ, ნა-სახლ-ევი, ნა-კაფ-ევი, სოფ. ყანჩავეთი. ნა-ცხვრ-ევი, ქედი სოფ. ალევი, ნა-მტვრ-ევი, ახო, სოფ. მარტიანი. სა-მქერ-

ეველა, სათიბი სოფ. ყანჩავეთი. სა-თრ-ევი ქედი, სოფ. უკანამხარე, სა-ლვანხევი, სოფ. ხარბალი; სამხოხ-ევი სოფ. ქენქანი, წყარო, სოფ. საძეგური,

ნა-არ, ნა-იფქლ-არ-ი, სოფ. ქენქანი, ნა-ფიჭვნარი, სოფ. მზარულანა, ნა-წალკოტ-არი, სათიბი სოფ. ლარგვისი, ნა-ფუზ-არ-ი, სოფ. თინიკანი, ნა-ფეტვ-არი, სოფ. თოხთა. ნა-კალავ-არ-ი, სოფ. მიდელანა.

სა-ო სადერივაციო აფიქსებით წარმოქმნილია სა-ადრე-ო, სათიბი სოფ. დადიანეთში, სა-ბნელ-ო, სათიბი სოფ. საძეგური, სა-გუმბარ-ო, საძოვარი სოფ. უკანამხარეში. სა-დე-ო მიწის ნაღლევი, სოფ. ხარბალში. სა-კანაფ-ო, საძოვარი სოფ. უკანამხარეში.

ქსნურ მეტყველებაში ხშირია ქონების აღმნიშვნელი სიტყვაწარმოება, პარალელურად გამოიხატება თვისებაც. მათ აწარმოებთ — იან, -ან სუფიქსები. მაგალითად: ყოჩ-იანი, სოფელი, ხალბეგ-იანი, ნასოფლარი, ხუც-იანი, სოფ. ზოდესისუბანი, კახ-იანი, მამული სოფ. ზოდესში. დათვ-ებ-იანი., მამული სოფ. ხარბალში. დეკ-იანი. საძოვარი, ეკლ-იანი მთა დადიანეთში. ამავე სუფიქსებით იწარმოება გვარები: მაჭარა-ანი-ი მაჭარაშვილები. პაპი-ანი — პაპაშვილები, მანჭიკა-ანი — მანჭიკაშვილები, შიუკა-ანი — შიუკაშვილები, პავლია-ანი — პავლიაშვილები, ქენქა-ანი — ქენქაძეები, მორბედა-ანი — მორბედაძეები. ასეთივე ფორმით იწარმოება შტოგვარები: გიგლა-ანი, ონიკა-ანი, ხოსიტა-ანი, აბრამი-ანი, ოთარა-ანი, ქიტა-ანი, ჯურა-ანი, გლახა-ანი, და სხვა.

ქსნურ მეტყველებაში 1774-1781 წლების „ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში ან/თ სუფიქსიანი მრავლობითი ოჯახის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია: თინიკა-ანი, დათუნა, პავლია-ანი-თ გოგია, ბალხამა-ანი-თ ბერი, შატაკა-ანი-თ თანდილა, ჩატია-ანი-თ ფოცხვერა და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქსნის ერისთავების ბარის ნაწილსა და მთისწინეთში ძირითადად ხეობის ზემო ნაწილიდან ბარად ჩამოსული მოსახლეობა ჭარბობს და როგორც ზოგიერთ სოფელში ჩაწერილი მასალა მიგვითითებს, ტოპონომასტიკის წარმოება ანალოგიურია მთის ტოპონიმთა და შტოგვართა წარმოებისა. მაგალითად, სოფელ გარეჯვარში 1781 წლის ქსნის საერისთაოს სტატისტიკური აღწერით ორი — იქითა და აქეთა გარეჯვარად არის მოხსენებული, დღეს კი სოფლებს პატარა და დიდი გარეჯვარი ეწოდებათ.

სოფელში ძველი მოსახლეობა თითქმის აღარ არის და აქ სჭარბობს ქსნის საერისთაოდან მიგრირებული მოსახლეობა, რომელთა მეტყველება მართალია დღეს ქართიზებულია, მაგრამ მთის კილოებისათვის დამახასიათებელი ბევრის მოპოვება კიდევ შეიძლება.

სოფელში გვარი ჩალაური ჩამოსახლებულა იკორთიდან XVIII საუკუნეში, უფრო ადრე კი ქსნის ხეობიდან მოვიდნენ და ერისთავთა მამულში დამკვიდრდნენ. ამ გვარის შტოგვართა წარმოება ანალოგიურია ქსნის ხეობის შტოგვართა წარმოებისა. აქ გვხვდება გიგუა-ან-ი, გარსევანია-ან-ი, შაქროა-ან-ი, გერასიმეა-ან-ი და სხვები.

ძირითადად ასეთივე წარმოებისაა ქართლის ბარის სხვა ტოპონიმების, შტოების და საერთოდ, ტოპონომასტიკის წარმოება.

ჩვენი მიზანია, დადგინდეს ტოპონომასტიკის მნიშვნელობა ლექსიკის შესასწავლად და შედეგები გამოვიყენოთ ენის ისტორიის შესწავლისას. ამასთან დიალექტის შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ სიტყვის ეტიმოლოგია.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი, 1975 — გ. გოგოლაშვილი, სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში, ქართული ენა და ლიტ. სკოლაში, №3. 1975 წ.

კაიშაური, 1974 — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ, 1974 წ.

იმნაიშვილი, 1974 — გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბ, 1974 წ.

შანიძე, 1953 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1953 წ.

NIKO OTINASHVILI

Some Aspects of Wordformation in the Ksani Accent of the Kartlian Dialect

Summary

The Ksani accent of the Kartlian dialect can be divided into Upper and Lower types.

The Upper type is closer to Mtiulian whereas the Lower one is to some extent similar to Shida Kartlian (Inner Kartlian). For the formation of new lexical units na, na – ar, na – ev, sa – o, and the suffixes an – t are used.

ციალა საპარული

3. ვულფის ნაწარმოების „შუქურისაკენ“ რიტმული თავისებურებების შესახებ

მწერლის მხატვრული სტილი დიდად არის დამოკიდებული ტექსტის კომუნიკაციური ასპექტის მართვის ტექნიკაზე. ამ დროს ტექსტის ფატუალური და კომუნიკაციური ასპექტების რთულ ურთიერთობა, რაც ლიტერატურული ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა,

რიტმი ტექსტის კომუნიკაციური ასპექტის მნიშვნელოვანი მახასიათებელი შეიძლება იყოს, თუ ის განაპირობებს ენობრივი მასალის გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ განაწილებას და თანაბარ მონაცვლეობას. რიტმის ფაქტორი მწერალს საშუალებას აძლევს გაამძაფროს ტექსტის ინფორმაციით მიღებული შთაბეჭდილება, უფრო ადვილად აღსაქმელი გახადოს იგი. ასეთი მეთოდით შექმნილი ტექსტი „რიტმული პროზი“-ს სახელითაა ცნობილი.

პროზაული ნაწარმოების რიტმის ფაქტორის თავისებურებები ნაკლებადაა შესწავლილი ტექსტის ფაქტუალური და კომუნიკაციური ინფორმაციების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. პროზაული ნაწარმოების რიტმული პრინციპებით შექმნა მწერლისაგან დიდ ხელოვნებასა და გემოვნებას მოითხოვს. ტექსტისათვის რიტმი არის ის სამშვენიისი, რომელიც მწერალს საშუალებას აძლევს, უფრო ახლოს მივიდეს მკითხველთან და თავისი ემოციური მუხტის თანაზიარი გახადოს იგი.

რიტმულ პროზაში რიტმის ფაქტორის ეფექტურობის განმსაზღვრელია ენობრივი საშუალებების უღერადობის ბუნებრიობა — ყოველი პასაჟი, ლექსიკური ერთეული, შინაარსობრივი ჯგუფი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ხელოვნურობისაგან, რაც ტექსტის შინაარსობრივ აღქმას აადვილებს, უფრო დამაჯერებელს ხდის მას და მკითხველს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

რიტმული მახასიათებლებით დატვირთვა ტექსტის კომუნიკაციუ-

რი ასპექტის გაძლიერების მეტად ეფექტური გზაა. რიტმის ფაქტორს ტექსტში რეალიზირებული ინფორმაციისათვის დამატებითი მუხტის შესაძენად დიდი წარმატებით იყენებენ.

გვსურს, შემოგთავაზოთ ნაწყვეტი სიტყვის დიდი ოსტატის ს.ბელოუს რომანიდან „წვიმის მეფე“, სადაც ავტორი ტექსტის შესანიშნავი რიტმის ფონზე თავისი თავგადასავლების თანამოზიარეს ესაუბრება საერთოდ რიტმის უდიდეს მნიშვნელობაზე:

„Oh, you can't get away from rhythm, Romilayu, you just can't get away from it. The left hand shakes with the right hand, the inhale follows the exhale, the systole talks back to the diastole, the hands play patty-cake, and the feet dance with each other. And the reasons. And the stars, and all of that. And the tides, and all that junk. You have got to live at peace with it, because if it's going to worry you, you'll lose. You can't win against it. It keeps on and on and on. Hell, we'll never get away from rhythm“ (2, 307).

ტექსტში რიტმის ფაქტორის რეალიზაცია უმეტესად განპირობებულია ავტორის სურვილით, მკითხველმა იგრძნოს და გაითავისოს შინაარსის ავტორისეული წვდომა, იმპლიკაციური აქცენტები, კონკრეტული ტექსტის რიტმული მონახაზი, რაც ავტორის სულის, ემოციების მოძრაობის გამომხატველია.

რიტმს ტექსტში შეუძლია გადმოგცეს რეალური ფაქტები და დაგვაახლოვოს მათთან, უფრო უშუალოდ განგვაცდევინოს სიტყვებით გადმოცემული ემოციები. ყოველივე ეს წერის განსაკუთრებულ ტექნიკას მოითხოვს — საჭიროა მოიძებნოს ასასახავი სინამდვილის ადეკვატური პროსოდიული საშუალებები, ლექსიკური ერთეულები, სინტაქსური კონსტრუქციები.

წარმოდგენილ შრომაში მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა რიტმის რეალიზაციის ზოგიერთი თავისებურება ვ.ვულფის რომანის „შუქურისაკენ“ მიხედვით.

ვ. ვულფის ნაწარმოების „შუქურისაკენ“ შინაარსი გმირების ყოველიური ყოფითი სურათების რთული კომბინაციაა. ერთი შეხედვით, ავტორი ცდილობს, თავი აარიდოს მის მიერ დახატული ეპიზოდების ინტერპრეტაციას. მიუხედავად ამისა, იგი მუდამ მკითხველის გვერდითაა და ეხმარება მას წარმატებით გაიკვილოს გზა გმირის სულის ლაბირინთებში (ზოგჯერ არასაკმარისად, რაც ისევ ვ.ვულფისეული სურვილია, რომ მკითხველმა თვითონ ჩამოაყალიბოს საკუთარი სიმპათიების განმსაზღვრელი პარამეტრები ამა თუ იმ გმი-

რის ან მისი ბედისადმი). რომანში რეალიზებული მრავალგანზომილებიანი შინაარსის გამდიდრება რიტმის ფაქტორით ვ.გულფის ექსპერიმენტული სტილის ერთ-ერთი საინტერსო მხარეა.

ვ. გულფის მიერ შინაარსისა და რიტმის ერთიანობის მეტად მაღალმხატვრული ტექნიკით არის დახატული სურათი, სადაც რამდენიმე ოჯახის მიერ მიტოვებული სახლია აღწერილი. ავტორი არ ერიდება მსუყვე საღებავებს გაჩანგებული სახლის დეტალების გადმოსაცემად. ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ტექსტის ენობრივი მასალა ოსტატურად და დიდი გემოვნებითაა დაქვემდებარებული რიტმულ სუნთქვას იმ მიზნით, რომ დახატული სურათი უფრო შთამბეჭდავი იყოს და მკითხველში შესაბამისი სევდიანი ემოციების აღძვრას უწყობს ხელს.

აი, ეს პასაჟი:

„The house was left; the house was deserted. It was left like a shell on sandhill to fill with dry salt grains now that life had left it. The long night seemed to have set in; the trifling airs, nibbling, the clammy breaths, fumbling, seemed to have triumphed. The saucepan had rusted and the mat decayed. Toads had nosed their way in. Idly, aimlessly, the swaying shawl swung to and fro. A thistle thrust itself between the tiles in the larder. The swallows nested in the drawing-room; the floor was strewn with straw; the plaster fell in shovelfuls; rafters were laid bare; rats carried off this and that to gnaw behind the wainscots. Tortoise-shell butterflies burst from the chrysalis and pattered their life out on the window-pane. Poppies sowed themselves among the dahlias; the lawn waved with long grass; giant artichokes towered among roses; a fringed carnation flowered among the cabbages; while the gentle tapping of a weed at the window had become, on winters` nights, a drumming from sturdy trees and thorned briars which made the whole room green in summer “(1, 204-205).

მოცემულ ნაწყვეტში აღწერილი რეალობა მართლაც რომ დამთრგუნველია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ნაწყვეტის თემა განსაზღვრავს რიტმს, რომელსაც ვ.გულფი ირჩევს უბადრუკი ატმოსფეროს აღწერისას: ესაა მოკლე სინტაქსური სტრუქტურებით გადმოცემული ჩაქცეული სახლის სურათი, სადაც შინაარსისა და რიტმის ერთიანობა დიდი ოსტატობითაა რეალიზებული. მეტად სევდიანი სურათის აღსაწერად ავტორი პოულობს საჭირო ლექსიკურ მასალას, აერთიანებს ან ყოფს მას მოკლე შინაარსობრივ ჯგუფებად ისე, რომ შე-

დარებით გრძელი სტრუქტურები (ნაწყვეტის თავსა და ბოლოში) არ არღვევენ ძირითადი მოკლე სტრუქტურებით რეალიზებულ ნაღვლიან განწყობილებას და მის ძირითად რიტმს.

ვ. გულფის რომანში მრავლადაა მუსიკალური მოდულაციებით გაჯერებული რიტმული პასაჟები, სადაც ავტორი ოსტატურად ახერხებს ერთი რიტმული ოდენობიდან მეორეზე გადასვლას შინაარსობრივი მთლიანობის რეჟიმში. ზემომოტანილ ნაწყვეტში ყურადღებას იპყრობს ბოლო სინტაქსური სტრუქტურის განვრცობა დროის გამო-მხატველი გართულებული კადანსით, სადაც ლექსიკური მასალა და გრამატიკული სტრუქტურები ორგანულად, შესაბამისი შინაარსობრივი ჯგუფების (sense groups) მეშვეობით ერწყმიან განხილული კონტექსტის მთლიან რიტმულ მონახაზს.

ვ. გულფის ნაწარმოებში „შუქურისაკენ“ რიტმისა და შინაარსის ერთიანობის ფაქტორის მნიშვნელობის აუცილებლობის საილუსტრაციოდ მოვიტანთ კიდევ ერთ ნაწყვეტს, სადაც აღწერილია, თუ როგორ მიემართებიან რომანის გმირები შუქურისაკენ. ეს ხომ ჭეიმოსის ოცნება იყო, რასაც მამამისი სულ ეწინააღმდეგებოდა. აქ კი რა საოცრებაა! ეს ხომ ნამდვილი ცოცხალი სამყაროა. აქ ტალღები ისევე სუნთქავენ, ერთობიან, იბრძვიან, იმარჯვებენ, როგორც ადამიანები ამ სამყაროში.

აი, ეს პასაჟი:

„They had tacked, and they were sailing swiftly, buoyantly on long rocking waves which handed them on from one to another with an extraordinary lilt and exhilaration beside the reef. On the left a row of rocks showed brown through the water which thinned and became greener and on one, a higher rock, a wave incessantly broke and spurted a little column of drops which fell down in a shower. One could hear the slap of the water and the patter of falling drops and a kind of hushing and hissing sound from the waves rolling and gambolting and slapping the rocks as if they were wild creatures who were perfectly free and tossed and tumbled and sported like this for ever“ (1, 302-303).

სანახაობითი კადრებითა და ინტონაციური მოდულაციებით დახუნძლული მოტანილი ნაწყვეტი ვ.გულფის წერის ექსპერიმენტული ტექნიკის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ტექსტის შესწავლის საფუძველზე მივხვდით იმ დასკვნამდე, რომ ვ.გულფის მუსიკალური რიტმი ერთ ძირითად მიზანს ემსახურება: მკითხველთან მიიტანოს

სიტუაციით განპირობებული წყლის — მუდმივი სიცოცხლის წყაროს დიდებული სურათი. მთელი პასაჟი სამი დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულითაა წარმოდგენილი. პირველ და მეორე წინადადებაში, ავტორი **which** კავშირის საშუალებით იყენებს გართულებულ კონსტრუქციებს, რაც რიტმულ სურათს უფრო მეტად ამყარებს. პასაჟის ბოლო სინტაქსურ კონსტრუქციაში კი **and** კავშირიანი პოლისინდენტონის საშუალებით რეალიზებული განსხვავებული რიტმი მთელ სურათს მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.

ამრიგად:

❖ შინაარსის გამდიდრება რიტმის ფაქტორით ვ.ვულფის ექსპერიმენტული სტილის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა.

❖ ვ.ვულფის რომანში „შუქურისაკენ“ რიტმის სარეალიზაციოდ მეტად საინტერესო მოდელებია გამოყენებული;

❖ შინაარსის, ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების რიტმისადმი დაქვემდებარება ვ.ვულფის მკითხველს ეხმარება, ბოლომდე გაითავისოს ავტორის მიერ ტექსტში ჩადებული მხატვრული მუხტი;

❖ განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა, რომ ენობრივი საშუალებების რიტმული ქარგისადმი დაქვემდებარება ვ.ვულფისეული მხატვრული სტილის მძლავრი და ეფექტური იარაღია.

ლიტერატურა

არნოლდი 1973 — Арнольд И.В., Стилистическая функция текста и ритм. Вопросы теории английского и русского языков. Вологда, 1973г.

კონონენკო 1973 — Е. Т. Кононенко, Ритмико-синтаксическая структура художественной прозы. Ленинград, 1973.

წყარო

1. Woolf, V., “To the Lighthouse”, England, 1996;
2. Bellow S, Henderson, “The Rain King”, Penguin Books, Great Britain, 1981.

TSIALA SAKARULI

On some Rhythmic Peculiarities in V. Woolf’s Novel “To the Lighthouse”

Summary

The paper is an attempt to show how magnificently V. Woolf manages to submit the unity of the context, lexical material and grammatical structures to the needed rhythmic model which presents one of the important linguistic factors for decoding the author’s creative power.

მეფა სალლიანი

ხმოვანთა უმართვა და მისი სახეები სვანურში
მისი ნასმსხმებ უშუალოდ

ხმოვანთა უმართვა-დამართვა, როგორც ცნობილია, ენების (**resp.** დიალექტების) მიხედვით განსხვავებულია.

იმის მიხედვით, თუ როგორი საწარმოთქმო მოძრაობა აქვთ სახმო სიმებს ამა თუ იმ ბგერის უმართვისას (დასაწყისში) ან დამართვისას (ბოლოში), განასხვავებენ უმართვისა და დამართვის რამდენიმე სახეს, კერძოდ: 1. ფშინვიერ, 2. ძლიერ და 3. რბილ უმართვა-დამართვას (ზივერსი 1901, 151-152; ახვლედიანი 1949, 104-105).

ე. ზივერსი ხმოვანთა წარმოქმნელი სამი ძირითადი ფაქტორიდან (როგორცაა: ექსპირატორული ჰაერნაკადი, სახმო სიმების მდგომარეობა გარკვეული ტონისათვის და შესაღვამი მილის მოწყობა გარკვეული რეზონანსისათვის) უმართვისა და დამართვის ძირითად ფაქტორად სახმო სიმების მდგომარეობას ასახელებს (იქვე), რაც შემდგომ სხვა ავტორების მიერაც იქნა გაზიარებული (ო. ესპერსენი, გ. პანკონილი-კალცია, ე. ფროშელსი, ი. სიკორსკი).

გ. ახვლედიანის განმარტებით, „ფშინვიერია ბგერის უმართვა-დამართვა, თუ ამ ბგერის უმართვა-დამართვისას სახმო სიმები საფშინვიერო მდგომარეობაშია და ჰაერნაკადის მეტ-ნაკლები რაოდენობა გაივლის სიმებში გასაგონრად“ (იქვე).

ზემოთაღნიშნულ უმართვისა და დამართვის რამდენიმე სახეთაგან, როგორც ცნობილია, „უფრო გავრცელებული და თავისებურია ხმოვნის უმართვის ფშინვიერი სახეობა“ (ქლენტი 1949, 119).

ფშინვიერუმართვიანი ხმოვნები ქართველურ ენათაგან დამახასიათებელია საკუთრივ ქართულისათვის, ჰანურისათვის და სვანურის ზოგიერთი დიალექტისათვის (ქლენტი 1949, 120-126).

როგორც გ. ახვლედიანი შენიშნავს, ფშინვიერუმართვიანი ხმოვნები დღევანდელ სალიტერატურო ქართულს ნაკლებ ახასიათებს. ასეთ ხმოვნებს ვხვდებით ძირითადად შორისდებულებში და სხვა ენებიდან

ნასესხებ სიტყვებში (ახვლედიანი 1949, 105). რაც შეეხება ძველ ქართულს, მას ფშინვიერუმართვიანი ხმოვნები უფრო მეტად ახასიათებდა (იქვე).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხმოვანთა ფშინვიერი უმართვა ახასიათებს ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებს, ხოლო ლაშხურ და ლენტეხურ¹ დიალექტებს თითქმის სულ არ ახასიათებს. ზემოსვანურის ხმოვანთა ფშინვიერ უმართვას ქვემოსვანურში შესატყვისად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუღის (ქლენტი 1949, 123-125). ამასთანავე, ო'ს წინ, უმრავლეს შემთხვევაში, უ თანხმოვანი ვითარდება (იქვე, 125)

ჩვენ აზრით, ხმოვანთა ფშინვიერი უმართვა ქართველურ ენათაგან ყველაზე მეტად სვანურისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი, რასაც ადასტურებს ასეთ სიტყვათა სიმრავლე ზემოსვანურ დიალექტებში. მას ადგილი აქვს როგორც სხვა ენებიდან ნასესხებ, ასევე საკუთრივ სვანურ სიტყვებშიც, თუმცა ამჯერად ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ქართულ-მეგრულიდან შემოსულ ისეთ სიტყვებზე, რომელთაც ახასიათებთ ხმოვანთა ფშინვიერი და მაგარი უმართვა.

სხვაობა მაგარ და ფშინვიერ (რბილ) უმართვას შორის, მკვლევართა აზრით, დიდია (ქალდანი 1955, 186). მაგარი უმართვისას სახმო სიმების დაჭიმულობის გამო მაღალ ტონს ვიღებთ, ფშინვიერი უმართვისას კი „სახმო სიმები ხმოვნებს წარმოთქვამენ უმნიშვნელო დაჭიმულობით“ (ქლენტი 1949, 127).

ფშინვიერ უმართვას მიიჩნევენ ამა თუ იმ ენის ადრეულ ვითარებად, ხოლო მის მოხსნას ან გაუჩინარებას კი — მეორეულ მოვლენად.

გარდა ამისა, მეტად საინტერესო სურათს იძლევა სვანურში ისეთი შემთხვევები, როდესაც ო და უ ხმოვნების წინ ბილაბიალური უ თანხმოვანი ვითარდება, ხოლო უ'ს წინ ლ თანხმოვანი². ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული.

როგორც უკვე ითქვა, ზოგჯერ სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებს

¹ ის, რომ ხმოვანთა ფშინვიერი უმართვა ნაკლებად ახასიათებს ქვემო სვანურ დიალექტებს, ჩანს იქიდანაც, რომ ქართულიდან შეთვისებული ჰავა სიტყვა, რომელიც ზემოსვანურ დიალექტებში (უმგ., ლხმ.) უცვლელად შემოგვინახა, ლაშხურსა და ლენტეხურში აჟა ფორმით დამკვიდრდა.

² ღუჭარ (ზს., ლნტ.)/ღუჭარ (ლშხ.) < ქართ. ვაჭარ-ი < სომხ. (< * ალ.) vačar. ღუჭ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. ღუჭ, ლშხ. ღუჭ < ქართ. ვაჭ-ი < სომხ. վաչ. (ზს., ლნტ.)/ღუჭ (ლშხ.) „კაცი, მამაკაცი“ < ქართ. ვაყ-ი.

სვანურში თავში უჩნდებათ ფშვინვიერი შემართვა ან იოტაცია. მაგ.:

ჰაბარწა (ჩხხ.), შდრ. ბქ. **აბარწა** „აივანი, დერეფანი“ < მეგრ. აბარწა.

ჰაბედ/ჰაბოდ (ბზ.)/**ჰობედ** (ბქ.), შდრ. ბქ. ლშხ., ჩოლ. **აბედ**, ლნტ. **აბედ** < ქართ. აბედ-ი. გ. მაჭავარიანის აზრით, ბქ. **ჰობედ** მეგრულიდანაა ნასესხები (მაჭავარიანი 1965, 76), შდრ. მეგრ. ობედ-ი.

ჰაბჯარ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აბჯარ**, ლნტ. **აბჯარ** < ქართ. აბჯარ-ი < ფალ. **apačar** „იარალი, ინსტრუმენტი, მოწყობილობა“.

ჰაეროდრომ (ზს.)/**ჰაეროდრობ** (ლხმ.)/**ჰაეროდრომ** (ჩოლ.), შდრ. ზს., ქს., ჩოლ. **აეროდრომ** < ქართ. აეროდრომ-ი.

ჰაეროპლან (ბზ.)/**ჰანდროპლან** (ბქ.)/**ჰაეროპლან** (ჩოლ.) < ქართ. აეროპლან-ი < ბერძ. **aēr** ჰაერი და ლათ. **planum** სიბრტყე.

ჰაკუნან/ჰანკუნან (ბზ.)/**ჰაკუნან** (უშგ.), შდრ. ლშხ. **აკ'ა'უნან**, ლნტ. **აკაუნან**, ჩოლ. **აკაუნან** < ქართ. აკვანი (შდრ. ბქ. **ჰენწ**, ჩოლ. **კაკანაი**).

ჰალანგ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ალანგ**, ლნტ. **ალანგ** 1. უშგ. „ლობის კარი“, 2. ზს., ლნტ. „ლობე“ < ძვ. ქართ. ალაგ-ი „ბილიკი, გზა; კვალი“, ახ. ქართ. ალაგ-ი, (იმერ., გურ.) ალაგე „ლობეზე გადასასვლელი ადგილი“ < ფალ. **arak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“ (შდრ. ზს., ჩოლ. **ნაშხატ'უ**).

ჰალან (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ალან**, ბქ., ლნტ. **ალან** „ალალი, ხელგამლილი, კეთილი“ < ახ. ქართ. ალან-ი < არაბ. **halāl** „მართალი“, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ძველი ქართული ჰალან-ი ფორმიდან იყოს ნასესხები (შდრ. ბზ. **გუშანჰრიან**, უშგ. **ჰანკილედ**). საინტერესოა, რომ უშგულურ კილოკავში **ჰალან** ლექსემა ადვილ-ის მნიშვნელობით დასტურდება (შდრ. მეგრ. ჰალან-ი||ალან-ი).

ჰალია (ლხმ.) „ქალის საკუთარი სახელი“ < მეგრ. ალია.

ჰალიონ (ბზ.)/**ჰალიონ** (უშგ.), შდრ. ბზ. **ალონ**, ლნტ. **ალიონ** < ქართ. ალიონ-ი (შდრ. ბქ. **ლეჭრამშ**, უშგ. **ბგრან**), შდრ. მეგრ. იალიონი.

ჰამარ (ზს.)/**ჰამარ** (უშგ.), შდრ. ლშხ. **ამარა**, ლნტ. **ამარა** < ქართ. ამარა.

ჰამენ (ბქ.)/**ჰამენი** (ლხმ.)/**ჰამენ** (ჩოლ.), შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ამენ**, ბქ. **ამენ/ამინ**, ლნტ. **ამენ!** < ქართ. ამინ! < ბერძ. **amēn** < ძვ. ებრ., შდრ. მეგრ. ჰამენ-ი.

ჰამიკ (ბქ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ < ქართ. (კახ.) ამიკო.

ჰანდრი (ლხმ.)/**ჰანდრა** (ბზ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ <

ქართ. ანდრი-ი, ანდრა < ანდრია < ბერძნ. **Andria** „მამაცი, მხნე, შემმარ-თებელი“.

ჰანთუყ (ზს.), შდრ. ზს. **ანთუყუ/ანთუყუ**-ი „მამაკაცის საკუთარი სახელი“ < ადილ.-ყაბ. ანთინოყვა.

ჰარანკ (ზს.), შდრ. ლშხ. **არანკ**, ლნტ. **არანკ** 1. „არაკი, ამბავი“; 2. „მაგალითი, სამაგალითო, ნიმუში“; 3. „ბედი, ხვედრი“... < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“; 2. გადატ. „ტყუილი, მოგონილი ამბავი“.

ჰარანკ-ჰურანკ (უშგ., ლხმ.), შდრ. ლშხ. **არანკ-ურანკ** „ათასნაირი ამბავი“ < ქართ. არაკ-ურაკ-ი.

ჰარანმ (ბზ.) < ქართ. (თუშ., ფშ.) არამ-ი 1. „რაც არ ეკუთვნის, რაც არ შეეგება; რაც ამოშხამდება“; 2. „ის, ვისთვისაც რამე არმად მიაჩნიათ, — უბატოსნო, უძღვები, უკუღმართი“ < არაბ.-თურქ. **haram**, შდრ. მეგრ. ჰარამ-ი||არამ-ი.

ჰარანყ (ზს.), შდრ. ბქ. **არანყ/არანყ**, ლშხ. **არანყ**, ლნტ. **არანყ** < ქართ. არანყ-ი < არაბ. **arak** (შდრ. ზს. **თურ**).

ჰარანყ (ბქ., უშგ.)/**ჰარანყ** (ბზ.), შდრ. ბქ. **არანყ**, ჩოლ. **არანყ** „ლო-თი“ < ქართ. არანყ-ი < არაბ. **araq**.

ჰარიქა (ზს., ლშხ.)/**ჰარიქა**||**ჰარიგა** (ლხმ.), შდრ. ზს, ქს. **არიქა!** < ქართ. არიქა! (შდრ. იმერ., გურ. და მეგრ. ჰარიქა).

ჰასანკ (უშგ.), შდრ. ჩოლ. **ასანკ** < ქართ. ასანკ-ი (შდრ. ზს., ქს. **შდიქ**).

ჰასკამ (ბქ.) „ტახტრევიანი“ < ქართ. სკამ-ი.

ჰასტამ (ბზ.)/**ჰასტამ** (ბქ.), შდრ. ქს., უშგ. **ასტამ** < ძვ. ქართ. ასტამ-ი „ცეცხლის გასაჩხრეკი რკინა“¹ (შდრ. უშგ. **ხურირჯ**).

ჰაჟეჯ (ზს.)/**ჰაჟეჯ** (ბქ.)/**ჰაჟეჩ** (უშგ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აჟეჯ** „იარალი“ < ქართ. ავეჯ-ი (შდრ. მთარაჯ. ავეჯ-ი — ტანის მოკაზმულობა-მორთულობა: „წაიღე შენი იარალი და ავეჯი“ — ძიძიგური 1954, 200), შდრ. ზს., ლნტ. **ნანხე**, ლშხ. **ნანხე**.

ჰაჟეჟენდ (ლხმ.)/**ჰაჟეჟენდ** (ბზ.)/**ჰანჯეჟენდ** (ჩხხ.), შდრ. ბქ. **აჟეჟენდ**, ლშხ., ჩოლ., უშგ. **აჟეჟანდ** „პაჭანიკი“ < ქართ. ავეჯანდ-ი (შდრ. ჩოლ. **პაჭანიკ**).

ჰაჟეშარა/ჰაჟეშარან (ბზ.)/**ჰაჟეშარა** (უშგ.), შდრ. ლშხ. **აჟეშარა**, უშგ., ჩოლ. **აჟეშარაი** < ქართ. ავეშარა „ულაგმო ადვირი“.

¹ ასტამი დასტურდება აჭარულ დიალექტშიც.

ჰაყარ (ბზ.), შდრ. ლშხ., უშგ. **აყარ**, ლნტ., უშგ. **აყარ** 1. ქს. „აყირო, მწარე კვახი“; 2. ბზ. „ორშიმო; ხრიკა“ < ქართ. აყირო „გრძელყელიანი გოგრა, მცოცავლეროიანი და თეთრყვავილებიანი; თესლებგამოცლილ მწიფე ნაყოფს ჭურჭლად ხმარობენ.

ჰაჰ/ჰაჰ (ბქ.)/**ჰაჰ** (ჩოლ.)! 1. „მოწონების ან სიხარულის გამომხატველი შორისდებული: აჰ, ოჰ“; 2. „მუდარის გამომხატველი შორისდებული: აჰ, ოჰ“ < ქართ. აჰ! 1. „ნატვრა-დანანების გამომხატველი შორისდებული“; 2. „შეკრთომა-გაოცების გამომხატველი შორისდებული“.

ჰაბტკ (ბზ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აბტკ**, ლნტ. **აბტკ** 1. „გარსი, ბუდე, აპკი (გულისა); 2. „ბრკე (ღვინისა); 3. აღუღებული რძის მიერ თავზე მოყენებული კარაქი“, შდრ. ბქ. **ბეტკ** < ქართ. აპკ-ი < ფალ. **āpak**.

ჰადუილ (ბქ.)/**ჰადუილ** (უშგ.), შდრ. ზს., ლნტ. **ადუილ**, ლშხ., ჩოლ. **ადუილ** < ქართ. ადვილ-ი.

ჰაზუ (ზს.), შდრ. ზს., ლნტ. **აზუ**, ლშხ., ჩოლ. **აეზუ** < ***ჰეზუ** < ***ჰეზო** < ქართ. ეზო.

ჰაზ (ზს.)/**ჰაზუ** (ბზ.) „ბოროტი სული, ალქაჯი“ < ქართ. ალ-ი „ზღაპრული მავნე არსება ლამაზი ქალის სახით“.

ჰალუა/ჰელუა/ჰელუა (ბზ.)/**ჰალუა** (ბქ., უშგ.)/**ჰალუა** (ბეჩ., ლხმ.), შდრ. ლშხ. **აელუა**, ლნტ. **ალ** < ქართ. ალვა „ალვის ხე“.

ჰაღობორტ (ბქ.) < ქართ. აერო-პორტ-ი < ბერძნ. **aēr** და ფრანგ. **port** „აეროდრომი“.

ჰაქიმ (უშგ.), შდრ. ზს. **ექიმ**, ლშხ., ჩოლ., ლხმ. **აექიმ**, ლნტ. **აექიმ**, უშგ. **აქიმ** < ქართ. ექიმ-ი < თურქ. (< არაბ.) **hekim** (შდრ. ჰან. ჰექიმ-ი).

ჰაშკ (ზს.), შდრ. ლშხ. **აშკ**, ლნტ. **აშკ** 1. „შალის ორწვერა ძაფი“; 2. შინნაქსოვი შალი“ < ქართ. აშკი „მავთული“ (საბა), შდრ. ძვ. ქართ. მაშკ-ი „ზედმოსასხმელი“, „ჩადრი, კარვის სახურავი ტყავისა“.

ჰაჩუ (ბქ.)! 1. „ცხენისა და ჯორის შესაძახებელი (გასარეკი სიტყვა)“; 2. „ცხენი (ბავშვის ენაზე)“ < ქართ. აჩუ! „შეძახილი ცხენების გასარეკად.

ჰაჟდარ/ჰაჟდარ (ბზ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აჟდარ**, ლნტ. **აჟდარ** < ქართ. ავ-დარ-ი.

ჰაჟდარან/ჰაჟდარან (ბზ.) < ქართ. ავ-დარ-იან-ი.

ჰაჟდარიანობ/ჰაჟდარიანობ (ბზ.), შდრ. ბქ., ჩოლ. **აჟდარიანობ** < ქართ. ავ-დარ-იან-ობ-ა.

ჰაჟდრობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ., **აჟდრობ**, ლნტ. **აჟდრობ**, ჩოლ.

აჟდრობ „ავდრიანობა“ < ქართ. ავ-დარ-იან-ობ-ა.

ჰაჟდრობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ. **აჟდრობ**, ლნტ. **აჟდრობ** < ქართ. ავ-დარ-იან-ობ-ა.

ჰაჟდუი (ბზ.)/**ჰაჟდუი/ჰაჟდუი** (უშგ.), შდრ. ბქ. **აჟდუი**, ქს. **აჟდუი** < ქართ. აღვირ-ი.

ჰელ (ზს.), შდრ. ქს. **ალ** 1. „ალი (ცეცხლისა)“; 2. ზს. „ელდა“ < ქართ. ალ-ი „ცეცხლის მნათი ნაწილი, ცეცხლის ენა“.

ს. ჟღენტს სვანური **ჰელ** ქართული ელდა-საგან მომდინარედ მიანიხნა (ჟღენტი 1949, 122), რასაც, ალბათ, ვერ დავეთანხმებით, რადგანაც, ჩვენი აზრით, სვანური **ჰელ** უფრო ქართული ალი-საგან უნდა მომდინარეობდეს და არა ელდა-საგან. ეს უკანასკნელი სვანურში სესხების ფორმით არ დასტურდება. ელდის გამოსახატავად სვანურში სულ სხვა ფუძე ვლინდება, კერძოდ, **ჰაჰჰ**.

ჰელიფერი (უშგ.) < ქართ. ალ-ის-ფერ-ი.

ჰელმაჰელ (ბქ.) < ქართ. ალ-ი „ცეცხლის მნათი ნაწილი, ცეცხლის ენა“.

ჰერწამ (ბზ.)/**ჰერწემ** (ბქ., უშგ.) „გველი, ქვეწარმავალი“ < ქართ. (იმერ.) უ-რწმ-ილ-ო, უ-რწმ-უნ-ო „უხსენებელი, გველი“ (შდრ. ბზ., ჩოლ. **ჰიჯ**). ქვემოსვანურ დიალექტებში სწორედ ქართული (დიალექტური) **ურწმულ** (ლშხ.), **ჰურწმილ** (ჩოლ.) ფორმები დასტურდება.

ჰემმა (ბზ.)/**ჰემმა** (უშგ.), შდრ. ბქ. **აემმა**, ლშხ., ჩოლ. **აემმა**, ლნტ. **აემმა**, ლხმ. **აემმა** „გრძნეული, ემმაკი, ემმა“; შდრ. ბზ. **ჰემ** „თილისმა, ავგაროზი“ < ძვ. ქართ. ეშმა¹კ-ი < ფალ. **hešmak**, **hešm**, **hišm** „ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე“.

ჰენერია (ბქ.), შდრ. ბზ. **ენერა** < ქართ. ეწერა „გვიმრა“.

ჰეჟუ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ეჟუ**, ბქ. **აეჟუ** < ქართ. ეჟვ-ი (შდრ. ბზ. **ჰარკუ**, ბქ. **ჰარკ**, ბქ. **ჰერ**).

ჰეჰ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ეჰ** < ქართ. ეჰ!

ჰიბარ (ბზ.)/**ჰიბარ** (უშგ.)/**ჰიბარ** (ლხმ.)/**ჰიბარ** (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **იბარ** „სოფლის საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადებული ჯარიმა (უფრო მეტად ნათესების წახდენისათვის)“ < ქართ. (იმერ.) იბარა „ღანაშაული, ცოდვა“.

ჰუნდილ (ბზ.) < ქართ. უნდილ-ი.

ჰურდუმ (ბზ.) < ქართ. ურდულ-ი.

ჰურდუმ (ბზ.)/**ჰულდუმ** (ბქ.) „ერდო“ < ქართ. ურდულ-ი (ლ/მ, რ/ლ).

ჰუნგირ (ბზ.)/**ჰინგირ** (ბქ.)/**ჰუნგირ** (უშგ.), შდრ. ლშხ. **უნგირ**,

ლნტ. **უნაგირ**, ჩოლ. **უნაგირ** < ქართ. უნაგირ-ი < ირან. **hunagir**.

ქართულ-მეგრულიდან შეთვისებული მასალა ნათლად გვიჩვენებს თუ რა მოდიფიკაცია განიცადეს ხმოვნებმა შემართვის მხრივ. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ხდება თითქმის ყველა სვანური ხმოვნის წინ, მათ შორის უმლაუტიან და გრძელ ხმოვნებთანაც (**ა, ა, ა, ა, ე, ა, უ, გ**)¹.

ს. ჟღენტის მოსაზრების თანახმად, „ქართულ-მეგრულიდან სვანურში შესულ სიტყვათა ანლაუტის ხმოვნებს ასპირაცია იმიტომ უვითარდებათ, რომ სვანურის ამ დიალექტებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, მაგ.: **ჰარტამ** „ბოსტანი“, **ჰანდური** „ჯანმრთელი“, **ჰალყმა** „გაუმძღარი“, **ჰანწუ** „პურისა და ხაჭაპურის ნაჭერი“, **ჰალწმ** „გონების დაკარგვა“, **ჰენწ** „აკვანი“, **ჰეჭ** „ურდული“, **ჰირიკ** „დამქავებული სითხე ტყავის გამოსაყვანად“, **ჰირგ** „მოტირალ ქალთა ერთად შეძახილი“ და ა. შ.“ (ჟღენტი 1949, 122).

მასალის ანალიზმა ცხადად დაგვანახა, რომ ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად უმეტესად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუღის, მაგ.: ლნტ. **აბედ**, ლნტ. **აბტკ**, ლნტ. **აღუილ**, ლნტ. **აშკ**, ლშხ. **აეშმა**, ლნტ. **აეშმა**, ლნტ. **აჟდარობ**, ლნტ. **აჟდარობ**, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში პარალელურად ზემოსვანურ დიალექტებშიც, განსაკუთრებით ლახამულურ კილოკავში, დადასტურდა იგივე იოტირებული და ვიწრო ხმოვნები ფშვინვიერშემართვიანი ფორმების გვერდით, მაგ.: ბზ. **ალონ**, ბქ. **არაწყ/არაყ**, ზს., ლნტ. **აღუილ**, ბქ. **აღური**, ბქ. **აეშმა**, ბქ. **აეჭუ**, ლხმ. **აექიმ**, ლხმ. **აეშმა** და ა. შ.

მ. ქალდანის გამოკვლევის შედეგადაც ირკვევა, რომ, მართალია, ლახამულური კილოკავისათვის უცხო არ არის საერთოდ ზემოსვანურისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, მაგრამ ეს მოვლენა ყოველთვის ერთნაირად არ ტარდება ამ კილოკავში. დიდძალი მასალის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ „მასში საკმაოდ რელიეფურად ჩანს ქვემოსვანურისებური ტენდენცია — ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის უქონლობა“ (ქალდანი 1955, 187). რასაც ვერ ვიტყვით ზემოსვანურის დანარჩენ კილოებსა და კილოკავებზე, სადაც ანლაუტის ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, როგორც მასალის ფაქტობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, დღემდე მტკიცედ არის შემორჩენილი.

¹ ერთადერთი გამონაკლისია ო ხმოვანი, რომლის წინაც ფშვინვიერი შემართვა ძალზე იშვიათად გვხვდება (შდრ. ბქ. **ჰობედ**).

ლახამულურის ვითარება იმაზე მეტყველებს, რომ აქ ჰ-ს პოზიცია საკმაოდ შერყეულია², თუმცა ქვემოსვანურ დიალექტებთან შედარებით, მას ამ მხრივ ნაწილობრივ მაინც აქვს დაცული ძველი ვითარება³ (იქვე, 140).

სვანურში არაერთი ნასესხები სიტყვა ფიქსირდება, სადაც თავკიდური ო ხმოვნის წინ უ ვითარდება, რაც ს. ჟღენტის აზრით, ო'ს სივიწროვეზე მიანიშნებს (ჟღენტი 1949, 125). მისივე მოსაზრებით, „ანლაუტში მოქცეულ ხმოვნებს ზემოსვანურში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურსში) უვითარდება ჰ ბგერა ფშვინვიერი შემართვის გამო, ხოლო ქვემოსვანურში (ლაშხურსა და ლენტეხურსში) იოტი და ო'ს წინ უ თანხმოვანი (იქვე). როგორც ზემოთ ვნახეთ, იოტი ზემოსვანურ დიალექტებსაც უვითარდებათ ანლაუტში და ჩვენ ვნახავთ მაგალითებს, სადაც ო'ს წინ უ თანხმოვანი სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ვითარდება, და არა მარტო ო'ს წინ, არამედ უ ხმოვნის წინაც უამრავი შემთხვევა დასტურდება უ'ს გაჩენისა, რასაც არა ერთი მაგალითი უჭერს მხარს.

1. ო'ს წინ უ თანხმოვანი ვითარდება შემდეგ ნასესხებ ლექსებში:

უობედ (ზს., ლნტ.)/**უობოლ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ობოლ**, ლხმ., ჩოლ. **ობედ** < ქართ. **ობოლ**-ი (შდრ. ზს., **უოვარ**, ჩოლ. **ობედ-უოვარ**).

უობობუა (ლშხ.), შდრ. ჩოლ. **ობობა** < ქართ. **ობობა** (შდრ. ზს. **უოფლოვანა**).

უობრედ (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **ობრედ** < ქართ. (ზ. იმერ., ლეჩხ.) **ობროდ-ი||ობროდ-ი** „უცნაური, ახირებული; ჩერჩეტი, ლენჩი“.

უობურ (ზს., ჩოლ.), შდრ. ბქ., ჩოლ. **ობურ** „ბოროტი, კუდიანი“ < ქართ. (რაჭ.) **ობურ-ი** „ეშმაკი“.

უოდა (ბზ.) < ქართ. **ოდა**.

უოთან (ზს.)/**უოთან** (ლშხ.)/**უოთანუ**⁴ (ჩოლ.), შდრ. ზს. **ოთან**,

² ივლისხმება ჰ-ს დასუსტება **ა**-დ, რასაც ადასტურებს ლახამულურის როგორც ბალსზემოურთან, ასევე ბალსქვემოურის ეცერულ კილოკავთან შეპირისპირება, მაგ.: **აჰ. ჰჰჰბბბჰ, ჰჰჰ. ჰჰჰბბბჰ ობბბ ობბბააა**, **აჰ. ჰჰჰჰა, ჰჰჰ. ჰჰჰა ობბა**, **აჰ. ობბა, ჰჰჰ. ობა ობა** ო. ო.

³ ლახამულურში დაცულ ჰ-ს ქვემოსვანურში უმეტესად **ა, ი, უ** ბგერები ენაცვლება (ა ლაშხურში, ი ლენტეხურში და უ ორივეგან).

⁴ ჩოლურულში ამ ლექსემას სხვაგვარი ახსნა აქვს, კერძოდ — უსარკმლოდ აგებული სახლი, უშნოდ ნაგები, ციკლოპური შენობა. ძველი სვანური სიმღერების ენაში დაცულია **ოთაჟ-თესვა** „ოთახში“ და **ოთაჟ-ხანქა** „ოთახიდან“ ფორმები (სვ.

ჩოლ. **ოთახ** < ქართ. ოთახ-ი < თურქ. (აზერბ.) **otag**, შდრ. სპარს. **utāḡ**.

ჟოლომფხირ¹ (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **ოლომფხირ**, ლნტ. **ოლომხირ** „ამოსარეცხი ქვევრისა“ < ქართ. (ლენხ.) ოლოფხირ-ი „ჯოხზე წამოცმული ტილოს ჩვარი, ქვევრის ფსკერზე დარჩენილი წყლის ან თხლის ამოსაშრობად“ (შდრ. უშგ. **ოფიჭი**).

ჟოპერაცია (ზს.) < ქართ. ოპერაცია.

ჟორაგულ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **ორაგულ** < ქართ. ორაგული-ი.

ჟორბ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ., ჩოლ. **ჟერბ**, ჩოლ. **ორბ** „არწივი (ზს.), ორბი“ < ქართ. ორბ-ი.

ჟორგჟილ (ზს., ჩოლ.)/**ჟორგულ** (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს., ქს. **ორ-გულ** „მტერი“ < ქართ. ორ-გული-ი.

ჟორთით (უშგ.) < ქართ. ორ-თით-ი.

ჟორი (ზს.), შდრ. ბზ. **დორი/დორჟ/დერჟ**, ბქ. **დორი**, ლშხ. **დერჟ**, ლნტ. **დერბი**, ჩოლ. **დერჟ** < ქართ. ორ-ი.

ჟორმაგჟე (ზს.)/**ჟორმაგ** (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ორმაგ**, ჩოლ. **ორმაგჟე** < ქართ. ორ-მაგ-ი.

ჟორმოც (ბქ., ლნტ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ორმოც** < ქართ. ორ-მ-ოც-ი „მიცვალებულის სულის მოსახსენებელი დღე“ (შდრ. ბქ. **კონჩხარ**).

ჟორმო (ბზ., ლშხ.), შდრ. ზს., ქს. **ორმო** < ქართ. ორმო (შდრ. ზს., ქს. **ფათქ**, უშგ. **პედ**).

ჟორჟამო (ლშხ.) < ქართ. (ლენხ.) ორ-ჟამ-ო „დათვიმარწყვა“.

ჟორტკეც/ჟორკეც (ბზ.)/**ჟორკაც** (ბქ., ლნტ.), შდრ. უშგ. **ერჟკეც** < ქართ. ორ-კეც-ი „ორფა“.

ჟორტოლი (ლშხ.)/**ჟოტოლი** (ჩოლ.), შდრ. ლშხ. **ორტოლი** < ქართ. (ზ. აჭარ., გურ., მესხ.) ოტურ-ი „ერთგვარი ქლიავია, მსხვილი და მკვრივი ნაყოფი აქვს“, (ლენხ.) ორტოლე „ქლიავისმაგვარი მცენარეა“.

ჟორღაჟიან (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **ორღაჟე** „შურიანი“ < ქართ. (რაჭ.) ორღაგ-ი „ემშაკი, დაუნდობელი“ (შდრ. ბქ. **ჟორცფიან**, ბზ., ჩოლ. **თხამიან**).

ჟორჩხ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ჟერჩხ** < მეგრ. ორჩხე „დანის, ხანჯლის ბუდე, — ქარქაში“, შდრ. ლაზ. ოჩხე „ქარქაში“.

ჟოსარ (ზს., ლნტ.)/**ჟოსარ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.), შდრ. ბქ. **ოსარ** „ჩოხა“ < მეგრ. ოსარე „პერანგი“.

ჟოსტატ (ზს., ლნტ.)/**ჟოსტატ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ოს-ტატ-ი „ხელოსანი, დურგალი“ < სპარს. **ustād** < ფალ. **ōstāt**.

ჟოტია (ზს., ქს.)/**ჟოტი** (ჩოლ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ < ქართ. ოტია.

ჟოფოფა (ბზ.), შდრ. ბქ. **ოფლოფა** < ქართ. ოფოფ-ი.

ჟოფრინდომ (ბზ.) < ქართ. ფრინდონ-ი < აფრინდონ-ი < ფალ. **frēdūn**, შდრ. პართ. **frētōn**.

ჟოქჟერ (ზს., ლნტ.)/**ჟოქერ** (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს., ქს. **ოქერ** < ქართ. ოქ-რო < ბერძნ. **οικος** „ყვითელი“.

ჟოღლაჟირ (ჩოლ.) „მაგიური ბალახი, რომელსაც ხმარობენ დათვალულის წინააღმდეგ“ < ქართ. (აჭარ.) ოღლაგარა „მცენარეა, ხარის ჩლიქა“.

ჟოყალ (ლშხ., უშგ.), შდრ. ჩოლ. **ოყალ** „თიხა“ < ქართ. აყალო (წითელი თიხა).

ჟოშოორ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ოხშივარ-ი, შდრ. ლენხ. ოშიორ-ი „ოხშივარი“.

ჟოჩან (ჩოლ.) < ქართ. (ფშ.) ოჩან-ი „დაკნინებული, დაბეჩავებული“.

ჟოწინწალ (ჩოლ.)² „მაღალი და წვრილი სარი“ < ქართ. (ოკრიბ.) ოწინწალი-ი „მსხვილი ხის ბერკეტი“, შდრ. ქართლ. ოწინწალა ხიდი „ბავიერის ხიდი“.

ჟოჭარო (ჩოლ.) „დიდი, ღრმა ჭურჭელი“ < ქართ. (რაჭ.) ოჭარო „სასაპალნე კეხი“.

ჟოჭიპ (ჩოლ.) < ქართ. (ლენხ.) ოჭიპო „გახეული კუპრიელის შესაერთებელი ხის პატარა კვირისტავისებრი ნაფოტი“.

ჟოჭოჭინა (ჩოლ.)³ < ქართ. (ლენხ.) ოჭოჭინა, იგივეა, რაც გურ., იმერ. ოჭივარა-ი „ბავშვის ფეხის ასადგმელი, სატარებელი“.

ჟოხარ (ზს., ლნტ.)/**ჟოხარ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს., ლნტ. **ოხარ**, ლშხ. **ოხარ** < ქართ. (იმ.) **ოხარო** „მხარზე გადასაკიდებელი ხის ჭურჭელი“.

ჟოხერ (ზს.) < ქართ. ოხერ-ი (შდრ. უშგ. **ჟირქნელ**).

ჟოხთრის (ბზ., ქს.)/**ჟოხდრის** (ბზ., ქს.), შდრ. ბქ. **ოხთრის** „სა-

² გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც, მაგ.: **ჟოწინწალს ლახზე** „აჩქარებს, არ აცლის...“.

³ ეს ლექსემაც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, მაგ.: **ჟოჭოჭინა** `Ḫīāḫē`.

პოეზია 1939, 38, 44-58).

¹ იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც და ნიშნავს ყოველად უვარგის მამაკაცს.

ხსნილო (ყველისა, ხორცისა)“ < ქართ. (აჭარ.) უ-ხდ-ურ-ი „რძე და რძის პროდუქტები“, (ხვეს., მოხ.) უ-ვდ-ურ-ი „ერბო, ყველი“. ჩვენი ვარაუდით, იგივეა, რაც **მო-უ-ხდ-ელ-ი**. სვანური ფორმა სიტყვა-სიტყვით იქნება **უ-ხდ-ურ-ის-¹ა¹**, ე. ი. **მო-უ-ხდ-ელ-ის-¹ა¹**. როგორც ჩანს, სემანტიკურ გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე.

ოხრანხუშ (ზს., ლნტ.)/**ოხრანხუშ** (ლმხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ოხრანხუშ**, ლმხ. **ოხრანხუშ** < ქართ. **ოხრანხუშ**-ი.

ოჯვარ (ზს.)/**ოჯვარ** (ლმხ., ჩოლ.) „ობოლი“ < ძვ. ქართ. ოჯერი-„უდაბნო, უშენი, აოხრებულო; ნანგრევი, ცარიელი; კორდი, მოუხნავი, ყამირი“, ახ. ქართ. ოხერი-ი, შდრ. არაბ.-სპარს. **axir** „უკანასკნელი, ბოლო“ (ანდრონიკაშვილი II, 1996, 210).

ოჯან (ზს., ლნტ.)/**ოჯან** (ლმხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ოჯან** < ქართ. ოჯან-ი < თურქ.-სპარს. **oյան** (შდრ. ზს., ქს. **მე-ზგ-ე** „მოსახლე“).

2. უ 'ს წინ **უ** თანხმოვანი ვითარდება შემდეგ ნასესხებ ლექსებში:

უბანდუ (ბქ.), შდრ. ზს., ლნტ. **უბანდუ** < ***უ-ბედ-უ** < ქართ. უ-ბედ-ო „უბედური“.

უბედურ (ბქ.), შდრ. ბქ. **უბედურ**, ლმხ. **უბედურ** < ქართ. უ-ბედ-ურ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **უბანდუ**).

უუდაბნო (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **უდაბნო** < ქართ. უ-დაბ-ნ-ო.

უუდრეკუ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **უდრეკ** < ქართ. უ-დრეკ-ი.

უუდროუ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **უდროუ** < ქართ. უ-დრო-ო.

უუკალონო (ბქ.), შდრ. ბქ. **უკალონო** < ქართ. უ-კალონ-ო < ბერძნ.

Kanōn.

უუკმეხ (ბქ.), შდრ. ბქ. **უკმეხი** < ქართ. უ-კმეხ-ი.

უუკცრანუს (ბქ.), შდრ. ჩოლ. **უკცრანუს!** < ქართ. უ-კაცრავ-ად!

უუნთოუ (ბქ.)/**უუნთო** (ზხ.), შდრ. ზს., ქს. **უუნთო**, ბქ. **უნთოუ**, ჩხხ. **ონთოუ** < ქართ. უთო (შდრ. მეგრ. უნთო).

უურემ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **ურემ** < ქართ. ურემ-ი.

უ¹ურწმილ (ჩოლ.), შდრ. ლმხ. **ურწმილ**, ბზ. **ჭერწამ**, ბქ. **ჭერწემ** „უხსენებელი, გველი“ < ქართ. (იმერ.) უ-რწმ-ილ-ო, უ-რწმ-უნ-ო „უხსენებელი, გველი“ (შდრ. ბზ. **უიჯ**).

უულუფ (უშგ.), შდრ. უშგ. **ულუფ** „სადილი, იჯრა“ < ქართ. ულუფა (შდრ. უშგ. **ფან**).

უურია (ბქ.), შდრ. ბზ. **უირიან**, ბქ. **ურია**, უშგ. **უირია** < ქართ. ურია.

უურჩხულ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **ურჩხულ** < ქართ. ურჩხულ-ი.

უურწყულ (ბქ.), შდრ. ზს., ლნტ. **ურწყულ/ურწყულ**, ჩოლ. **ურწყულ** „უწმინდური, ბინძური“ < ძვ. ქართ. უ-რწყ-ო „წმინდა, წყალმეურვენილი“, „ფარული“, უ-რწყ-ული „უწყლო“ (შდრ. ბზ., ლმხ., ჩოლ. **უიდრობა**, უშგ. **უიშდა**).

უურჯულ (ბქ.), შდრ. ბზ., ჩოლ. **ურჯულ** < ქართ. უ-რჯულ-ო.

უუსანუ (ბქ.), შდრ. ზს. **უსანუ/უსანუ**, ჩოლ. **უსანუ** „უცნაური, თავისებური“ < ახ. ქართ. უ-სან-ო, ძვ. ქართ. უ-სან-ური „უჩი, თავნება...“ (შდრ. ბზ., ლნტ. **საჯუ**).

უუსინდის (ბქ.)/**უუსინდის** (ჩოლ.), შდრ. ზს. **უსინდისუ**, ზს., ქს. **უსინდისო** < ქართ. უსინდისო.

უუსმართულ (ბქ.)/**უუსმართული** (ჩოლ.), შდრ. ბზ. **უსმართულ**, ბქ. **უსმართულ/უსმართულ**, ჩოლ. **უსმართულ** < ქართ. უ-სა-მართლ-ო (ბზ. **ულადლულადლუ**, ბქ. **ულადლუ**, ზს., ქს. **უკაფ**).

უუსგრგებ¹უ¹ (ზს.), შდრ. ზს., ჩოლ. **უსგრგებ** < ქართ. უ-სა-რგებლ-ო (შდრ. ზს., ქს. **უშკანა||უშკან¹უ¹**).

უუცხუ (ზს.), შდრ. ზს. **უცხუ||უიციხუ** „უცხო, საპატიო, პატივსაცემი“ < ქართ. უ-ცხ-ო (შდრ. ბქ. **მეჭერ**).

უუწესო (ზს.), შდრ. ზს., ქს. **უწესო** < ქართ. უ-წეს-ო (შდრ. ბქ. **უნაქურ**).

უუწმანურ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **უწმანურ** „უხეში, ცუდი ენის პატრონი (კაცი)“ < ქართ. უწმანურ-ი.

უუწმინდურ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **უწმინდურ** < ქართ. უ-წმინდურ-ი (შდრ. ბზ., ლმხ. **უიდრობა**, ბქ. **შელე**).

უუხერხულ (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **უხერხულ** < ქართ. უ-ხერხულ-ი.

უუხემ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **უხემ** < ქართ. უ-ხემ-ი (შდრ. ბზ. **მაგურემა**, ბქ. **უჯმაჭურ**).

თავკიდურ **ო-ს** და **უ-ს** წინ განვითარებული **უ** მიუთითებს სწორედ ამ ხმოვანთა სივიწროვეზე.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ბაგისმიერი ხმოვნების **ო-ს** და **უ-ს** წინ სვანურში ძალზე ხშირად ვითარდება წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური **უ** თანხმოვანი, ამ მოვლენას, ე. ი. **ო-ს** და **უ-ს** წინ **უ-**ს განვითარებას, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **ბილაბიალური შემართვა**.

როგორც უკვე ითქვა, შემართვის მეორე სახეა ხმოვნის მაგარი შემართვა. გ. ახვლედიანის განმარტებით, „ძლიერია ანუ მაგარი ბგერის

(უმეტესად ხმოვნის) შემართვა, თუ ამ ბგერის შემართვისას სახმო სიმე-
ბის მჭიდროდ დახშული მდგომარეობა სწრაფად იცვლება მათი გაპო-
ბით, რის შედეგადაც გვესმის ერთგვარი ძლიერი კენესისებრი ჩქამი“
(ახვლედიანი 1949, 106).

ხმოვნის მაგარი შემართვა, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია
შორისდებულთა ხმოვნებისათვის ქართულ კუთხურ მეტყველებაში. სვა-
ნურშიც, ისევე როგორც ქართულში, ხშირ შემთხვევაში თავიკიდურ-
ხმოვიანი შორისდებულები მაგარი შემართვით წარმოითქმის (ქლენტი
1949, 120). მაგ.:

ცა (ბქ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ა“, მაგ.:
ცა, მწიღილ ჯერი! „ა, მადლის გულისათვის, ღვთის გულისათვის!“ <
ქართ. ა!

ცაუ (ბქ.) 1. „გაკვირვებისა და უკმაყოფილების გამომხატველი შო-
რისდებული — აუ“, მაგ.: **ცაუ**, მწ ხოლა გუემ ათხუა „აუ, რა ცუდი სა-
ქმე მომხდარა!“ 2. „უარყოფითი ნაწილაკი — არა“, მაგ.: **ცაუ**, დემის
ღური! „არა, არ წავალ!“ < ქართ. აუ! **ცაუ** შორისდებული დასტურდება
მეგრულშიც, რომელიც გამოხატავს წყენასა და გაკვირვებას და ისიც,
ჩვენი ვარაუდით, ქართული აუ-სგან უნდა მომდინარეობდეს.

ცაჰ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)/ **ცაჰჰ** (ბქ.) 1. „დანანებისა და გაკვირვების
გამომხატველი შორისდებული — აჰ, ეჰ“, მაგ.: **ცაჰ**, ამიშ მამაგუემ მიხა!
„აჰ, ამისი არაფერი არ ვიცი!“ 2. „უარყოფითი ნაწილაკი — არა“, მაგ.:
ცაჰ, დემე მაკუ! „არა, არ მინდა“ < ქართ. აჰ! შდრ. მეგრ. **ცაჰ/ცა** „არა“.

ცაჰჰ (ბქ.) „გაკვირვებისა და გაოცების გამომხატველი შორისდებუ-
ლი — აჰა“, მაგ.: **ცაჰჰ**, მწ ხოჩმინა! „აჰა, რა უქნია!“ < ქართ. აჰა!

ცე (ზს., ჩოლ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ე“,
მაგ.: **ცე**, სი მარე! „ე, შე შე კაცო!“ < ქართ. ე! შდრ. მეგრ. **ცე** „ეხ“.

ცეა (ზს., ლშხ., ჩოლ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული
— ეი“, მაგ.: **ცეა**, ბატო! „ერიჰა, ბატონო!“ < ქართ. ეი!

ცეუ (ბქ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — აუ, ეუ“,
მაგ.: **ცეუ**, სი ზურალ! „აუ, შე ქალო!“ < ქართ. ეუ!

ცეჰ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „დანანების გამომხატველი შორისდებული —
ეჰ“, მაგ.: **ცეჰ**, მწ ხოჩა ამსულდ ლსსუ! „ეჰ, რა კარგი ადამიანი იყო!“ <
ქართ. ეჰ! შდრ. მეგრ. **ცეჰ** „დანანების გამომხატველი შორისდებული — ეხ“.

ცეჰა (ბქ.) „გაკვირვებისა და გაოცების გამომხატველი შორისდებუ-
ლი — ეჰა, არიჰა“, მაგ.: **ცეჰა**, ალი მწ ხოჩმინა! „ეჰა, ეს რა უქნია!“ <
ქართ. ეჰა!

ციჰ (ბქ.) „დანანების გამომხატველი შორისდებული — იჰ, ეჰ“,
მაგ.: **ციჰ**, მწ ხოჩა ლესდი ლსსუ! „იჰ|ეჰ, რა ლამაზი იყო!“

ცი (ზს.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ბიჰოს“,
მაგ.: **ცი**, სი მარე! „ო, შე კაცო!“ < ქართ. ი!

ციოტ (ზს.) „გაკვირვებისა და წყენის გამომხატველი შორისდებუ-
ლი — იოტ“, მაგ.: **ციოტ**, სი მარე! „იოტ, შე კაცო!“ **ციოტ**, ჯდესერ დეი-
შაფერიშ! „ი, შე უმსგავსო შენაო!“ < ქართ. იოტ (შდრ. მეგრ. **ცი-
ოტ**!).

ციო (ბქ.) 1. „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ბი-
ჰოს“, მაგ.: **ციო**, ალი დემეგ მიხალდა! „ბიჰოს, ეს არ ვიცოდი!“ 2.
„უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი — იო“ < ქართ. იო!

ციუ (ბქ.) „განცვიფრებისა და წყენის გამომხატველი შორისდებუ-
ლი — იუ“ < ქართ. იუ! შდრ. მეგრ. **ციუ** „განცვიფრების გამომხატვე-
ლი შორისდებული — იუ“!

ციხ/ციჰ (ზს., ჩოლ.) „მწუხარებისა და წყენის გამომხატველი შო-
რისდებული — იხ/იჰ“, მაგ.: **ციხ**, უკაცრაჟათ, მართლ როქ ლი! „იხ,
უკაცრაჟად, მართალიაო!“ **ციჰ**, მწ ხოლა გუემ ოლჩუმენელი! „იჰ, რა
ცუდი საქმე მომხდარა!“ < ქართ. იხ/იჰ! შდრ. მეგრ. **ციხ/ციხე** „შებრა-
ლების გამომხატველი შორისდებული — იხ“!

ციჰჰ (ბქ.) „სიხარულის გამომხატველი შორისდებული — უჰ, ვიშ“,
მაგ.: **ციჰჰ**, მწ ხოჩა ლი! „უჰ, რა კარგია!“ < ქართ. უჰ! შდრ. მეგრ. **ციჰჰ**
„მწუხარება-დანანების გამომხატველი შორისდებული — უჰ“!

ციჰჰ-ციჰჰ-ციჰჰ (ბქ.) „სიხარულისა და აღფრთოვანების გამომხატვე-
ლი შორისდებული — უჰ-უჰ-უჰ, ვიშ-ვიშ-ვიშ“, მაგ.: **ციჰჰ-ციჰჰ-ციჰჰ** მწ
გამწ ლი! „ვიშ-ვიშ-ვიშ, რა გემრიელია!“ < ქართ. უჰ-უჰ-უჰ!

ხმოვნის მაგარი შემართვა, მკვლევართა აზრით, განსაკუთრებით
დამახასიათებელია მეგრულ-ჭანურისათვის, ხოლო სვანურში, როგორც
მაგალითებმა აჩვენეს, გარდა შორისდებულებისა, ხმოვნის მაგარი შე-
მართვა არ დასტურდება.

ასევე შესაძლოა სვანურში ხმოვნის მაგარი დამართვაც შეგვხვდეს.
ეს მოვლენაც, ძირითადად, მხოლოდ შორისდებულებთან არის შესაძ-
ლებელი, მაგ.: **ეც** „ე, აი“, **აე** „ა, აი“, **ოც** „ო“ და ა. შ.

ამრიგად:

1. კვლევამ აჩვენა, რომ სვანური ენის ვოკალიზმისათვის დამახასია-
თებელია ხმოვანთა შემართვის ორი სახე — **ფშვინვიერი** და **ძლიერი**
შემართვა.

2. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ახასიათებს ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებს, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებს (ლაშხურს, ლენტეხურსა და ჩოლურულს) — ძალზე იშვიათად.

3. ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუღის, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში პარალელურად ზემოსვანურ დიალექტებშიც დადასტურდა იგივე იოტირებული და ვიწრო ხმოვნები ფშვინვიერშემართვიანი ფორმების გვერდით.

4. სვანურში არაერთი ნასესხები სიტყვა დაფიქსირდა, სადაც თავკიდური **ო** და **უ** ხმოვნების წინ **ჟ** ვითარდება, რომელსაც პირობითად **ბილაბიალური შემართვა** ვუწოდეთ. ამ შემთხვევაშიც პროცესი ერთნაირად არ მიმდინარეობს სვანური ენის დიალექტებსა თუ კილოკავებში. ნიუანსური განსხვავებები აქაც თვალნათლივ იჩენს თავს.

5. რაც შეეხება ხმოვანთა შემართვის მეორე სახეს, **ძლიერ შემართვას**, იგი სვანურში გარდა შორისდებულებისა თითქმის არსად არ დასტურდება.

ლიტერატურა

ახვლედიანი, 1949 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 104-105.

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ლიპარტელიანი, 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1994.

ნიჟარაძე, 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007.

ჟღენტი, 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.

სალოიანი, 2005 — მ. სალოიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2005.

სვ. პოეზ., 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბ., 1939.

ქალდანი, 1955 — მ. ქალდანი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955.

ქაჯაია, 2001-2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, II, III, თბ., 2001-2002.

ზივერსი, 1901 — Ed. Sievers, Grundzüge der Phonetik, 1901, S. 151-152.

MEDEA SAGHLIANI

Types of Vowel Onset in the Borrowed Stems in Svan

Summary

For the Svan vocalism two types of vowel onset - aspirated and strong - are typical. The aspirated onset is characteristic of Upper and Lower Bal dialects. However, it is less noticeable in the Lower Svan dialects (Laskhian, Lentekhian and Cholurian). In lower Svan dialects the narrow and jotised vowels are encountered instead. Though in Upper Svan dialects jotised and narrow vowels are evidenced alongside the aspirated ones. In the borrowings the so-called bilabial onset - i. e. the use of ũ before the initial vowels o and u is attested. The strong onset, however, is encountered only in interjections.

ი ა ფსაბაძე

სიმულაკრი, რეკლამა, მითი, საზოგადოება

რეკლამის საკითხი ძირითადად სიმულაციის საკითხია. ამიტომ საინტერესოა იმ მოვლენათა წარმოდგენა, რომელთაც განსაზღვრეს მედიის მმართველი როლი თანამედროვე საზოგადოებაში და სიმულაცია, როგორც ამავე საზოგადოების რეალიზაციის ძირითადი ფორმა. ეს უკანასკნელი რეკლამის საფუძველია, რომელიც თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უნივერსალური განზომილებაა. სიმულაციის მოვლენა პლატონიდან დაწყებული, თანამედროვეობის ყველაზე არაორდინარულ მოაზროვნეთა ინტერესისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა და სამყაროს შესახებ ცოდნის სხვადასხვა დონეზე განლაგდება. მისი არსი ადამიანის კოგნიტიურ და სემიოტიკურ საქმიანობის სფეროში თავსდება. მას მკვეთრად გამოხატული ფსიქოლოგიური და სოციალური მახასიათებლები ახლავს. მისი რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას ენა წარმოადგენს. სავარაუდოდ, ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს სიმულაციისა და რეკლამის კვლევა.

რამდენადაც რეკლამა (კლიპი) ძირითადად აუდიოვიზუალურ არხს იყენებს, საინტერესოა ზოგიერთი მოსაზრება ამ მხრივ. ჰ.მ. მაკ-ლუეინი თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების შესწავლის ფუძემდებელია. მისი ნაშრომების ძირითადი აზრი ერთი წინადადებით გამოიხატება: „მედია-მესიჯია“. საზოგადოებაზე გავლენას ახდენს არა მნიშვნელობა, არამედ თვით გადაცემის არხი. მედიას ღრმად მაცენტრალიზებული როლი აქვს დაკისრებული. იგი აერთებს სტრუქტურირებულ საზოგადოებას ბრძანების გამცემი ცენტრის ირგვლივ. მაკ-ლუეინი მესიჯს ათავსებს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, რომელსაც მოლაპარაკე გამოხატავს, არამედ იგი მას უნიკალურ კომბინაციაში ათავსებს. ამრიგად, პირველ პლანზე გამოდის გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალებებიდან მიღებული გამოცდილება (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.), რომელიც მესიჯს უქვემდებარებს მედიას და ამრიგად შეაბრუნებს ტრადიციულ დაპირისპირებას ფონი/ფორმა.

ვინაიდან მესიჯი — ეს არის მედია, ამდენად მნიშვნელოვანია, თუ როგორ ფორმას იღებს მედია (ტექნოლოგიის ეფექტი) ისევე როგორც მისი კომბინირება მესიჯთან. მაგ. პიროვნებათა შორის იდენტური საუბარი განსხვავებულად აღიქმება გადაცემის საშუალების მიხედვით. გამოყენებული საშუალება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის გრძნობის ორგანოებსა და ტვინზე, იმდენად, რომ მესიჯი შეიძლება ძირეულად შეიცვალოს. მაგ. ერთი და იგივე ფოტო, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ფორმატით წარმოდგენილი, სრულიად განსხვავებულად აღიქმება; ტვინი ჩვენგან მალულად მოქმედებს;

მაკ-ლუეინი მედიას ორ დიდ კატეგორიად ყოფს: ერთი მხრივ, „ცხელი“ მედია, რომელიც ჩვენ გრძნობათაგან მხოლოდ ერთის მონაწილეობას თხოულობს; ვინაიდან ამ შემთხვევაში ინფორმაცია დასაწყისით ძალიან მდიდარია და ტვინის მონაწილეობა სუსტია; „ცივი“ მედიის საშუალებანი, რომლებიც მიმართულია მრავალი შეგრძნებისაკენ, უპირატესად ღარიბია. ისინი მიმდების მხრიდან ძლიერ მნიშვნელოვან მონაწილეობას თხოულობენ ამ სიღარიბის ასანაზღაურებლად. აქედან გამომდინარეობს დიდი განსხვავება სახეთა ხარისხში „ცხელ“ კინოსა და „ცივი“ ტელევიზიის შორის.

მარკონის აზრით, ჩვენ ვტოვებთ „გუტენბერგის გალაქტიკას“, რათა შევიდეთ „მარკონის გალაქტიკაში“. ზოგიერთის აზრით, ეს ბეჭდური ინფორმაციის დასასრულია; სინამდვილეში პირიქით ხდება, ვინაიდან უფრო სწრაფი, მაგრამ უფრო დაუმუშავებელი (ნედლი) ინფორმაციის გადმოცემის გამო ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით გაიზარდა მათი შემოქმედების და დასაბუთების აუცილებლობა.

რეჟის დებრეი ხშირად მაკ-ლუეინის დებულებათა გამგრძელებლად მიიჩნევა; თუმცა იგი ხაზს უსვამს გაერთიანებათა (მატერიალიზებული ორგანიზაცია) და მედიის მნიშვნელობას (ორგანიზებული მატერია) რწმენათა გადასაცემად. ორივეს საყვედურობენ გადაჭარბებულ გადახრას ისტორიციზმისაკენ.

ვინაიდან დღევანდელი საზოგადოება ძირითადად მომხმარებლური საზოგადოებაა, ამდენად მნიშვნელოვანია იმ იმპულსების დადგენა, რომელიც ქვეცნობიერად მართავს მას. ასეთ მნიშვნელოვან იმპულსად საფუძველს იყრის რეკლამა და მისი ერთ-ერთი კონკრეტული სახე — კლიპი. სამყარო, რომელსაც კლიპი ასახავს ვირტუალურ-

რია, არარეალური, მისი ტოპოსი ისეთ კოორდინატებზეა განლაგებული, რომლებიც რეალობასაა აცდენილი; რა თქმა უნდა, მისი მნიშვნელობის შეფასება ჭეშმარიტების ღირებულების თვალსაზრისით არ ხდება და მოქმედება ერთგანზომილებიანია, უშუალო და არაცნობიერი ამ თვალსაზრისით.

ასეთი მნიშვნელობის გამო რეკლამა (კლიპი) უკავშირდება ისეთ მოვლენას, რომელსაც სიმულაცია ეწოდება, ხოლო მის პროდუქტს — სიმულაკრი.

ამერიკაში ოთხმოციან წლებში გავრცელებული იყო შემოქმედებითი მოძრაობა „სიმულაციონიზმი“, რომელიც მიზნად ისახავდა „რეპროდუქციების რეპროდუქცირებას“, მანუფაქტურული საგნების გამოყენებას, ფოტოების ფოტოგრაფირებას და ა.შ. სიმულაციონისტები თვლიან, რომ რეალობა გაჭერებულია ნიშნებით და რეპრეზენტაციებით, რაც ხარახურით ავსებს რეალობას ნაცვლად იმისა, რომ ცხადი გახადოს იგი. ამიტომ, ხელოვნება ხდება კრიტიკის იარაღი მან, როდესაც იგი (ხელოვნება) წარმოადგენს ილუზიის საყრდენს. ყველაზე ცნობილი სიმულაციონისტი ხელოვნები არიან: ბარბარა კრუმერი, ალენ მაკ-კალუმი, რიჩარდ პრინსი და ჯეფ კუუნსი.

რიჩარდ პრინსი აკეთებს არსებული რეკლამის ფოტოებს, თავიდან ახდენს კადრების განალაგებას ან აღიღებს მათ. მან შექმნა სახეები ძალიან ცნობილი სარეკლამო კამპანიების ვიზუალური კოდებიდან.

ბარბარა კრუმერი კლიშეებზე მუშაობს; იგი იყენებს და ზრდის არსებულ ფოტოებს და ურთავს მათ ბანალურ და უცნაურ ფრაზებს, იგი მიმართავს მამაკაცებს „you“, ხოლო ქალებს „we“, ამით ცდილობს უშუალო კავშირი დაამყაროს მათთან თავისი ნაწარმოებით.

ჯეფ კუუნსი ცნობილი სურათების ასლებს ხატავს, ან აკეთებს ცნობილი ფოტოგრაფების ტირაჟთა ფოტოკოპირებას; ამით იგი ცდილობს ორიგინალურობა და თავისთავადობა დაამტკიცოს. იგი იყენებს სხვა ხელოვნება მიერ უკვე გამოყენებულ ნივთებს.

სიმულაციონისტები თვლიან, რომ რეალობა დაპყრობილია ნიშანთა და მათ გამოხატულებათა მიერ, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ, რომ ისინი ჩვენთვის ხილული გაეხადათ. ხელოვნება, ტრადიციულად სიმულაკრების და ილუზიების წყაროდ მიჩნეული, სიმულაციონისტების ხელში მათი კრიტიკისა და რეპრეზენტაციის ფორმათა სიმრავლის იარაღი ხდება.

სიმულაკრების ერთ-ერთი ინტერპრეტატორი, ჟან ბოდრიარი ფრანგული პოსტმოდერნის თეორეტიკოსია. მისი ძირითადი აზრი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „რეალობის გაქრობა“.

იგი ოთხმოციან წლებში ფილოსოფიას აკავშირებს თანამედროვე ხელოვნებასა და ავანგარდთან. იგი მოღვაწეობდა ასპენის კოლოქვიუმში (1970 წ.), ხდება იმ დროის ყველაზე ცნობილ ლიტერატორებს და ინტელექტუალებს, პალო-ალტოს სკოლის წევრებსა და კიბერნეტიკის სპეციალისტებს. იგი სისტემატურად ესწრება იტალიაში უმბერტო ეკოს სემიოტიკური მოძრაობის მანიფესტაციებს. იგი გამუდმებით აკრიტიკებდა მეცნიერულ რაციონალიზმს, ეპისტემოლოგიას, რეალობასა და ვირტუალობასთან დამოკიდებულ ცნებებს. მის იდეებს იზიარებს მრავალი ხელოვანი, მუსიკოსი, კინემატოგრაფისტი, ნიუორკელი სიმულაციონისტებით დაწყებული ძმებ ვაჩოვსკიმდე. თანამედროვე ფრანგული და უცხოური პოეზიისა და ლიტერატურის, ამავე დროს ფილოსოფიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ხელოვნებათა, მუსიკის, ფანტასტიკური ლიტერატურის მოყვარული, ყოველივე ამაში იგი (ბოდრიარი) პოულობს სხვადასხვა სტილისტურ იდეებს, სახელდობრ, ჰიპერბოლური სიჭარბის წინამორბედს, ფიქციიდან მომდინარე რიტორიკას, რომლებსაც იგი ექსპერიმენტის სახით გამოიყენებს თავის სოციოლოგიურ გამოკვლევებში. ბოდრიარის მთელი ცხოვრება აკადემიზმის წინააღმდეგ მიმართული თავხედურ და სოციალურად ანგაჟირებულ დამოკიდებულებებს წარმოადგენს, რაც ხელისუფლების წინააღმდეგ აზროვნების ჭეშმარიტი დაპირისპირებით გამოიხატა; რაც ხშირად კულტურული კატასტროფის ფორმით სრულდებოდა. მისი აზროვნებით თავისუფლება მის ძალას წარმოადგენდა და მისი აქტიურობის ინტელექტუალური ფორმა მისი შემოქმედების მშვენიერებით გამოიხატება.

ჟან ბოდრიარი თანამედროვე საზოგადოების თეორეტიკოსია, იგი ანალიზებს მედიისა და კომუნიკაციის ფორმებს პოსტმოდერნიზმში, მისი შემოქმედება წვდება თანამედროვეობის ნებისმიერ სოციალურ-ისტორიულ, ყველანაირ საკომუნიკაციო სისტემებში წარმოდგენილ პრობლემას.

ბოდრიარი ფუკოს, ბარტის, ლაკანის, დელეზისა და სხვათა, 70-იანი წლების მოაზროვნეთა თანამედროვეა; იგი თავიდან სტრუქტურალისტი იყო, იკვლევდა სემიოტიკას, ნიშნის მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციის სისტემებს. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, აღსა-

ნიშნი კარგავს ნეიტრალური ობიექტის სტატუსს და რთულ მიმართებებს ამყარებს არა მხოლოდ მოლაპარაკესთან, არამედ მთელ სოციალურ სისტემასთან. ბოდრიარი, ნიცემს შემოქმედების კვალდაკვალ, დაინტერესებულია ობიექტის გამოვლინებით, მისი წესებით, წესების დანერგვით და იყენებს ტერმინებს: „ცთუნება“, „სიმულაცია“, და „პიპერ-რეალობა“. მისი ერთ-ერთი ცენტრალური თეზისი ემყარება „რეალობის გაქრობას“, რომელსაც ჩვენაცვლება სიმულაციების სერია, რომელიც განუწყვეტლივ კვლავ-წარმოიშობა. ძირითადი პრინციპის თანახმად, მნიშვნელობა და შესაბამისად ღირებულება, თვითრეფერენტული ხდება. ამ პრინციპით ბოდრიარი იცავს იდეას, რომელიც დღევანდელ საზოგადოებაში, სადაც საკომუნიკაციო ტექნოლოგიამ შექმნა მნიშვნელობის უკიდურესი სიჭარბე, მნიშვნელობის თვით-რეფერენტულობამ უბიძგა არა „გლობალური“ „სოფლის“ (მაკლუენის მოდელი), არამედ სამყაროს წარმოქმნისაკენ, რომელშიც მნიშვნელობა წაიშალა, ხოლო საზოგადოება დაყვანილ იქნა ბუნდოვან (არაგამჭვირვალე) მასაზე, ხოლო „რეალობა“ — მხოლოდ მისი არსებობის ავტორეფერენტულ ნიშნებამდე. ამ პრინციპის მიღების შემდეგ ბოდრიარი აკრიტიკებს თანამედროვე ლიბერალურ ჰუმანიზმს, რომელიც სპობს ყველანაირ შესაძლებელ პოლიტიკას, რომელიც იღებს სამხედრო ჩარევის განსხვავებულ ფორმასა და დასავლური ქედმაღლობის სახეს; ბოდრიარი არ ცდილობს გაიგოს სამყარო, იგი წარმოადგენს ობიექტის ცნებას და მისი ცთუნების ძალას. (მის ძალას „passer pour“, ანუ სიმულაციას). პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი სულ უფრო და უფრო უპირისპირდება სემიოტიკურ ლოგიკას (მნიშვნელობა, ნიშანი, აზრი, გაცვლის სიადვილე), რათა დაბრუნებოდა სიმბოლური სისტემის ლოგიკას: საჩუქრების გაცვლის, პოტლაჩის სისტემას. სიცოცხლის ბოლოს ბოდრიარი სამყაროს ბინარული ოპოზიციების ტერმინებში აღწერდა სიმბოლური კულტურების (საჩუქრების გაცვლაზე დამყარებული) და „გლობალიზებული“ სამყაროს ტერმინებში (რომელიც ემყარება ქონებისა და ნიშნების გაცვლას, არასიმბოლურ ლოგიკას). მას არ ესმოდა სოციალური ცხოვრების სიმბოლური ასპექტი.

ბოდრიარის შემოქმედება მისთვის დამახასიათებელი დინამიკითა და პოეტურობით, მთლიანად პოსტმოდერნულია.

ბოდრიარი სულ უფრო და უფრო დაინტერესებულია მარშალ მაკლუენის თეორიით, რომლის მიხედვით სოციალური ურთიერთო-

ბანი განისაზღვრება კომუნიკაციის იმ ფორმებით, რომელსაც ეს საზოგადოება იყენებს. ამ გზით, იგი გასცდა სოსიურისა და ბარტის ფორმალურ სემიოლოგიას და აღიარა სტრუქტურალური სემიოლოგიის არაფორმალური, ისტორიულად დასაბუთებული მონაცემები.

ბოდრიარი უშვებს, რომ დასავლეთის საზოგადოებებმა განიცადეს „სიმულაციების წრე ბრუნვა“, რომელმაც მიიღო სიმულაცირითა რიგის ფორმა დაწყებული ორიგინალიდან ამ უკანასკნელის საპირისპირომდე, მექანიკურ და წარმოებულ ასლამდე, თვით მესამე ხარისხის სიმულაციამდე, რომელიც მოწოდებულია, რომ ასლმა შეცვალოს ორიგინალი. ბოდრიარი განასხვავებს სიმულაციას ასლისაგან, ეს უკანასკნელი რეფერენტულ მიმართებას ამყარებს ორიგინალთან, ხოლო სიმულაციის თავს აჩვენებს და ამით წარმოქმნის სხვა სიმულაციებს: ორიგინალის, ნამდვილი მოვლენის, პირველი რეალობის კვალი ქრება და მის ადგილს იკავებს სიმულაცირითა ურთიერთმონაცვლეობა. ამ შემთხვევაში ბოდრიარი იზიარებს ჭეშმარიტების, როგორც პირბადის და ქალური მორცხვობის ნიცემსეულ ანალიზს, რომლის მიხედვით პირბადეთა სიმრავლე ფარავს სხვა პირბადეებს; ყველა პირბადის მოხსნის შემდეგ მის უკან აღარაფერი რჩება. ჩვენ დღევანდელ საზოგადოებაში სიმულაცირმა შეცვალა ორიგინალი (**L'Échange symbolique et la mort**). ოთხმოცდაათიან წლებში ბოდრიარმა გამოცადა თავისი თეორიები მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ და არა რეალობის მიმართ, ვინაიდან ეს უკანასკნელი გამქრალია. მაგალითად, თავის წიგნში „La Guerre du Golfe n'aura pas lieu“ ბოდრიარი წერდა, რომ ომის სიმულაციის წინ უსწრებდა რეალურ კონფლიქტს, ხოლო „**Simulacres et simulation**“-ში აღიარებდა, რომ სიმულაცია წინ უსწრებს რეალობას და ამდენად წარმოშობის უნარს ფლობს. თანამედროვე ეპოქა ხასიათდება, როგორც ზე-რეალობა (**hyper-réalité**), რომელშიც ჭეშმარიტი ისპობა ან იცვლება მისი არსებობის ნიშნებით. ამ გზით საზოგადოებრივი თეორიები ენის საშუალებებით ყალიბდება. მნიშვნელოვანია „საინტერესო თეორიების“ და არა ნამდვილი თეორიების შექმნა. ამ ცინიზმის გამო ბოდრიარი ყველაზე ხშირად განიკიცებოდა განაცხადა რა, რომ „რეალური არ არსებობს“. მისი ფილოსოფიური გამოწვევა ლაიბნიცის კითხვისაგან „რატომ არსებობს რაღაც, ვიდრე არაფერი“ განსხვავებით, წარმოადგენს: „რატომ არის არაფერი, ვიდრე რაღაც?“ ბოდრიარის შეხედულებათა უკიდურესობა განაპირობებდა მთავარ კრიტიკას მისი ზოგიერთი მო-

საზრების მიმართ.

ბოდრიარის ერთ-ერთი უახლესი შენიშვნა ძმების ვაჩოვსკების ფილმს „მატიცას“ ეხება, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა და რომლის ძირითად გზავნილს, მესიჯს, სწორედ ამ ფილმის უსაზღვრო გავრცელება წარმოადგენს, რაც ამართლებს მაკ-ლუენინის მოსაზრებას მესიჯი — მედიუმი.

ბოდრიარს მიაჩნია, რომ სიმულაციონისტები შეცდომით აიგივებენ ვირტუალურს ფაქტობრივ მდგომარეობასთან და აქცევენ მას ხილულ ფანტაზმად; ვირტუალური სამყაროს მიმართ რეალობის კატეგორიების გამოყენება დაუშვებელია. ასეთ შეცდომას სხვა თანამედროვე ფილმებიც უშვებს. მეორე შეცდომა ილუზიის გაიგივება სიმულაციასთან. სამყარო, როგორც ილუზია მრავალი დიდი კულტურის საფიქრალს წარმოადგენდა და ამ პრობლემის გადასაჭრელად ხელოვნებას და სიმბოლოს მიმართავდა; ბოდრიარმა ეს პრობლემა ვირტუალური სამყაროს, რეალურის სიმულირებული სამყაროს გამოგონებით გადაჭრა; სამყაროდან განდევნილია ყველაფერი სახიფათო, ნეგატიური, რეალური, რომელიც ამ სამყაროს საბოლოო გადაწყვეტილებას წარმოადგენს. ამ სამყაროში წარმოდგენილია ყველაფერი, რაც ეხება სიზმარს, უტოპიას, ფანტაზმას. ფილმი თანამედროვე ტექნოლოგიური საზოგადოების ინსტრუქციულ სიმპტომს, ფეტიშს წარმოადგენს, იგი რეალურსა და წარმოსახვითს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს. თანამედროვე ეპოქის კრიტიკული დამოკიდებულება ასეთი მოვლენების მიმართ გარეგნულია, ყველაფერი უარყოფითი ჩაქსოვილია სანახაობაში, როგორც დაძველება თან ახლავს წარმოებულ საგნებს. ეს კრიტიკა ყველა შესაძლო ალტერნატივას უკეტავს კარს; აღარ არსებობს არავითარი გარეგანი საყრდენი, რომელიც ამ სამყაროზე ფიქრის საშუალებას მოგვცემდა, არავითარი საპირისპირო ფუნქცია, რჩება მხოლოდ მორჩილი მიმხრობა. მაგრამ რაც უფრო სრულყოფილი ხდება სისტემა, მით უფრო უახლოვდება იგი ტოტალურ კატასტროფას. ტერორიზმი მომაკვდინებელი შემობრუნების მეტაფორაა დასავლეთის ძალისა თავის თავზე; თუმცა ეს არ უნდა გვიბიძგებდეს პესიმიზმისაკენ. სისტემა, ვირტუალური, მატრიცა, ყველაფერი ეს ისტორიის სანაგვეს დაუბრუნდება. შექცევადობა, გამოწვევა, ცთუნება უცვლელია. (ბოდრიარი, ინტერვიუ „Nouvel Observateur“-თან).

ბოდრიარი მიიჩნევს, ნიცშეს კვალდაკვალ, რომ თანამედროვე მოხმარების საზოგადოებაში სუბიექტი კარგავს მნიშვნელობას, მის

შესახებ ცოდნა აღარ ატარებს რაციონალურ და არგუმენტირებულ ხასიათს და მის ძირითად საგნად ობიექტი იქცევა. იგი იკვლევს ობიექტს, როგორც აგენტს, მოძრაობაში, რომელიც ფლობს შექცევად შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება გადავიდეს სუბიექტზე ან პირიქით, ან ხალხის, მდუმარე უმცირესობის შექცევადობას, როგორც დანგრეული ისტორიის კრიზისიდან გამოსავალს. ასეთ დროს ობიექტი გადააჭარბებს მასზე მაფიქრებულ სუბიექტს, უკანასკნელი ვეღარ აკონტროლებს მნიშვნელობას და ობიექტი იწყებს ბატონობას თავისი საკუთარი ქედმაღლური წესების მიხედვით: „სუბიექტის მთელი ბედი გადადის ობიექტში“. ბოდრიარი ქმნის კონცეპტუალურ გრამატიკას, რომელიც ხსნის ერთიმეორის მომხმობ საგანთა (საგანთა ცთუნება) ალაღბედ მექანიზმს. თანამედროვე საზოგადოებაში ღირებულების ყველა სახეობა გაერთიანებულია ღირებულების ზოგად ეკვივალენტურობაში. ღირებულების ასეთი ნგრევა აისახება როგორც სოციალურ, ასევე ფილოსოფიურ საქმეთა მდგომარეობაში და საკომუნიკაციო ენაში ავტონომიის რეჟიმით — „ნიშნის ნებაყოფლობა“ (სოსიური) იძლევა იმის საშუალებას, რომ განისაზღვროს რა დონეზეა სიტყვები დამოუკიდებელი თავიანთი კონკრეტული რეფერენტისაგან; რამდენად შეიძლება ითქვას, რომ ცნება წინასწარ გულისხმობს საგანს. მოვლენები და საზოგადოება წარმოქმნის როგორც ენობრივად შესაძლებელ, ასევე შემთხვევით ნიშნებს. ნიშნის ნგრევა, მისი ორივე კომპონენტის დამოკიდებული მოქმედება უდევს საფუძვლად რეკლამის წარმოქმნას. ვინაიდან მოვლენები არასოდეს ერთნაირად არ მეორდება, მარადიული დაბრუნების მითს თან ახლავს თითოეული ციკლისათვის დამახასიათებელი სიმულაკრები, რომელთა გაერთიანება ჰქმნის მოჩვენებათა, ფანტაზმათა სისტემას, რომლებიც საფუძველს უმყარებს არსებულ მითთა აქტიურობას.

სიმულაკრის განსაზღვრას უ. დელეზი ჯერ პლატონთან, ხოლო შემდეგ ეპიკურესთან და ლუკრეციუსთან ცდილობს; ამავე დროს იგი გადმოსცემს საკუთარ შეხედულებას სიმულაკრის თაობაზე და იყენებს ფ. ნიცშეს მოსაზრებებს ზოგიერთ კონკრეტულ საკითხზე.

სიმულაკრის პლატონისეული გაგება ემყარება განსხვავებას არსსა და მოვლენას, გონით მისწვდომასა და გრძნობადს, იდეასა და სახეს, ორიგინალსა და ასლს, მოდელსა და სიმულაკრს შორის. განსხვავება სიმულაკრსა და ასლს შორის ძირითადი განსხვავებაა და იგი მსგავსებაზე პრეზენტაციას ეყრდნობა.

ასლი მყარად მსგავსებით დასაბუთებული პრეტენდენტია, სიმულაკრი არამსგავსებაზე აგებული ყალბი პრეტენდენტია, რომელიც თავის თავში შეიცავს ძირეულ შებღალავს, შებრუნებას. ამ თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სახე-კერპები: ერთი მხრივ — ასლი-ხატი; მეორე მხრივ — სიმულაკრი — ფანტაზმა. ასლი და ხატი მსგავსებას ემყარებიან; მსგავსება არ გაიგება როგორც გარეგანი მიმართება, არამედ დამოკიდებულებაა საგანსა და იდეას შორის, იდეა მოიცავს არსის შემადგენელ მიმართებებსა და პროპორციებს; მსგავსება როგორც შინაგანი და სულიერი, პრეზენტაციის საზომს წარმოადგენს. ასლი მხოლოდ იმდენად ჰგავს რაღაცას, რამდენადაც იგი ჰგავს საგნის იდეას. პრეტენდენტი ობიექტს მხოლოდ იმდენად შეესაბამება, რამდენადაც იგი შინაგანად და სულიერად აიგება იდეის მიხედვით. სიმულაკრი იდეას არ ეხება, იგი შინაგან უწონასწორობაზე აიგება და არა მსგავსებაზე.

სიმულაკრი ასლის ასლია, უსაზღვროდ გადაგვარებული და თავაშვებული ხატი, სიმულაკრი მსგავსებას მოკლებული ხატია, ხოლო ასლი — მსგავსებით დაჯილდოებული ხატი. კატექიზმომ (პლატონიზმით შთაგონებულმა) შთააგონა ადამიანებს, რომ ღმერთმა შექმნა თავისი სახისა და მსგავსების მქონე ადამიანი, რომელმაც ცოდვის გამო დაკარგა მსგავსება და შეინარჩუნა სახე. „ჩვენ გავხდით სიმულაკრები, ჩვენ დავკარგეთ მორალური არსებობა, რათა შევსულიყავით ესთეტიკურ არსებობაში“ (დელეზი. 297). ეს შენიშვნა ხაზს უსვამს სიმულაკრის დემონურ ბუნებას. ასლი ბაძავს მოდელს, ეს მიბაძვა ნოემურია, სულიერი და შინაგანი. იგი ნამდვილი პროდუქციაა, მიმართებებისა და პროპორციების შედეგი; მას უკავშირდება აზრი და ცოდნა.

მიბაძვა, როგორც სიმულაცია პეიორატიული (განქიქებითი) მნიშვნელობის მქონე, ეხება მხოლოდ სიმულაკრს და გამოხატავს გარეგულ და არაპროდუქტიულ შედეგს, ეშმაკობის ან დამხობის საშუალებით მიღებულს.

პლატონის აზრით, სიმულაკრი არაპროდუქტიულია, მას ცოდნა კი არ უკავშირდება, არამედ მხოლოდ ირონია; ამის მიზეზი სიმულაკრის დიდი განზომილება, სიღრმეები და მანძილია, რომელსაც ადამიანი (დამკვირვებელი) ვერ ერევა, ვერ დაძლევის. ეს უკანასკნელი თვითონ წარმოადგენს სიმულაკრის ნაწილს, რომელიც გარდაიქმნება და გადაგვარდება თვალსაზრისთან ერთად. საბოლოო ჯამში, სიმულ-

ლაკრში ხორციელდება გიჟური-გახდომა (**un devenir-fou**), უსაზღვრო გახდომა, ყოველთვის სხვად გახდომა, სიღრმეთა ამოტრიალებული გახდომა, რომელიც მოხერხებულად გაუტრბის თანაბარს, საზღვარს, იმავეს ან მსგავსს, ყოველთვის ერთდროულად მეტს ან ნაკლებს, არასოდეს — თანატოლს.

პლატონიზმის ძირითადი სურვილია ხატებს გაამარჯვებინოს სიმულაკრზე გახდომისათვის ზღვრის დადებით, მისი მოწესრიგებით და მსგავსად გახდომით, მეამბოხე ნაწილის ყველაზე ღრმად ჩავდებით, მისი ჩაკეტვით გამოქვაბულში ან ოკეანეში.

როგორც ხელოვნების ნაწარმოებში მოქმედებს ერთგვარი რეზონანსი მის შინაგან ყველა მწკრივს შორის, ასევე მოქმედებს იგი სიმულაკრში; ეს შინაგანი რეზონანსი იწვევს იძულებით მოძრაობას, რომელიც გადმოდის თავისი ნაპირებიდან და ამოდის ზედაპირზე, აქ მუდგანდება მისი შემკავებელი ძალა, ფანტაზმის ძალა. სიმულაცია თვით ფანტაზმია, მას არ შეიძლება ეწოდოს გამოვლენა, ილუზია. ფანტაზმი სიმულაკრის მოქმედების ეფექტია, როგორც მაქინაციის, დიონისური მანქანის გამოვლენა. საქმე ეხება სიყალბეს, როგორც ძალას. (ნიცშე — ფსევდო — ყალბის ყველაზე მაღალი ძალაა). ზედაპირზე ამოსვლისას, სიმულაკრი ყალბი ძალის საშუალებით სპობს იმავეს და მსგავსს, მოდელსა და ასლს. იგი შეუძლებელ ხდის მონაწილეთა რიგს, დისტრიბუციის სიმყარეს და იერარქიის განსაზღვრას. იგი სპობს ყოველგვარ საფუძველს, უზრუნველყოფს საყოველთაო დაქცევას, მაგრამ როგორც დადებით და მხიარულ მოვლენას, როგორც ძირის გამოთხრას. სიმულაცია „ნიშნადან“ მომდინარეობს „კოსტიუმის“ ან ნიღბის მნიშვნელობით, რომელიც აღნიშნავს გადაცემის პროცესს, ან ერთი ნიღბის შემდეგ სხვა ნიღბს, კიდევ და კიდევ. სიმულაცია შეიძლება ამ თვალსაზრისით დაუკავშირდეს მარადიული დაბრუნების მითს. პლატონიზმის თანახმად, მარადიული დაბრუნება წარმოადგენს მართულ, ერთცენტრიან გიჟურ-გახდომას, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ასლი გადაუღოს მარადიულს. ამ სახით ჩნდება იგი დასაბამის მითში, ამკვიდრებს ასლს სახეში, უქვემდებარებს სახეს მსგავსებას. მარადიულ დაბრუნებასა და სიმულაკრს შორის ისეთი მჭიდრო კავშირია, რომ ისინი მხოლოდ ერთი მეორის საშუალებით გაიგება; მარადიული დაბრუნება იგივე და მსგავსია, ოღონდ სიმულირებული, სიმულაციის მიერ წარმოებული, სიმულაკრის მოქმედების შედეგი. მარადიული დაბრუნება ცენტრგარეშე წრეა, ყოველ-

თვის ცენტრიდან ამოვარდნილი, უთავბოლო ქაოსი. მარადიული დაბრუნება „დოქტრინის სიმულაკრია“ (კლოსოვსკი); იგი არ გულისხმობს იმავესა და მსგავსს, არამედ ქმნის განსხვავებულის იმავეს განსხვავებულთა ერთადერთ მსგავსებას. იგივე და მსგავსი უბრალო ილუზიებად იქცევიან, როგორც კი შეწყვეტენ სიმულირებას.

თანამედროვეობას სიმულაკრის ძალა განსაზღვრავს. დროისთვის შეუფერებელ (*intempestif* – ნიცშეს თქმით) თანამედროვეობას (მოდერნს) ეკუთვნის, თუმცა მიმართულია მომავლისაკენ; დროისთვის შეუფერებელი (უდროო) დგინდება უშორესი წარსულის, აწმყოს, სიმულაკრის, როგორც ამ მოდერნულის კრიტიკის და მარადიული დაბრუნების ფანტაზმის, როგორც მომავლის რწმენის მიმართ. ყალბი და სიმულაკრი ერთმანეთს არ ემთხვევიან, ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან; ყალბი ასლის ასლია, რომელიც ბოლოს და ბოლოს იცვლის ბუნებას და სიმულაკრად შებრუნდება (პოპარტი); მოდერნის წიაღში ერთმანეთს უპირისპირდება ხელოვნური და ყალბი და ნგრევის ორი სახე: ორი ნიპილიზმი: ნგრევა ასლებისა და მოდელების შენარჩუნების მიზნით და ნგრევა ქაოსის დასამყარებლად, რომელიც ამოქმედებს სიმულაკრებს და აღმართავს ფანტაზმებს.

ეპიკურეს თეორიის თანახმად ზედაპირის სიმულაკრები ფორმას და ფერს იძენენ სიღრმიდან მომდინარე სინათლის გამოისობით; გამონაყოფები და სიმულაკრები არ გაიგება როგორც ატომური წარმონაქმნები, არამედ როგორც ზედ ობიექტზე და მასთან ახლოს დაჭერილი თვისება. ეპიკურე სიმულაკრის მიმართ იმავე ფორმულას იყენებს, რომელსაც ატომის მიმართ; ამდენად სიმულაკრის გამოყოფა ხდება მინიმალურ აღქმად დროზე ნაკლებ დროში; სიმულაკრი შეიგრძნობა როგორც თვისების მატარებელი სახე, რომელიც იქმნება მრავალი იდენტური სიმულაკრის სწრაფი მონაცვლეობით. ეპიკურეს მეთოდის ორიგინალურობა ანალოგიისა და გრადაციის რესურსების კომბინაციაში მდგომარეობს. დრო იყოფა წარმოსადგენ (*pensable*) და აღქმად (*sensible*) დროდ, საიდანაც 3 პუნქტი სიმულაკრს უჭირავს, ხოლო 1 — ობიექტის აღქმად სახეს.

სიმულაკრისა და გამოვლენისაგან განსხვავებული მესამე სახე — ფანტაზმების, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელია ობიექტისაგან, უაღრესად მოძრავია და არამყარ სახეებს ჰქმნიან. (ისინი განუწყვეტლივ განახლებიან ობიექტის მონაცემებით). სიმულაკრის ეს სახე სამ ძირითად ნაირსახეობად იყოფა: თეოლოგიური, სიზმრისეული,

ეროტიკული.

თეოლოგიური ფანტაზმები იმ სიმულაკრებიდან იქმნებიან, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან ცაში, სადაც ისინი ხატავენ ღრუბლების გიგანტურ სახეებს, გიგანტებს და მაღალ მთებს. ჩვენ გარშემორტყმული ვართ სიმულაკრებით, ისინი ყველგან არიან, ისინი თითქოს ცეკვავენ, ლაპარაკობენ, უსასრულოდ იცვლიან ტონს და ქესტებს.

ფანტაზმების მეორე სახეობას ქმნიან განსაკუთრებით ფაქიზი და თავისუფალი სიმულაკრები; ისინი ძალიან სწრაფები და სიფრიფანები არიან და ქმნიან კენტავრებს, ცერბერებს, აჩრდილებს, ყველა სიზმრისეულ სახეს.

ეროტიკული ფანტაზმები იქმნება ძლიერ განსხვავებული სიმულაკრებიდან და მიეწერება დღევანდელი სიყვარულის ობიექტს.

მიუხედავად მათი არსებობის, მოქმედების სისწრაფისა და მინიმალურ დროზე ნაკლები დროისა, სიმულაკრები მათ მიერ წარმოშობილ სახეებში ყალბი უსასრულობის მირაჟს ჰქმნიან და უსასრულო სიამოვნების და უსასრულო წვალების ორმაგ ილუზიას წარმოქმნიან. სიხარბისა და კაემნის, სიძუნწისა და დანაშაულის ნარევი ესოდენ დამახასიათებელია რელიგიური ადამიანისათვის.

მესამე სახეობა, ყველაზე სწრაფი ფანტაზმები განავითარებს ილუზიასა და მის თანმხლებ მითებს.

ჩვენი რწმენა ღმერთისა სიმულაკრებს ემყარება, რომლებიც თითქოს ცეკვავენ, იცვლიან მიმოხრას, აქუხებენ ხმას და რომლებიც ადამიანებს ჰპირდებიან მარადიულ სასჯელს. ე.ი. გამოხატავენ უსასრულობას (321) უსასრულოდ ყალბი სულიერი მღვდვარების პრინციპია. აღწერს რა კაცობრიობის ისტორიას, ლუკრეციუსი ამბობს: ადამიანის უბედურება არ მომდინარეობს მისი ჩვეულებებისაგან, პირობითობისაგან, გამოგონებებიდან ან წარმოებიდან, არამედ მითიდან, რომელიც ერევა ყველაფერ ამაში და უსასრულო ყალბიდან, რომელსაც იგი მიმართავს თავის საქმიანობასა და გრძნობებში. ის მოვლენები, რომლებიც ქმნიან კაცობრიობის უბედურებას, განუყოფელია იმ მითებისაგან, რომლებიც მათ შესაძლებლად ხდის. მითი ყოველთვის „უსასრულო ყალბის“ გამოხატულებაა.

ჟ. ფონტანელი სიმულაკრს კონტრპროგრამის (საპირისპირო პროგრამის) გამოხატულებად თვლის, ამდენად იგი დისკურსის ფორმას ატარებს და მას ოპერატორი ფლობს. ეს დისკურსი მიმართულია

განსაზღვრული პოზიციისაკენ, შეიცავს ღირებულებათა სისტემას, ეყრდნობა ნარატიულ პროგრამებს, ვითარდება დროსა და სივრცეში და ის აქტანტი, რომლისთვისაც იგი გამიზნულია, ფლობს მოდალურ იდენტურობას. ეს არის ვირტუალური დისკურსი, გამიზნული მეორე აქტანტისათვის, მაგრამ მომდინარე პირველი აქტანტის პოზიციიდან.

პირველი აქტანტის პასუხში ყოველთვის ჩანს, რომ ეს ვირტუალური დისკურსი ძირითადად ნაგულისხმევი მიზნის გამოხატულებას წარმოადგენს.

ვინაიდან სტრატეგია ინტერაქტიურია, ყოველი აქტანტი აგებს საკუთარ და სხვის სიმულაკრს, იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოადგენს იგი სხვის მიერ აგებულ სიმულაკრს, ამის გამო მთელი ქმედება გამოიხატება, როგორც სიმულაკრთა გადაჯაჭვა და ურთიერთჩასმა, შესაბამისად იქნება პირველი, მეორე, n-ხარისხის ხარისხისა და შესაბამისი რიგის სიმულაკრები.

ამრიგად, სიმულაკრი გამარტივებული და კონტრსტრატეგიისათვის გამოსაყენებელი პროგრამაა; შეიძლება ითქვას, რომ აქტანტი იქმნის კონტრპროგრამის სიმულაკრს, რომელსაც ამ კონტრპროგრამის მიერ დასახული მიზნის სქემატური და ვირტუალური სახე აქვს (მისი ტერმინალური გამონათქვამი).

ობიექტის სიმულაკრი უნდა ითვალისწინებდეს მის მორფოლოგიას; პროგრამისა და კონტრპროგრამის აქტანტთა შორის ურთიერთობა სიმულაკრების საშუალებით მომდინარეობს. რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეული მათგანის პროგრამირება ყოველ მომენტში მიმართულია იქეთ, რომ გააყალბოს ან გამოიყენოს მეორის პროგრამის მიმდინარეობა. ამ დროს ჩნდება კოგნიტიური განზომილება და მოქმედი და გამყდარებული პროგრამა იქცევა სტრატეგიული კომუნიკაციის საშუალებად.

დაბალი დონის სიმულაკრები საბოლოო შედეგის წინასწარ მონაცემებს, ზოგჯერ გარდამავალ დონეებსაც გამოხატავენ; მაგ. მონტაჟი, ფოტო, ნახატი, სქემა, რომლებიც შეიცავს ნაწილებსა და საფეხურების კოდებს და გადმოსცემენ საწყის წინააღმდეგობას.

მაღალი დონის სტრატეგიებში მოქმედებას თან ახლავს ე.წ. დამარწმუნებელი განზომილება, რომლებშიც მოცემულია და ინტერპრეტირებულია პროგრამისა და კონტრპროგრამის სიმულაკრები; ასეთ რთულ სტრატეგიას თან ახლავს ემოციური და ღირებულებითი ეფექტები და იგი სცილდება მოქმედების ლოგიკას. სტრატეგიულ

ფიგურას (მაგ. ასტიეზმს) შეიძლება თან ახლდეს ფასეულობათა გადაადგილება, აქტანტების მოდალური იდენტურობის შეცვლა და განსაზღვრული რაოდენობის აფექტური მოვლენები. ამ თვალსაზრისით შეიძლება სიმულაკრს მინიმალური ვირტუალური „დისკურსი“ ეწოდოს. დარწმუნებას თან ახლავს კოგნიცია და ვნება და მხოლოდ ამის შემდეგ მოქმედება. ამიტომ სიმულაკრების ურთიერთგაცვლაზე დამყარებულ სტრატეგიებს შეუძლიათ შეცვალონ მოქმედების მნიშვნელობა: აქ უკვე აღარ მოქმედებს გამიზნული ტრანსფორმაციის გონივრულობა (რაციონალობა).

თანამედროვე რეკლამა ძირითადად კლიპის ფორმით არსებობს, იგი წარმოადგენს მცირე ფორმის ფილმს, რომელსაც ახასიათებს ფილმისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა თვისება, მხოლოდ განსხვავებული, დაჩქარებული ტემპით და დროის მოკლე მონაკვეთში რეალიზდება. კლიპის ენობრივი პროგრამა მეტყველების აქტების საზღვრებში თავსდება და ხშირად იგი წარმოადგენს არა ერთ, რომელიც განსაზღვრულ კონკრეტულ აქტს, არამედ რამდენიმე აქტის შერწყმას, ჰიბრიდს, როგორც ეს ახასიათებს მეტყველების აქტებს. მისი ილოკუციური ძალა განისაზღვრება მიმართებით იმ სამყაროს (ვირტუალურის) მდგომარეობასთან, რომელსაც იგი აღწერს და იმ პირის მონაწილეობით, რომლისთვისაც ეს აქტია გამიზნული; ძირითადად პირველი ან მეორე პირი, თუმცა აღინიშნება მესამე პირისადმი ან საერთოდ, განუსაზღვრელი პირისადმი მიმართვა. კლიპი ისევე, როგორც ფილმი, ნარატიული ინსტანციაა, და მასში შემოკლებით და დაჩქარებით გამოიკვეთება ავტორის თვალსაზრისი, ნარატიული ხმები, შინაგანი ნარაცია, და ნარატიული ფოკალიზაცია. ყოველივე ეს ემსახურება ამბის თხრობის აგებას და ავტორის სიმბოლური სამყაროს გახსნას. კლიპი, როგორც მოკლე ფრაგმენტი, თავისი ვიზუალური ხასიათის გამო, უკავშირდება სხვა პლასტიკურ დარგებს, მხატვრობას, ფოტოგრაფიას, ერთი მხრივ, მუსიკას — მეორე მხრივ; ამ უკანასკნელს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადრესატის გამიზნულობის და მასზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

კლიპის რომელი კომპონენტი განსაზღვრავს კლიპის „პოეტურობას“, მის გამომხატველ ძალასა და ზემოქმედების უნარს?

ამ კითხვაზე პასუხი ძირითადად აყალიბებს კლიპის მიკუთვნებას რეალისტურ, ავანგარდული თუ პოპმომდინარეობისათვის. ბოლო ხანებში რეკლამამ საფუძვლიანად შეიცვალა ხასიათი, უძრავი ბილბორ-

დებიდან და პოსტერებიდან, შესაბამისი წარწერებით, მთლიანად გადაინაცვლა კინემატოგრაფიაში და მრავალი ექსპერიმენტის საგნად იქცა, მისი ენა აუდიოვიზუალური ნარაჯის სახეს იძენს, ხოლო სამყარო, რომელსაც იგი ასახავს ვირტუალური სამყაროა, თავისი პერსონაჟებით, ამბით, დროით, დიალოგებით, დეტალებით. ეს არ არის შესაძლო სამყარო, იგი არარსებული, ვირტუალური ფიქციაა. როგორც კინემატოგრაფიაში, აქაც მეორდება სახეები, მოტივები, ამბები, აქაც მოქმედებს თავისი რეალიზაციის შესაბამისი სახეებით არქეტიპი, პაროდია, პასტიში, ინვერსია და ა.შ.

კლავის მიმართ მნიშვნელოვანია კლიპის ნარაჯის მიმართება თანამედროვე ფსიქოანალიზის მონაცემებთან, სახელდობრ, „ახალი სინთეზის“ ცნებასთან; სადაც მოქმედებს: მეტაფორა — როგორც ონტოლოგიური ცნება, ნარატიულობის სახეები, სიზმრების ახსნა, ხუმრობა, ბოდვა, პირველადი და მეორადი იმპულსები, სიტყვისა და ენის ფუნქცია და ველი, გონის საკითხი ფროიდიდან მოყოლებული, არაცნობიერის ჩამოყალიბება და სუბიექტის დაშლა ნარაჯის სამსახურში: მონოლოგში, თვალსაზრისის შეცვლასა და თხრობის დანაწევრებაში, სიტყვა, როგორც ნარატიული მეტაფორა.

რეკლამა უერთდება ყველა სახის საგანს, სიტუაციას ან მოვლენას ყველა შესაძლებელი სახით, ბეჭდვითი, აუდიოვიზუალური და ბგერითი საშუალებებით.

აუდიოვიზუალური რეკლამის ძირითადი პრინციპი არის სიმულაცია, თავის მოჩვენება, რომელიც თვით საგნიდან ან მისი ნებისმიერი სახეობიდან მომდინარეობს და, რომელსაც სუბიექტზე თავისი ავტორიტეტის თავისმოხვევის ტაქტიკა ახასიათებს. სიმულაცია ქმნის არარსებულ სამყაროს და ამით განსხვავდება იგი ილუზიისაგან, რომელიც სამყაროდან, საქმეთა მდგომარეობიდან მომდინარეობს და სუბიექტის რწმენის სფეროში მოქმედებს. ილუზიის შემთხვევაში სამყარო არსებობს, მაგრამ რეალურისაგან განსხვავდება (როგორც პლატონის გამოქვაბულიდან). ტელევიზიაში არც ისე დიდი ხანია შემოიღეს გადაცემა „reality show“, რომელიც ძირითადად სამყაროში მოქმედ რეალურ ძალებს უჩვენებს და ამით უპირისპირდება სიმულაციასა და ილუზიას. ყველა ეპოქის ადამიანის სამყარო ძირითადად ან სიმულაციაა, ან ილუზია, რაღაც ნაწილი, რა თქმა უნდა, reality show —საც ერგება; თანამედროვე ადამიანის ცხოვრება ძირითადად რეკლამის ძალადობის სიტუაციაში მიმდინარეობს. მოხმარებისა და კომუ-

ნიკაციის საშუალებათა არსებულ ქაოსში სიმულაცია ერთგვარი მომწესრიგებელი, დამლაგებელი მეტაფორის როლს ასრულებს.

ლიტერატურა:

დელეზი, 1969 — Gille Deleuze. Logique du sens. Paris, Les Editions de Minuit, 1969.

ბოდრიარი, 1981 — Jean Baudrillard. Simulacre et simulation. Paris, ed Grasset, 1981.

მაკ-ლუჟინი, 1977 — M. McLuhan. La Glexie Gutenberg, la genèse de l'homme typographique. Paris, Gallimard, 1977.

ფონტანელი, 1999 — J. Fontanille. Sémiotique et littérature, Presse Universitaire de France. Paris, 1999.

თევზაძე, 1999 — გ. თევზაძე. საქართველო. ძალაუფლების სიმულაციები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1999.

IA PKHAKADZE

Simulacrum, Advertising, Myth, Society

Summary

Modern world is created and ruled by advertising. A clip, one of the types of modern advertisement, is an audio-visual means which is aimed at story-telling, and interpretation of the author's virtual world. The paper deals with the conception of simulation and simulation principles. The viewpoints of J. Baudrillard, Deleuze, Plato, Epicurus on simulacrum and simulation are discussed. The paper examines linguistic, psychological and cognitive bases for clip realization.

ენო უზაბაჰი

ლ ა მ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ - ს ა მ ა ნ ტ ი კ უ რ ი ა ნ ა ლ ი ზ ი

ლამი სიტყვის ლიტერატურული მნიშვნელობა ხეებისა და მდინარეებისაგან წარმოქმნილ წ მ ი ნ და ს ი ლ ა ს უკავშირდება. ლექსემის სემანტიკური პოტენცია ქრონოლოგიურად და ენობრივ ქვესიტემებში სხვადასხვაგვარი ნიუანსებით რეალიზდება. ერთი მხრივ, იგი საფლობთან ასოცირდება, მეორე მხრივ, ნამთან, სინოტივესთან. იმის გამო, რომ **ლამი** წყლისაგან წარმოქმნილი უწვრილესი კენჭებისაგან შემდგარი გაცრილი მიწის მსგავსი სილაა, მას ზოგჯერ **შლამს** ან **ქვიშასაც** უწოდებენ.

ლამს საფლობის მნიშვნელობა აქვს „ვისრამიანში“: „რამინ რა ესმა ბეგოსაგა საუბარი და შეგონება მოისმინა, მისისა უგულუობისა-ებრ **ლამსა** შიგან დაფლულსა მოკართულსა ვირსა დაემსგავსა და უღონო იქნა“ („ვისრამიანი“). „ვეფხისტყაოსანში“ იგივე ლექსემა ნამთან, ცრემლის დენასთან, წყლის ღვართან არის დაკავშირებული (საკუთრივ **ლამი** აქ არ მოიხსენიება):

ავთანდილისაგან მიწერილი წიგნით გახარებული ფატმანის შესახებ ნათქვამია:

„ფატმანისსა ვერ გაიმბობ, მოემატა რა სიამე;

მოუწერა: „კმარის რაცა უშენომან ცრემლი **ვლამე**“ (ვეფხისტყაოსანი, 224).

ფატმანის მიერ ნესტან-დარეჯანის შესახებ მოყოლილ ამბავში კი აღნიშნულია:

„დავსხედით და მასთანავე ვიტირეთ და ცრემლი **ვლამეთ**,

რაცა გუეთქუა, შევინანეთ, სხუამცა რაღა შევიწამეთ!“ (იქვე, 234).

ლამი საფლობის მნიშვნელობით გვხვდება მონღოლთა დროის ეპითაღმწერლის ისტორიაში. ყაზან ყაენისა და ქართლის მეფე ვახტანგის გაერთიანებული სამხედრო ძალებისა და სულთნის ჯარების შებრძოლებასთან დაკავშირებით იქ ნათქვამია, რომ „მოიხელოვნა

სულტან-მან, რამეთუ ჩამოუშვა წყალი უკანა კერძო თათართა, მას ლამესა ერთი **ლამი** შეიქმნა: ცხენი და კაცი ორნივე უჩინო იქმნიან **ლამსა** შიგან, და განთენა, იხილეს თათართა უკანა კერძო **ლამი**, და წინათ ლაშქრისა სიმრავლე, უღონო იქმნეს, ჰპოვეს მცირე უგანო ადგილი **ლამისა**, და მაშვიანცა დაიხოცნეს სიმრავლე კაცისა და ცხენისა, და რაყამს აღივსო კაცითა და ცხენითა მეოტმან ლაშქარმან ზედა განსვლა დაიწყო“ („ქართლის ცხოვრება“, ნაწ. 1). გილანზე გალაშქრებულ მონღოლ-ქართველთა ჯარების დამარცხების შესახებ კი აღნიშნულია: მოიწია უზომო რისხვა ღვთისა, თათართა და მესხთა ზედა. რამეთუ უკანით, სადა ბრინყი დგომილ იყო ვაკესა შინა, ლამით წყალი ჩაეგდოთ, და ესრეთ **ლამი** შექმნილ იყო, რომე ვერცა ცხენი და ვერცა ქვეითი ვერ გაიარდა და იქმნა ამით მოსრვა ძლიერ“ (იქვე, 444).

საფლობის მნიშვნელობით ესმის **ლამი** სულხან-საბა ორბელიანს: **ლამი** — „შავი ღია; **ღია** კი საფლობი ტალახია“.

უფრო სრულყოფილია (წერილობით ძეგლებში დადასტურებულ მნიშვნელობათა თვალსაზრისით) დ. ჩუბინაშვილის განმარტება: **ლამი** — „შლამი, შავი ქვიშა საფლობი; ნამი, სინოტი“.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ლამი** მონოსემიურ სიტყვად წარმოგვიდგება. იგი „წყლის დანალექ წმინდა სილას“ აღნიშნავს. თუმცა ლექსიკურ ერთეულ **ლამიანთან** დამოწმებულია დ. ჩუბინაშვილის განმარტება: **ლამიანი** — „1. ნოტიო. 2. ლამით დაფარული.“

კილოურ მონაცემთა მიხედვით, **ლამი** პოლისემანტიკურია. "სილის" მნიშვნელობა აქვს **ლამს** ხევსურულში: **ლამი** — "სილა" (ა.ჭინჭარ.). ქართლურსა და კახურში **ლამი** „წყლის დანალექ წმინდა სილას" აღნიშნავს, რომელიც უწვრილესი კენჭებისაგან შედგება. მას კერამიკულ წარმოებაში საფანლად იყენებენ (ჯავახიშვილი 1979, 54, 99).

მიგნიკახეთში საფანელად გამოყენებულ **ლამს შლამსაც** ეძახიან (ბოჭორიშვილი 1949, 190), ქიზიყში კი მას **ქვიშის** სახელწოდებითაც იხსენიებენ (იქვე).

შლამი ლამის სინონიმია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც: **შლამი** — „ლამი, ღია“. ქველ-ის მიხედვით კი მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: **შლამი** — „ნიაღვრის მიერ ჩამორეცხილი მიწის ზედაპირის წვრილი ნაწილაკები, რომლებიც შეიცავს ორგანულ ნივთიერ-

ბათა გახრწნილ ნარჩენებს: კარგი სასუქია" (ქველ) (სემანტიკური სი-
ახლოვე თვალსაჩინოა).

ქვიშა სომხური წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევა დ. ჩუბინაშ-
ვილის ლექსიკონში და განიმარტება, როგორც „მომსხო სილა“. ქველ-
ის მიხედვით, **ქვიშა** არის „ქვის წვრილი ნამსხვრევები წყლის მიერ
ფხვიერ მასად ქცეული“.

ლამი ქართლურსა და კახურში ამა თუ იმ სახის კერამიკული
ნაწარმის დასამზადებლად საჭირო მიწის სახელიცაა (ბოჭორიშვილი
1949, 191). შინამრეწველობის ქართლური მასალების მიხედვით, **ლა-
მი** თიხაში შესარეკ კიმბონენტად წარმოგვიდგება: „თონისთვის უქვო
და წითელ მიწას დაზელის დროს უნდა არაგვის **ლამი** და თხის ბა-
ლანი, **ლამი** აძლევს ფოლადობას და თხის ბალანი აბამს, სიმინდი-
ვით არ გადაიმტვრევა“ (ჯავახიშვილი 1979, 100).

ლამი ლეჩხუმურში წვიმის სახეობის აღმნიშვნელია: **ლამი**
(ლექს.) — „თქორი“; **წამოლამა** — წამოწვიმა, მცირე წვიმა წამოვი-
და“ (მ. ალაგ. 1).

ლამი სიტყვა ფორმობრივ-სემანტიკურად უნდა დავუკავშიროთ
ლექსიკურ ერთეულ **ნამს**. ეს უკანასკნელი სპარსული წარმომავლო-
ბისაა (დ. ჩუბინაშვილი). **ლ/ნ** მონაცვლეობა ცნობილია სამეცნიერო
ლიტერატურაში: კახ. **ნიტრა//ლიტრა** (მარტიროსოვი, იმნაიშვილი
1956, 45); **წენი//წელი** (ძიძიგური 1954, 220); სვან. **ლიც** „წყალი“
ნიც (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 129). გურ. **ნემსი>ლემსი>
ლეფსი** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 239).

ნამი გვხვდება შავთელთან, „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“
და აღნიშნავს „ცვარს“. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედ-
ვით, **ნამი** (სხვათა ენათა) — „ტენია; **ტენი** — მცირე სისველე“. დ.
ჩუბინაშვილის მიხედვით კი — „ტენი ან ცვარი; ორთქლი (განსა-
კუთრებით ფლავისა); წვიმის წვეთი“; **ნამიანი** — „ნოტიო, ტენიანი“.
ლექსიკოგრაფთან ნაზმნარი სახელიც დასტურდება — **ნამვა** — "და-
სველება; ცრემლის ღვრა“.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ნამი** სიტყვის სემან-
ტიკური პოტენცია სრულად რეალიზდება. შინაარსობრივი გამჭვირ-
ვალობისათვის ქველ-ის განმარტებას სათანადო ნიმუშებით წარმო-
ვადგენთ: **ნამი** — „1. ატმოსფერული ტენი, რომელიც ტემპერატურის
დაწვეის დროს ჰაერს გამოეყოფა და დედამიწის ზედაპირს ეფინება
წყლის წვრილი წვეთების სახით, — ცვარი. „მთების **ნამს** მოახვედრა

მზემ თავისი სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშვა (ილია). // ფიგურ.
მოდის! **ნამად** მოველინე ჩემს დასეტყვილ ბაღა-ბაღებს! (ი. გრიშ.). //
საერთოდ წვეთი (წვიმისა). „გოგას სახლის სახურავი ისე დაძველე-
ბულიყო, რომ წვიმის **ნამებს** ველარ იჭერდა (ე.ნინოშ.). "ავერ, ორი
კვირა იქნება, ცას ნამი არ გავარდნია" (ვ. ბარნ.). // წყალი. ნუმც
დაშრეს **ნამი** ქართლის წყაროთა...(გ.ლონ.). // ცრემლის წვეთები,
ცრემლი, ცრემლები. „ტირილი მინდოდა, ცრემლები მახრჩობდა, მაგ-
რამ გახურებულ თვალებს **ნამი** არ ეკარებოდა" (ა. ყაზბ.). „მოგრძო,
დიდრონი თვალები მახარას **ნამით** ჰქონდა სავსე" (რ. გვეტ.).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნასახელარი ზმნა **ნა-
მავს** სათანადო სახელის იდენტურია სემანტიკურად. **ნამავს** — „ნამს
(ცვარს) აპყრებს, ასველებს მცირედ. // წყალს (ან სხვა სითხეს)
ასხურებს. მაგ. თეთრეულს ნამავს" (ქველ).

საინტერესოა, რომ **ნამს** კილოებში წყლის მნიშვნელობა უდას-
ტურდება. ქიზიყურის კომპოზიტი **ნამილოკია** (გადატ.) პატარა ტა-
ნის ადამიანს აღნიშნავს, ისეთს, რომელიც თითქოს წყალსაც ვერ და-
ლევს, კურდღელივით უნდა ლოკოს (ს.მენთეშ.).

მაშასადამე, **ლამი//ნამი** სიტყვების სემანტიკური საყრდენი საერ-
თო ზოგადი მონაცემია.

ლ. ბოჭორიშვილის აზრით, **ლამი** სიტყვა წყლისა და წყალში
აღრეული მიწის შინაარსს უნდა შეიცავდეს. მეცნიერის მიხედვით,
„ლამის (წყლის დანალექის) ნიადაგთან დაკავშირება მოხდა ამგვარი
მიწის დამახასიათებელი ნიშნების (თიხასთან შედარებით უფრო მე-
ტი სიგრძილე, სიფხვიერე და უძარღვობა) ნამდვილი ლამისათვის არ-
სებითად დამახასიათებელ ნიშნებთან (ძლიერი სიფხვიერე და ძლიერი
უძარღვობა) ნაწილობრივი მსგავსების საფუძველზე. ლამი, რომლი-
თაც კახელი ოსტატები სარგებლობენ ამა თუ იმ სახის კერამიკული
საგნის დასამზადებლად, რა თქმა უნდა, დიდად განსხვავდება მათ
მიერვე საფანლად გამოყენებული წყლის დენით წარმომდგარი ლამი-
საგან, მაგრამ მისი **ლამისა** და **ლამის მიწის** სახელით აღნიშვნით,
უნდა ვიფიქროთ, ამ უკანასკნელის დამახასიათებელ, თიხისაგან გან-
მასხვავებელ ნიშანთა თვისება მახვილდება. თვით სიტყვა **ლამი** იქნებ
წყლისა და წყალში აღრეული მიწის შინაარსს შეიცავდეს და შინა-
არსობრივად მასთან დაკავშირებული წყალმრავალი საფლობისათვის,
წყლის მოქმედებით წარმომობილი ნიადაგისათვის და წყლისაგან
გამორიყული სილისათვის ამ სახელწოდების დამკვიდრებაც ეგებ მი-

სვანვე გამომდინარე ვითარებას წარმოადგენდეს. შესაძლებელია, რომ **ლამის** ნამიანობისა და სინოტივის გამომხატველ სიტყვად ქცევის ფაქტიც სწორედ ამ გარემოებას უკავშირდებოდა" (ბოჭორიშვილი 1949, 192).

ჩვენი აზრით, **ლამი/ნამი** სიტყვებში სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტის აქცენტირება ხდება. **ნამი** ზოგადად წყლის სემანტიკის შემცველია. იგი წყლის; წყლის წვეთის ან ცრემლის; ასევე ტენის (სისველის) მნიშვნელობით დასტურდება; **ლამი** კი ორიენტირებულია უფრო წყლის მოქმედების შედეგზე: „სილა; საფლობი; ცრემლის დენა“. „საჭურჭლე მიწასთან“ **ლამის** დაკავშირება სემანტიკური გადაწყვეტის შედეგია.

ლიტერატურა

ბოჭორიშვილი, 1949 — ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, კახური, თბ., 1949.

კაკაბაძე, 1982 — ც. კაკაბაძე, შრომული კერამიკა, თბ., 1982.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, თბ., 1991-1993.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.

ღლონტი, 1984 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

ჩუბინაშვილი, 1973 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1973.

ჯავახიშვილი, 1979 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, II, თბ., 1979.

NINO PKHAKADZE

The Semantic Analysis of the Word lami (silt) from the Historical Standpoint

Summary

The literary meaning of the word lami is "fine sand" produced by trees and rivers. The potency of the lexeme in question varies in the subsystems of the language. On the one hand, it denotes wet sand which is difficult to walk on, and on the other hand, it nominates 'dew, damp'. The former meaning is encountered in 'Visramiani', whereas in 'The Knight in the Panther's Skin' it is associated with dew, tears, shedding tears, running water'.

According to Sul Khan-Saba Orbeliani's dictionary it is a monosemantic word denoting 'wet sand'.

In the dialects 'lami' is polysemantic referring to sand, clay, rain wet.

Etymologically the word lami is of Persian origin and is connected with the lexical unit 'nami' (dew). The alternation l → n is quite frequent in Georgian.

In the word 'nami' the semantic component 'water' is stressed, whereas in 'lami' the emphasis is on the results produced by water.

ინზა ჰონიაზვილი

სიტყვის პოლისემიური პოტენციალი

ი. ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ორი პარალელური ინტერპრეტაციის თარგმანის საფუძველზე

ტექსტის ინტერპრეტაციასა და სპეციფიკაზე უამრავი ნაშრომი დაწერილა, მაგრამ იგი კვლავაც რჩება მეცნიერული ძიების საგნად, რამდენადაც თარგმანი — ესაა უაღრესად რთული და სათუთი მიდგომა სხვა ენობრივ კულტურასთან.

ერთია კითხვობიდან და გესმოდეს ამა თუ იმ ენაზე შექმნილი ნაწარმოები. მეორეა შეგვეძლოს ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცე იგი მეორე ენაზე ისე, რომ არ დაირღვეს ნაწარმოების სტილი, დინამიკა და ის ემოცია, რამაც ისევე უნდა ააღვლავოს და დააფიქროს მკითხველი, როგორც მისი ორიგინალში კითხვისას.

თარგმანის მიზანი სწორედ ესაა. მიზნამდე კი უამრავი საფეხურია გასავლელი, რომელთაც ემყარება კულტურათა შორის დიალოგი.

რაკიდა დიალოგს შევეხე, უნდა აღვნიშნო კიდევ, რომ დიალოგი რომ შედგეს, მთარგმნელი უნდა გრძნობდეს ლოგოსის ძალას; სიტყვის, როგორც ლექსიკური ერთეულის, დატვირთვას, რასაც მოჰყვება ფრაზის სტრუქტურა და მთლიანობაში კი ტექსტის კომპოზიციურად გაშლა-ჩამოყალიბება.

თუ რამდენადაა წარმოჩენილი სიტყვის პოლისემიური პოტენციალი თარგმანში, გვინდა საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ი. ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ინგლისურ ენაზე შესრულებული ორი პარალელური თარგმანი ორიგინალთან შედარების საფუძველზე.

ერთი თარგმანი შესრულებულია ქართველი მთარგმნელის — ჯუმბერ ჩოლობარგიას, ხოლო მეორე — ინგლისურენოვანი მთარგმნელის — ელიზაბეტ ფულერის მიერ.

ქართველი მთარგმნელი იმ მიზნით, რომ ნაწარმოებს შეუნარჩუნოს ი. ხუცესის ეპოქის სუნთქვა და მისეული თხრობის სტილი,

„შუშანიკის წამების“ თარგმნისას ამოსავალ პრინციპად იყენებს მეფე ჯემს I-ის დროს დაბეჭდილი ბიბლიის ვარიანტს, ხოლო შუალედურ, შემაერთებელ წიგნად კი — წმინდა წერილს, სახარებას, მაშინ, როცა ფულერის თარგმანი დედნის ლიტერატურული ფორმის დაცვის მცდელობის მიუხედავად, გაცილებით თანამედროვეა და იოლად აღსაქმელი მკითხველისათვის, თუმცა მისთვის გარკვეულწილად მიღმა რჩება იაკობ ხუცესის თხრობის თავისებურება და საქართველოს ისტორიულ-კულტურული ასოციაციები.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ის პასაჟი, როცა მაზდეანობამიღებულ ვარსკენი ორი დღის შემდეგ „მოდის ტაძრად“ და ძმასთან, ჯოჯიკთან და ჯოჯიკის ცოლთან, ასევე „უჩრქ ცოლთან“ შუშანიკთან, ერთად სწადია „პურის ჭამა“.

„დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად **პური ვჭამოთ**, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“. და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად **პურის ჭამა**, რა თამცა მოიყვანეს წმიდა შუშანიკიცა. და ვითარცა მოიწია **ჟამი პურისა**, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რა თამცა მასცა **აჭამეს პური**, რამეთუ ყოველი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს და ვითარცა მეტად აიძულეს და ძალით წაიყვანეს ტაძრად. ხოლო გემო არა რა სა იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვწოი და აიძულებდა მას, რა თამცა იგი ხოლო შესუა. მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამოდღე, თუმცა მამათა და დედათა ერთად **ეჭამა პური?!**“ (ცურტაველი, 2006, 69).

როგორც ვხედავთ, მოცემულ პასაჟში ფრაზა „პურის ჭამა“ ხუთგზის მეორდება და თითოეული განმეორებისას სხვადასხვა დატვირთვას იძენს, ხოლო მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლოს ძალზე გამომსახველობითია. მისი განსაკუთრებულობის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი მინდა ვისაუბრო თვით ამ ფრაზის გარშემო. „პურისჭამა ნადიმის მნიშვნელობით დღევანდელ თანამედროვე ქართულში შენარჩუნებულია როგორც არსებითი სახელი. არსებობს გამოთქმაც „კაი პური ვჭამეთ“. ხოლო სადილობის მნიშვნელობით თანამედროვე ქართულში „პური ვჭამოთ“ თითქმის აღარ გვხვდება, გარდა კახეთისა (აღმ. საქართველო), სადაც აღნიშნული გამოთქმა „პური ვჭამოთ“ დღესაც აქტუალურია; ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა, რომელი სახითაც მოდიოდა იმ თავიდან ქართულ ენაში

და განივთა გარკვეულ ფრაზულ ერთეულში, სათავეს იღებს ქრისტეს საიდუმლო სერობიდან, რამეთუ პურისჭამა, პური, რომელიც არის ხორცი ჩვენი მხსნელისა, ეს უკვე ღმერთთან წილისყრას ნიშნავს და ერთად პურნაჭამი ადამიანები მოკეთებულად (Like-minded people) ითვლებიან ერთმანეთისთვის, ამიტომ, ჩვენთვის, ქართული კულტურის ფენომენისათვის, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს „პურის ჭამას“. გამომდინარე აქედან, ქართველი მთარგმნელიც შეეცადა დაეცვა „პურის ჭამის“ ეზოთერული მნიშვნელობა და იგი თარგმნა როგორც *eat bread* ან *to have supper*, რითაც მკითხველს აგრძობინებს, თუ რაოდენ დიდი შინაარსობრივი დატვირთვის მქონეა აღნიშნული გამონათქვამი ქართული კულტურისათვის ეპოქის მიუხედავად.

„And after two days that wolf came to palace said to unto his servants: Today I and Jojik and his wife shall eat bread together, so let nobody come hither at supper time. Now when the even was come they called Jojik's wife and desired to have supper together and commanded the saintly Shushanik to be brought too.

And when supper time was come Jojik and his wife entered before Shushanik so that she should eat with them for she had continued fasting all those days.

And they constrained her to go with them and took her by force to the palace, but she did not taste of anything. And Jojik's wife brought a glass of wine to her and constrained her to drink it. The Saintly Shushanik said unto her with indignation:

“Since the world began was it not heard that women and men ate bread together~ And stretching forth her hand she threw the glass in her face and the wine was split“ (ცურტაველი, 2006, 68-70).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ მთარგმნელს შემთხვევით არა აქვს ნახსენები *to have supper*. ეს სწორედ ზუსტად გამოხატავს „საიდუმლო სერობის“ ეზოთერიკას „The Last Supper“.

რაც შეეხება ფულერის თარგმანს, ამ პასაჟში მას „პურისჭამა“ თარგმნილი აქვს, როგორც მხოლოდ „*dine*“ ან „*to eat*“.

„And when two days had passed that wolf came to the palace and said to his servants" today I and Jojik with his wife shall dine together, and none may disturb **us**". At dusk they summoned the wife of Jojik that she might design to eat with them, and ordered that the blessed Shushanik be brought before them. And when the time came to them to eat, Jojik and his wife went to

the Blessed Shushanik to invite her to dine with them for she had spent all those days fasting And they compelled her to go with them and took her by force to the palace, but she would not partake of any food. Then Jojik's wife offered her a goblet of wine and tried to make her drink, whereupon the blessed Shushanik exclaimed in anger: “When has in ever been the for men and women to dine together?~ And stretching forth her hand she flung the goblet in her face and the wine was split“ (Tsurtaveli, (E. Fuller), 1983, 199-200).

როგორც ჩანს, ფულერს მხედველობიდან გამოორჩა ქართული ისტორიისა და კულტურის განსაკუთრებული ფენომენი და „პურის ჭამა“ თარგმნილი აქვს როგორც „*to dine*“ — ან „*to eat*“.

ი. ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით „*to dine*“ განმარტებულია შემდეგნაირად:

dine [din] vb – ed/ingl – s [mE dinen, fr of disner; diner to dine, breakfast, fr (assumed) to eat a meal, esp. the principal meal of the dai: take dinner – often used with on or upon to FEED<often dined a dozen guests at his table>: provide a feast for <he was wined and dined at every stage of his triumphal tour> (Webster, 1986, 436).

მასასადამე, ფულერისეული თარგმანი, მიუხედავად სიმსუბუქისა, დაშორებულია დედნის სიღრმისეულ წვდომას მაშინ, როცა ქართველი მთარგმნელი, ცდილობს რა არ დაშორდეს ორიგინალს, მეორე წინააღმდეგობაში ვარდება და მკითხველისათვის გარკვეულწილად ბიბლიური ენის გამო ამძიმებს თხრობას და ამძიმებს „პურის ჭამის“ გადმოტანას თარგმანში იმ დინამიკაში, რომლითაც აღნიშნული ფრაზული ერთეული, მეორდება დედნის პასაჟში.

ი. ცურტაველი თითქმის ხუთჯერ იმეორებს მოცემულ ფრაზას ერთ პასაჟში და ყოველი გამეორებისას იგი განსაკუთრებულ ემოციურ იმპულსს იძენს, ხოლო გამომსახველობის კულმინაციას აღწევს იქ, სადაც შუშანიკი ხელს აუკრავს ჯოჯიკის ცოლის გამოწვედილ ღვინით სავსე ჭიქას და სახეში შეაღწეწ შემდეგი სიტყვებით:

„ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ (ცურტაველი, 2006, 69). ამით შუშანიკმა კიდევ ერთხელ გამოხატა პროტესტი ჭემმარტივი სარწმუნოების უარყოფლებისადმი და აგრძობინა, რომ მათი თანაზიარი აროდეს იქნებოდა და არ გატეხდა პურს მათთან ერთად.

„and stretching out her hand she flung the goblet in her face

and the wine was spilt“ (Tsurtaveli, (E. Fuller), 1983, 200).

„and stretching forth her hand she threw the glass in her face and the wine was spilt“ (Tsurtaveli, (J. Cholobargia), 2006, 70).

ორივე თარგმანის შედარებისას, ცხადია, რომ შუშანიკმა ღვინით სავსე ჭიქა სახეში შეაღწეა ჯოჯიკის ცოლს, მაგრამ პრაგმატული თვალსაზრისით თანამედროვე მკითხველისათვის, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი მკითხველისათვის, უეჭველად გაუგებარი იქნება აღნიშნული ფაქტი. ვინაიდან მთარგმნელებს სუსტად აქვთ წარმოჩენილი ბუნებრივი ფუნქციური ეკვივალენტი, რამეთუ არ იცავენ ი. ცურტაველისეული „პურის ჭამის“ გამეორებას და უპირატესობას ანიჭებენ to eat bread-ის სინონიმურ დისტრიბუციას, რითაც სუსტდება, უფრო მეტიც, იკარგება ზიარების მისტერიის შეგრძნება და ესთეტიკური თვალსაზრისით მკითხველისათვის შუშანიკი გარკვეულწილად წარმოჩინდება როგორც უხეში ქალი, რომელმაც არ იცის ელემენტარული ქცევის წესები და არა როგორც საარწმუნოების თავგამოდებული დამცველი, რომელიც არ შეეკრა გამაზღვანებულ ქმარსა და ნათესავებს და, მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, საკუთარი რწმენის ერთგული დარჩა.

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ, მიუხედავად ძალისხმევისა, ქართველი მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი არაა გათვალისწინებული თანამედროვე მკითხველზე, რადგან ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია ფორმათა იდენტურობაზე, ვიდრე მიახლოებული ბუნებრივი ფუნქციური ეკვივალენტის ძიებაზე, დარღვეულია ბალანსი მათ შორის და, შესაბამისად, მოსალოდნელი კომუნიკაციური ეფექტიც ნაკლებია.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „წყარო ენის განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელი პირობაა თარგმანის პროცესში“ (ჯოხაძე, 2005, 44), რომლის შენარჩუნებით და ფუნქციურ-სემანტიკური ადეკვატის მოძიებით შესაძლო გახდება აზრობრივ-კომპოზიციური სტრუქტურის განსაზღვრა, რაც გულისხმობს „თანაშემოქმედების, თანაშეგრძნებებისა და თანაარსებობის (ჯოხაძე, 2005, 44) მოწესრიგებული სისტემის შექმნას, რომლის დროსაც სრულად გამოვლინდება სიტყვის პოლისემიური პოტენციალი და მკითხველისათვის საცნაურს გახდის ნაწარმოების ავტორის სტრიქონსა და სტრიქონს შუა დაფარული ინფორმაციის ჭეშმარიტებას.

ლიტერატურა

ნაიდა, 1986 — Jan de Waard Eugene A. Nida.

From One Language to Another (Functional Equivalence in Bible Translating) /Nashville/ Camden / New-York Thomas Nelson Publishers 1986.

ვებსტერი, 1986 — Webster’s Third New International Dictionary of the English Language.

Unabridged (Marrian – Webster /Ic., Publishers Springfield, Massachusetts, USA. 1986).

ჯოხაძე, 2005 — ლ. ჯოხაძე, სიტყვის ინფორმატიულობა როგორც მხატვრული ტექსტის წარმოქმნისა და ორგანიზების ლინგვისტური საფუძველი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.

სულხან-საბა ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, „მერანი“, 1991.

ციტირებული მხატვრული ლიტერატურა

ცურტაველი, 2006 — იაკობ ცურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა, Jacob Tsurtaveli, The Martyrdom of the Holy Queen Shushanik, translated into English out of the original Georgian by Jumber Cholobargia, თბილისი, 2006.

ცურტაველი, 1983 — იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, Iakob Tsurtaveli, The Martyrdom of the Blessed Queen Shushanik, translated into English out of the original Georgian by Elizabeth Fuller, Издательство „Хеловнеба“, Тбилиси, 1983, Printed in the USSR.

INGA KONIASHVILI

**The Polysemic Potency of a Word in Two English Translations
of "The Martyrdom of Shushanic" by J. Tsurtaveli**

Summary

The paper examines the polysemic potency of the Georgian phrase *puris čama* (literal translation 'to eat bread') in the two parallel English translations. One of the translations is made by the Georgian translator Jumber Cholobargia, and the other by the English translator Elizabeth Fuller.

The Georgian translator translated the given phrase as 'to have supper' or 'to eat bread', whereas E. Fuller translated the same phrase as 'to eat' and 'to dine'. The paper argues that the suggested translations of the phrase '*puris čama*' do not convey the semantic and culture-specific loadings of the original Georgian phrase; the discussed variants make it impossible for the English reader to understand why Shushanic refused 'to eat bread' with her former relatives.

The phrase '*puris čama*' is adequate of the biblical 'bread breaking' and the Last Supper' rituals and has a sacred loading for Christian Georgians.

For Georgians the instance of bread breaking implies close spiritual and friendly ties between the people involved in the given ritual. Hence by refusing to break bread with her former husband and relatives, Shushanic showed her devotion to Christianity and her homeland. It is apparent that culture specific phenomena should be considered carefully and stylistically adequate linguistic units should be used to convey the meaning of the original in the target language.

გიხვილ ჭურღიანი

**ძირის სტრუქტურა და ფუძეთქმნალობის კანონიკური
მოდელიები სამართო-ნახურ-დაღვსტნურ და სამართო-დაღვსტნურ
ფუძე-ენებში**

**1. ცალთანხმონიანი (C||CV) ძირის თეორია და ფუძეთქმნა-
ლობის აგლუტინაციური მოდელი**

ნახურ-დაღვსტნურ ენებში ძირის სტრუქტურის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში გაბატონებულია ცალთანხმონიანი, C||C(V) ტიპის, ძირის თეორია, ხოლო ფუძეთქმნალობისათვის კანონიკურად არის მიჩნეული მოდელი:

გრამატიკული კლასის ნიშანი + ძირი + დეტერმინანტი სუფიქსი

სტრუქტურულად: C(V) + C+ VS ||< C(V) + C(V) + (V)S

ეს დიაქრონიაში. რაც შეეხება სინქრონიას, მიჩნეულია, რომ ფუძემ შეიძლება განიცადოს ცვეთა და ამოსავალი კანონიკური მოდელი C(V) + C+ VS, მაგ.: (ხუნდ.) ბე-ტ-ერ „თავი“ შემდეგ ტრანფორმაციებს დაექვემდებაროს:

ა) დაიკარგოს კლასის მაჩვენებელი (კლასის მარკერის მომდევნო ხმოვანი თანხმონიანთვასაყარია და არა მისი ელემენტი), ხოლო ძირი და დეტერმინანტი სუფიქსი კი შენარჩუნებულნი იყვნენ, მაგ.: (ლაკ.) Ø-კუ-ლა „თხელი“ (მუხად. Ø-ყ-გლ „id“.; ხინ. Ø-კ-გრ „id“...). შდრ. დარგ ბუ-კუ-ლა „id“.; ანდ. ბე-ტ-ერ-ა „id“ (ხუნდ. Ø-ტ-ერ-ენ-აბ „id“).

ბ) პოვნიერი იყოს მხოლოდ კლასის მაჩვენებელი და ძირი, მაგ.: (ხუნდ.) რა-კ-Ø „გული“ ან (ლაკ.) და-კ-Ø „id“. შდრ. (ანდ.) რო-კ-ჟო „id“.; (ახვ.) რა-კ-ჟა „id“.

გ) წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ძირი, მაგ.: (ხინ.) Ø-ყი-Ø „მშრალი“. შდრ. ხუნდ. ბა-ყუ-არა- „id“ და (წახ.) Ø-ყუ-რუ „id“. ან (ხუნდ.) წა + Ø „ცეცხლი“. შდრ. ახვ. ჭა-რი „id“. ან (არჩ.) Ø-ოჩ-Ø „კული“. შდრ. (ხუნდ.) რა-ჭ-Ø „id“ და

(უდ.) **Ø-ოჭ-ილ** „id“

პროფ. ი.ცერცვაძის მიერ დადგენილ ტრანსფორმაციის ამ მოდელს ყ.მიქაილოვმა მიუმატა კიდევ ერთი:

დ) პოვნიერია მხოლოდ დეტერმინანტი სუფიქსი, მაგ.:

(წახ.) **Ø-Ø-ულა** „თვალი“; (მუხ.) **Ø-Ø-ულ** „id“ შდრ.

(უდ.) **ფ-ულ** „id“, (ხუნდ.) **ბ-ერ** „id“; სხვა მაგალითი: (ხუნდ.-ანდალალ. კილოკავი) **Ø-Ø-ინ** „საჭმელი ბალახის სახეობა“ (**ც-ინ**). შდრ. (ხუნდ.) **ტ-ინ** „id“. და სხვ.

ცვეთისაგან ფუძის ყველაზე დაცული სტრუქტურული ელემენტი ძირია და მისი გაქრობა, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითითაც ჩანს, მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც მისი წინა ელემენტი (კლასის ნიშანი) არის გაცვეთილი, მაგრამ შეიძლება ძირის დაკარგვას ამ პირობის გარეშეც ჰქონდეს ადგილი და, როგორც შენიშნულია, სიტყვაში დარჩეს მხოლოდ კლასის ნიშანი და დეტერმინანტი სუფიქსი, თავად ძირი კი უკვალოდ გაქრეს:

(უდ.) **ბ-Ø-ულ** „თავი“ შდრ. (ხუნდ.) **ბე-ტ-ერ** „id“ და სხვ.

შესაბამისად უდიუტრში აღდგება * **ბუ-ყ-ულ** „თავი“ (ე. ჭეი-რანიშვილი).

ამას შეიძლება ე) მოდელი ეწოდოს. აქ პოვნიერია კლასის ნიშანი და დეტერმინანტი სუფიქსი, ძირი კი გამქრალია.

ყველა ამ შემთხვევაში ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ერთმარცვლიანი ძირეული და აფიქსალური მორფემებისა და მათი კომბინაციების (ფუძეთქმნადობის მოდელის) არქეტიპთა რეკონსტრუქციის სანდოობა კომპარატივისტული მეთოდის გამოყენების კორექტულობასა და სიმკაცრეზეა დამოკიდებული.

შენიშვნა: ისტორიულად დადასტურებულ იბერიულ-კავკასიურ ენებში გვხვდება ნახურული **VC** ტიპის სიტყვებიც (ძირები). მონათესავე ენების მონაცემებთან შედარებისას ცხადი ხდება მათი უმრავლესობის წარმოშობა ცვეთის გზით. საერთოდაც **VC** მარცვლის ტიპის ძირები ნახურ-დაღესტნურ ენებში პეტეროგენური წარმოშობისაა არიან, მათ შორის, გამონაკლისის სახით ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებადი არქეტიპიც გვხვდება მაგ.: ***აწ** „ათი

II. ორთანხმოვნიანი (CVC) ძირის თეორია

იმის ნათელსაყოფად, რომ ნახურ-დაღესტნურ ენებში ცალთანხმოვნიანი (**C||CV** ტიპის) ძირი არ არის ერთადერთი ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუირებადი კანონიკური სტრუქტურა, შეიძლება რე-

კონსტრუქციის პროცედურისას გამოირიცხონ: ერთი მხრივ, ანლაუტში, ის ფონემები, რომლებიც გრამატიკული კლასის ნიშნებად (მოქმედად თუ რელიქტურად) არის პოვნიერი ამ ენებში: **ვ ა ბ რ დ**, მეორე მხრივ, აუსლაუტში, ის ფონემები, რომლებიც პოვნიერია ამ ენებში დეტერმინანტ სუფიქსებად: **მ ნ ლ რ** სონორი თანხმოვნები და **ბ ღ** ხშულები.

შესაბამისად, გარდა ცალთანხმოვნიანი **CV** ტიპის ძირებისა, შესაძლებელი ხდება გამოყვით და აღვადგინოთ **CVC** ტიპის სტრუქტურის ძირებიც შემდეგი აუცილებელი პირობით: ა) ისინი არ უნდა შეიცავდნენ არც კლას-კატეგორიის ნიშნებად გამოყენებულ თანხმოვნებს, არც დეტერმინანტ სუფიქსებად გამოყენებულ თანხმოვნებს (როგორც პირველ, ასევე მეორე თანხმოვნად, რათა გამოირიცხოს რედუბლიცირებული ფუძის ცვეთის შედეგის მიჩნევა ძირად); ბ) ისინი არ უნდა შეიცავდნენ ერთსა და იმავე თანხმოვანს, რათა გამოირიცხოს რედუბლიკაცია; გ) მათ უნდა ჰქონდეთ კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები მონათესავე ენათა შესაბამის ძირებთან, რათა გამოირიცხოს ნასესხობა.

ამ ოპერაციათა შედეგად უეჭველად ვლინდება **CVC** ტიპის სტრუქტურის ძირების არსებობა როგორც საერთო-დაღესტნურ, მაგ.:

***აუტ** — „ბაგე“

***ღ'ეუ** — „მხარი“

***წიგა** — „მყავე“

და სხვ.

ასევე საერთო-ნახურ-დაღესტნურ ფუძე-ენებში, მაგ.:

***ზაჟ** — „დღე“, „ცა“

***მაჯ** — „ქერი“

***თას** — „გადაგდება“

და სხვ.

ის, რომ კლას-კატეგორიის მარკერებად თუ დეტერმინანტ სუფიქსებად გამოყენებული ბგერები (**resp.** ფონემები) საერთო-ნახურ-დაღესტნური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ძირის **CVC** სტრუქტურის პოვნიერების დასადგენი პირობებიდან იქნა ამოღებული (**ad hoc**), სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი მონაწილეობა ძირის (და არა ფუძის) შედგენაში საერთოდ არის გამორიცხული. საერთო-ნა-

ხურ-დაღესტნური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირდება ამ თანხმოდანთა შემცველი ძირები, სადაც მათი აფიქსალური წარმოშობა სავარაუდოდ არ ჩანს, მაგ.:

- ***ჟაჩ** „ვაშლი“
- ***შებ** „კოშკი“
- ***წუდ** „წითელი“
- ***ხოდ** „ქმარი“

და სხვ.

III. ალტერნაციის თეორია და CVC ტიპის ძირის ფუძეთქმნადობის ფლექსიური მოდელი

ალტერნაციის გზით ძირის ფუძედ გარდაქმნის თეორიის შექმნა ქართველურ ენათმეცნიერებაში პროფ. ა.არაბულის სახელთან არის დაკავშირებული; იბერიულ-კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერების დონეზე როგორც სინქრონიში, ასევე დიაქრონიში, ეს თეორია მან უკვე პროფ. მ.ქურდიანთან ერთად განავითარა.

ალტერნაციის თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: ფუძე-ენაში ფუნქციონირებს CVC ტიპის ძირი, რომელიც გრამატიკული თვალსაზრისით ზმნად და სახელად გასადიფერენცირებლად, ანუ კონკრეტულ ფლექსიურ ფუძედ რეალიზებისთვის, იყენებს ბოლოკიდური კონსონანტის ალტერნაციას: **CVr(ლ)** ვარიანტით ის ფორმდება სახელად, **CVn** ვარიანტით კი ზმნად. ანუ მისი ფორმირება ზმნად და სახელად ხდება არა ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინირების გზით (აგლუტინაციურად), არამედ ერთიანი სტრუქტურის შიგნით ალტერნაციის,, „კონსონანტური აბლაუტის“, გზით (ფლექსიურად). მაგ. ქართველური:

***ვარ** “ხარი” : ***ვან** “ხვნა” და სხვ.

ალტერნაციის მექანიზმის ფუნქციონირების კვალი პოვნიერია იბერიულ-კავკასიურ ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში. ამ მექანიზმის რელიქტს წარმოადგენს, მაგალითად, ნახურ ენებში ერთი და იმავე ძირ-ფუძიდან მასდარისა(**resp.** სახელი)და ინფინიტივის (**resp.** ზმნა)მწარმოებელთა ოპოზიცია:

- მასდარი : ინფინიტივი
 - ვლარ : ვლან < * ვლან “თქმა”
 - საცარ : საცან < *საცან “გაჩერება”
 - ვახარ : ვახან < *ვახან “წასვლა”
- და სხვ.

ალტერნაციის მექანიზმი ტიპოლოგიურად და მასალობრივად იდენტურია იბერიულ-კავკასიური ენებისთვის და რეკონსტრუირდება არა მარტო საერთო-დაღესტნური ან საერთო-ნახურ-დაღესტნური თუ საერთო-ქართველური ფუძე-ენების ქრონოლოგიურ დონეზე, არამედ თვით საერთო-იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახის ფუძე-ენის დონისთვისაც. მაგრამ წინამდებარე სტატიის თემისთვის ის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც ფუძეთქმნადობის უნიკალური მექანიზმი, არამედ როგორც ფუძე-ენათა დონეზე CVC ტიპის ძირის არსებობის, კიდევ ერთი, უადრესად ანგარიშგასაწვევი არგუმენტი. შესაბამისად: საერთო-დაღესტნური და საერთო-ნახურ-დაღესტნური ფუძე-ენების ქრონოლოგიურ დონეზე სრული უეჭველობით რეკონსტრუირდება ძირის როგორც **C//CV**, ასევე **CVC** კანონიკური სტრუქტურები.

ლიტერატურა

ალექსევი, 1988 – Алексеев М. Е. Сравнительно-историческая морфология аваро-андийских языков, Москва: “Наука”, 1988.

არაბული, 1997 – ა. არაბული, სახელისა და ზმნის დერევიაციის ურთიერთიმარტების საკითხები ქართველურ ენებში (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 1997. 1997a. Wechselbeziehung von der nominalen und verbalen derivationen in den kartwelischen sprachen (Avtoreferat), Tbilissi.

არაბული, 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი: „ქართული ენა“, თბ., 2001.

არდოტელი, 2000 – ნ. არდოტელი, სახელურ ძირ-ფუძეთა ფონოლოგიური სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში (ენათმეცნიერების საკითხები, №4: 29-42).

გიგინეიშვილი, 1977 – Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси: Издательство тбилисского университета.

მაჰომედბეკოვა, 1987 – Магомедбекова З. М. К именному словообразованию в аварско-андийско-дидойских языках (ежегодник иберийско-кавказского языкознания, XIV : 215-224), 1987.

მიქაილოვი, 1964 – Микаилов К. Ш., К вопросу о составе

основы имени существительного в аварском языке (Дагестанский филиал Академии Наук СССР. Институт истории, языка и литературы им. Г. Цадасы, Махачкала: "Ученые записки" (серия филологическая), т. XII: 32-45, 1964.

მიქაილოვი, 1969 — К вопросу о морфологической структуре количественных имен числительных в горских дагестанских языках (Дагестанский филиал АН СССР. Институт истории, языка и литературы им. Г. Цадасы, Махачкала: "Материалы первой сессии по сравнительно-историческому изучению иберийско-кавказских языков": 142-155).

სულეიმანოვი, 1998 — Сулейманов Н. Д. А. С. Чикобава и развитие теории основы в кавказских языках (Материалы международного симпозиума посвященного 100-летию со дня рождения Арнольда Степановича Чикобава, Тбилиси: "Картули Эна": 220-221), 1998.

ცერცვაძე, 1954 — ი. ცერცვაძე, ფუძის დეტერმინანტული სუფიქსებისათვის ხუნძურ და ანდიურ ენებში. თეზისები. (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის V (XI) სამეცნიერო სესია 1954 წ., 10-12 ივნისს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა), 1954.

არნ. ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1942.

ჭეირანიშვილი, 1971 — ე. ჭეირანიშვილი, უდიური ენა. გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.

ჭასანოვა, 1969 — Гасанова С. М. О структуре именной и глагольной основы в аванском, даргинском и лакском языках (Дагестанский филиал АН СССР. Институт истории, языка и литературы им. Г. Цадасы, Махачкала: "Материалы первой сессии по сравнительно-историческому изучению иберийско-кавказских языков": 131-141), 1969.

MIKHEIL KURDIANI

The Canonical Models of Root and Stemformation in Common Nach-Dagestanian and Common Dagestanian Proto-Languages

Summary

The paper discusses the alternation theory introduced by A. Arabuli.

According to the viewpoint maintained in the Ibero-Caucasian linguistics the single consonantal root structure C||CV is typical of Nach-Dagestanian languages.

As for the stemformation, the following model is considered canonical: grammatical class marker + root + determinant suffix i. e. CV+C+VS || < CV+(V)C+VS. The single consonantal structure CV is not the only reconstructed canonical structure at the proto-languages level. The reconstruction procedure should exclude the phonemes v, j, b, r, d, serving as grammatical class markers in the inlaut, also the determinant suffixes - the sonorant m, n, l, r and plosives b, d in the auslaut.

The given operation, results in the root structure CVC which was typical of Common Dagestanian as well as Common Nach-Dagestanian proto-languages. During the process of grammatical differentiation of the CVC root structure the ultimate consonant alternation CVr (||I) is used for nominal stems, whereas CVn variant is used for the formation of verb stems.

The paper argues that the alternation mechanism is typical not only of Common Dagestanian Proto-languages but of Common Ibero-Caucasian proto-language as well.

თბა შავლაჟი

ინგლისურენოვან იუმორისტულ ეპიტაფიათა
ლინგვისტური ანალიზი

ცნობილია, რომ ეპიტაფია (ბერძ. Epitaphio – “საფლავის ქვაზე“) ტექსტის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ძირითადად პატარა ლექსის ფორმა აქვს და საფლავის ქვაზე ამოტვიფრული გარდაცვლილის სახელის მარადსაყოფად (ფ. ჰოდგინსი, კ. სილვერმანი 1980).

ეპიტაფიათა უმთავრესი მიზანია გვამცნოს ამა თუ იმ ადამიანის გარდაცვალების შესახებ და ამავედროულად ინფორმაცია მოგვაწოდოს მიცვალებულის ცხოვრების, ხვედრისა თუ ღვაწლის შესახებ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1979, 169) ტრადიციულად ეპიტაფიებს პოეტური ფორმა აქვს, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც. ეპიტაფიებად გამოყენებულია აფორიზმები და ციტატები წმინდა წიგნებიდან. (WIKIPEDIA)

ეპიტაფიათა სახეებს შორის ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო — იუმორისტული ეპიტაფიებია, რადგანაც მათი მიზანი გარკვეულ წილად განსხვავებულია. ამ სახის ეპიტაფიათა მიზანია არა მხოლოდ გვამცნოს კონკრეტული ადამიანის გარდაცვალებისა და მის მიერ განვლილი ცხოვრების შესახებ, არამედ გავაფრთხილოს, რომ თითოეული ჩვენგანი მოკვდავია. შეიძლება ითქვას, რომ იუმორისტული ეპიტაფიები დიდაქტიკური ბუნებისაა და გვასწავლის: ადამიანებმა მარტივად უნდა განვიხილოთ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა და იუმორით შევხედოთ თვით სიკვდილსაც კი. იუმორისტული ეპიტაფიების მესიჯი შემდეგში მდგომარეობს: რაკი სიკვდილი გარდაუვალია, ამაზე დარდი და წუხილიც უაზრობაა.

მოცემულ სტატიაში ჩვენი მიზანია: 1) გავეცნოთ და ლინგვისტური ანალიზი გავუკეთოთ რამდენიმე ინგლისურენოვან იუმორისტულ ეპიტაფიას; 2) დავაკვირდეთ ეპიტაფიათა ფორმასა და სტრუქტურას; 3) შევისწავლოთ ეპიტაფიათა ლექსიკა და გნახოთ რამდენად პოეტურია იგი; 4) განვსაზღვროთ იუმორისტულ ეპიტაფიათა ზემოქ-

მედების ხარისხი მკითხველზე და 5) დავადგინოთ იუმორისტულ ეპიტაფიათა ფუნქცია და როლი ყოველდღიურ ყოფაში.

ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეულ იუმორისტულ ეპიტაფიებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყო:

- 1) საყოფაცხოვრებო იუმორისტული ეპიტაფიები;
- 2) დიდაქტიკური იუმორისტული ეპიტაფიები;

ლიმილის მომგვრელია ფლორიდის შტატის ერთ-ერთი სასაფლავის ქვაზე მიწერილი ეს ეპიტაფია.

Ma loved Pa**Pa loved women****Ma caught Pa with one in a swimming pool****Here lies Pa**

მიუხედავად ეპიტაფიის მცირე ფორმისა, მასში მთელი ოჯახის ისტორიაა მოკლედ ასახული. ინფორმაციული თვალსაზრისით ტექსტი სრულია. ერთი მხრივ, მასში ნაჩვენებია წყვილის უიღბლო ცოლ-ქმრული თანაცხოვრება, რაც ეპიტაფიის ავტორს ანტითეზის საშუალებით აქვს გამოხატული (**Ma loved Pa/Pa loved women**), მეორე მხრივ კი, ნაჩვენებია გარდაცვლილის სიკვდილის მიზეზიც — მას ქალების სიყვარული და მეუღლის დალატი არ ეპატია და საკუთარი მეუღლის ხელითვე მოკლა. ეპიტაფიის ლექსიკა მარტივია და ხატოვანებას მოკლებული. რაც შეეხება მისი ემოციური ზემოქმედების ხარისხს მკითხველზე, მკითხველი მას იუმორის თვალთ შეყურებს. ისევე როგორც ეპიტაფიის ავტორი (გარდაცვლილის შვილი), მკითხველიც უმტკინველოდ აღიქვამს ამ ეპიტაფიას, რადგანაც გარდაცვლილი არ იმსახურებს შებრალებას. ეპიტაფიაში ნათლად დაფიქსირებული ეპიტაფიის შემქნელის მიმართება გარდაცვლილის მიმართ.

უმტკინველოდ და ემოციების გარეშე აღიქვამს მკითხველი შემდეგ ეპიტაფიასაც.

Here lies as silent clay**Miss Anabella Young****Who on the 21st of May****Began to hold her tongue.**

მასაჩუსეტის შტატის, ჰეთფილდის სასაფლაოზე აღმოჩენილი ეს იუმორისტული ეპიტაფია შედარებით პოეტურია. მასში მოთხრობილია „ენაგრძელი“ ანაბელა იანგის შესახებ. ეპიტაფიაში ყურადღებას

იპყრობს შედარება **“As silent clay”**, რომლის საშუალებითაც ავტორი მიუთითებს ცხოვრების ამაოებაზე (მიწისგან შექმნილი ადამიანი ისევ მიწადვე იქცევა) ეპიტაფიის იუმორს განაპირობებს ზმნა **“To hold one’s tongue”** მნიშვნელობით „ენის ჩაგდება“ — ავტორი ირონიულია და შენიშნავს — ვერაფერს მოახერხა ანაბელას ენის დადუმება, მაგრამ მოვიდა სიკვდილი და ენა ჩააკმენდინა მას.

ჩვენ მიერ შესწავლილ ეპიტაფიებში აღმოჩნდა ისეთი საყოფაცხოვრებო სახის იუმორისტული ეპიტაფიებიც, რომელშიაც დაქვრივებული მამაკაცები იუმორით ეკიდებიან მეუღლეთა გარდაცვალებას და ბედნიერადაც კი გრძნობენ თავს მათ გარეშე.

**Beneath this stone my wife doth lie
Now she’s at rest and so am I**

ცხადია, ამ მარტივი და მცირე ზომის ეპიტაფიის ავტორი გარდაცვლილის მეუღლეა. ინფორმაციული თვალსაზრისით ეპიტაფია მწირია — მასში არაფერია ნათქვამი წყვილის თანაცხოვრებაზე, მაგრამ მას დასკვნის სახე აქვს, რომელშიაც დაქვრივებული მამაკაცი დადებითად აფასებს მეუღლის გარდაცვალების ფაქტს და წერს: „ახლა ისიც მოსვენებულია და მეც“

შემდეგი ეპიტაფია სატირულია:

**The children of Israel wanted bread
And the Lord sent them manna
Old clerk Wallace wanted a wife
And the Devil sent him Anna.**

ისევე როგორც წინა მაგალითში, ამ ეპიტაფიაშიც დაქვრივებული მამაკაცის გრძნობებია ასახული. ეპიტაფია ინფორმაციული თვალსაზრისით სრულყოფილია და იგი გვიჩვენებს მოხუცებული კლერკის, ვინმე უოლისის გულისწყრომას ღვთის მიმართ — მას მშვიდი ცხოვრება და მზრუნველი მეუღლე სჭირდებოდა, ეშმაკმა კი — ანა არგუნა წილად. ეს ეპიტაფია „ბედის ირონიის“ ნათელი მაგალითია. მოცემულ ეპიტაფიაში ავტორს უფრო მეტი ხატოვანების შექმნის მიზნით ბიბლიური ალუზია აქვს გამოყენებული. გავისხენოთ შემდეგი ადგილი ბიბლიიდან: **And the children of Israel ate manna forty years.** ეპიტაფიაში იუმორისტულ განწყობას ქმნის ანტითეზისური წყვილები. „the Lord – the Devil“, **“Bread – Manna”**, **“wife – Anna”**. მკითხველი მოცემულ ეპიტაფიას იუმორისტულად აღიქვამს, თავად მთქმელისათვის კი იგი სარკასტულია.

მომდევნო ეპიტაფიაში სიცოცხლის ხანმოკლეობაზეა საუბარი, თუმცა აქაც იუმორით.

**I was Carolina Born
And Carolina Bred
And here I lay
Carolina Dead**

აღნიშნულ ეპიტაფიაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **„Born”**, **“Bred”** და **“Dead”**. ისინი, როგორც გარდაცვლილის გვარები ისეა გამოყენებული — სტილისტური თვალსაზრისით, ადგილი აქვს ანტონომასიას. ინფორმაციული თვალსაზრისით მწირი ეს ეპიტაფია ნათლად ასახავს თითოეული ჩვენგანის გასავლელ გზას (დაბადება, გაზრდა — განვითარება, სიკვდილი) მოცემულ შემთხვევაში ეპიტაფიის იუმორი ანტონომასიას ეფუძნება, ეპიტაფია პირველ პირშია დაწერილი და ყოველგვარ პოეტურობას მოკლებულია.

დაახლოებით იმავე შინაარსის მატარებელია შემდეგი ეპიტაფია:

**Open’d my eyes
Took a peep
Didn’t like it
Went back to sleep.**

ზემოთ მოტანილი ეპიტაფია ინგლისში, ერთ-ერთი ახალშობილის საფლავის ქვაზე იქნა ამოკითხული. ფორმის თვალსაზრისით ისიც მარტივია, ინფორმაციის თვალსაზრისით კი — სრული. იგი გვამცნობს ახალშობილის ცხოვრების ხანმოკლეობის შესახებ ოთხი ზმნის საშუალებით **„Open’d eyes”**, **“Took a peep”**, **“Didn’t like it”**, **“Went back to sleep”**. ეპიტაფიაში ვხდებით ფიგურალურ გამოთქმებს **„Open’d eyes”** მნიშვნელობით „დაბადება“ და **„Went back to sleep”**, მნიშვნელობით „გარდაცვალება“, ეპიტაფიის ავტორის მესიჯი ასეთია: ცხოვრება არ ღირს დარდად და ტკივილად, იგი არც თუ ისე მშვენიერია და ზოგჯერ ცხოვრებაში იმდენი უბედურებაა, რომ სიცოცხლეს ისევ სიკვდილი სჯობს. ეპიტაფია I პირშია დაწერილი და გვაფიქრებინებს, რომ თავად ახალშობილი გვესაუბრება — სიკვდილი მისი არჩევანი იყო და არა ღვთის განგება. ამგვარად, ეს ეპიტაფია ნაკლებად მტკივნეულად აღიქმება მკითხველის მიერ.

კვლევამ დაგვანახა, რომ ინგლისურენოვანი იუმორისტული ეპიტაფიები ფორმით, წინადადებების სტრუქტურით და ლექსიკით მარ-

ტივია. სწორედ ეპიტაფიათა ფორმა, წინადადებების სტრუქტურა, მარტივი ლექსიკა და რითმულობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მკითხველს იგი სწრაფად ამახსოვრდება. ინგლისურენოვან იუმორისტულ ეპიტაფიათა ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ უმეტეს შემთხვევაში ისინი ხატოვანებას მოკლებულია. იუმორისტული ეპიტაფიები ნაკლებად მტკივნეულად აღიქმება მკითხველთა მიერ. თუ კი ჩვეულებრივი ეპიტაფიები მკითხველში დანანებას, მწუხარებას, სიკვდილის შიშს და სხვა უარყოფით ემოციებს აღძრავს, იუმორისტული ეპიტაფიების მიზანია ნაკლებად მტკივნეული გახადოს ჩვენთვის სიკვდილის ფაქტი და დაგვანახოს, რომ ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

როგორც ვხედავთ, იუმორისტულ ეპიტაფიათა როლი ყოველდღიურ ყოფაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. მათი მიზანია, დაგვაფიქროს ცხოვრების ამოებაზე და მოგვამზადოს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის.

**My dear Friends as you pass by
As you are now, so once was I
As I am now, you soon must be
Prepare yourselves to follow me.**

ლიტერატურა

ჰოდგინსი, სილვერმანი, 1980 — F. Hodgins, k. Silverman “Advantures in American Literature”. Heritage Edition. Harcourt Brace Jovanovich, Publishers, 1980.

ინტერნეტ მასალა “Tombstone Epitaphs”

TEA SHAVLADZE

The Linguistic Analysis of English Humorous Epitaphs

Summary

The paper deals with some structural, stylistic and functional peculiarities of English humorous epitaphs, as well as their perlocutionary effect on readers.

The following two groups of English humorous epitaphs have been singled out

1. epitaphs describing the lifestyle of the deceased in a humorous way.
2. didactic epitaphs stressing the vanity of life.

Humorous epitaphs are characterised by simple structures and vocabulary, as well as minimal use of figurative language. They do not arouse sorrow, repentance, or fear towards death in readers and are perceived less painfully.

Didactic epitaphs teach people to consider the problem of life and death less seriously and to face death in a humorous way.

ნათესაობის საკითხი

ინტერსები ენობრივ სივრცეში

საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მრავალი ისეთი მოვლენა მოხდა, რომელმაც გამოიწვია მოსახლეობის მასობრივი აყრა და გადასახლება ქვეყნის შიგნით: დიდთოვლობა და ზვავები სვანეთსა და აჭარაში (1987), მიწისძვრა ზემო იმერეთსა და რაჭაში (1991), საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

ხდებოდა და ამჟამადც გრძელდება გარემოგარეცხვა, რაც გამოწვეულია მძიმე სოციალური და ეკონომიკური მიზეზებით.

მოსახლეობის გადაადგილება ნიშნავს ერთი კულტურული (და სოციალური) მოდელის მოხვედრას, გადასვლას სხვა კულტურულ და სოციალურ გარემოში. ემიგრანტს თან მოყოლილ გამოცდილებასთან ერთად უგროვდება ახალი გარემოს ათვისების გზაზე შექმნილი გამოცდილება, რომელშიც ერთდროულად თანაარსებობს (ტაბიძე, 53).

ჩვენი ნაშრომის მიზანია აღიწეროს სვანეთიდან ეკოლოგიური მიზეზების გამო ქვემო ქართლში მიგრირებული სვანების ენობრივი გარემო და შიდა ენობრივი ვითარება, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ამ ემიგრანტების დასახლებამ სხვა ენობრივ სიტუაციაში, თუ როგორია ყოველდღიური ენობრივი ყოფა, როდის რომელ სამეტყველო კოდებს იყენებენ.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში სვანებით დაახლოებით ოცამდე სოფელია დასახლებული (მაგ., წალკაში ახლაც გრძელდება ჩამოსახლების პროცესი), რომლებიც წარმოადგენენ, როგორც ზემო, ასევე ქვემო სვანეთს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღებას გვაქვია მათ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჭიჭიჭაში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაზე. ეს ერთადერთი სოფელია ქვემო ქართლში, სადაც ჩოლოურები (ქვემო სვანები) სახლობენ. აქ მცხოვრებ სვანთა მეტყველებას პირობით შეიძლება ვუწოდოთ ჭიჭიჭაური მეტყველება, რადგანაც ამ სოფელში სახლობენ ჩოლოურის სხვადასხვა სოფლებიდან (აგრეთვე ლაშხეთის სოფლებიდან) გადმოსახლებული სვანები, რასაც გამოუწვე-

ვია ზოგიერთი საყურადღებო ცვლილება ორივე ჯგუფის ადამიანთა მეტყველებაში. სხვაგვარად რომ ითქვას, ჭიჭიჭაური მეტყველების კვლევა ფასეულია დიალექტთა ინტერფერენციის თვალსაზრისითაც და სვანთა მეტყველებაზე ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართლური დიალექტის ზეგავლენის შესასწავლადაც.

სოფელ ჭიჭიჭაში ცხოვრობს ასი კომლი, მცხოვრებთაგან უმეტესობა ჩოლოურები არიან, კონკრეტულად: ლეუშერები, მუწდღები და ერთადერთი ოჯახი საყდრიდან (ეს ფაქტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ერთ სოფელში ცხოვრობენ ე. წ. ზემოჩოლოურისა — ლეუშერისა და ქვემოჩოლოურის — მუწდღის წარმომადგენლები) და ლაშხელები.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ჭიჭიჭაურ სვანთა „ქართულად“ მეტყველების სოციოლინგვისტურ დახასიათებაზე, რაც ალბათ საინტერესო სურათს გვიჩვენებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ ენაზე მოსაუბრენი შესაძლებელია დაიყოს სამ ჯგუფად: ჩვიდმეტ წლამდე ასაკის, ჩვიდმეტიდან ორმოც წლამდე და ორმოც წელს ზევით გადაცილებულთა ჯგუფებად.

უფროსი თაობის მეტყველებაში „ქართულად“ საუბრისას ჭარბად შეინიშნება იმერული დიალექტის გავლენა, რაც იმით აიხსნება, რომ ქვემო სვანებს ქართლში ჩამოსახლებამდე მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ იმერეთთან, კერძოდ ქუთაისთან, რასაც მეტყველებაზე მკვეთრი გავლენა მოუხდენია.

რაც შეეხება უმცროს თაობას, მათ მეტყველებაში იმერულის გავლენა იმდენად არ შეინიშნება, რადგანაც ისინი ქართლური დიალექტის გარემოში იზრდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ნაშრომში გამოყენებული ტერმინი „ქართული“ არ გულისხმობს სალიტერატურო ენას, ან იმას რაც სვანური არ არის, ეს არის სვანთა შორის გავრცელებული სამეტყველო კოდი, რომელშიც წამყვანი ადგილი იმერულ ფორმებს უჭირავს, მაგრამ ეს არ არის წმინდა იმერული, მას შეიძლება კოინე ეწოდოს.

ზოგადი სურათი ასეთია: სოფლის შიგნით სვანები ერთმანეთს ყოველთვის სვანურად ესაუბრებიან (ოჯახში, სამეზობლო ურთიერთობაში...), ხოლო უცხოთაგანთან, რომელმაც არ იცის სვანური, ურთიერთობას, რა თქმა უნდა, „ქართულად“ ანუ იმერულ კოინეზე ამყარებენ.

ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ უფროსი თაობის მეტყველებაზე. ჩვენ ჩავიწერეთ და დავაკვირდით ისეთ შემთხვევას, როდესაც ოჯახში იმყოფებოდა ისეთი სტუმარი, რომელმაც სვანური არ

იცოდა, ბუნებრივია, მასთან კონტაქტი „ქართულად“ მიმდინარეობდა, სტუმრის ყოფნის განმავლობაში საუბრის ინიციატივა ოჯახის უფროსს და დანარჩენ მამაკაცებს ჰქონდათ (ეს ბუნებრივია, მითუმეტეს, მაშინ, თუ უცხო პიროვნება მამაკაცია).

აღსანიშნავია, რომ დაფიქსირებული ენობრივი მასალის ჩაწერა ისე მოვახდინეთ, რომ დამსწრე საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ქვემოთ ვიმსჯელებთ იმ სპეციფიკაზე, რაც განასხვავებს ეკომიგრანტთა „ქართულს“ სალიტერატურო ქართულისაგან და ჭარბად შეინიშნება რამდენიმე პიროვნების დიალოგში თუ ჩვეულებრივი ამბის თხრობისას.

საინტერესო სურათი იკვეთება ნაცვალსახელთა ხმარებისას, მაგ.: **მაგი** რო მცოდნოდა ვეტყოდი... **მაგი** რო გაეგო, რა დოუდგებოდა წინ... **მაგი** მოისტუმრებს იმ საცოდავს...

„**მაგი**“ ნაცვალსახელი „**ეგ**“ ნაცვალსახელის ფარდია და მიღებულია მოთხრობითის ფორმაზე („**მაგ**“) + სახელობითის ნიშნის -ი და სემანტიკაც სახელობითისა აქვს (ძოწენიძე, 144).

გვაქვს ასეთი ფორმებიც: **იმგენმა** გაგვიშრეს სისხლი... მიხვდნენ, რო **იმგენის** გაკეთებული იყო... **იმგენმა** რო დოუდეს წინ...

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზემოიმიერულში აქა-იქ, ხოლო ქვემოიმიერულში სისტემატურად გამოიყენება მრ. რიცხვში „**ამგენმა**“, „**მაგენმა**“, „**იმგენმა**“ (ძოწენიძე, 1973, 236), თუმცა ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტში პირველი ორი ფორმა არ დაფიქსირებულა.

გვაქვს ნაცვალსახელთა სალიტერატურო ქართულის ფორმების ხმარების შემთხვევებიც. მაგ.:

მაგ კაცს მოუტანია ამბავი... **მაგ** სიტყვებით ლანძღვას არ შეარჩენდა... **მაგ** მიწებს გადაყვა **ეგ** საცოდავი...

საუბრისას კავშირებიდან ძირითადად გამოიყენებულ იქნა მაქვემდებარებელი „**რომ**“ კავშირის იმერული ვარიანტები, რომელსაც „**მ**“ თანხმომიანი აკლია, ან „**რომე**“ მაგ.:

რო მოიქნია... **რო** დოუტრეკა... **რო** გააგებინა... **რო** გაუტანა... უარი უთხრა იმიტომ, **რომე**... უმაღლავდნენ იმიტომ, **რომე**...

რაც შეეხება მაპირისპირებელ „**მაგრამ**“ და „**თორემ**“ კავშირებს, რეგულარულად ფიქსირდება მათი შემდეგნაირი ხმარების შემთხვევები: მაგ.,

უზიარებდა, **მარა** გაახსენდა... კარგი იქნებოდა სხვანაირად, **მარა**... **თვარა** ეტყოდა, რო სცოდნოდა... გოუგზავნე **თვარა**...

პირველადი ადგილის ზმნიზედა „**იქ**“ იხმარება „**ნა**“ ნაწილაკდართული: **იქანა** ამბავი დაატრიალეს?... **იქანა** რო ყოფილიყო...

იგერ ნუ დადებთო... **იგერ** წივილ-კივილი ატეხეს?..

ყურადღებას იქცევს ბოლო ორი ადგილის ზმნიზედა, (**იგერ**), რომელიც მთლიანად იმერული არ არის და სვანის მიერ უნდა იყოს იმერულის ანალოგიით შექმნილი, როგორც იმერულში **იქით**-ის ანალოგიით გაჩნდა **იქეთ**, ასევე უნდა იყოს **იგერ აგერ**-ის ანალოგიით შექმნილი (აღსანიშნავია, რომ **იგერ** ფორმა სისტემატურად გამოიყენება ზემოსვანეთიდან ჩამოსახლებულთა მეტყველებაშიც). იმერულში პროდუქტულია **აგერას**, **ეგერ** და **ეგერას** ზმნიზედები.

„**რატომ**“ ზმნიზედის სემანტიკითაა გამოყენებული იმერული „**რაზე**“ ფორმა, რომელიც ნაცვალსახელის თანდებულიანი მიცემითის ფორმაა:

გამაგებინეთ, **რაზე** უნდა გადავიხადო?... **რაზე** ყვიროდა?... სწორია და **რაზე** მისცემს?..

ფონეტიკური მოვლენებიდან გვაქვს ბგერის ჩართვის შემთხვევები: გამჯავრებელი წავიდა... გამჯავრებულები რო იყვნენ... მეგორე დღესვე უთხრა... რო ეთქვა მეგორედ...

„**ა**“ ხმოვნის ადგილზე „**ო**“-ს გაჩენა, მაგ.,

დღღღმიწის ზურგზე არავის გოუგია... დიდებულ **ორაყს** აკეთებდნენ... **ორაყის** უზომო დაღვეა...

„**ო**“ ხმოვნის ადგილს „**ვ**“ თანხმომიანი იკავებს, მაგ., კილვიანი (← კილოიანი ბანკით მოჰქონდა... **თვარა** ← თორემ ← თუ-არა-მ ხშირია ზმნისწინისეული „**ა**“ ხმოვნის „**ე**“-დ შეცვლა:

წვეყვანეთ,	წვედი
წვევხმარეთ,	ვევლით
ღეიწყო,	ღეიცლებოდა

„**ა**“-ს „**ო**“-დ შეცვლის შემთხვევები, მაგ., დოუდგებოდა, დოუძახებდა...

პარალელურად დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნისწინების სალიტერატურო ფორმებიც გამოიყენეს იმავე ზმნებში: **წვეყვანეთ** || **წავყვანეთ**, **აველით** || **ვევლით**, **ღეიწყო** || **ღაიწყო**...

სვანურის კვლევისას დიდი ყურადღება ეთმობოდა პოეზიის ნიმუშებს, ხალხურ ლექსებს, სადაც დაცულია არქაული ფორმები. ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა კონსტანტინე დადემშქელიანზე გამოთქმული ხალხური ლექსი, სადაც დიდი რაოდენობით ვხვდებით იმეროზმებს,

მაგ.:

კონსტანტინე დადიშქელიანის ქება განთქმულია ქვეყანაზე,
სვანეთიდან წამოსულა გაჯავრებული გულზე,
გაგარინმა დაიბარა რაღაც სწრაფი საქმეზე.
— რუსეთში უნდა წახვიდე, ნახმობი ხარ **რაცხაზეო**,
ხელმწიფისი ბრძანებაა, ვერ გადაუხვევთ განზეო,
სამი ცხენი და ტროიკა მზად არის ეხლავ კარზეო.
— სვანეთიდან **ჩამევედი**, მოველ პირდაპირ შენთანაო,
შვილები მყავს სასწავლებლათ, არ ვყოფილვარ არც ერთთანაო,
წავალ და მათ ვინახულე, მალე მოვალ თქვენთანაო.
— მე **აქეთგან** ვერ **გაგიშობ**, ნუ მენდური მაგაზეო,
შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის, გაიპარები გზაზეო!
ეს რომ კონსტანტინს მოესმა, ხელი გაისვა ხმალზეო,
„მე სვანი ვარ, არ მეკადრის, უნდა გავიდე გვარზეო!“
გაგარინს შემოუქნია, თავი მოსთალა მხარზეო,
სამი კაცი რომ მოუკლა, ხმალი გაუტყდა **შვაზეო**
მივა და გულზე მიიკრავს და გადაკოცნის ტარზეო:
„შენ რომ მთელი დამრჩენოდი, შევასრულებდი ცხრაზეო“.
ყველა გაფანტ-გამოფანტა, ერთი სტოლ-ქვეშ შეუძვრესო,
კონსტანტინე **გამევიდა**, უნდა რიონში ჩავარდესო:
„მე რომ წყალში ჩავვარდე, სირცხვილია ჩემ თავსაო“.
მივა და ძალით შესტეხავს ვიღაც ბაქრაძის სახლსაო.
ქალები აკივლდებიან: — ვინ შემოვარდაო ესაო?
ვაი, რა ბედი გვეწვია ჩვენ უბედურებს დღესაო!
— თქვენ, დებო, ნუ გეშინიათ, მე არ ვიშავებთ არაფერს
მტრისაგან გამოვქცეულვარ, თორემ გაიგებთ ყველაფერს...
(მიბჩუანი, 37).

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ჭიკჭიკველ სვანთა მეტყველება არ არის წმინდა იმერული (პარალელურად სალიტ. ქართულის ფორმებიც გამოიყენება, მას შეიძლება კონინე ეწოდოს. ერთსა და იმავე წინადადებაში გვერდიგვერდ დასტურდება იმეროზმები და სალიტ. ქართულის ფორმები: მაგ.: გამაგებინეთ **რაზე** უნდა **გადავიხადო**?..

2. იმერული დიალექტის გავლენა მნიშვნელოვანწილად შეინიშნება

ნაცვალსახელებში, ზმნის ზმნისწინიან ფორმებში, ზმნიზედებსა და ფონეტიკურ მოვლენებში.

ლიტერატურა

ტაბიძე, 2005 — მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005;
ძოწენიძე, 1973 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

NATO SHAVRESHIANI

Imerisms in the Speech of Svan Ecomigrants

Summary

In the village of Chivchavi, Tetrtsqaro region of Kvemo Kartli, the older generation of Svan ecomigrants mostly speak Svan; they use Georgian only in case of outgroup communication. Their Georgian speech is characterised by Imerisms i. e. elements of Imeretian dialect. This tradition comes from Svaneti.

The Svans from Chivchavi do not speak pure Imeretian dialect; Standard Georgian forms are also encountered in their speech. The influence of Imeretian is noticeable both on the phonetic and grammatical levels.

როინ ზიკაძე

**ზმნური სიტყვაწარმოება და ნასახელარ ზმნათა
სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში**

(ბანიკ ჯორბენაძის თვალსაზრისით დაყრდნობით)

ბესიკ ჯორბენაძემ მისთვის ჩვეული სიღრმისეული კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა ნასახელარ ზმნათა წარმოების სისტემები სემანტიკურ დიფერენციაციასთან მიმართებით, კერძოდ:

ა) სახელის ფუძე გადადის ზმნის ფუძედ დამატებითი გაფორმების გარეშე — დაერთვის მხოლოდ პირის ნიშნები: შურ-ი → ჰ-შურ-ს, ჰირ-ი → ს-ჰირ-ს, წვეთ-ი → წვეთ-ს // წვეთ-ავ-ს; ზოგჯერ ასეთ შემთხვევებს განმარტავენ როგორც ნეიტრალური ფუძის არსებობის ფაქტს...

ბ) სახელის ფუძე აწმყოში ფორმდება თემის ნიშნით: ბარ-ი → ბარ-ავ-ს (აორისტი: და-ბარ-ა)... ასეთი ზმნებით ხშირად გამოიხატება ინსტრუმენტატივის სემანტიკა...

გ) სახელის ფუძე აწმყოში გაფორმებულია ხმოვანი პრეფიქსითა და თემის ნიშნით: თეთრ-ი → ა-თეთრ-ებ-ს (აორისტი: გა-ა-თეთრ-ა)... ასეთი ზმნები გამოიხატავენ გარდაქცევითობას (ჯორბენაძე, 1995).

ირაკვევა, რომ „სპეციფიკური ყალიბები ზმნურ სიტყვათწარმოებას არ აქვს — იყენებს ფორმათწარმოებითს ყალიბებს (ჯორბენაძე, 1985). ამასთანავე, განსხვავებული ყალიბები იძლევიან განსხვავებულ გრამატიკულ მნიშვნელობებს (ჯორბენაძე, 1985).

ბესიკ ჯორბენაძის თვალსაზრისით „ნასახელარ ზმნათა წარმოების ნაირგვარი პრინციპია ქართულში გამოყენებული... ნაირგვარი წარმოება ხშირად ნაირგვარ ფუნქციას წარმოაჩენს: ა-ერთ-ებ-ს, ა-თეთრ-ებ-ს ყალიბის მქონე ფორმები გარდაქცევითობას გამოიხატავენ, ბარ-ავ-ს, თოხ-ნ-ის ტიპის ყალიბები — ინსტრუმენტატივს (ჯორბენაძე, 1980).

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ნასახელარ ზმნათა ხმოვან-პრეფიქსულ წარმოებაზე, ამ წარმოების სისტემებსა და შესაბამის სემანტიკურ დიფერენციაციაზე: „ხმოვანი პრეფიქსით ნაწარმოები ნასახელარი ზმნები სხვადასხვა მნიშვნელობას გამოიხატავენ იმის მიხედვით, თუ რომელი სისტემის წევრია: თუ სამი ფორმიდან (მოქმედებითი — ვნებითი — მდგომარეობითი) წარმოდგენილია მოქმედებითი და ვნებითი, გამოიხატება ტრანსფორმატიკის სემანტიკა (გარდაქცევითობა): ა-თეთრ-ებ-ს „თეთრს ხდის — თეთრ-დ-ებ-ა, „თეთრი ხდება“ — 0; თუ გვაქვს მოქმედებითი და მდგომარეობითი, მაშინ მოქმედებითი გვარის ფორმა, ჩვეულებრივ, იძენს კაუზალობის მნიშვნელობას, ხოლო მდგომარეობითი ზმნა გამოიხატავს აქტიურ პროცესს: ა-ბალახ-ებ-ს „ბალახს აძოვებს“ — 0 — ბალახობ-ს „ბალახს ძოვს“. ამ სისტემებს სამივე ფორმა..., როგორც წესი, არა აქვს, რამაც შესაძლებელი გახდა შემოსხენებული სემანტიკური დიფერენციაცია“ (ჯორბენაძე, 1995).

ზმნათა ამგვარი წარმოება ძველ ქართულშივეა ცნობილი (შანიძე, 1957). ამ ნეოლოგიზმებს უკვე ძველს ქართულშივე მტკიცედ მოუკიდია ფეხი (მელიქიშვილი, 1975); ნასახელარ ზმნათა წარმოებამ ფართო ასპარეზი ჰპოვა ქართული სალიტერატურო ენის ისეთ ფუძემდებლებთან, როგორებიც არიან იოანე პეტრიწი (მელიქიშვილი, 1975), შოთა რუსთაველი (გიგინეიშვილი, 1944; ლლონტი, 1964; ლლონტი, 1961), დავით გურამიშვილი (ძიძიგური, 1971)... თანამედროვე ქართულში სახელთა გაზმნავენის დიდოსტატად გვევლინება გიორგი ლეონიძე (კოშორიძე, 2005); „ზმნური წარმოება მართლაც ხვავრიელად იჩენს გ. ლეონიძისეულ სიტყვათშემოქმედებაში“ (ჯორბენაძე, 1987); ჩვენც სწორედ გიორგი ლეონიძის მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით და ბესიკ ჯორბენაძის თვალსაზრისის გათვალისწინებით ვაანალიზებთ ზმნური სიტყვათწარმოების თავისებურებებს თანამედროვე ქართულში.

მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება

ბესიკ ჯორბენაძის ნაშრომში „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ აღნიშნულია, რომ ქართულში მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნების აწმყოს ფუძე არსებითად ორი მოდელით იწარმოება:

ა) **ა+სახელის ფუძე+სუფიქსი** (resp. თემის ნიშანი) : თეთრი — ა-თეთრ-ებ-ს ; ერთი — ა-ერთ-ებ-ს; გუბე — ა-გუბ-ებ-ს...

ბ) **სახელის ფუძე + სუფიქსი** (რესპ. თემის ნიშანი). ფარი — ფარ-ავ-ს ; რქა — რქ-ენ-ს; ძალა — ძლ-ევ-ს..

მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებას შორის ამ გვარი განსხვავება შემთხვევითი ან რაიმე სისტემას მოკლებული არ უნდა იყოს. ამის საფუძველი ისევ ფუნქციურ განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. და მართლაც, ა+სახელის ფუძე+სუფიქსი მოდელით ნაწარმოები ზმნები (ათეთრებს, აკაცებს, ალამაზებს, აგრილებს, აერთებს და მისთ.) არსებითად **გარდაქცევითობას** აღნიშნავენ; და მართლაც: ათეთრებს — თეთრად აქცევს; აკაცებს — კაცად ხდის, კაცად აქცევს; ალამაზებს — ლამაზად ხდის და ა. შ. ამ ტიპის ზმნათა ამგვარი თვისება თავის დროზე შენიშნული ჰქონდა ა. შანიძეს (ჯორბენაძე, 1987).

რაც შეეხება მეორე ტიპის (**სახელის ფუძე — სუფიქსი** მოდელით ნაწარმოები) ზმნებს, ისინი უკვე გადმოსცემენ არა გარდაქცევითობას, არამედ **ინსტრუმენტატივობას** (ჭურვილობას) და, ამდენად, **ინსტრუმენტატივს წარმოადგენენ**. და მართლაც: კალავ — კალით ასრულებ გარკვეულ მოქმედებას: ბარავ — ბარი წარმოადგენს იარაღს გარკვეული მოქმედების შესასრულებლად; ჩარხავ — ჩარხით სრულდება სათანადო სამუშაო და ა. შ. ამდენად, ზმნა ფუძედ იღებს სახელს იმ საგნისას, რომლითაც შესაბამისი მოქმედება სრულდება (ჯორბენაძე, 1975).

ა) **გარდაქცევითობის მნიშვნელობით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები**

გიორგი ლეონიძის მხატრული შემოქმედების ტექსტებში მწერლისეული წარმოების მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გარდაქცევითობას გამოხატავს არა მხოლოდ სამწვერიანი მოდელი (ა+ფუძე+სუფიქსი), რომელიც აწმყოს ფუძეს ეყრდნობა: ლითონი — ა-ლითონ-ებ-ს: მისი შხეფი სხეულს **ალითონებს**, ე., 585; ზღაპარი — ა-ზღაპრ-ებ-ს; სოფლის სალაყბოზე **აზღაპრებდა** წარსულს თავის ოჯახისას, ნ., 57, არამედ აგრეთვე ორწვერიანი მოდელი (ა+ფუძე), რომელიც ნამყო ძირითადის ფუძეს ეყრდნობა: წარსული — ა-წარსულ-ა: გმირი თუ **აწარსულა**, I, 277. მარგა-

ლიტი — ა-მარგალიტ-ა: ამ ხმებში **ამარგალიტა**, ე., 578

მძივი — ა-მძივა-: ვაფრქვიოთ ოქრო, შუქი ვამძიოთ, I., 51; მიწა ლექსი დავამძიოვ, II., 190.

ალმური — და-ა-ალმურ-ა: მან დაალმურა ჩვენი გონებაც, ნ., 172.

სხეული — გან-ა-სხეულ-ა: მან შენი სუნთქვა განასხეულა, I., 53.

ქვიტიკირი — გა-ა-ქვიტიკირ-ა: მომე გული, მერე გამაქვიტიკირე, I., 138.

შარა — გა-ა-შარავ-ა: რადგან სამშობლო გააშარავა, II., 320.

მტევანი — გამო-ა-მტევან-ა: ეს ლექსი შენ გამოამტევნე? I., 121.

ცხედარი — და-ა-ცხედრ-ა: რომ დააცხედრე წყვილიაღი, ე., 15.

ტრამალი — გა-ა-ტრამალ-ა: მთა უნდა გაატრამალოს, ე., 577.

ჩინჩხვარი — და-ა-ჩინჩხვარ-ა: ჭორელებმა დაღერღეს, დაასახინჩრეს, დააჩინჩხვარეს, ნ., 24.

ამასთანავე, დასახელებულ ზმნათა აწმყოს ფუძის საწარმოებლად გამოიყენება არა ნებისმიერი თემის ნიშანი, არამედ მხოლოდ — **ებ**: ახავერდებს, დაალმურებს, გააქვიტიკირებს, დაიემაზებს, გაუყამირებს...

საენათმეცნიერო ლიტერატურაში **ა-** პრეფიქსი „განიმარტება როგორც გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნების, საარვისო ქცევის, საზედაო სიტუაციის, ირიბი ობიექტისადმი რელაციის აღმნიშვნელი ფორმანტი“ (ჯორბენაძე, 1983). ამათგან **ა** პრეფიქსის ძირითადი ფუნქციაა ობიექტზე (პირდაპირზე თუ ირიბზე) მინიშნება (ა.შანიძე, გ. როგავა, ი. ქვათარაძე, გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი, ვ. ბოედერი, გ. კეტლერი, ვ. პეშენი, ჰ. არიმონი...). როგორც ჩანს, მას სიტყვაწარმოებითი ფუნქციაც აქვს... ანალოგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პარალელურ ფორმებში **ი-**სა და **უ-**ს (სათავისო და სასხვისო ქცევის მაწარმოებლებს)... მართლაც **თეთრი** — სახელთან შედარების დროს ნათლად ჩანს, რომ **ა-** ფორმანტს, როგორც სიტყვაწარმოებით ელემენტს, **ათეთრებს** ფორმაში იგივე ფუნქცია ეკისრება, რაც **ი-**ს **ითეთრებს** და **უ-**ს **უთეთრებს** ფორმაში. ესაა სახელისაგან ზმნის წარმოების ერთ-ერთი საშუალება (ჯორბენაძე, 1975).

ასეთ შემთხვევაში გიორგი ლეონიძესთან უმთავრესად გვხვდება არა აწმყოს ფუძეზე დაყრდნობილი სამწვერიანი მოდელი /ი/უ+ფუძე+თემის ნიშანი/, არამედ ნამყო ძირითადის ფუძეზე დაყრდნობილი

ორწევრიანი მოდელი /ი/უ+ფუძე/, რაც გამოწვეულია მეორე სერიის ფორმათა შედარებითი გავრცელებულობით და არა რომელიმე მოდელის უპირატესი გამოყენებით.

ი+ფუძე:

ემბაზი — და-ვ-ი-ემბაზე-თ: **დავიემბაზეთ** შენი ნათელი, I., 359.

ბარძიმი — გა-ვ-ი-ბარძიმ-ო-თ : საქართველოს მზე **გავიბარძი-მოთ**, I., 51.

თილისმა — და-მ-ი-თილისმ-ო-ს : ოცნება **დამითილისმოს**, I, 250.

ბალღამი — და-გ-ი-ბალღამ-ე-ს: თუმაღა ღღეც, ღამეც **დაგვი-ბალღამეს**, I, 127.

ტრამალი — გა-გ-ი-ტრამალ-ა: **გაგიტრამალა** სამშობლო მტერ-მა, I, 389.

ნამქერი — და-გ-ი-ნამქერ-ა: გული რომ **დაგინამქერა**, II, 173.

მარჯანი — და-გ-ი-მარჯნ-ო: თუ ლექსი არ **დაგიმარჯნო**, II, 201.

ბუნაგი — გა-ი-ბუნაგ-ე-ს : ბოლოს სპარსელებმა **გაიბუნაგეს**, II, 239.

უ+ფუძე :

ყამირი — გა-უ-ყამირ-ა : ნეტავ გული რამ **გაუყამირა**, ე., 568.

ხავსი — და-უ-ხავს-ა : ვინ **დაუხავსა** ოცნებას ჭავლი., I, 69.

ზვარაკი — და-უ-ზვარაკ-ო-თ : გასურთ ქართლი ბერძნებს **და-უზვარაკოთ**, II, 235.

იშვიათად გარდაქცევითობა ნამყო ძირითადში შესაძლოა ნაჩვენები იყოს მოდელით : ზმნისწინი+სახელის ფუძე :

უნდა მეზობლის სახლ-კარი დაწვას, **დანაცროს**, **დარიყოს**, ე., 577. ნამქერმა ისევ **გამუშტა** ღვინჯუა, ნ, 107.

ამგვარად, გარდაქცევითობის მაჩვენებელი მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა საწარმოებელ მოდელში პრეფიქსებად გამოყენებულია **ა—, ი—, უ—**, რომლებსაც ამ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობაც მოეპოვებათ, ხოლო სუფიქსად აწმყოს ფუძეზე დაყრდნობისას თემის ნიშანი —ებ ; გვაქვს სამწევროვანი მოდელი : **ა-/ი-/უ- + სახელის ფუძე + -ებ თემის ნიშანი.**

ნამყო ძირითადის ფუძეზე დაყრდნობისას კი გვექნება ორწევროვანი მოდელი : **ა-/ი-/უ- + სახელის ფუძე.**

ბ) ინსტრუმენტატივობის მნიშვნელობით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები

ჩვეულებრივად ინსტრუმენტატივს გვიჩვენებენ მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები, რომლებიც ნაწარმოებია მოდელით: **სახელის ფუძე+სუფიქსი**: ბარ-ი — ბარ-ავ-ს. ხერხ-ი — ხერხ-ავ-ს. ჩარხ-ი — ჩარხ-ავ-ს: აქ ნათლად ჩანს საგანი, რითაც სრულდება შესაბამისი მოქმედება (ჯორბენაძე, 1975)

გიორგი ლეონიძის ნაწარმოებთა ენობრივი მასალის ანალიზით ირკვევა, რომ ნასახელარ ზმნათა ამგვარი მოდელით წარმოება საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე ქართულში, მაგრამ დასახელებული მოდელის ნეოლოგიზმები შედარებით იშვიათად გვხვდება. ნასახელარ ზმნათა აწმყოს ფუძის საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია **-ავ** თემის ნიშანი:

მტერი მუხდალი შენს კარს თუ **ჰრკალავს**, ე., 67.

ბავშვობისას მე დავბოდი და **გვბილავდი** გაკვეთილებს, II, 96.

ყანებს **ვმარგალიტავდი**, II, 224 ; **ჰმარგალიტავდი**თ თვითელ წერტილს, I, 329. ყველას **მჯილავდა**, ნ., 97. ზარბაზნის კვამლი აღარ **ნისლავდეს**, I, 91, რასაც გულიდან ამოვიტან, იმას **ამოვლექსავ**, ნ., 91.

ინსტრუმენტატივის გამომხატველი ზმნები ნამყო ძირითადში უზმნისწინოდ არ იხმარება. ამ შემთხვევაში ზმნისწინი იქნეს სიტყვაწარმოებითი ელემენტის ფუნქციას:

რაც მოგონებამ **დათასმა**, 1, 204. მთვარემ ბნელი **გალამპრა**, II, 284 **დანესტრა...** კიტრიპარია. ნ., 97: **დამნესტრა მწარე** ნაღველმა, II, 282; **დამნესტრე** განა, სათოკე კაცო, ნ., 142; მისი მზე ველარ **დანისლა**, I, 301. ის, რაც **წანისლა** კრწანისმა, II, 349; როცა მთაწმინდა ბინდმა **შენისლა**, II, 334. მინდვრის შამბნარმა **დასუდრა**, I, 252; მიწა მამით **დასუდროს**, II, 224. გზა **გაცეცხლა** ალმა, I, 290; დამწვი, დაკაფე, **დაცეცხლე**, ე., 537. უნდათ **მოცეცხლონ** მთელი ქვეყანა, II, 137. ვინ **დანორბლა** პურით ყანა, 559. რომ ოქროს ძაფზე **მოვმარგალიტო**, II, 228.

ინსტრუმენტატივის გამომხატველი ნასახელარი ზმნები ზოგჯერ იფართოებენ საწარმოებელ ასპარეზს და საამისიდ გარდაქცევითობის მაჩვენებელ მოდელს იყენებენ. ეს კი იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ამ მოდელთა ფუნქციური დაპირისპირება ერთგვარად დაჩრდილულია, ხო-

ლო ზოგჯერ სრულიად გამქრალი (ჯორბენაძე, 1975), თუმცა ასეთ შემთხვევაშიც გარკვეული წესია დაცული; კერძოდ, თუ სახელის ფუძეს წინ უძღვის **ი-** ან **უ-** პრეფიქსი, მაშინ თემის ნიშნად გვაქვს კვლავ **-ავ** სუფიქსი:

მკერდს **მინესტრავს**, II, 338. მე გზას **გილამპრავთ** სხივაქორილი, ე., 565; ბნელს **გვილამპრავდი** ჭალარით, I, 363; მივყვე, რაც **გამოგაკალმავთ**, I, 345. გზას ვინ მოუჭრის, ვინ **მოურკალავს**, II, 43. ვერა ცრემლით რომ ვერ **დაუნისლავს**, I, 40.

ირკვევა, რომ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებისას ინსტრუმენტატივის გამოსახატავად გამოიყენება არა მხოლოდ დასახელებული მოდელი: **სახელის ფუძე + სუფიქსი** (ხერხ-ავ-ს), სადაც თემის ნიშნად გვხვდება მხოლოდ **-ავ**, არამედ:

ი- + სახელის ფუძე + ავ თემის ნიშანი (გ-ი-ლამპრ-ავ-ს.)

უ- + სახელის ფუძე + ავ თემის ნიშანი (უ-ნისლ-ავ-ს.)

ა- + სახელის ფუძე + -ებ თემის ნიშანი (შე-ა-ნამქერ-ებ-ს.)

ნამყო ძირითადში კი სიტყვაწარმოებითს ფუნქციას ითავსებს ოდენ ზმნისწინი: **ზმნისწინი + სახელის ფუძე** (წა-ნისლ-ა).

ამგვარად, გიორგი ლეონიძის ნაწარმოებთა ენის მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოქმედებითი გვარის ახალ-ახალი ნასახელარი ზმნების წარმოებისას დიდი უპირატესობა ენიჭება ხმოვანპრეფიქსულ მოდელს, ამიტომაცაა, გარდაქცევითობის გამომხატველი მრავალი ნეოლოგიზმი გვხვდება გ. ლეონიძის ენაში, რასაც ვერ ვიტყვით ინსტრუმენტატივის მნიშვნელობის მქონე ნასახელარ ზმნებზე. ალბათ ამის გამოა, რომ ეს უკანასკნელი არღვევენ დაკანონებულ მოდელს და ინსტრუმენტატივის გამოსახატავად იყენებენ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა ხმოვანპრეფიქსულ წარმოებასაც.

ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება

ბესიკ ჯორბენაძის შრომებში მართებულადაა მითითებული, რომ ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნებიც ორი მოდელით იწარმოება: სუფიქსიანი ვნებითის მოდელით და პრეფიქსიანი ვნებითის მოდელით. **ა+სახელის ფუძე+სუფიქსი** მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს სუფიქსიანი ვნებითები შეესაბამება და ისევე, როგორც სათანადო მოქმედებითი, ისინიც **გარდაქცევითობას** გამოხატავენ. ხოლო **სახელის ფუძე+სუფიქსი** მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი

გვარის ზმნებს შეესატყვისება პრეფიქსიანი ვნებითები, რომლებიც **ინსტრუმენტატივის** ფუნქციის მატარებელი არიან (ჯორბენაძე, 1975).

გიორგი ლეონიძისეული წარმოების ნასახელარი ზმნები, ცხადია, უმთავრესად, ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ: სუფიქსიანი ვნებითები გარდაქცევითობას გამოხატავენ: **დატრამალდა** გული, ნ., 61. **ჩა-სბილენძდნენ** და ინახავს მათ „მეფეთა წიგნი“, II, 122. გულში ოცნება **დაკამარავდა**, II, 142. **დამუგუზლდეს** კერის ცეცხლი, I, 98.

მაგრამ ზოგჯერ სუფიქსიანი ვნებითები ინსტრუმენტატივის შინაარსს იძენენ : როდესაც ღამე **გამოვარსკვლავდა**, II, 334 (გარსკვლავებით მოიჭვდა).

პრეფიქსიანი ნასახელარი ვნებითი კი ძირითადად ინსტრუმენტატივობის მაჩვენებელი არიან: რაც გულში **ამოინახავსა**, ე., 549. თუ გარდასული დღე **დაიბიშკრა**, I, 152. ქართლი აქედან **ინარკებოდა**, II, 239. ჩვენის ხმლით **გაიმტკავლება**, ე., 65. ოქროს ფარჩით **იფარჩება**; ე., 557. გული მრავალჯერ **დაიწარღვენება**, I, 365. ვისი შუქით **ვილამპრები**, I, 109.

რაც ქართლს წყვილიადი **დაებურსა**, II, 163. კიბით, საბლებით და ქამანდებით **შემოეზღვავა**, **შემოემკერდა**, II, 318. იგი ხალხს ველარ **დაემკლავება**, I, 392. რაც **დაებწკარა** ქალღმერთს ლექსები, I, 75.

არც თუ იშვიათად პოეტი შედარების ნიუანსებით ტვირთავს ასეთივე წარმოების ნეოლოგიზმებს: **დაიზანგება** სადამო, ე., 594. **ისარტყლება** ცისარტყელა, II, 199. გულის ნაწური ნაკადი ზვირთებათ **დაითერგება**, II, 185. ცა **აივერცხლა**, I, 402.

თუ შენი ნისლი **დაესუდრება**, II, 52. მხოლოდ მრავალი ბესიკი შენს ბაღებს **ეიადონა**, I, 241. დიდება მიწას, რომ **გეაკვნათ**, I, 328. გულს **მოეთბილა**, **მოეყვავილა**, II, 145. თვალები **მოეწვიმება**, ე., 74. სამგორის ქანებს **შეეფუტკრება**, I, 281. ტუჩი **აგეშვენდა**, II, 114.

გამორკვეულია, რომ ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებს ტენდენცია, გააფართოოს სუფიქსურ ვნებითთა გავრცელების არე თავდაპირველ პრეფიქსულ ვნებითთა ნაცვლად (ქავთარაძე, 1954; ნოზაძე, 1961). პროფ. ზ. სარჯველაძის მიერ შესწავლილ წერილობით წყაროებში მოპოვებული მასალები ადასტურებენ ამ თვალსაზრისს (სარჯველაძე, 1975), თუმცა იქვე მითითებულია: ქართულში შეინიშ-

ნება ისეთი ფაქტებიც, როცა პრეფიქსიანი ვნებითი ენაცვლება სუფიქსურს (სარჯველაძე, 1975). მართლაც პრეფიქსული წარმოებისაკენ მიდრეკილება იგრძნობა ქართულის ზოგიერთი ტიპის ზმნებში (შე-როზია, 1978), რასაც მხარს უჭერს მხატვრულ ტექსტებში მოძიებულ მასალა, კერძოდ, გიორგი ლეონიძის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებში მრავლად იძებნება ანალოგიური შემთხვევები, როცა მოსალოდნელი სუფიქსური წარმოების ნაცვლად გვაქვს ნასახელარ ზმნათა პრეფიქსული წარმოება:

ე-პრეფიქსიანი

კალმის სიმართლეს **დაეზვარაკა**, ახ., 48; და მის სიყვარულს **დავემწევესები**, I, 75 ; **დამედანტურე** წულუ ჩუქურთმებით, ი, 50 ; ფერფლის ფინფლი **დაგემაჯნოს**, I, 198 ; ვინ **შეეძმაგა** რუსთაველს? II, 160; **შეეჩუქურთმა** სული შენს სულსა, I, 207 ; ტუჩი **აგეშვინდა**, II, 114 ; თვალეზი **მოეწვიება**, ე., 74; კიბით, საბელით და ქამანდებით **შემოეზღვივა**, **შემოემკერდა**, II, 318; არწივს ვერ **დაემკლავები**, ე., 578; გული ხომ აღარ **დაგვედარდება**, I, 110.

ი-პრეფიქსიანი

ქალაღის ნაგზე **დავიდარდები**, I, 52; შენ აღარასდროს **დაიდარდები**, I, 343; **ჩამოიმძივე**, აორთქლდი ცვარად. I, 50; მამულისათვის დღესაც ძვლებით **დაიმძევლები**, I, 366; რაც გულში **ამოიხავსა**, ე., 549.

გიორგი ლეონიძის ენაში ნასახელარ ზმნათა წარმოებისას შენიშნული ტენდენცია — მოსალოდნელი სუფიქსურის ნაცვლად პრეფიქსული წარმოება, რაც ძველი ქართულისთვისაც არ იყო უცხო, კახური დიალექტის გავლენა ჩანს.

საშუალო გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება

საშუალო გვარის (resp. მედიოაქტივის) ნასახელარ ზმნათა საწარმოებლად გამოიყენება თემის ნიშანი **-ობ**, გიორგი ლეონიძის ენაში გვხვდება ამ გზით ნაწარმოები რამდენიმე ზმნა;

მაინც სიმღერით **ავთანდილობდი**, I, 364. მართლაც **ვეფხობდა**,

ნ., 140. შენ ერთხელ წყნეთში რომ **ზაფხულობდი**, I, 351. რაზე **ზღაპრობდით**, ნ., 25. **ვმღეროდით**, **ვლექსობდით**, ნ., 161. ცას შეგხედე, **მინანქარობს**, II, 196. **მინდორობს** და **მონადირეობს**, II, 246. აქ ყველა ბიჭი **საზანდარობს**, I, 235.

მაშასადამე, საშუალო გვარის ახალ-ახალი ნასახელარ ზმნების აწმყოს ფუძის საწარმოებლად გამოიყენება ორწევრიანი მოდელი: **სახელის ფუძე+თემის ნიშანი**.

ნასახელარ სახელზმნების წარმოება

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ გარკვევითაა ნათქვამი, რომ „სახელზმნა ზმნისგან არის ნაწარმოები და არა სახელისგან“ (შანიძე, 1973), ამიტომაცაა, რომ მას ნაზმნარი სახელი ჰქვია. „მიმღობის პარალელური ფორმები შესაბამისი ზმნის პარალელურ ფორმებს ვარაუდობენ და მიმღობაში მხოლოდ მას შემდეგ შეიცვლება „ნაკლული მწკრივი“, როცა შესაბამისი ზმნა ჩამოყალიბდება“ (ჯორბენაძე, 1980), მაგრამ გიორგი ლეონიძის პოეტურ და პროზაულ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სახელის ფუძისგან იწარმოება არა მარტო „ნასახელარი ზმნა“, არამედ „ნასახელარი სახელზმნა“, რომელსაც ფაქტობრივად არც მოეპოვება სათანადო ზმნა, ნასახელარი სახელზმნის საყრდენი ფუძე უშუალოდ სახელია. ამგვარი წარმოებისაა რამდენიმე „ნასახელარი საწყისი“.

მართლა გიყვარდა **მოფატმანება**, I, 352. ამ წიგნზე თვალთა გიმრების ყოველი **დაწამწამება**, I, 415. მოცდა, **მოსათება** ეძნელებოდა, ნ., 180. ძვირფასი სახის **დამარმარება**, ნ., 157. თვითეულ შეხედში რომ ესმის სიცოცხლის **მონექტარება**, I, 102.

შედარებით მრავალია „ნასახელარი მიმღობები“, უმთავრესად ვნებითი გვარისა, ნაწარმოები **-ულ** სუფიქსით, თემისნიშნის თუ უთემისნიშნო; ამ ტიპის მაგალითებში საწარმოქმნო ფუძედ გამოიყენებული სახელი ძირითადად შესადაარებელი საგანია:

დღე არის მართლაც **დაბროლებული**, I, 486. ჩირიკის საამაყო მისი **ჩავაშლებული** ცხენი იყო, ნ., 55. **დამარმარებული** ყელი., 168. ხილნარი **დამარჯნებული**, ე., 292. მიწა რად გღია **დამძევებული**, ე., 567. თოვლიანი აღმასით **ანაპერწყლებული** გორები, ნ., 111. ლურჯთვალა, **შავწამწამშაბურული**, **დანუკრებული**, ნ., 63. ალიონის ცა **წაშვინდებული**, ე., 285.

აღარც კი მოჩანდა თეთრად დაწერილი, ნ., 104. ჭაბუკო **გადაღწეული**, II, 255. უკოცნის ქოჩორს **მომარგალიტულს**, II, 277. **გადაპარჩნული** ბალები, I, 162. მისი სახე **გამთვარული**, II, 236. მდელი — დილის აღმასურ ცვრებით **ამომძიული**, ე., 592. მანდინ ღამე **შენაბდული** ანაზდულ გასჭრა მთვარემ, ე., 562. **მონარგიზებული** სახე თუ ჰქონდა, I, 351. გინახავს **გადაშინდული** ცისკრული ამონათება, I, 104. როდემდის უნდა იაროს ასე დაღეულმა და **გამოჩნკულმა**, ნ., 88.

სწორედ ამ მასალამ მოგვცა საფუძველი შემოგვეტანა ტერმინი „ნასახელარი სახელზმნა“, „ნასახელარი საწყისი“ და „ნასახელარი მიმდებარე“. ვინაიდან „მისი ადგილი მაინც უფრო ზმნათა სისტემაშია“, ამიტომაც ტერმინი „ნასახელარი ზმნა“, უნდა მოიცავდეს აგრეთვე „ნასახელარი სახელზმნის“ ცნებასაც.

ნასახელარ ზმნათა საყრდენი ფუძის შესახებ

ისტორიულად განსაკუთრებით პროდუქტულია სახელების ძირებისაგან ზმნათა წარმოება (ქავთარაძე, 1954), თუმცა მეთერთმეტე საუკუნიდან სამწერლობო ენაში უკვე შეინიშნება, რომ ნასახელარი ზმნების წარმოების ასპარეზი საგრძნობლად ფართოვდება. იგი მხოლოდ არსებით, ზედსართავ სახელთა და მიმდებარის ფუძეებით აღარ იფარგლება და ახალი ზმნები იწარმოება აგრეთვე რიცხვით სახელთა, ნაცვალსახელთა, ზმნიზედების, შორისდებულების, კავშირების, წარმოქმნილი და თხზული სახელებისაგანაც (მელიქიშვილი, 1975).

ამ მხრივ განსაკუთრებით პროდუქტულია ქართველური ენები. „ქართველური ენების გარდა არც ერთი სხვა იბერიულ-კავკასიური ენას არ შეუძლია სახელის ფუძისაგან ისეთი ნაირ-ნაირი ახალი ფუძეები აწარმოოს, როგორც ქართულში გვაქვს“ (ჩიქობავა, 1950).

ასე რომ, ზმნური სიტყვათწარმოების საყრდენი ფუძე უმთავრესად არის სახელი; ამის თაობაზე ბესიკ ჯორბენაძეც მიუთითებს: „სახელის ფუძის გამოყენება ზმნურ ფორმათა წარმოებისას ფაქტობრივად შეუზღუდავია, რაიმე ამკრძალავი წესი აქ არ მოქმედებს (იგულისხმება სიტყვათწარმოების თვალსაზრისით) და თუ რომელიმე სახელის ფუძე ზმნურ ფორმაში არ არის გამოყენებული, ამის მიზეზია არა წარმოების შეუძლებლობა, არამედ საჭიროების უქონლობა“ (ჯორბენაძე, 1980).

ლიტერატურა

გიგინეიშვილი, 1944 — ივ. გიგინეიშვილი, სიტყვათწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1944.

გოგოლაშვილი — გ. გოგოლაშვილი, ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა საყრდენი ფუძის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 187.

კოშორიძე, 2005 — ე. კოშორიძე, გიორგი ლეონიძის ლექსიკის დახასიათებისათვის, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.

მაჭავარიანი, 1973 — გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბ., 1973.

მელიქიშვილი, 1975 — დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.

ნოზაძე, 1961 — ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.

სარჯველაძე, 1975 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.

ქავთარაძე, 1954 — ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

ღლონტი, 1964 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.

ღლონტი, 1961 — შ. ღლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961.

შანიძე, 1957 — ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973.

შეროზია, 1978 — რ. შეროზია, ვნებითი გვარის ზმნებისა და პოტენციალისის საკითხისათვის ქართულსა და სვანურში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.

ჩიქობავა, 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქველ, I, თბ., 1950.

ძიდიგური, 1971 — შ. ძიდიგური, დავით გურამიშვილის ენა, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971.

ძიდიგური, 1959 — შ. ძიდიგური, კვლავაც ჟღერდეს პოეტის ენა, გაზ. „თბილისი“. №305 (2003), 28 დეკემბერი, 1959.

ჯორბენაძე, 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

ჯორბენაძე, 1983 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე, 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე, 1987 — ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია (პროგრამა-პროექტი, თბ., 1995).

ჯორბენაძე, 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

საანალიზო მასალა შემოკლებათა განმარტებით

ე. — გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1954.

I — გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1962.

II — გ. ლეონიძე, თხზულებათა კრებული, ტ. II, თბ., 1963.

ნ. — გ. ლეონიძე, ნატვრის ხე., 1964.

ROIN CHIKADZE

Verb Formation and Semantic Differentiation of Denominative

Verbs in Fiction

(on the basis of Besic Jorbenadze's viewpoint)

Summary

According to Besic Jorbenadze's observations the voice forms of denominative verbs have individual formation. This viewpoint is supported by the data accumulated from Giorgi Leonidze's works where the verbs of the given type, i. e. with no opposite voice form are encountered in large numbers; that means that the rule of conversive interrelation of primary verbs does not work in this case. Moreover, the verbs of the discussed type, form their mtskrivi forms also individually.

Literary texts are also abundant in verbals (infinitives, participles) of nominal origin.

Thus, in the above-discussed linguistic units the noun is the basic element of the stem. Semantically the verbs and verbals in question express transformational and instrumental meanings.

ენიანი ზონონალია

ყაფის მთის წარმოგავლობისათვის

საშუალო ქართულის აღმოსავლური ენებიდან ნათარგმნ სამწერლო ძეგლებში ზღაპრული მთის მნიშვნელობით დასტურდება **ყაფის მთა**.

(მოახსენა ყაისარს სიდედრმა თვისმა ტირილითა) შენისა შიშითა დევნი ყაფისა მთასა შიგან იხიზნებიან და ნიანგნი-ზღვაშიგან (რუსულ. 381, 22). მას უამად მთასა ყაფისასა, სახელად ჰქუის ყამარ წოდებულსა შინა ერთი დევი მკვიდრობდა (ყარამ. 41,31). მთასა ყაფისასა მოველ (ყარამ. 131,21). სრულად ყაფისა მთისა ბატონობასა მოვაცემინებ (შაჰნამე III, 8,30). დევი წავიდა ჯაშუშად გავლო ყაფისა მთანია (შაჰნამე, 9078, 1). მას მეფესა ერთი ქორი ჰყუა, რომელი ერთხელ მოფრენით ფასკუნქსა ყაფისა მთისაგან ჩამოიტაცებდა (ქილ. 711, 20).

ყაფის მთას ზემო დასახელებული ლიტერატურის ლექსიკონების შემდგენლები შემდეგნაირად განმარტავენ: **ყაფის მთა < არაბ. Kaf** ზღაპრული მთის სახელია. ირანულ თქმულებათა მიხედვით იგი გარეშემო უარს ხმელეთს. კავკასიის მთასაც **ყაფის მთას** უწოდებენ. **ყაფის მთა**, ზღაპრული მთა, რომელიც ვითომ გარს ერტყმის დედა-მიწას ყოველ მხარეს (აბულაძე, 1916; გიგინეიშვილი, 1957; თოდუა, 1975).

ყაფის მთა კავკაზის მთა, განმარტავს დ. ჩუბინაშვილიც.

არაბული და სპარსული განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით **ყაფის მთის** ძველ მნიშვნელობად მიჩნეულია კავკასია. ხოლო ძირითად მნიშვნელობად კი „ლეგენდარული, ზღაპრული მთა“. შდრ. აგრეთვე თურქული **kafnin ardinda** „ცხრა მთას იქით“.

მიგვაჩნია, რომ **ყაფ**-ისათვის ამოსავალია **კავ**(კასია), ხოლო **ყ<კ, ფ<ვ**. აღმოსავლურ ენებისათვის ცნობილი მისი ძირითადი მნიშვნელობა „ლეგენდარული, ზღაპრული მთა“ მეორეულია და „კავკასიის“ გადატ. ხმარების შედეგადაა წარმოქმნილი, ქართულის ნათარგმნ

ძეგლებში კი მის უკუსესხებას აქვს ადგილი. ვფიქრობთ ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს საინგილოში დადასტურებული ჰიდრონიმი **ჯაფიჩაი**. **ყაფიჩაი** გულუგის (ვარდიანის) აღმოსავლეთ მხარეს კავკასიის მთებიდან გამომდინარეობს „ერთი პატარა წყალი, რომელსაც ყაფიჩაის ეძახიან“ (ჯანაშვილი, 1902). **ჯაფიჩაი** — მდინარე, სოფ. სუვაგილზე ავლით ჩაედინება მდინარე ალაზანში (ასრათოვი, 1997). **ყაფიჩაი** კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული **ყაფი** უნდა იყოს, მეორე კი ჩაი, როგორც ა. ასრათოვი აღნიშნავს, ინგილოური ზოგიერთი ჰიდრონიმის მეორე კომპონენტი „წყალი“ შეცვლილია „ჩაით“, რაც აზერბაიჯანული ენის ზეგავლენით არის გამოწვეული. ასეთივე ვითარება უნდა გვქონდეს ამ შემთხვევაშიც (ასრათოვი, 1997). ე.ი. ზემო თქმულიდან გამომდინარე **ყაფიჩაი** ნიშნავს „კავკასიის წყალს“.

ლიტერატურა

აბულაძე, 1916 — ი. აბულაძე, შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I, ი. აბულაძის გამოცემა, თბ; 1916.

ასრათოვი, 1987 — ა. ასრათოვი, საინგილოს ჰიდრონიმა ლოკალიზაციისათვის, ქართველური ონომასტიკა I, თბ; 1997.

თოდუა, 1975 — მ. თოდუა, ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი, მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, კომენტარები დაურთო მ. თოდუამ. თბ; 1975.

შაჰნამე III — დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების მესამე ტომის ლექსიკონი, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი I, თბ; 1983.

გიგინეიშვილი, 1957 — რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ; 1957.

ყარამანიანი, 1965 — ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარია და ს. ცაიშვილმა, თბ; 1965.

ჩუბინაშვილი, 1985 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. თბ; 1984.

ჯანაშვილი, 1902 — დ. ჯანაშვილი, აღწერა ჰერეთისა, ყურნ.

„მოგზაური“, 1902.

Персидско-русский словарь. Руководитель Ю. А. Рубинчик. М. 1985.

Турецко-русский словарь. Редакторы Э. М. Мустафаев и Л. Н. Старостов. М. 1977.

NINELI CHOKHONELIDZE

Towards the Origin of Mount Qapi

Summary

In Medieval Georgian translations Mount Qapi is referred to as legendary and magical. In Oriental languages qapi means 1. a legendary, magical mount; 2. the Caucasus.

The paper argues that qap < kav (kasia); q < -k; p < -v; the meanings of legendary, magical is metaphorical.

The Georgian variant is the result of backborrowing.

ნიკო ოთინაშვილი

ნაშრომი ჰოროხის აუზის ტოპონიმის შესახებ რეცენზია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიფით „გამომცემლობა აჭარამ“ დასტამბა მეტად საჭირო წიგნი, რომლის ავტორია ამ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი ბატონი ნუგზარ ცეცხლაძე. ხელიხელსაგომანები წიგნი სათაურით „ძიებანი ჰოროხის ტოპონიმიდან“ გვჯერა, სპეციალისტთა ფართო მსჯელობის საგანი გახდება და მას დიდი პრობაგანდა გაეწევა არამარტო ჩვენში.

ტოპონომიკური ტერმინოლოგია, როგორც ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილი სამართლიანად იქცევეს მკვლევართა ყურადღებას, როგორც ენათმეცნიერული, ისე ისტორიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური თვალსაზრისით.

ქართული ტოპონიმის კვლევა-ძიება ჩვენში კარგა ხანია ინტენსიურად მიმდინარეობს და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა პოლიტიკური „დათბობის“ გამო ჩვენს მეცნიერებს საშუალება ეძლევათ უკვე საზღვრის იქით დარჩენილი ჩვენი ძმები მონახულონ და კვლევითი მუშაობა ჩაატარონ.

ერთ-ერთი ასეთი რეგიონია სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომლის ერთ ნაწილს — ჰოროხის აუზის ტოპონიმის ეძღვნება აღნიშნული ნაშრომი. მხარის ტოპონიმის ცოცხლად შემოუნახავს ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსულის სუნთქვა და ავტორსაც არ დაუშურებია დრო, თავისი ცოდნა და წლების მანძილზე ინტენსიურად იკვლევს მხარის ტოპონიმებს, ჰიდრონიმებს, საფუძვლიანად შეისწავლა და აღეწრა ამ რეგიონის როგორც ქართული, ისე თურქული ტოპონიმები, ლექსიკა, რაც საფუძვლად დაედო აღნიშნულ წიგნს. ავტორს არაეთვზის აქვს შემოვლილი მდინარე ჰოროხის აუზის სოფლები, უშუალოდ ადგილზე აქვს მოპოვებული უაღრესად საინტერესო და მდიდარი მასალა. წიგნში შეტანილია როგორც მაკრო, ისე მიკრო

ტოპონიმები, საზოგადოდ მათთან დაკავშირებული სხვა ონომასტიკური ერთეულები. ეს მასალა უაღრესად შთამბეჭდავია და მრავალი წლის დაძაბული შრომის შედეგად არის მოპოვებული.

სარეცენზიო წიგნი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან.

1. შავშეთის ისტორია,
2. შავშეთის ტოპონიმიური მასალები ქართულ და უცხოურ წყაროებში,
3. შავშეთის ტოპონიმის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ანალიზი,
4. ქართულ-თურქული ურთიერთობების ასახვა შავშეთის ტოპონიმიაში. შემდეგ მოტანილია მასალები მურღულის ხეობისა და ფოცხოვ-არტაანის ტოპონიმებიდან. ნაშრომს ერთვის რეზიუმე თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ახლავს ქართულ-თურქული ანბანი, ლიტერატურა და წყაროები.

წიგნის შესავალ ნაწილში მოცემულია მხარის გეოგრაფიული აღწერა, საზღვრები, სოფლების სია და რეგიონის შესწავლაში იმ პირთა დამსახურება, რომლებმაც მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს წყაროებთან ერთად. ესენია: „ქართლის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ცალკეული პირებიდან: დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, პ. უვაროვა, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, ილია სიხარულიძე და დღეს მოქმედი ცნობილი მეცნიერები, ჩვენი კოლეგები შუშანა ფუტკარაძე და მამია ფაღავა.

წიგნში ტოპონიმები განხილულია როგორც შინაარსისა და დანიშნულების, ისე ფონეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით. აქ ვეცნობით: უაფიქსო სახელებს, აფიქსებით ნაწარმოებ ტოპონიმებს, რთულ გეოგრაფიულ სახელებს, ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმებს, მცენარეთა სახელებს ტოპონიმებში, ფონეტიკურ მოვლენებს, ჰიდრონიმებს, ზანიზმებს შავშეთის ტოპონიმიაში.

საველე მუშაობის შედეგად მოპოვებულ მასალასთან ერთად ნუგზარ ცეცხლაძე ითვალისწინებს აგრეთვე ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში დაცულ ცნობებს. ამასთან ყურადღებას აქცევს ნასოფლარებს, რომლებიც მხარეში საკმაოდაა. მოცემულია მათი ლოკალიზაცია, აღწერილია საკულტო-რელიგიურ ნაგებობათა ნაშთები, როგორც ქართული, ისე თურქული, ციხე-სიმაგრეები და სხვა.

შრომაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფონეტიკური ცვლის ნიადაგზე მიღებულ ტოპონიმთა ენათმეცნიერულ ანალიზს, ყურადღება გამახვილებულია მათ სემანტიკაზე. შავშეთ-იმერეთის ტოპონიმიაში დასტურდება ჯ – ხარი და – იოტა ბგერები, რაც ანალოგიურია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის, ასევე დადასტურებულია ქართულში. ასევე თითქმის ანალოგიურია ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერათდაკარგვის, სუბსტიტუციის შემთხვევები. რაც შეეხება ჰიდრონიმთა სახელებს, ბატონი ნუგზარი იმოწმებს გიორგი ყაზბეგის გამონათქვამს, რომ საკუთარი სახელები არა აქვთ, ყოველი შესანიშნავი საგანი მათ აძლევს თავის სახელდებას. ეს სახელებია — შავშეთის წყალი, იმერხევის წყალი, ტბა, წყარო, ხევი, დელე, ხევა, რაც საერთოდ დამახასიათებელია ზოგადად ქათული დიალექტებისათვის, ასევე წარმოებისათვის.

შრომაში ყურადღებას იქცევს რთულფუძეებიანი ტოპონიმები, რომლებიც ძირითადად მიკროტოპონიმებია და ფასეულია იმით, რომ მასში მდიდარი ინფორმაციაა დაცული. მათში აღნიშნულია ადგილთა ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, კუთვნილება, წარმომავლობა, რომელთაც უკეთ საჩვენებლად იმერხელს სიტყვათშეერთების გზა აურჩევია, რადგან ობიექტის სრული დახასიათება და აღწერა სწორედ ორი სიტყვის სინტაგმას შეუძლია. ასეთი მაგალითებია: ავზწყანა, სერიყანა, ადრისაწმინდა, დაბაკეთილი, ქვაწითელი, ყარისაწოლი, ზედვეკა, საბეჭიჭალა და სხვა.

რთულ ტოპონიმებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: კომპოზიტის ორივე წევრი არსებითი სახელია, ერთი არსებითია, მეორე ზედსართავი. ზედსართავი და არსებითია, ზმნიზედა და არსებითია, მსაზღვრელად გვხვდება რიცხვითი სახელი და სხვა.

წიგნში განხილულია -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები: ეკლიანები, ჯაფარაულები, ხარებულები, გორგიჭაულები, სასარეები და სხვები, რომელთა შესახებ წიგნის ავტორის აზრი გამართლებულია, რომ -ებ სუფიქსი ამ ტიპის ტოპონიმებში ნაკვეთის სიდიდეზე მიუთითებს და არა სიმრავლეზე.

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში სათანადოდ არის ასახული მეურნეობის სხვადასხვა დარგის როგორც აწმყო, ისე წარსული. როგორც ავტორი აღნიშნავს, ასეთი სახის სამეურნეო ტოპონიმები ხშირად მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის კომპოზიტებია. მაგალითად: გოგლიეთის მიწები, ჩხალეთის საძოვრები, ნასყიდაძეების მულქები.

ცალკედ დარჩენილი მსაზღვრელი გაფორმებულია -ურ, -ულ სუფიქსით: ბაბა-ურ-ი., ბაბა-ურ-ებ-ი, გორგიჭა-ულ-ი, კახა-ურ-ებ-ი, ჯაფარა-ულ-ებ-ი, ხარებ-ულ-ებ-ი...

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ტოპონიმები და სხვებიც, რომლებიც სარეცენზიო წიგნშია განხილული ანალოგს პოულობს ხეობაში. -ურ, -ულ სუფიქსიანი ტოპონიმები ამ შემთხვევაშიც ქონების აღნიშვნაზე მიუთითებს და არ არის გამორიცხული ძველი ქართულ აწ უკვე გადაშენებულ გვარებთან გვქონდეს შეხება. თუ ეს ასეა, მაშინ ორი აზრი შეიძლება, დავაფიქსიროთ: პირველი, რომ შავშვეთისა და შიდა ქართლის სეხნია ტოპონიმები ერთ-ქართული ენის, როგორც მშობლიური დედა ენის, ერთიანობაზე მიუთითებს. მეორე კი მიუთითებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ყოველთვის ხდებოდა მიგრაცია და ამის მრავალი მაგალითი გვაქვს, როგორც ზეპირ გამომცემლობითი, ისე წყაროებით დადასტურებულია, რომ ლიხვის ხეობაში სამცხიდან, აჭარიდან, ტაოდან მოსული გვარები დღესაც ცხოვრობენ ჩვენს მხარეში და სწორედ მათი მოტანილია ზემოხსენებული ტოპონიმები.

შრომას ერთვის ანბანურ რიგზე გაწყობილი ტოპონიმების, ჰიდრონიმების, ანთროპონომიების ლექსიკონი, გამოყენებული ლიტერატურის სია.

აღნიშნული გამოკვლევა ავტორის მიერ წლების მანძილზე გაწეული შრომის ნაყოფია და კარგად წარმოაჩენს ზემო ქართლის, საქართველოს ამ ძირძველი რეგიონის ლექსიკურ სიმდიდრეს.

წიგნს დართული აქვს ინფორმატორთა სია, ფოტოები, რუკები, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის ამ წიგნს.

ნაშრომი შესრულებულია სათანადო მეცნიერულ დონეზე დაწერილი გამართული, ლიტერატურული ენით, მსჯელობა ნათელი და თანამიმდევრულია, დასკვნები — მისაღები.

აღნიშნული წიგნის ცალკეული ნაწილები მოხსენებათა სახით წაკითხულია სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე, გამოქვეყნებულია სპეციალურ კრებულებსა და ჟურნალებში. ახლა კი წიგნად გამოცემა ხელს შეუწყობს მისაწვდომლობას ფართო აუდიტორიისათვის თურქეთსა და საქართველოში და, დარწმუნებული ვართ, ფართო მკითხველი მას სათანადოდ შეაფასებს. ეს კი მამულიშვილური საქმეა და ყველასთან ერთად მივესალმებით ამგვარ კვლევას და წარმატებებს ვუსურვებთ ნუგზარ ცეცხლაძეს ამ რთულ გზაზე.

მადლობას მოვასხენებთ წიგნის რედაქტორსა და რეცენზენტს, შესანიშნავ მკვლევარებსა და ადამიანებს, მამა ფალავას და მიხეილ ქამადაძეს, რომლებიც დიდებული გამოკვლევების ავტორები არიან სამხრული კილოებისა და აჭარული დიალექტისა. ასევე ნანა ცეცხლაძეს და ისტორიკოსს ემზარ მაკარაძეს.

გიორგი გომილაშვილი

ენციკლოპედია „ქართული ენა“ მტარ-მოყვრის თვალთშეშვით*
(პასუხად ა. ფოცხიშვილს)

ქართული ენა ბოლო წლებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამას წინათ წერილიც გამოვაქვეყნეთ „ფართომასშტაბიანი ომი ქართული ენის წინააღმდეგ“ (18 მარტი, 2008 წ.). თუ მთლიანობაში გავიზარებთ, რა ხდება ჩვენი დედაენის თავს, მშვიდად ვერ უნდა იყოს ქართველი კაცი... ასეთ გარემოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ გამოდის სოლიდური წიგნი — **ენციკლოპედია „ქართული ენა“**. ეს არის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის ერთობლივი გამოცემა; მრავალწლიანი თავდადებული შრომის შედეგი; დადასტურება იმისა, რომ ქართული ენა კვლავაც არის სერიოზული ფიქრისა და ზრუნვის საგანი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. „იგი პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედიაა, რომლის შექმნის აუცილებლობა დრომ განაპირობა... ამ უნიკალური გამოცემის მომზადებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ჰუმანიტარულმა დაწესებულებამ,“ — ვკითხულობთ სარედაქციო წინასიტყვაში. შემოქმედებითი ჯგუფისა და გამომცემლებისათვის ისიც ნათელია, რომ „ქართული ენა“ ამ ტიპის პირველი გამოცემაა და, ბუნებრივია, დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან“; ილია ჭავჭავაძის ნატვრით ვნატობდით: „ნეტა ორიოდ კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს.. თუ ღმერთი გაგვიწყობს და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ.“ ასე ვფიქრობდით და ამიტო-

* წერილის საგაზეთო ვარიანტი დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ (15 აგვისტო, 2008 წ.).

მაც ითხოვს რედკოლეგია — „დიდი მადლიერებით მივიღებთ მკითხველთა ყველა შენიშვნას“. ცხადია, შენიშვნებსაც ველოდით და, რა თქმა უნდა, დადებით შეფასებასაც. თუმცა, როგორც ჩანს, მოყვარემ ვერ მოიცალა...

ჰოდა, გამოქვეყნდა **ა. ფოცხიშვილის** ვრცელი წერილი **„ქართული ენა“ ენციკლოპედიის შექმნის დროს** („საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივლისი, 2008) (სათაური რომ ცუდი ქართულია, ამჯერად ეს მეორეხარისხოვანია...). კი გვპირდება ავტორი, შექმნილგვებზე ვისაუბრებო, მაგრამ, სამწუხაროდ, შეუქმნა ვერ ხედავს, „ჩრდილებში დააბიჯებს“... ერთადერთი, რაც მას ამ სქელტანიან გამოცემაში მოსწონებია, ვ. სილოგავას სტატიებია... ა. ფოცხიშვილს აქვს უფლება, მოსწონდეს ან არ მოსწონდეს რაიმე, მაგრამ თეთრის შავად წარმოჩენის უფლება მისთვის არავის მიუცია... მისი პრინციპი ასეთია: კარგია, თუ მე მაქვს; ცუდია, მე თუ არ მაქვს. საკუთარ თავს თავად აძლევს მაღალ შეფასებას და სხვისგანაც მოითხოვს, გაიზიაროს ეს აზრი!.. თუ არ გაიზიარე, მტერი ხარ მეცნიერებისა... არ ვამუქებ, ძვირფასო მკითხველო; მოთმინება იქონიე, ამ თემაზე ვრცლად მომიწევს მსჯელობა.

ბევრი რამ არ მოსწონს ა.ფოცხიშვილს ენათმეცნიერების ინსტიტუტსა თუ მის გამოცემულ ენციკლოპედიაში. საგაზეთო წერილში განსაკუთრებული აგრესია პირადად ჩემ მიმართაც გამოავლინა. როგორც ჩანს, ა. ფოცხიშვილი ჩემზე იმიტომაც არის განაწყენებული, რომ ერთხელ ბ. ჯორბენაძისადმი მიძღვნილ წერილში (2002 წელი იყო) ბრჭყალები, მისი აზრით, უადგილოდ გამოვიყენე. აი, ეს ადგილი ჩემი წერილიდან: „ენათმეცნიერების ინსტიტუტზე განაწყენებულმა „ენათმეცნიერების ისტორიკოსმა“ თავის „ისტორიაში“ სრულიად არაობიექტურად და დაუმსახურებლად გააკრიტიკა ბატონი ბესიკი“. მარტივად განვუმარტავ ა. ფოცხიშვილს ამ წერილში „წინწყლების“ დანიშნულებას: მე არც ავტორს ვთვლი ენათმეცნიერების ისტორიკოსად და არც წიგნს — ისტორიად. რატომ? — **გაყალბებული ფაქტებით შექმნილი ისტორია არაა ისტორია! ისტორიული ფაქტების გამყალბებელი არ არის ისტორიკოსი!**

როცა ა. ფოცხიშვილი საგაზეთო წერილში წერს — „ჩემი ნა-

შრომის მიმართ „მოწინააღმდეგეთა ბანაკის“ არცერთ წარმომადგენელს კრიტიკული შენიშვნა არ გამოუთქვამს, რაც იმას ნიშნავს, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდათო,“ — უბრალოდ ცრუობს. მე მას ერთ ფაქტს შევახსენებ (არ შეიძლება არ ახსოვდეს): 1996 წელს ა. ფოცხიშვილმა მისაყვედურა, ჩვენს გაზეთში („ბურჯი ეროვნებისა“ იმჟამად გაზეთი იყო) რატომ არ დავბეჭდებ ინფორმაცია თუ რეცენზია მის სქელტანიან წიგნზე. მე მას განვუმარტე, რომ ჩემთვის მიუღებელია ფაქტების გაყალბება, გამიზნული სიცრუე მეცნიერულ ნაშრომში, ამიტომ თქვენს წიგნზე ჩვენს გაზეთში არას დავბეჭდავ-მეთქი... ჩვენი საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი იყო... სათქმელი ვუთხარი, როგორც ჩანს, უნდა დამეწერა... მეორედ, 2003 წელს, ბ. ჯორბენაძისადმი მიძღვნილ ზემოხსენებულ წერილში „წინწყლებით“ განაწყენებულს განვუმარტე, რატომ ჩავსვი ბრწყალეებში **ენათმეცნიერების ისტორიკოსი და ისტორია**. საუბარი თბილისის უნივერსიტეტში შედგა და საკმაოდ ხანგრძლივი იყო... ასე რომ, სათქმელი არაფერი ჰქონდათო, ცრუობს. უბრალოდ, სათქმელი ითქვა, მაგრამ არ დაიწერა... როგორც ჩანს, უნდა დამეწერა... რას ვიზამთ, ასე გახდა საჭირო და დღეს დავწერთ...

მთავარი ბრალდება, რასაც ა. ფოცხიშვილი ენციკლოპედიას უყენებს, ისაა, რომ უგულვებელყოფილია ა. ფოცხიშვილის დამსახურება ენათმეცნიერებაში; არაა სათანადოდ შეფასებული მისი „ფუნდამენტური გამოკვლევა“ (მისივე სიტყვებია; იგულისხმება წიგნი „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“, 1995), არაა აღიარებული მისი აღმოჩენები... ცხადია, საგაზეთო წერილში მის ყველა პრეტენზიასა და „ბრალდებას“ ვერ განვიხილავ. მე აქ მხოლოდ ერთ საკითხს შევეხები (ამის თაობაზე ვესაუბრე მას ორივე შეხვედრაზე), რის გამოც ჩვენთვის სანდოობას კარგავს მისი „ფუნდამენტური გამოკვლევა“. სხვა თემებზე, თუ გახდება საჭირო, სხვა დროს ვისაუბრებ (ასეთი თემები მრავლადაა „ფუნდამენტურ გამოკვლევაში“)...

ა. ფოცხიშვილის აზრით (ეს აზრი აქვს მას გატარებული „ფუნდამენტურ გამოკვლევაში“ და საგაზეთო წერილშიც), „მთავარი მტერი“ ანტონ კათალიკოსისა არის არნოლდ ჩიქობავა და მისი (ა. ფოცხიშვილის) დამსახურებაა, რომ არნ. ჩიქობავას კლანჭებიდან იქნა გამოსხნილი ანტონი! (აი, ეს „დამსახურებააო“ იგონორიებული!).

ა. ფოცხიშვილის აზრით, არნ. ჩიქობავამ არასწორად, ტენდენციურად, არაობიექტურად შეაფასა ანტონის როლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში; ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა გამოცემაში, სასკოლო სახელმძღვანელოებში ცდილობდა ამ აზრის დამკვიდრებასო. **ა. ფოცხიშვილი არ ამბობს იმას, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევს არნ. ჩიქობავა ანტონს, როგორც ენათმეცნიერს, როგორც პიროვნებას.** თურმე ნუ იტყვით და, 1970 წლამდე, ვიდრე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდებოდა ა. ფოცხიშვილის წერილი, „ანტონ I წარმოდგენილი იყო, როგორც ურეაქციონერესი მოღვაწე“ და ამაში მთავარი დამნაშავე, მისი აზრით, არნ. ჩიქობავა იყო! მკითხველს შეუძლია გაეცნოს 1965 წელს გამოცემულ არნ. ჩიქობავას წიგნს „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (გვ. 88-100) და თავად დარწმუნდება „ისტორიკოსის“ სიცრუეში. ა. ფოცხიშვილი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს არნ. ჩიქობავა და მისი მიმდევრები უსამართლოდ ებრძვიან ანტონს... „ისტორიკოსი“ წარმოუდგენელი მოურიდებლობით უვლის გვერდს აკაკი შანიძეს და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ანტონის როლს სალიტერატურო ენის განვითარებაში ა. შანიძე და არნ. ჩიქობავა სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ეს კი იმისთვის სჭირდება ა. ფოცხიშვილს, თქვას, რომ არნ. ჩიქობავა უარყოფითი პიროვნება იყო, ა. შანიძე — დადებითი, მე ა. შანიძის გვერდით ვდგავარო... ამის თქმას „ისტორიკოსი“ საგაზეთო წერილშიც ცდილობს, ენათმეცნიერების ინსტიტუტისგან „უსამართლოდ დაჩაგრულ“ ა. შანიძეს „ექმადგება“... ა. ფოცხიშვილი არსად არ მიუთითებს თავის „ფუნდამენტურ გამოკვლევაში“, **რომ ანტონის როლზე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ა. შანიძის აზრი ზუსტად ისეთივეა, როგორც არნ. ჩიქობავასი!** მეტიც: ა. შანიძე უფრო მკვეთრად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას. ა. შანიძეს მონოგრაფიული გამოკვლევა აქვს ანტონის როლზე ქართულ სალიტერატურო ენის განვითარებაში: „ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძველების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემაში“ (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964, გვ 1-94). ამ წიგნს, რა თქმა უნდა, იცნობს „ისტორიკოსი“ და იმოწმებს კიდევ სხვა თემასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩქმალავს მთავარს... რამდენიმე დასკვნით დებულებას შემოგთავაზებთ ა. შანიძის დასახელებული ნაშრომიდან და მკი-

თხველმა განსაჯოს:

„ვინც ძველი ქართული იცის, ადვილად მიხვდება, რომ ანტონის საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ ენაზე, რომელზედაც იგი წერდა. და ასეთი ცოდნის პატრონი კანონებს აწესებდა სალიტერატურო ენისათვის და თავის მცდარ თეორიულ შეხედულებებს ფართოდ ავრცელებდა მოწაფეების საშუალებით“ (გვ. 77).

„შედეგი ის იყო, რომ ძველი ქართული ენის ძეგლები შეირყვნა, ქართული სალიტერატურო ენის განვითარება შეფერხდა, ენა დამძიმდა უმართებულო ფორმებით, უცხო კონსტრუქციებით და წარიმართა მრუდი გზით. ანტონი იცქირება არა წინ, არამედ უკან და ისიც აღმაცერად, და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: სალიტერატურო ქართული ასცდა ბუნებრივი განვითარების გზას“ (იქვე).

„საერთოდ ანტონის გავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე უარყოფითია; ბევრად აჯობებდა, რომ ქართული მწერლობის ენის ბუნებრივ განვითარებას და თანდათან დაახლოებას სასაუბრო მეტყველებასთან (...) გზაზე არ გადაჰლობებოდა წარსულის ფიქრით შეპყრობილი და არასწორად მოაზროვნე გონება მეტად აქტიური კაცისა“ (გვ. 78).

ეს არ არის უბრალო რამ, ეს პრინციპული ხასიათის სიყალბეა!.. როგორც აღვნიშნეთ, ამ ნაშრომს იცნობს ა. ფოცხიშვილი, მაგრამ ასე სჭირდება და ისე წარმოაჩენს, თითქოს ა. შანიძის ეს ვრცელი გამოკვლევა არც არსებობდეს. ეს შეურაცხყოფაა კლასიკოსი მეცნიერისა! უგულვებელყოფა მისი აზრისა! ა. შანიძის მიმართ რომ ამას ბედავს, გასაგებია ე.ბაბუნაშვილს, თ.უთურგაიძეს, ბ. ჯორბენაძეს თუ სხვას როგორ მოექცევა. ამას აკეთებს კაცი, ვინც სხვისგან მოითხოვს „მიუდგომლობას, ობიექტურობას და ჰეშმარტების სამსახურს“! ვინც თავის „ფუნდამენტურ გამოკვლევაში“ წერს: „დროა, ისტორია წავიკითხოთ ისე, როგორც სინამდვილეში იყო და არა ისე, როგორც გვინდა.“ ანდა: „ენათმეცნიერების ისტორიკოსი და, საერთოდ ყოველი მეცნიერების ისტორიკოსი (...) ვალდებულია, მკითხველამდე მიიტანოს ყველა ფაქტი და მოვლენა, მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება აქვს მას ამ ფაქტებთან და მოვლენებთან, რა ურთიერთობაშია მათ ავტორთან“. როგორც ვხედავთ, ა. ფოცხიშვილი ამბობს ერთს, აკეთებს სხვას; ანუ ისტორი-

ას კითხულობს ისე, როგორც უნდა... და რაც მთავარია, ამგვარ ქმედებას, თუ მას სხვა ჩაიდენს, ა. ფოცხიშვილი დანაშაულად მიიჩნევს: **„ფაქტების მიჩქმალვა და დამახინჯებული სახით წარმოდგენა თუ შემთხვევით, უნებლიეთ მოხდა, შეცდომაა, თუ წინასწარ განზრახვითა და, ამდენად, ანგარებით, დანაშაული“** (ციტატა „ფუნდამენტური გამოკვლევიდანაა“). მისივე განაჩენის მიხედვით, დამნაშავეა ა. ფოცხიშვილი! ამიტომაც არ ვენდობით ჩვენ მის ისტორიას და ამიტომაც ვსვამთ ბრწყალელებში „ისტორიასა“ და „ენათმეცნიერების ისტორიკოსს“!.. ჩემდა თუ მისდა სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი სიყალბე „ისტორიკოსისა“...

ა. ფოცხიშვილის აზრით, ენციკლოპედიის მთავარი ნაკლი ის არის, რომ „ობიექტურად და მიუდგომლად არ გადმოგვცემს ქართული ენათმეცნიერების მიღწევებს და ამ მიღწევებში მონაწილე მეცნიერთა დამსახურებას“. ნუ გაიკვირვებ, მკითხველო, „ენათმეცნიერების მიღწევებში“ გულისხმობს ა. ფოცხიშვილის მიღწევებს, „ამ მიღწევებში მონაწილე მეცნიერიც“ ა. ფოცხიშვილია... არაობიექტურობისა და მიკერძოების მიზეზსაც ასახელებს: **„ეს კი გამოწვეულია იმით, რომ წიგნის შედგენას ენათმეცნიერების ინსტიტუტი ხელმძღვანელობდა“**... რას ერჩით, აქვს კაცს „მეცნიერული“ ანალიზისა და „დამაჯერებელი“ დასკვნის გაკეთების უნარი!..

ენათმეცნიერების ინსტიტუტის საქმიანობას იცნობს ქართული საზოგადოება; მართო მისი ლექსიკოლოგიური გამოცემების გახსენებაც იკმარებდა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები, ათეულობით ტერმინოლოგიური ლექსიკონი, დიალექტური ლექსიკონები...), რომ აღარა ვთქვათ სამეცნიერო კრებულებსა თუ მონოგრაფიებზე... რით ვერ აკმაყოფილებს ინსტიტუტი ა. ფოცხიშვილის მოთხოვნებს?

„ჩემი გაღიზიანება პირადული ახირება არააო“, უნდა დავგარწმუნოთ ა. ფოცხიშვილმა, მაგრამ მისგან განსხვავებით ჩვენ პატივს ვცემთ და ვაღიარებთ ფაქტებს: ენათმეცნიერების ინსტიტუტი მას შემდეგ გახდა მისი „მთავარი სამიზნე“, რაც ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტიდან შერისხული არ მიიღო ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (თუ არ ვცდები, 1978 წელს)... არნ. ჩიქობავა და მისი კო-

ლეგები ასეთ შემთხვევაში უაღრესად პრინციპულები იყვნენ. არმილების მოტივი უპირველესად თავად მოეხსენება... და „იძია შური“ ა. ფოცხიშვილი ინსტიტუტზე მისი მთავარი იდეოლოგიის არნ. ჩიქობავას ლანძღვითა და ინსტიტუტის იმჟამინდელი (იგულისხმება „ფუნდამენტური გამოკვლევის“ დაწერის პერიოდი) დირექტორის, ბ. ჯორბენაძის, შეურაცხყოფით. სხვაგვარად ვერ ავხსნით იმას, რის უფლებასაც „ენათმეცნიერების ისტორიკოსი“ თავის თავს აძლევს... კვლავ ფაქტები:

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელის გასატეხად (შესაბამისად, ენციკლოპედიის უვარგისობის დასასაბუთებლად) ა. ფოცხიშვილი უამრავ ტყუილს იკადრებს (როგორც ჩანს, ფიქრობს, ჩემი ასაკის კაცს ტყუილიც დაეჯერებო და...).

საგაზეთო წერილიდან: „1950 წელს, შემდგომში ინსტიტუტის დირექტორის არნ. ჩიქობავას სტატიით გაზ. „პრავდაში“ გაიხსნა დისკუსია „საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების გზების შესახებ“. გაკრიტიკებული იყო, ბევრ შემთხვევაში სრულიად სამართლიანად, ნ. მარის „ახალი მოძღვრება“. რადგან დისკუსია იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა (დასრულდა ი. სტალინის წერილით „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“), როგორც იმ დროს ჩვეულებრივ ხდებოდა, დაიწყო გაათვრებული ბრძოლა, განსაკუთრებით საქართველოში, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც რაიმე ურთიერთობა ჰქონდა ნ. მართან, ანუ იყო მარისტი“. ...და ამ მსჯელობას მოჰყვება გამიზნული სიცრუე: „შედეგად ის მივიღეთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან გაათავისუფლეს მისი დირექტორი გ. ახვლედიანი მხოლოდ იმიტომ, პეტერბურგში ასპირანტურაში სწავლის დროს მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნ. მარიც იყო.“ „ისტორიკოსს“ ვურჩევდი წაეკითხა 1934 წელს გამოცემული წიგნი „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“. „მარისტები“ ებრძვიან გ. ახვლედიანს, ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას და გ. თოფურისას, როგორც ნ. მარის აქტიურ მოწინააღმდეგეებს, „ანტიმარისტებს“ (ამ თემაზე ვრცლად იხ. ჩვენი „ქართველური ენები თუ დიალექტები?“— კრებულში „ქართველური ენები და დიალექტები“. 2007). 30-იან წლებში ანტიმარისტად შერაცხული გ. ახვლედიანი 50-იან წლებში მარისტობისთვის დასაჯეს? ასე სჭირდება და ცრუობს ა. ფოცხიშვილი... მან ისიც უნდა იცოდეს,

რომ იმჟამად ინსტიტუტის დირექტორს არც ნიშნავდა და არც ხსნიდა ინსტიტუტი; ეგ საკითხი სხვაგან წყდებოდა... „ისტორიკოსმა“ ისიც უნდა იცოდეს, რომ გ. ახვლედიანს სურდა 1950 წელს დისკუსიაში მონაწილეობა; მისი წერილი არ დაიბეჭდა; ასლი იმ წერილისა დღესაც ინახება არნ. ჩიქობავას არქივში... ეს ისე, მეტი სიზუსტისათვის... გ. ახვლედიანისადმი ენათმეცნიერების ინსტიტუტს რომ ჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდა, იქედანაც ჩანს, განმარტებითი ლექსიკონზე მუშაობის დაწყებიდან დამთავრებამდე (1945-1964 წწ) გ. ახვლედიანი იყო განმარტებითი ლექსიკონის კომისიისა და მთავარი რედაქციის წევრი...

აქვე ა. ფოცხიშვილი იმასაც ამბობს, რომ ა. შანიძე „მარისტობის“ გამო „არ იქნა შეყვანილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქციაში“. აქ რამდენიმე სიცრუეა: ვერ ერთი, განმარტებითი ლექსიკონის კომისია და მთავარი რედაქცია შეიქმნა 1945 წელს და არა 1950 წლის დიკუსიის შემდეგ... მეორეც, ა. შანიძემ თავად თქვა უარი განმარტებით ლექსიკონში მონაწილეობაზე; ესეც ცნობილი ფაქტია: კომისია განიხილავდა განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპებს; ა. შანიძის პრინციპებთან შედარებით უპირატესობა არნ. ჩიქობავას პრინციპებს მიენიჭა. ეს გახდა მიზეზი ა. შანიძის პროტესტისა... ენათმეცნიერების ისტორიკოსის პრეტენზიის მქონემ ეს ფაქტები უნდა იცოდეს!..

ა. ფოცხიშვილი ისე წარმოაჩენს ვითარებას, თითქოს ენციკლოპედიის ავტორ-შემდგენლები ივიწყებენ გ. ახვლედიანის ღვაწლს: „სტატიის ავტორებმა დაივიწყეს გ. ახვლედიანი“, ლაპარაკია სტატიისაზე „ქართველოლოგია“. მან ძალიან კარგად იცის ის, რომ ამ სტატიის საუბარი უნდა იყოს არა „ჩვენში ზოგადი ენათმეცნიერების წარმოშობა-განვითარებაზე“, არამედ იმაზე, თუ რა ინტერესს იწვევს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით ქართველური ენები! ეს ორი სხვადასხვა რამეა... ამიტომაც, რაც მიიჩნის საჭიროდ სტატიის ავტორებმა, ის შეიტანეს მასში... გ. ახვლედიანი და მისი ღვაწლი დავიწყებული რომ არ არის, ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ წავიკითხავთ სტატიას „გიორგი ახვლედიანი“ (მაგრამ არ გაიოცო, მკითხველო, ამ სტატიის ავტორი ა. ფოცხიშვილია!)... გარდა ამისა, ყვე-

ლა სტატიაში, სადაც კი ამის საჭიროება იყო, დამოწმებულია გ. ახვლედიანი... ამოდ დავობს „ქომაგი“...

ცრუობს ა. ფოცხიშვილი, როცა წერს, რომ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გ. რამიშვილი და ბ. გიგინეიშვილი „იძულებულნი გახდნენ, წამოსულიყვნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან იქ არსებული პირობების გამო“. „ისტორიკოსმა“ უნდა იცოდეს:

ა) თ. გამყრელიძე იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღმოსავლური ენების განყოფილების თანამშრომელი. 1960 წელს ეს განყოფილება გამოეყო ენათმეცნიერების ინსტიტუტს და ჩამოყალიბდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თ. გამყრელიძეც, ცხადია, ამ ინსტიტუტის თანამშრომელი გახდა...

ბ) გ. მაჭავარიანი მუშაობდა უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მას, მართალია, ჰქონდა პრინციპული დაპირისპირება ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მაგრამ მთავარი მაინც მისი არჩევანი იყო — მან უნივერსიტეტი ირჩია (მისი თანამოაზრეები ინსტიტუტში დარჩნენ)...

გ) გ. რამიშვილი და ბ. გიგინეიშვილი არასოდეს ყოფილან ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები, ამიტომ ვერც გახდებოდნენ „იძულებულნი, წამოსულიყვნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან იქ არსებული პირობების გამო“!...

ა. ფოცხიშვილი ფაქტების გაყალბების დიდოსტატია; ის ისტორიას იგონებს... კიდევ ერთი გამოგონილი ისტორია: „ქართულ ენათმეცნიერებაში კარგა ხანია ჩამოყალიბდა ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, მიმართულება: ერთს ქმნიდა არნ. ჩიქობავას გარშემო შემოკრებილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა უმეტესობა, მეორეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ აკ. შანიძისა და გ. ახვლედიანის ირგვლივ“. ქართული ენათმეცნიერების ისტორია არ იცნობს ორ ამგვარ მიმართულებას. სინამდვილეში არსებობდა ორი საენათმეცნიერო სკოლა: აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავასი; ეს არ იყო უწყებრივი (ინსტიტუტისა ან უნივერსიტეტისა) „გაერთიანება“, ა. ფოცხიშვილს რომ ჰგონია; როგორც ერთის, ისე მეორის მი-

მდევრები იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლები. ეს სკოლები არ შექმნილა პოლიტიკურ ნიადაგზე, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს ა. ფოცხიშვილი; ეს იყო წმინდა მეცნიერული სკოლები, რომელთა ისტორიას (ავ-კარგს) დაწერს მიუკერძოებელი ისტორიკოსი... ერთი სიყალბე ა. ფოცხიშვილისეულ „ისტორიაში“ ისიცაა, რომ არასოდეს არ წოდებულა „აკ. შანიძისა და გ. ახვლედიანის“ სკოლად. და რაც მთავარია: ეს სკოლები არ შექმნილა 50-იანი წლების დისკუსიის შემდეგ. ა. ფოცხიშვილი კი წერს: „ამ ორი მიმართულების შექმნას აქვს თავისი ისტორია. 1950 წელს...“ და გრძელდება დისკუსიის ამბავი... ზემოთაც ვთქვი, განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპების თაობაზე დაპირისპირება 1945 წელს მოხდა... ამ სკოლათა არსებობა გასული საუკუნის 40-იან წლებში ფაქტია; მისთვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა დანაშაულია როგორც ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას, ისე ქართული მეცნიერების წინაშე. აი, ამ კაცს აქვს პრეტენზია ენათმეცნიერების ისტორიკოსობისა...

თუმცა, პრეტენზია კი არა, უზარმაზარი ამბიცია აქვს. მისი აზრით, ენციკლოპედიის შესაბამის სტატიაში გამიზნულად „გამოჩენილია მთელი მიმართულება — „ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორია“. „ამ მიმართულებით ჩვენს დროში დაწერილი პირველი მონოგრაფიები“. აქ ა. ფოცხიშვილი ასახელებს თავის ოთხ წიგნს (1960, 1979, 1990 და 1995 წლებში გამოცემულს). ჯერ ერთი, ერთი და იმავე მიმართულებით სხვადასხვა დროს გამოსული ყველა პირველი როგორაა? მეორეც, მერამდენა ამ მიმართულებით გამოქვეყნებული არნ. ჩიქობავას, ე. ბაბუნაშვილის, თ. უთურგაიძის, ე. ნიკოლაიშვილისა თუ სხვათა ნაშრომები? იმ სტატიაში („ქართველოლოგია“) „ამ მიმართულებით“ სხვა ავტორი მოიხსენიეს და ა. ფოცხიშვილი არა? თუ ა. ფოცხიშვილი რომ არ ეხსენებინათ, ამისათვის სხვებიც გაწირეს? ზედმეტად ამბიციური ხომ არ არის საკუთარ ნაშრომზე თქმა „ფუნდამენტური გამოკვლევაო“? ფუნდამენტურობა რომ წიგნის სისქით არ იზომება, ეგ არ იცის „ისტორიკოსმა“? ამდენი სიყალბისა და სიცრუის დამტვევი წიგნი შეიძლება იწოდოს ფუნდამენტურად? ყველა ამ კითხვის პასუხი ა. ფოცხიშვილმა წესით უნდა იცოდეს. არ ვითხოვ პასუხს...

თურმე ნუ იტყვით და, იმ ნაშრომებს, რომელთაც უგულვებელყოფენ ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მაღალ შეფასებას აძლევენ უცხოელი კოლეგები და ასახელებს ლეტას პალმაიტის და გიორგი კლიმოვის. ნუთუ მართლა ფიქრობს ა. ფოცხიშვილი, რომ ქართველოლოგიაში ლ. პალმაიტისი (თუნდაც გ. კლიმოვი) უფრო დიდი ავტორიტეტია, ვიდრე ენციკლოპედიის ავტორი ქართველი ენათმეცნიერები?

ა. ფოცხიშვილი ძალიან ამაყია თავისი მახვილგონივრული მიგნებით და ლაღობს: „გ. გოგოლაშვილს, ვინც 600-გვერდიან „ქართული ენათმეცნიერების ისტორიას“ და მის ავტორს წინწკლებში სვამს, — „აქაოდა მაგათგან რაიმე მნიშვნელოვანს არაფერს უნდა მოველოდეთ“, კამათს არ დავუწყებ. მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხოს: — საიდან გაიგო, როგორ ჩაიღიმა და რა იფიქრა ბატონმა ბესიკმა ჩემს იმ წიგნზე, რომელიც მის გარდაცვალებიდან (1993) ორი წლის (1995) შემდეგ დაიბეჭდა?“ გიპასუხებთ, ბატონო „ისტორიკოსო“:

მე არ მითქვამს, რომ ბ. ჯორბენაძემ ა. ფოცხიშვილის წიგნი წაიკითხა-მეთქი. მე ვწერდი: „ენათმეცნიერების ინსტიტუტზე განაწყენებულმა „ენათმეცნიერების ისტორიკოსმა“ თავის „ისტორიაში“ სრულიად არაობიექტურად და დაუსაბუთებლად გააკრიტიკა ბატონი ბესიკი — „ვერ ერკვევა ენათმეცნიერების საკითხებშიო“. ღიმილით აუარა გვერდი ამ კრიტიკასაც და არც მისთვის პასუხის გაცემაზე დაუკარგავს დრო — უფრო დიდი საქმეები ჰქონდა გასაკეთებელი“. დიახ, მე დავწერე ეს და ვგულისხმობდი იმას, რომ ა. ფოცხიშვილის წიგნის გამოსვლამდე იცნობდა ბ. ჯორბენაძე მის აზრს. იქნებ გაიხსენოს „ისტორიკოსმა“: მისი წიგნი „ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 08. 91“. წინასიტყვაში ავტორი წერს: „წიგნი 1988 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ ბევრი საპატიო და უფრო მეტი არასაპატიო მიზეზის გამო მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ იბეჭდება“. ა. ფოცხიშვილს შეუძლია არ მენდოს მე (დაბეჭდვამდე იცნობდა-მეთქი, რომ ვამბობ); მისივე სტილით რომ ვუპასუხო, ჰკითხოს ბ. ჯორბენაძეს... ხოლო თუ რატომ იყო ბ. ჯორბენაძის კრიტიკა „არაობიექტური და დაუსაბუთებელი“, ეს ცალკე წერილის თემაა. თუ ისურვებს ა. ფოცხიშვილი, ამ თემაზეც ვისაუბრებთ...

ა. ფოცხიშვილი „მასტერკლასს“ გვიტარებს, გვმოდგრავს: ენციკლოპედიით „მკითხველმა (იგი მეტწილად არასპეციალისტია) სწორი წარმოდგენა უნდა იქონიოს იმაზე, რა გაკეთებულა და ვის გაუკეთებია“. აქ ა. ფოცხიშვილს ერთი სიტყვა გამოორჩა **ფასეული** — რა გაკეთდა ფასეული, თორემ რამდენი არაფასეული დაწერილა და თქმულა, იმას რა ენციკლოპედია აუვა! დავა და ჩივილი იმის თაობაზე, ჩემი ნააზრევი რატომ არ მიიჩნით სხვაზე ფასეულადო, არაეთიკური საქციელი მგონია მე...

ენციკლოპედიის ავტორებზე განაწყენებული „ისტორიკოსი“ დაიჩივებს: „შენ კი ღღეს, მართლაც, რამდენიც გინდა წერე, ის ხვალვე დავიწყებას მიეცემა“. შე დალოცვილო, რასაც წერ, ის „ხვალვე თუ დავიწყებას მიეცემა“, ჩვენი რა ბრალია? ისეთი რამ დაწერე, რაც არ მიეცემა დავიწყებას. მინდა იცოდეს ა. ფოცხიშვილმა, რომ ჰუმარბიტი მეცნიერული ნაშრომი „ხვალვე დავიწყებას არ ეძლევა“.

„იქნებ ძალიან მკაცრი ვარ“? — იკითხავს ერთგან ა. ფოცხიშვილი. არა. ბატონო, არა ხართ მკაცრი, უბრალოდ შემცდარი ხართ და გვარიანადაც!

საგაზეთო წერილს ა. ფოცხიშვილი ასე ამთავრებს; „უზნეობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი?! — როგორც ჩანს, არა აქვს!“ აი, აქ ნამდვილად შემიძლია დავეთანხმო: მართალს ბრძანებს...

P.S. გ. გოგოლაშვილის მიმართ ა. ფოცხიშვილის განაწყენების მიზეზი მხოლოდ „წინწკლები“ იყო ვითომ? როგორც ჩანს, არა.

გ. გოგოლაშვილმა

- ა.ონიანისა და ა. ფოცხიშვილის კამათში ა. ონიანის მხარე დაიჭირა, რადგან თვლიდა, რომ მართალი იყო ა. ონიანი;
- ც. ბარბაქაძისა და ა. ფოცხიშვილის კამათში ც. ბარბაქაძის მხარეზე დადგა, რადგან თვლიდა, რომ ტყუოდა ა. ფოცხიშვილი;
- „ენათმეცნიერების საკითხებში“ დაბეჭდილი ა. ფოცხიშვილის სტატია საგრძნობლად შეამოკლა და ეთიკურად მიუღებელი ადგილები ამოუშალა;
- ერთ-ერთი წერილი არ დაუბეჭდა „ენათმეცნიერების საკითხებში“, რადგან ყურნალის დონისათვის შეუფერებლად მიიჩნია.

- ა. შანიძისადმი მიძღვნილ კონფერენციაში არ მიაღებინა მონაწილეობა, რადგან თვლიდა, რომ ის მოხსენება შეურაცხყოფდა ა. შანიძის ხსოვნას; ამავე კონფერენციაზე, როგორც წამყვანმა, ერთ-ერთი მომხსენებლის შეურაცხყოფისა;
- უსამართლოდ გაკრიტიკებულ თ. უთურგაიძეს „საენათმეცნიერო ძიებანში“ დაუბეჭდა ა. ფოცხიშვილის საპასუხო წერილი...

ჰოდა, რას ვერჩით, ჰქონია კაცს მიზეზი!

სარჩევი

ც. ახვლედიანი — კონსონანტური ჯგუფების სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანებში.....	3
ც. ახვლედიანი, ნ. ჭრიკიშვილი — არაბიზმები ესპანურ ენაში.....	8
ნ. ახვლედიანი, მ. გობიანი — სარეკლამო ლოგოტიპების ლინგვო-კულტუროლოგიური ანალიზი.....	16
ქ. გაბუნია — პრაგმატული ფაქტორის როლი რეფერენციის სახეების დიფერენციაში.....	21
ქ. გაბუნია — თანამედროვე ფრანკოფონია და ენობრივი მდგომარეობის ტიპოლოგიზაცია.....	28
ს. გელაძე — პოეტური ტექსტის არსი და მისი გავლენა კოტექსტებზე.....	35
ქ. გიგაშვილი — აწმყოს ხოლმეობითის ფუნქციები XII-XVIII საუკუნეების ძეგლთა ენის მიხედვით.....	41
გ. გოგოლაშვილი — ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები.....	51
ლ. გოქსაძე — არასრულმნიშვნელობიანი ზმნების შეკვეცით გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებების შესახებ ინგლისურ ენაში.....	76
ი. დემეტრაძე — კომპლიმენტები, როგორც „სახის შენარჩუნებისა“ და „სახის შელახვის“ ქმედებები.....	84
მ. კინწურაშვილი, ც. ახვლედიანი — სარეკლამო ენის გენდერული ასპექტები.....	93
მ. კინწურაშვილი, მ. ბენიძე, ნ. ბეგლარაშვილი, თ. ელოშვილი, მ. ვაჭარაძე — ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერები“.....	98
მ. კინწურაშვილი — ინტერტექსტულობა როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი.....	113
მ. კობერიძე — ვნებითი გვარის პრეფიქსური წარმოებისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართულში.....	122
მ. ლაბარტყავა — აფიქსაციის გზით მიღებული გეოგრაფიული ობიექტთა აღმნიშვნელი სახელები.....	128

ე. მანია — ექსპრესიული ენობრივი ელემენტები პუბლი-
ცისტიკაში — საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ვითარების ინდიკატორი 134

ნ. მაჭავარიანი — „ინდი-მინდის“ წარმომავლობისათვის 143

ლ. მახვილაძე — დემოტივირებული ლექსემების ჩამოყალიბების
პროცესი გერმანულ ენაში 148

ლ. მახვილაძე — "ზე, გე-" პრეფიქსიანი ლექსემები გაუმჭვირ-
ვალე მეორე კომპონენტით გერმანულ ენაში 160

ე. მელქაძე — ლოკალური ბრუნვა თანამედროვე ფრანგულ
ენაში 168

ს. მუჯირი — მეტყველების ტაქტი — ზეპირი, სპონტანური
ტექსტის საანალიზო ერთეული 176

ს. მუჯირი — ლინგვისტური პრაგმატიკა — პროპოზიციის
ინტონაციური კვლევის თეორიული საფუძველი 182

ნ. ოთინაშვილი — ქსნური მეტყველების სიტყვა-
წარმოებიდან 186

ც. საკარული — ვ. ვულფის ნაწარმოების „შუქურისაკენ“
რიტმული თავისებურებების შესახებ 190

მ. საღლიანი — ხმოვანთა შემართვა და მისი სახეები სვანური
ენის ნასესხებ ფუძეებში 196

ი. ფხაკაძე — სიმულაკრი, რეკლამა, მითი, საზოგადოება 212

ნ. ფხაკაძე — ლამი სიტყვის ისტორიულ-სემანტიკური
ანალიზი 228

ი. ქონიაშვილი — სიტყვის პოლისემიური პოტენციალი 234

მ. ქურდიანი — ძირის სტრუქტურა და ფუძეთქმნადობის
კანონიკური მოდელები საერთო-ნახურ-დადესტნურ და
საერთო-დადესტნურ ფუძე-ენებში 241

თ. შავლაძე — ინგლისურენოვან იუმორისტულ ეპიტაფიათა
ლინგვისტური ანალიზი 248

ნ. შავრეშიანი — იმერიზმები ეკომიგრანტ სვანთა მეტყვე-
ლებაში 254

რ. ჭიკაძე — ზმნური სიტყვაწარმოება და ნასახელარ ზმნათა
სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში 260

ნ. ჭოხონელიძე — ყაფის მთის წარმომავლობისათვის 274

ნ. ოთინაშვილი — ნაშრომი ჭოროხის აუზის ტოპონიმის
შესახებ 277

გ. გოგოლაშვილი — ენციკლოპედია „ქართული ენა“
მტერ-მოყვრის თვალთ (პასუხად ა. ფოცხიშვილს) 282

Contents

Ts. Akhvlediani — The Symbolics of Consonant Clusters in the French
Translations of 'The Knight in the Panther's Skin' 7

Ts. Akhvlediani, N. Chrikashvili — Arabisms in Spanish 15

N. Akhvlediani, M. Gobiiani — A Linguo-Cultural Analysis of
Advertisement Logotypes 20

K. Gabunia — The Role of the Pragmatic Factor in the Differentiation of
Reference Types 27

K. Gabunia — Modern Francophony and Typologization of Language
Situation 33

S. Geladze — The Essence of a Poetic Text and its Influence
on Contexts 40

K. Gigashvili — The Functions of the Present Permissive in the
Language of the 12-18th century Manuscripts 49

G. Gogolashvili — Some Issues of Standard Georgian 3. The history
of normalization of Standard Georgian and its perspectives 74

L. Goksdze — Certain Structural Changes Caused by the Usage of
Contracted Forms in the English Language 83

I. Demetradze — Compliments as Face-Saving and Face-Threatening
Acts 92

M. Kintsurashvili, T. Akhvlediani — Gender Aspects of the
Language of Advertising 97

M. Kinsturashvili, M. Benidze, N. Beglarishvili, T.
Eloshvili, M. Vacharadze — Lautreamont's 'Maldoror' as
Rhisomic Plagiarism 112

M. Kintsurashvili — Intertextuality as an Object of Linguistic
Study 113

M. Koberidze — Towards the Prefixed Formation of the Passive Voice in
the Prone Valley Accent of the Kartlian Dialect 127

M. Labartqava — Geographical Names Formed by Means of
Affixation 133

E. Mania — Expressive Linguistic Elements in Publicistic Style as Indicators of Social and Political Situations.....	141
N. Machavriani — Towards the Origin of “Indi-Mindi”	146
L. Makhviladze — The Process of Demotivated Lexeme Formation in German.....	159
L. Makhviladze — <i>be</i> and <i>ge</i> Prefixed Lexemes with the Opaque Second Component in German	167
E. Melkadze — The Locative Case in Modern French.....	175
S. Mujiri — A Speech Beat – A Unit of Spontaneous, Spoken Text	181
S. Mujiri — Linguistic Pragmatics – A Theoretical Basis for Studying Proposition Intonation.....	185
N. Otinashvili — Some Aspects of Wordformation in the Ksani Accent of the Kartlian Dialect.....	189
Ts. Sakaruli — On some Rhythmic Peculiarities in V. Woolf’s Novel “To the Lighthouse”	195
M. Saghliani — Types of Vowel Onset in the Borrowed Stems in Svan.....	211
I. Pkhakadze — Simulacrum, Advertising, Myth, Society.....	227
N. Pkhakadze — The Semantic Analysis of the Word <i>lami</i> (silt) from the Historical Standpoint	233
I. Koniasvili — The Polysemic Potency of a Word in Two English Translations of “The Martyrdom of Shushanic” by J. Tsurtaveli	240
M. Kurdiani — The Canonical Models of Root and Stemformation in Common Nach-Dagestanian and Common Dagestanian Proto-Languages	247
T. Shavladze — The Linguistic Analysis of English Humorous Epitaphs	253
N. Shavreshiani — Imerisms in the Speech of Svan Ecomigrants.....	259
R. Chikadze — Verb Formation and Semantic Differentiation of Denominative Verbs in Fiction (on the basis of Besic Jorbenadze’s viewpoint).	273
N. Chokhoniidze — Towards the Origin of Mount Qapi.....	276
N. Otinashvili — The Work on the Toponymy of Choroki Basin.....	277
G. Gogolashvili — The Encyclopedia ‘The Georgian Language’ from the Standpoint of a False Friend (a reply to A. Potskhishvili)..	282